The international scientific peer reviewed journal

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი

GULANI

გულანი

Akhaltsikhe ახალციხე

2023

Samtskhe-Javakheti State University

26

GULANI

Linguistics, Literature Studies, History and Education

Editor:
Maka Beridze, Samtskhe-Javakheti State University, Georgia

Editor Council:

Linguistics:
Inga Rhutidze **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Jerard Gavanakhi, Limerikis Technological Institute, Ireland
Klodin Blokhi, Freeburg University, Switzerland
Karmen Alen Garabato, Montphel Paul Valer University, France

Literary Studies
Nestan Sulava **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Cornelia Horn, The Martin Luther University of Halle-Wittenberg, German
Natalia Sokolovskaia, Literary scholar, writer, Russia

Onomastics
Merab Beridze **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Mustafa Shenel, Kafkas University, Georgia
Paata Tskhadaia, Tbilisi State University, Georgia
Igor Kekelia, Georgia

Education
Irma Kurdadze **(Editor)** Samtskhe-Javakheti State University, Georgia
Zakaria Furtskhvanidze, Franfurt Goethe University, German
Ronda Sopher, Gorgon Education Academy Collage, Israel
Anzor Barkalaia, Tartu University, Estonia

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

26

გულანი

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, განათლება

მთავარი რედაქტორი:
მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სარედაქციო საბჭო:

ენათმეცნიერება

ინგა ღუტიძე **(რედაქტორი)**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ჯერარდ გავანაჰი, ლიმერიკის ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ირლანდია
კლოდინ ბლოხი, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია
კარმენ ალენ გარაბატო, მონტფელერის პაულ ვალერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

ლიტერატურათმცოდნეობა

ნესტან სულავა **(რედაქტორი)**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
კორნელია ჰორნი, ჰალე-ვიტენბერგის მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტი, გერმანია
ნატალია სოკოლოვსკაია, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, რუსეთი

ონომასტიკა

მერაბ ბერიძე **(რედაქტორი),** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
მუსტაფა შენელი, კავკასიის უნივერსიტეტი, თურქეთი
პაატა ცხადაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
იგორ კეკელია, საქართველო

განათლება

ირმა ქურდაძე **(რედაქტორი)**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ზაქარია ფურცხვანიძე, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი, გერმანია
რონდა სოფერი, გორდონის განათლების აკადემიის კოლეჯი, ისრაელი
ანზორ ბარკალაია, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი

УДК (უაკ) 81+82+93/94+37
UDC გ 936

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: *ნინო კარკაძე*

მდივანი: *მანანა ოსელიანი*

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

საგამომცემლო ჯგუფი: *ლარისა გურგენიძე*
ლია ზედგინიძე

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023
ISSN 1987-6157

რევაზ შეროზია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
საქართველო, ზუგდიდი,
rezosherozia@rambler.ru, 599 274 592

კესო გეჯუა
ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი,
keso.gejua90@gmail.com, 557 706 705

ანთროპონიმები სამეგრელოში საეკლესიო საბუთებისა და ჯვრის მონასტრისაღაპების მიხედვით

მოკლე შინაარსი

ქართული სამართლის ძეგლები და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები და სვინაქსარები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ და ასახავენX-XIX საუკუნეების ვითარებას. ძეგლებში არსებული მონაცემები საყურადღებოა მრავალი კუთხით, თუმცა სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ანთროპონიმთა ფორმობრივ და სემანტიკურ შესწავლაზე. გაანალიზებული ერთეულები დაჯგუფებულია მარტივ და რთულ (კომპოზიტური წარმოების) ანთროპონიმებად. მარტივ ჯგუფშიგანირჩა ნაზმნარი და სახელისგან მომდინარე პირსახელები: **გაჭირდია, გოკურცხია, ერჩქინდია, გურიშია, სქვამიშია;** რთულში - ზმნურ და სახელთა კომპონენტიანი სახელები: **ვაგიკონდი, ვამიჩქიდ, მამიყორდი, შურიმიდგი, თოლისკუამი, ბაბაშური.**

აღსანიშნავია, რომ განხილულ პირსახელთა წარმომავლობა მეგრულია და ქართველურ წარმოებას მიყვება. ძირ-ფუძეები უფრო ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც დასავლეთ საქართველოში დღემდე არის გავრცელებული და ხშირ შემთხვევაში „მხატვრულობის“ ნიშნით ხასიათდება.

საკვანძო სიტყვები: ქართველური, მეგრული, ანთროპონიმი, პირსახელი.

Revaz Sherozia
Doctor of Philological Sciences, Associate Professor,
Shota Meskhia Zugdidi State teaching University,
Zugdidi, Georgia
rezosherozia@rambler.ru, 599 274 592

Keso Gejua
Doctor of Philology, Associate Professor,
St. Andrew the First-Called Georgian University, Tbilisi, Georgia,
keso.gejua90@gmail.com,557 706 705

ANTHROPONYMS IN SAMEGRELO ACCORDING TO THE CHURCH DOCUMENTS AND AGAPES OF THE MONASTERY OF THE CROSS

Abstract

The monuments of Georgian law and the agape and synaxarion of the Jerusalem Cross Monastery contain important information and reflect the situation of the 10th-19th centuries. The data in the monuments are noteworthy from many points of view; however, the article focuses on the formal and semantic study of anthroponyms. The analyzed units are grouped into simple and complex (composed) anthroponyms. Adverbs and personal nouns derived from nouns were distinguished in the simple group: **gačirdia, goḳurcxia, erčkindia, gurišia, skvamišia**; In complex - verb and noun component names: **vagiḳondi, vamičkid, mamiqordi, šurimidgi, tolisḳuami, babašuri.**

It is worth noting that the origin of the discussed personal names are Magrelian and follow the Georgian word-building. Although the roots leave a more artificial impression, which is more common in Western Georgia in these days, and in many cases, is characterized by the sign of high artistic value.

Key Words: Kartvelian, Megrian, anthroponym, personal name

შესავალი: ქართული სამართლის ძეგლები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს და ასახავს X-XIX საუკუნებში ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას მრავალი კუთხით. ამ ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საეკლესიო-ისტორიულ საბუთებს,

რომელთა მონაცემები საყურადღებოა ისტორიული, ეთნოლოგიური, რელიგიურ-კონფესიური, სოციალური, ლინგვისტური და სხვა თვალსაზრისით. საეკლესიო ცნობების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ასევე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები და სვინაქსარები, რომელიც XI-XVII საუკუნეების მასალებს გვაწვდის (გამოსცა ელენე მეტრეველმა).

ს. კეკუამ თავის მონოგრაფიაში „ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით“ ვრცლად განიხილა აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე გავრცელებული ონომასტიკონი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. ჩვენი მხრივ, ყურადღებას გავამახვილებთ საეკლესიო საბუთებსა (XVI-XVIII სს.) და აღაპებში (XI-XVII სს.) ფიქსირებულ რამდენიმე პირსახელზე, რომელთა წარმომავლობა მეგრულია და ქართველურ წარმოებას მიყვება.

მარტივი ანთროპონიმები:

ნაზმნარი პირსახელები:

გაჭირდია - ფიქსირებულია სოფ. ხაუჭელში და ცაიშში (ქსძ, III, 1970: 432, 439). პირსახელი **გაჭირდია** შესაძლებელია სოციალურ მდგომარეობას აღნიშნავდეს და დროის (პერიოდის) განმსაზღვრელ პირსახელად მიიჩნევს: ოჯახს შვილი ისეთ დროს შეეძინა, როცა სოციალურად უჭირდათ და ძნელი იყო ბავშვის აღზრდა (კეკუა, 2021: 38). ნათელია საერთოქართველური **ჭირ-** ძირის გამოვლენას. კეკუა განმარტავს როგორც **გაჭირვება,** მაგრამ ვფიქრობთ, ცხადია ნაწარმოებ პირსახელში **გაჭირდი -** წარმოადგენს ზმნის მეორე პირის ფორმას.

ასევე, ზმნის პირიანი ფორმისგან მომდინარე პირსახელია **გოკურცხ-ი-ა,** ნაწამოებია **-ა** სუფიქსით: **გოკურცხ-ი-ა,** შდრ. **გოკურცხი** „გაიღვიძე, გამოფხიზლდი“ (კეკუა, 2021: 51). წარმოდგენილი ერთეული ზმნის მეორე პირის ფორმაა; მეგრულ მეტყველებაში **კურცხ-** ძირის შემცველი ფორმებია: **კურცხ-ე** „მღვიძარე; მკვირცხლი“, **კურცხ-ა-ს** „მღვიძარედ, მკვირცხლად“; პირიანი ფორმები: **კურცხ-უ** „იღვიძებს, ...“, **ო-კურცხ-ინ-უ-ან-ს** „აღვიძებს“...

ერჩქინდია „გაჩნდი“ ს. კეკუასთან მიჩნეულია როგორც ზმნურ-კომპონენტიანი რთული ანთროპონიმი (კეკუა, 2021: 85). ვფიქრობთ, ესეც ისეთივე მარტივი წარმოების ნაზმნარი პირსახე-

ლია, როგორც **გოკურცხია,გაჭირდია** სახელები. პირსახელი ნაწარმოებია **ჩენა,გაჩენა** სახელზმნის შესატყვისი მეგრული ფუძიდან **ერჩქინა:ე-რჩქ-ინ-დ-ი-ა.**

პირსახელი **გემჭიშ-ი-ა** დასტურდება ს. ნაჟანეულში (ქსძ, III, 1970:421). ს. კეკუა მას ნაზმნარ პირსახელად მიიჩნევს და უდარებს **გემჭიშე//ქიგემჭიშე** „დამაწიე; დამაწევინე შენს თავს“, ანუ „დამელოდე; მოიცადე რომ დაგეწიო“ ფორმებს (კეკუა, 2021: 50). ზმნის პირიანი ფორმა გაფორმებულია მაანთროპონიმებელი **-ა** სუფიქსის დართვით: **გე-მ-ჭიშ-ი-ა.** მეგრულში **ჭიშ-** ძირის შემცველი ერთეულებია: **ჭიშ-აფ-ა** „მოსწრება“, **ო-ჭიშ-უ-ან-ს** „ასწრებს“, **ა-ჭიშ-ე** „მოასწრებს“, **უ-ჭიშ-უ-ან-ს** „ასწრებს, გაასწრებს“, **მი-ო-ჭიშ-უ-ან-ს** „მიასწრებს“, **გი-ო-ჭიშ-უ-ან-ს** „დაეწევა“...

ამავე ძირისგან ნაწარმოები პირსახელი დასტურდება XVI საუკუნის II ნახევარში: **მჭიშია** „მომსწრებელი“ (?). შესაძლოა **მჭიშია** ისეთი პიროვნების მეტსახელი იყო, ვინც ყველაფერს ასწრებდა (კეკუა, 2021: 260). პირსახელი იგივე პრინციპითაა ნაწარმოები: **მ-ჭიშ-ი-ა.**

ამავე ტიპის ზმნურკომპონენტიან ანთროპონიმებს წარმოადგენენ შემდეგი ერთეულები: **მირჩქილია** „მისმინე“; **მისხუნუდა** ზედმიწევნით **„მირჩევნოდე“;** მიძირუდაზედმ. **„მენახე“; მაკეთია** ზედმიწ. „გამაკეთე, ამაშენეს მნიშვნელობით“.

სახელისაგან მომდინარე პირსახელი:

სახელისაგან მომდინარე პირსახელთა შორის ფიქსირდება **გურიშია** „გულისა“.ამავე წარმოებისაა **სქვამიშია** ზედმიწ. „ლამაზისა“ (ქსძ, III, 1970: 420).

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ ტიპის **-ია** დაბოლოებასთან დაკავშირებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში **-ია** კნინობით-ალერსობითობის გამომხატველ სუფიქსადაა მიჩნეული (კეკუა, 2021: 76). სახელები წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით **გურ-იში,სქვამ-იში,** რომლებსაც ერთვის **-ა** ფორმანტი: **გურ-იში-ა, სქვამ-იში-ა (შდრ. და-ია, ჯიმა-ია).**

რთული (კომპოზიტური) ანთროპონიმები:

ზმნურკომპონენტიანი პირსახელები:

ვაგიკონდი ფრაზეოლოგიური კომპოზიტია, რომელიც მზა ფრაზას წარმოადგენს: **ვა** „არ **+ გიკონდი** (გოკოდი) „გინდოდი“. ს.

კეკუა ამ პირსახელს იმ ჯგუფს განაკუთვნებს, რომლებიც ზმნურ ფორმაში ბოლოკიდურ **ა** ხმოვანს არ შეიცავენ (კეკუა, 2021: 51).

ამავე ტიპისაა **ვამიჩქიდ** პირსახელი: **ვა** „არ“ + **მიჩქიდ** ზედმიწ. „გიცოდი“ კომპონენტებისაგან შემდგარი. **მიჩქიდ** მეგრულში წარმოადგენს მეორე პირის ფორმას, მესამე პირისთვის - **მიჩქუდუ.** ამდენად, ვფიქრობთ ს. კეკუას მიერ შემოთავაზებული მნიშვნელობა „არ ვიცოდი“ (კეკუა, 2021: 82, 85) უნდა დაზუსტდეს ზედმიწევნითი განმარტებით **ვამიჩქიდ** „არ გიცოდი“.

ვაშკურუდა პირსახელი ზუსტად აღნიშნავს „თუ არ ეშინია“. **ვა-** ნაწილაკისა და **შკურ** „შიში“ ზმნური ძირისგან ნაწარმოები პირიანი ფორმის პირსახელი: **ვა-შკურ-უ-დ-ა.**

მამიყორდი (ქსძ, III, 1970: 433) „მე მიყვარდი“. კომპოზიტი შედგება ნაცვალსახელისა და ზმნური ფორმისაგან: **მა+მიყორდი** „მე+მიყვარდი“.

შურიმიდგი „სული მოითქვი, სული მოიდგი“. მართებულია შენიშვნა, რომ სავარაუდოდ, ამ ტიპის სახელებს არქმევდნენ სუსტ, უსუსურ ბავშვებს (კეკუა, 2021: 85). ამაზე მიგვითითებს მეგრულში დღესაც აქტიურად გამოყენებადი ზმნური ფორმა შურმიდგი „სული მოითქვი, მოღონიერდი“. კომპოზიტი შედგენილია სახელისა და ზმნისაგან: შური+მიდგი „სული+მოიდგი(მოითქვი)“.

სახელი+სახელი კომპონენტიანი:

თოლისკუამი (ქსძ, III, 1970: 429) ზედმიწ. „თვალი ლამაზი“; „თვალლამაზი“ ანუ ლამაზთვალება. გვხვდება ამავე შემადგენლობის კომპოზიტური პირსახელი, რომელიც მარცვლის დაკარგვითაა მიღებული და **-ა** მაანთროპონიმებელი აფიქსი ერთვის: **თოლისკუამი>თოსკვამი-ა.** ს. კეკუა პარალელურ ფორმად ასახელებს **თოლისკუ-ა** პირსახელს (კეკუა, 2021: 83);

თოლიოქრო//თოლიორქო (ქსძ, III, 1970: 418-419) ზედმიწ. „თვალი ოქრო“, ოქროსთვალება... ოქრო დღესაც აქტიური გამოყენებისაა ალერსიანი მიმართვისას სამეგრელოში.

საალერსო მივიჩნევთ ასევე **ბაბაშური<ბაბაშ შური** „მამის სული“, **შურითოლი<შურიშ თოლი** „სულის თვალი“ პირსახელებს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებსა და სვინაქსარებში (XI-XVII საუკუნეების მასალები) ანთროპონიმთა ცნობილი ფორმების გარდა, გვხვდება ადამიანთა სახელების უჩვეულო ფორმები,

როგორიცაა **ქველივა, დუდა, მერჩა, თაბა, ღვინა, ფსიტა, ყუნდო ჯახუბის ძე, ჩხაგუ, კუჭეჭი, ქორთომი, თომაიდა, ხუტური, შურია, გონგლიბა** (აღაპი გონგლიბაის ძისა ბედიელისა), **ფურთუხი, ქუცნა, ხუანჩა კეკლუცა** (მეტრეველი, 1962) და სხვა.

სახელთა ფორმაწარმოება საერთოქართველურია, მაგრამ ძირ-ფუძეები უფრო ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც დასავლეთ საქართველოში დღემდე არის გავრცელებული და ხშირ შემთხვევაში „მხატვრულობის“ ნიშნით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ აღაპებისა და სვინაქსარების უმრავლესობა დაკავშირებულია სამეგრელოს წარმომადგენლებთან. ამდენად, ისეთი პირსახელები როგორიცა **თაბა, ქველივა, აგუტი, ფსიტა**... აღმოსავლეთ საქართველოს პირებთან მიმართებაში ვერ იქნება. შეიძლება ვთქვათ, რომ იერუსალიმის აღაპებსა და სვინაქსარებში უმეტესობა დასავლეთ საქართველოდან გამოსული პირების სახელებია (დადიანებისა თუ სხვების), რომლებიც ფორმის მიხედვით საერთოქართველურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

კეკუა, 2021 - კეკუა ს., ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით, თბ., 2021

მეტრეველი, 1962 - მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI-XVII სს, თბ., 1962

ქსძ, 1970 - ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX); ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970

ქეთევან გოდერძიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ენათმეცნიერი-ონომასტი,
დამოუკიდებელი მკვლევარი, საქართველო, თბილისი
k.goderdzishvili@yahoo.com, 555 227 680

ისევ ახალი მეთოდოლოგიისთვის ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენისას

მოკლე შინაარსი

სტატია ეხება ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენის ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ახალ მეთოდოლოგიას, რომელიც იცავს ტოპონიმთა ლექსიკონში თითოეული ტოპონიმის პირველდამა-ფიქსირებლის პირველავტორობას. ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენის მეთოდოლოგიას 2-ჯერ შევეხეთ: 2018 წ. და 2021 წ. ამ სტატიით იძულებული ვართ კიდევ ერთხელ შევახსენოთ ტოპონიმთა ლექსიკონის შემდგენელთა მსურველებს ჩემ მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის დაცვის აუცილებლობა, რამეთუ ამ ახალი გზის გაუთვალისწინებლობას მივყავართ წინაავტორთა, პირველავტორთა, ხელყოფამდე.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი არასოდეს დასმულა, არავის განუხილავს არც სიტყვიერად და არც წერილობით, მეცნიერული ეტიკეტის სახე მას არ მიუღია. ამიტომ ათ კაცს რომ ლექსიკონის სახით გამოეცა ერთი და იმავე სოფლის ან რეგიონის ერთი და იგივე ტოპონიმები, ათივეს პირველავტორობის პრეტენზია ექნებოდა.

ასეც მოხდა.

ონომასტიკურ სივრცეში ტოპონიმთა ლექსიკონების შედგენისას პირველავტორობის უფლებას იმსახურებენ მეცნიერები, რომელთაც საგანგებოდ **გამოცემული აქვთ ტოპონიმთა ლექსიკონები,** რომელშიც პირველადაა შეტანილი ველზე ინფორმატორთაგან მოძიებული ან ამა თუ იმ წყაროში გაბნეული ტოპონიმები.

ახალი მეთოდოლოგიის მესამედ დაბეჭდვის აუცილებლობა გამოიწვია ორმა ფაქტორმა:

1) ეს საკითხი დაბეჭდილია ჩემს წიგნებში, სამეცნიერო ჟურნალში მისი გამოქვეყნებით კი შემოთავაზებული მეთოდოლოგია უფრო ხელმისაწვდომი გახდება ტოპონიმიკოსებისთვის,
2) რაც მთავარია, მიუხედავად ორჯერ გამოქვეყნებისა, კვლავ განმეორდა ტოპონიმთა პირველავტორის ხელყოფა, ანუ ჩემი მასალის გაუთვალისწინებლობა, რაზედაც ვსაუბრობთ დასაწყისში: **„ნუ დააგდებ ძველსა გზასა“ – ზოგჯერ არასწორია.**

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, ტოპონიმიკა, ტოპოერთეული, ტოპონიმთა ლექსიკონი, ახალი მეთოდოლოგია, პირველმომპოვებელი, პირველგამომქვეყნებელი, პირველავტორი, საავტორო უფლება, ტოპოპლაგიატობა.

Ketevan Goderdzishvili
Doctor of Philology, Linguist-onomasticist,
Independent Researcher, Tbilisi, Georgia,
k.goderdzishvili@yahoo.com, 555 227 680

AGAIN FOR NEW METHODOLOGY WHILE COMPILATION OF THE TOPONYM DICTIONARY

Abstract

The article concerns a new methodology of compilation of a dictionary of toponyms, formed by me, which protects authorship of each person who was first to document each toponym. We have twice touched upon the methodology of compilation of a toponym dictionary: in 2018 and in 2021. We are forced to remind once more to those, who are willing to make a toponym dictionary, the necessity of respecting the methodology I have proposed, as, without taking into consideration this new way, we are led to violation of previous authors, first authors.

We should especially note that this issue has never been risen, nobody has examined it neither verbally, nor in written, it has not taken an appearance of the scientific etiquette. So if ten persons had published the same toponyms of the same village or region, all of them would claim that they are the original authors.

And so it happened.

In onomastic space while compiling a toponym dictionary, those scientists deserve the right of original authors, who has especially **published toponym dictionaries**, in which for the first time are included the toponyms, obtained in field from informers, or toponyms, scattered in various sources

The necessity of third publication of the new methodology was caused by two factors:

1) This issue is published in my books; by publishing it in a scientific magazine the proposed methodology will become more accessible for toponym specialists,
2) Most importantly, despite being published twice, the violation of the first author of toponyms was repeated again, that is, disregarding my material, which we are talking about at the beginning: "**Don't leave the old way**" – sometimes is wrong.

Key Words: Toponymy, Onomastic, Topounit, Fifst author, dictionary of toponyms, new methodology, first obtainer, first publisher, copyright, topoplagiarism, topoplagiarism.

შესავალი. „ნუ დააგდებ ძველსა გზასა" – ზოგჯერ არასწორია. ამ საკითხს განვიხილავთ ერთი მცირე სტატია-ლექსიკონის საფუძველზე, რომელიც ეხება დისევი-კულბითის ტოპონიმებს.

რატომ ვსაუბრობ კვლავ და კვლავ ტოპონიმთა ლექსიკონის მეთოდოლოგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს პირველავტორობის დაცვის პრინციპს.

ჯერკიდევ 2018 წელსწიგნში „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა ლექსიკონი" წარმოვადგინე ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც აგვაცილებდა ლექსიკონში ტოპოერთეულთა პირველ დამაფიქსირებლის ხელყოფას. შემდეგ იგივე საკითხი უფრო გამოწვლილვით წარმოვადგინე 2021 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში „აღმ. საქართველოს შვიდი საზღვრისპირა რეგიონის... ტოპონიმთა ლექსიკონი."

ამის შემდეგ ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში განმეორდა იგივე, ანუ ტოპონიმის პირველდამაფიქსირებლის ხელყოფა, ტოპონიმთა გარკვეული ნაწილის პირველავტორად საკუთარი თავის შემოთავაზება მავანი ავტორისგან, მაშინ როცა გაცილებით ადრე ეს ტოპონიმები დაფიქსირებულია ჩემს ლექსიკონში.

ვვარაუდობ, რომ ავტორი არ გასცნობია ჩემ მიერ შემოთავაზებულ ახალ მეთოდოლოგიას. წინააღმდეგ შემთხვევაში დღეს ეს იქნებოდა მეცნიერული დანაშაული, მაშინ როცა 2015, თუნდაც 2021 წლამდე გამოცემული ტოპონიმთა ლექსიკონების ავტორთა მიერ ზემოთ წარმოდგენილ ავტორთა მიერ იდენტური ქმედება, შეიძლება არ იქნეს მწვავედ მიღებულ-აღქმული.

მართალია, ვფიქრობ, რომ ჟურნალის სტატიის ავტორი არ იცნობს ჩემს ახალ მეთოდოლოგიას, მაგრამ მე მაინც ვალდებული ვარ შევეხო მის სტატიას, რადგან ის, ფაქტობრივად, ლექსიკონის სახითაა წარმოდგენილი.

მსჯელობა. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სინტაგმა „ახალი მეთოდოლოგია“ შეიძლება არ იყოს მართებული გამოთქმა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ახალი“ შინაარსობრივად ზედმეტია, რამეთუ ჩვენამდე მეთოდოლოგია არც არსებობდა, კერძოდ, არ არსებობდა ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენისას პირველავტორობის დაცვის არანაირი მეთოდოლოგია. უპრიანია ითქვას „ახალი გზა“ ან მხოლოდ „მეთოდოლოგია“ („ახალის“ გარეშე).

წლების წინ რომც არ მეგრძნო აუცილებლობა ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენისას მეთოდოლოგიის საჭიროებისა და გავყოლოდი გზას, რომელიც არანაირ მეთოდოლოგიას არ მიჰყვებოდა, მე მაინც გვერდს ვერ ავუქცევდი ჟურნალში ახლახან დაბეჭდილ სტატიას, სტატიას, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ორი სოფლის არასრულ ტოპონიმთა ლექსიკონს. ამ სტატიაში ერთგვარად დაანონსებულია ის, რასაც მომავალში ვრცლად გვთავაზობს ავტორი, კერძოდ,

– ყველა გეოგრაფიული სახელი ვერ წარმოვაჩინეთ, მაგრამ დასაწყისისთვის კმარაო. ორივე სოფლის ტერიტორია სავსეა ნასახლარებით .... **რომლებიც დავიწყებას არ უნდა მიეცესო“**

ამ საკმაოდ შემართებული სიტყვებიდან, ამ, შეიძლება ითქვას, მამულიშვილური სურვილიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ ავტორმა დავიწყებას არ მისცა იმ სტატია-ლექსიკონში მის მიერ დაანონსებული ტოპონიმები. არადა, უმრავლესობა ჯერ კიდევ 2015 წელს გამოცემულ ჩემს „ცხინვალის რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონშია“ შეტანილი. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე ტოპონიმს, რომელიც შესულია ჩემს ლექსიკონში:

დისეურა, მალიაანთეულები, წურბლის ტბა, ნაცარყანები, სასადილოწყარო, წამალაწყარო, ღრმახევი, ნაცხვირი, ტყემლივაკე, ჭაჭაურა, ნაკარაული, დურბისწყარო, გვარამაანთველი, კუნლიმიწები, ფშატიმიწები,ზემოქერე, საჩალე, ლეჩაქა, სიპიტყე, ნაცერცვალი, ხიდათები, ზვარეები, დიდგორა...

ასე რომ, დისევი-კულბითის ტერიტორიაზე მოქმედი ეს ტოპონიმები დავიწყებისგან უკვე დაცულია! მასშემდეგ 7 წელია გასული!

ავტორის მიზანია სტატიაში დაანონსებულ ტოპონიმთა რაოდენობის სრულყოფილად წარმოჩენა. ეს მისასალმებელია, მაგრამ მოვითხოვ დისევი-კულბითის ტოპონიმთა ლექსიკონის ვრცლად წარმოდგენისას დაცული იყო სიურიდიულად გამოკვეთილი ნორმები:

1) **აღინიშნოს** ჩემ მიერ ლექსიკონის ფორმატით უკვე დაფიქსირებული **თითოეული ტოპონიმი** რაიმე სიმბოლოთი. ამას მოვითხოვ როგორც პირველავტორი და როგორც მეთოდოლოგიის ავტორი.
2) ასეთი მიჩქმალული ფაქტებით ჟურნალის რედაქციაც არ უნდა ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში.

1. როგორ და რატომ გამოიკვეთა ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენის მეთოდოლოგიის აუცილებლობა

პირველი ტოპონიმთა ლექსიკონი, რომელიც 2015 წ. გამოვეცი, ეხება ცხინვალის რეგიონს, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში აღვწერე. ცხინვალის რაიონს ბევრი შეხებია, მაგრამ ტოპონიმთა ლექსიკონი ჩვენ გამოვეცით. ამიტომ არავითარი პრობლემა არ გამოკვეთილა, რაც მიმიყვანდა მეთოდოლოგიის საჭიროების აუცილებლობამდე.

პრობლემა გამოიკვეთა 2018 წ. „დედოფლისწყაროს ტოპონიმთა ლექსიკონის“ გამოცემისას, რამეთუ დედოფლისწყაროს ტოპონიმთა ლექსიკონი ჩემამდე გამოცემული ჰქონდა პროფ. ალექსანდრე ღლონტს 1982წ. სათაურით „ქიზიყის ტოპონიმია“. ვიგრძენი, რომ მე არ ვიქნებოდი პირველი ავტორი „დედოფლისწყაროს ტოპონიმთა ლექსიკონისა“. სიტყვას „ვიგრძენი“ ვიყენებ იმიტომ, რომ ცოდნა და ორი თვალი ამ ინფორმაციას მხოლოდ გვაწვდის ახლა დარჩა ის, რომ იგრძნო მოვალეობა შენზე უწინ გამოცემული ნაშრომის მიმართ. მე

ვიგრძენი და გავისიგრძეგანე, რომ პირველი ავტორი სხვა იყო. დედოფლისწყაროს რაიონის ტოპონიმები ლექსიკონად უკვე დაბეჭდილი იყო და ამის გათვალისწინება მმართებდა და მაშინ (2018) შევიმუშავე ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც მანამდე არ არსებობდა და რაც თეორიულად წიგნის შესავალში წარმოვადგინე, შესაბამისად, დედოფლიოსწყაროს ლექსიკონი ჩემეული მეთოდოლოგიით გავმართე.

გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღვმოჩნდი, როცა XXI ს-ის 10-იან წლებში თსუ-დან სიღნაღის რეგიონში გავემგზავრე მივლინებით და იქ მოპოვებული ტოპონიმური მასალის ლექსიკონად დაბეჭდვა დავაპირე. ჩემს ნაშრომს წინ უსწრებდა:

ა) ალ. ღლონტის „ქიზიყის ტოპონიმია“ (1982). ესაა ლექსიკონი, რომელშიც წარმოდგენილია დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონების ტოპოერთეულები,

ბ) სიღნაღის რაიონის რამდენიმე ცალკეული სოფლის ტოპონიმთა ლექსიკონი, გამოცემული პროფ. პაატა ცხადაიას სტუდენტების მიერ (წნორის უნივერსიტეტიდან) ჯერ კიდევ 2005 და 2007 წლებში სტატიის ფორმატის სახით (ჟურნ. „სიღნაღი.“).

გ) 2018 წ გამოცემული უშანგ სახლთხუციშვლის „სიღნაღის ტოპონიმთა ლექსიკონი.“

ასე რომ, სიღნაღის ტოპონიმთა ლექსიკონზე მუშაობისას (რომელიც გამოვაქვეყნე 2021 წ.), პირველავტორობის იარლიყით დაუმსახურებლად რომ არ წარვმდგარიყავი, გაცილებით რთული გზა მქონდა დასაძლევი. უმარტივესი გზა იყო წინაავტორების გაუთვალისწინებლობა. სწორედ ჩემ მიერ 2018წ. შემოთავაზებული ეს მეთოდოლოგია მაქვს უფრო გამოწვლილვით განხილული წიგნში **„აღმ. საქართველოს შვიდი საზღვრისპირა რეგიონის... ტოპონიმთა ლექსიკონი“** 2021.

2. წარმოვადგენ ვრცელ ამონარიდს წიგნიდან.

„აღმ. საქართველოს შვიდი საზღვრისპირა რეგიონის... ტოპონიმთა ლექსიკონი“ 2021

ონომასტიკურ სივრცეში ტოპონიმთა ლექსიკონების შედგენისას პირველავტორობის უფლებას იმსახურებენ მეცნიერები, რომელთაც საგანგებოდ **გამოცემული აქვთ ტოპონიმთა ლექსიკონები,** რომელშიც პირველადაა შეტანილი ველზე ინფორმატორთაგან

მოძიებული ან ამა თუ იმ წყაროში გაბნეული ტოპონიმები. ჩვენ სწორედ ეს პრინციპი, თუნდაც დებულება ვუწოდოთ, წამოვწიეთ.

საქართველოში ონომასტიკური კვლევის წამოწყებიდან დღემდე განვლილ თითქმის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში ეს პრობლემა სწორედ ჩვენს დღევანდელობაში გამოვლინდა. გამოვლინდა მას შემდეგ, რაც 2003 წლიდან ხელმეორედ გამოიცა ტოპონიმთა ლექსიკონები იმავე რეგიონებისა, რომლებიც უკვე აღწერილი და გამოქვეყნებული იყო წინა ავტორთა მიერ. სავალალოდ, ხელმეორედ გამოცემულ ნაშრომებს მიეცა პირველად გამოქვეყნებულის სტატუსი და არა უკვე აღწერილი რეგიონების ტოპონიმთა ლექსიკონების შემავსებელი (რაც არანაკლებ საპატიოა) სტატუსი. ამიტომ **რასაც ახლა ვიტყვი, ახალი მიდგომაა საკითხისადმი, რომლის საჭიროებაც დღემდე არ ყოფილა, ამიტომ არც არავინ შეხებია.** ზემოთ წარმოდგენილი ვითარებიდან გამომდინარე, ონომასტიკურ მეცნიერებაში გაჩნდა ახალი მეთოდოლოგიის, ახალი პრინციპის დამკვიდრების აუცილებლობა. კერძოდ, საავტორო უფლების დამკვიდრება, რაც, თავისთავად, „არახალია“, მაგრამ სალექსიკონო სივრცეში, **მხედველობაში მაქვს ტოპონიმთა ლექსიკონები,** სწორედაც რომ ახალია. ამიტომ საგანგებოდ შევეხები პრინციპს, რომლითაც ვიხელმძღვანელეთ ჯერ „დედოფლისწყაროს ტოპონიმთა ლექსიკონის“ (2018), შემდეგ „აღმოსავლეთ საქ-ს საზღვრისპირა რეგიონების ტოპონიმთა ლექსიკონების“ შედგენისას (2021).

ტოპონიმური რუკის უფრო სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, რეგიონის მასალა წარმომადგენლობითი რომ ყოფილიყო, ჩემ მიერ მოპოვებულ ტოპონიმებთან (5 რეგიონში) გავაერთიანე წინა ავტორის, ჩემი მასწავლებლის, ალ. ღლონტის, მიერ **ლექსიკონის ფორმატით გამოცემული ტოპონიმური მასალა:**

1) კახეთის სამი (ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს და სიღნაღის) მუნიციპალიტეტის,

2) ქართლის ერთი (ქარელის) მუნიც-ისა.

წავაწყდი ასეთ წინაღობას: ჩემ მიერ მოპოვებული და გამოსაქვეყნებლად მომზადებული ტოპონიმთა რაოდენობა შემცირდა, რადგან გარკვეული ნაწილი უკვე დაფიქსირებული იყო ალ. ღლოტის მიერ 80-იან წლებში გამოცემულ ლექსიკონებში. ტოპოპლაგიატობა თავიდან რომ ამეცილებინა, ის ტოპოერთეულები,

რომლებიც ალ. ღლონტს ჯერ კიდევ 80-იან წლებში ჰქონდა გამოქვეყნებული, გამოვყავი ვარსკვლავით (*). ამან დაჩრდილა ჩემ მიერ დიდი რუდუნებითა და ჯაფით სოფელ-სოფელ მოპოვებული ტოპონიმთა რაოდენობა (რაც ნამდვილად არ იყო სასიამოვნო), მაგრამ გამოავლინა მეცნიერული ვალდებულება – სხვისი ნაღვაწის მიუთვისებლობა. სხვათა შორის, ამ რეგიონებში ალ. ღლონტისა და ჩემი მასალის ერთად წარმოდგენის სურვილიც რომ არ მქონოდა, ანუ ოდენ ჩემ მიერ მოპოვებული მასალა რომ შემეტანა ჩემს ლექსიკონში, ამ მეთოდოლოგიას მაინც ვერ ავცდებოდი. უნდა დამეცვა ერთი სავალდებულო პრინციპი: **გამეთვალისწინებინა ლექსიკონის ფორმატით ტოპოერთეულის პირველმომპოვებლისა და პირველგამომქვეყნებლის, ასე ვთქვათ, საავტორო უფლება** შემდეგი გზით: ჩემ მიერ მოპოვებული ის ტოპონიმები, რომლებიც ლექსიკონის ფორმატით უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა წინა ავტორს 35 წლის წინ,

ა) ან არ უნდა შემეტანა ლექსიკონში,

ბ) ან იმ ტოპოერთეულთა პირველავტორი უნდა მიმენიშნებინა.

ტოპონიმური რუკის უფრო სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, ავირჩიე მეორე გზა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი

ამ პრინციპით, როგორც აღვნიშნე, **განსაკუთრებით** რთული ვითარება შეიქმნა, რის გამოც დიდი გარჯა დამჭირდა ჩემს „სიღნაღის მუნიც-ის ტოპონიმთა ლექსიკონზე“ მუშაობისას, რადგან, ვიმეორებ, მას წინ უსწრებდა არა მხოლოდ ალ ღლონტის (1982), არამედ სტუდენტებისა (2005-2007) და უშანგ სახლთხუციშვილის (2018) ლექსიკონები.

ახლად შემუშავებული მეთოდოლოგიით, ჩემს წიგნში არ შევიტანე **ჩემ მიერ 2006 წ. მოპოვებული** ის ტოპონიმები, რომლებიც პირველად დაფიქსირდა სხვა ავტორთა ლექსიკონებში, უფრო ზუსტად, არ შევიტანე ჩემი სახელით, **თითოეული ტოპონიმი შევიტანე თავ-თავისი ავტორის სახელით,** რამაც განსაკუთრებით შეამცირა ჩემი ნაღვაწი ამ რეგიონში.

P. S. ამავე პრინციპით, შემცირებულად ჩაითვლება თავად უ.სახლთხუციშვილის „სიღნაღის ტოპონიმთა ლექსიკონში“ შეტა-

ნილი ტოპოერთეულები, რომელთა საკმაო ნაწილი დაფიქსირებულია ჯერ კიდევ 40 წლის წინ გამოცემულ ალ. ღლონტის შესაბამის ლექსიკონში („ქიზიყის ტოპონიმია“).

სწორედ ამ არასახარბიელო რეალობამ განაპირობა **ონომასტიკაში, კერძოდ, ტოპონიმთა ლექსიკონების შედგენისას ახალი, უფრო ზუსტად, საგანგებო მეთოდოლოგიის დამკვიდრების აუცილებლობა.**

როგორც დებულებას, თეზას... ჰყავს ავტორი, ისე **ლექსიკონის ფორმატით გამოქვეყნებულ ტოპონიმებს** –პირველი დამაფიქსირებელი ავტორობის უფლებით.

სწორედ ამ ეტიკეტის გათვალისწინებით, ჩემ მიერ გამოცემული ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს და ქარელის მუნიც-ებში ტოპონიმთა გარკვეული ნაწილის თითოეული ტოპონიმი *-ითაა (ერთი ვარსკვლავით) აღნიშნული, როგორც, უწინარესად, ალ. ღლონტის მიერ შესატყვის ლექსიკონებში გამოქვეყნებული. ხოლო რაც შეეხება ჩემს „სიღნაღის მუნიც-ის ლექსიკონს,“ აქ ტოპონიმები 1-(*) და 2 (**) - 3 (***) ვარსკვლავიანი ნიშნულებითაცაა წარმოდგენილი, რაც მიანიშნებს სხვა ავტორთა პირველავტორობასაც.

არ არის საკმარისი მხოლოდ წინასიტყვაობაში იმის აღნიშვნა, რომ რომელიმე კონკრეტული რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონი უკვე გამოცემული აქვს სხვა ავტორს. თუმცა ესეც აღსანიშნია. მაგალითად, 2007წ. გამოცემულ ლექსიკონში „მცხეთის რაიონის ტოპონიმია“ სერგო მელიქიძე წერს: „უკვე საუკუნის ბოლო მეოთხედში (1975 წ.) გამოვიდა ცნობილი მკვლევრის, ალექსანდრე ღლონტის, ნაშრომი „მცხეთის ტოპონიმია“, რომლის მასალაც გათვალისწინებულია ჩვენს ნაშრომში.“ ეს მისასალმებელია, მაგრამ მხოლოდ ამ მითითებით ვერ ვლინდება წინა ავტორის ღვაწლმოსილება! თუ რა ოდენობის მასალა, პირველავტორის რომელი ტოპოერთეულებია (ზოგჯერ თავისი ინფორმაციითაც) დაფიქსირებული მის ნაშრომში. სიზუსტესა და კონკრეტიკას მოკლებული ლექსიკონი („მცხეთის რაიონის ტოპონიმია“) მთლიანად მეორე ავტორის კუთვნილებად აღიქმება. ასეთი ვითარებაა რეგიონის მეორედ აღმწერთა ყველა ლექსიკონში. ასე რომ, ეს გზა არამართებულია, არამეცნიერულია, რადგან, ვიმეორებთ, არა ჩანს მეორე

ავტორის წიგნში რა დოზითაა შეტანილი წინააავტორის ტოპონიმიკურ ლექსიკონში უკვე დაფიქსირებული მასალა. ეს მეთოდი არც თავის დროზე იყო მისაღები, მაგრამ არავის დაუსვამს ეს საკითხი.

ალ. ღლონტის მიერ 11 ნაკვთად გამოცემული „ტოპონიმიკური ძიებანის“ პირველივე ტომი ერთიანი კოლხეთის რეგიონში მოპოვებული ტოპონიმების პირველი ლექსიკონია (ვრცელი სამეცნიერო კვლევით), რომელსაც ავტორი უწოდებს „მცირე ლექსიკონს “და რომელიც 2300-ზე მეტ კოლხურ ტოპონიმს მოიცავს. ასე რომ, მეგრულ ტოპონიმთა სალექსიკონო გამოცემას ჯერ კიდევ 70-იან წლებში (1971 წ.) დაედო საფუძველი და ეს დაკავშირებულია ალ. ღლონტის სახელთან, რაც ცნობად მაინც მისათითებელი იყო შესაბამის ლექსიკონებში, თუ თითოეული ტოპონიმის ავტორობა არ იქნება დაცული.

ჩვენ მიერ წინასწარ შემუშავებული პრინციპების ჩვენ მიერვე დაცვა იქნება მაგალითი, რათა დამკვიდრდეს ტოპონიმთა ლექსიკონში ტოპონიმის პირველდამფიქსირებლის საავტორო სტატუსი, რაც მინიშნებული უნდა იქნეს რომელიმე სიმბოლოთი (ვთქვათ, *ვარსკვლავით). ეს, ცხადია, ართულებს ლექსიკონზე მუშაობას, მაგრამ აგვარიდებს ტოპოპლაგიატობას, რაც მთავარია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში დაიკარგება მეორედ აღმწერის მიერ შემოთავაზებული სიახლე და შრომა. ხელმეორედ აღწერილი რეგიონების „ტოპონიმთა ლექსიკონად“ წარმოდგენის გამოცდილებამ გამოკვეთა შემდეგი: თუ კონკრეტულ ტოპონიმზე ჩემ მიერ მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია (ეტიმოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული) უფრო მომცველია (მეტი სიახლის შემცველი), ვიდრე პირველავტორისა, ტოპონიმის პირველავტორისეულ გრაფაში (ანუ იმავე ბუდეში) ეს ახალი ინფორმაცია ბრჭყალებითაა გამოყოფილი სიტყვით „აგრეთვე“ („აგრ.:) და მინიშნებულია სახელ-გვარის ინიციალები, ვთქვათ, ქ.გ. (უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ დასახელებული ჩემი წიგნები)

* * *

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა, რომელიც ახლა ასე მწვავედ წარმოჩნდა, ერთგვარად შესაწყნარებელიცაა, რამეთუ ეს საკითხი არასოდეს დასმულა, არავის განუხილავს არც სიტყვიერად და არც წერილობით, მეცნიერული ეტიკეტის სახე მას

არ მიუღია (იგულისხმება ტოპონიმთა ლექსიკონები). ამიტომ ათ კაცს რომ ლექსიკონის სახით გამოეცა ერთი და იმავე სოფლის ან რეგიონის ერთი და იგივე ტოპონიმები, ტოპონიმთა ლექსიკონი, ათივეს ავტორობის პრეტენზია ექნებოდა.

ასეც მოხდა.

დავუბრუნდეთ საავტორო უფლებების დაცვის პრობლემას. დავიმოწმებთ სტუდენტთა (თსუ სიღნაღის ფილიალი) ნამუშევრებს ონომასტიკაში.

1) სტუდენტის, ელ. აბულაძის, სტატიაში „ნუკრიანის ონომასტიკური მასალა“ წარმოდგენილია სოფ. ნუკრიანის ტოპონიმთა ლექსიკონი ინფორმატორთაგან მიწოდებული საინტერესო ცნობებით („სიღნაღი-2“, გვ.15-34). აქ ავტორს დაფიქსირებული აქვს 60-62 ტოპოერთეული. მათგან მესამედი ჯერ კიდევ XX ს-ის 80-იან წლებში (1982) ალექსანდრე ღლონტის მიერაა მოძიებული და შეტანილი „ქიზიყის ტოპონიმთა ლექსიკონში“ ესენია: ქვემონუკრიანი, გიგინაური, ნუკრიანის კალოები, მირაულა, ყარაბუღა, კარდიახი, წანწკარა, ბასკოლიანები, გოგოსაანთ ტყე, თელისზურგი, მარტიაანთუბანი, სამაჩხაანო, სატაბარუკო, ნახაზინარი, ტყიმალღელე, ფუტკარასერი, ციხითვიანი, ჭილაანთგუბე, წიფლიანტყე, ჩრდილი, ხარატიანი.., მაგრამ მათი პირველავტორი „გამოყენებულ ლიტერატურაშიც“ არაა მოხსენიებული.

2) სტუდენტის, ნონა მჭედლიშვილის, ნაშრომიდან კიდევ ერთხელ ირკვევა, თუ რა რთულია ერთადერთი სოფლის მასალის სრულყოფილად მოძიებაც. მაგ., მის ნაშრომში („სიღნაღი-1, გვ.68-74) არ არის დამოწმებული ძველი ანაგის ის 54 ტოპონომი, რომელიც 1982წ. დაფიქსირებულია ალ. ღლონტის ლექსიკონში. ნონას ჩაწერილი აქვს ძველიანაგის 22 ტოპოერთეული, რომელთაგანაც 9-ის პირველავტორი ისევ ალ. ღლონტია, იმ 54-ის გარდა (იხ. ღლონტი, „ქიზიყის ტოპონიმია“). ამასთან, ნონა მჭედლიშვილის შრომა ნამდვილად დასაფასებელია, რადგან იგი 13 ტოპონიმის პირველავტორი მაინცაა.

3) სტუდენტის, მაკა ჭუჭულაშვილის, მიერ სოფ. ტიბაანში ჩაწერილი და გამოქვეყნებული 65 ტოპოერთეულიდან 42 ალ. ღლონტის ლექსიკონშია შესული. სტუდენტისთვის (მეტიც, მეცნიერისთვისაც)

დანარჩენი 23 ტოპონიმის მოძიება და პირველავტორობა ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ არანაკლებ მისასალმებელი და სავალდებულოა მეცნიერული ეტიკეტის ცოდნა და დაცვა.

4) დაბოლოს, ყურადსაღებია ერთი სტატიის („სოფ. ქვემობოდბის ტოპონიმია“) ისტორია. სათაურის ქვემოთ საგანგებოდაა მითითებული: „სტუდენტთა ექსპედიციის ჩანაწერები“. („სიღნაღი-1“, 2005, 130-137). 7-კაციანი ექსპედიცია ერთ სოფელში! იდეა არ არის ურიგო, მით უფრო, თუ ემსახურება სტუდენტთა განსწავლას, სათანადო პრაქტიკული ჩვევების დაუფლებას, რაც უნდა ემყარებოდეს თეორიულ ცოდნას.

შედეგი ასეთი აღმოჩნდა: 7-კაციანი ექსპედიციის მიერ ერთ სოფელში, ქვემობოდბეში, მოძიებული და გამოცემული ტოპონიმთა (43 ერთეული) ნახევარზე მეტი გამოქვეყნებულია ალ. ღლონტის „ქიზიყის ტოპონიმიაში“, მაგრამ აქაც გვერდავლილია ფაქტი.

თავის მხრივ, ამავე სტუდენტთა პირველწყაროობა (2005, 2007) არ არის გათვალისწინებული 2018 წელს გამოცემულ „სიღნაღის ტოპონიმთა ლექსიკონში“.

ასე ირღვევა საავტორო უფლებები. მართალია, კრებულის – „სიღნაღი-2“ – დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „ქიზიყის ტოპონიმიის ნაწილი შესულია ალ. ღლონტის „ქიზიყის ტოპონიმიაში “, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რას ნიშნავს ნაწილი? ეს, ასე ვთქვათ, თვალებში ნაცრის შეყრაა.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, რეგიონების ტოპონიმური სურათის მაქსიმალურად სრულყოფილი სახით წარმოჩენის მოტივაციით ჩვენ მიერ თითოეულ მუნიცზე დაბეჭდილი ყველა ავტორის ტოპონიმთა ლექსიკონის ჩართვა-წარმოდგენა ნამდვილად სწორი პოზიციაა, თუმცა რთულად შესასრულებელი იმ მეთოდოლოგიით, რომელიც წამოვჭერით, მაგრამ შრომას შრომა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერული სიმართლისგან შორს ვიქნებით.

* * *

რა გამოვლინდა ჩვენ მიერ შემოთავაზებულ „სიღნაღის ერთიან ტოპონიმთა ლექსიკონში“ ცალკეული ლექსიკონების შეჯერების შედეგად:

1) „სიღნაღის ტოპონიმთა ლექსიკონში“ ჩემ მიერ მოპოვებული მასალა გაცილებით მწირად წარმოჩნდა იმის გამო, რომ დიდი ნაწილი უკვე არაერთგზის იყო გამოქვეყნებული: ალ. ღლონტის (1982წ.), თსუ სიღნაღის ფილიალის სტუდენტებისა (2005, 2007 წწ.) და უ. სახლთხუციშვილის (2018წ.) მიერ. რეალურად ასევე შემცირებულად უნდა ჩაითვალოს უ.ს-ის მასალაც მისი წინამორბედი ლექსიკონების საფუძველზე.

პირველავტორობის დაცვის ვალდებულება სერიოზული პრობლემაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იმავე რეგიონის ყოველი ახალი ლექსიკონი ფარავს და დავიწყების მტვერს აყრის დამწყებს, საფუძვლის ჩამყრელს, წინა ავტორს (ავტორებს), შესაბამისად ფრთებს ასხამს მეორე და მესამე ავტორებს, მაგრამ ამ „ფრთებს“ არასასურველი სახელი ჰქვია.

დაბოლოს, თითო-ოროლა ტოპონიმი, წინა ავტორის მიერ გამოქვეყნებული, შეიძლება აღუნიშვნელი გაეპაროს შემდგომ ავტორს, მაგრამ ათეულობით ტოპონიმის პირველავტორად გამოცხადების ტენდენცია მოსაწესრიგებელია, მომავალში – შეუწყნარებელიც!

გამოყენებული ლიტერატურა:

გოდერძიშვილი, 2018: გოდერძიშვილი ქ., დედოფლისწყაროს ტოპონიმთა ლექსიკონი, 2018; გოდერძიშვილი, 2021: გოდერძიშვილი ქ., აღმოსავლეთ საქ-ს საზღვრისპირა რეგიონების ტოპონიმთა ლექსიკონები, 2021;

სახლთხუციშვილი უ., 2018, სახლთხუციშვილი უ., ქართველური ონომასტიკა IX, 2018.

ღლონტი ალ., 1982: ღლონტი ალ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982;

ღლონტი ალ., 1971: ღლონტი ალ., კოლხეთის ტოპონიმია, 1971;

ღლონტი ალ.,1975: ღლონტი ალ., მცხეთის ტოპონიმია, 1975;

ცხადაია პ., 2005: ცხადაია პ., სიღნაღი (ონომასტიკური კრებული), 2005;

ცხადაია პ., 2007: ცხადაია პ., სიღნაღი - 2, (ონომასტიკური კრებული), 2007.

ეკა დადიანი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ქუთაისი,
eka.dadiani@atsu.edu.ge, 598 10 14 72

ლუიზა ხაჭაპურიძე
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ქუთაისი,
luiza.khachapuridze@atsu.edu.ge, 577 668 601

ადამიანის სახელთა სტრუქტურა-სემანტიკისათვის მეგრულში (აკაკი ჭანტურიას „მეგრული სახელებისა“ და თანამედროვე მონაცემების მიხედვით)

მოკლე შინაარსი

წარმოდგენილ სტატიაში შესწავლილია სამეგრელოს ანთროპონიმები სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზისით. საანალიზოდ აღებულია აკაკი ჭანტურიას მიერ მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – სამეგრელოში ჩაწერილი ანთროპონიმული მასალა, რომელიც შედარებულია თანამედროვე მონაცემებთან (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაგალითზე 2020-2023 წლების რეესტრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით). რვა ათეული წლის განმავლობაში სამეგრელოს ანთროპონიმიაში მომხდარი ცვლილებები ზოგადად იმ ტენდენციებს წარმოაჩენს, რაც ქართულ ანთროპონიმიაში შეიმჩნევა. მეგრული გვარსახელების სტრუქტურული მოდელები, წარმოების პრინციპი, მაწარმოებელი აფიქსები ძირითადად მსგავსია. სპეციფიკური წარმოების (ზმნური, კომპოზიტური) ანთროპონიმები დღეს თითქმის არ გამოიყენება (მოკო „მინდა“, უჩა-კოჩი „შავი კაცი“...). დავიწყებას მიეცა საბჭოთა პერიოდთან დაკავშირებული ანთროპონიმები (ვალოდია, მელორი, მელსი...). სამწუხაროდ, ნელ-ნელა ქრება ქართული/ქართველური სახელებიც. თუ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში სამეგრელოში ინდიგენური ანთროპონიმები საკმაოდ

გავრცელებული იყო, დღეს მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. მათ ადგილს უცხოური სახელები იკავებს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, როგორც ქალის, ისე მამაკაცის სახელთა ათეულში კანონიზებული (ებრაულ-ბერძნული წარმომავლობის) სახელები ჭარბობს (ქალის სახელები: მარიამი, ელენე, ბარბარე, მართა... მამაკაცის სახელები: გაბრიელი, თომა, ალექსანდრე, იოანე, ანდრია, ლაზარე, ნიკოლოზი, გიორგი). ამასთან, სამეგრელოში, როგორც მთელ საქართველოში, გაჩნდა ევროპული / ლათინურ-ამერიკული (მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი და ორი სახელისგან შედგენილი) ანთროპონიმები (ქალის სახელები: ალექსანდრა, იოანა... ანამარია, ლიზამარია; მამაკაცის სახელები: ალი ალექსი, დანიელ-ვატო). მსგავსი წარმოების ანთროპონიმები ქართულისათვის დამახასიათებელი არ არის.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ანთროპონიმია, სამეგრელოს ანთროპონიმები, ნასესხები ანთროპონიმები, ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა.

Eka Dadiani
Doctor of Philology, Associate Professors, Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi, eka.dadiani@atsu.edu.ge, 598 10 14 72

Luiza Khachapuridze
Doctor of Philology, Associate Professors, Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi, luiza.khachapuridze@atsu.edu.ge, 577 668 601

FOR THE STRUCTURE-SEMANTICS OF HUMAN NAMES IN MEGRELIAN
(According to modern data and „Megrelian names“ by Akaki Chanturia)

Abstract

In the presented article, anthroponyms of Samegrelo are studied from a structural and semantic point of view. The anthroponymic material recorded by Akaki Chanturia in one of the parts of Georgia - Samegrelo before the Second World War was taken for analysis, which is compared with modern data (based on the registry information of 2020-2023 based on the example of Zugdidi municipality). The changes in the anthroponymy of Samegrelo

during eight decades generally show the trends that can be observed in the Georgian anthroponymy. The structural models of Megrelian surnames, the principle and the affixes of formation are basically similar. Anthroponyms of specific formation (verb, composite) are almost not used today. (Moko – „I want", ucha-kochi „a black man"...).The anthroponyms associated with the Soviet period (Valodya, Melor, Melsi...) were forgotten. Unfortunately, Georgian/Kartvelian names are also slowly disappearing. If in the 30s and 40s of the last century, indigenous anthroponyms were quite common in Samegrelo, today their number is significantly reduced and foreign names take their place.

According to statistical data, canonized names (of Jewish-Greek origin) predominate in the top ten names of both women and men (women's names: Mariam, Elena, Barbara, Martha... men's names: Gabriel, Toma, Alexandre, Ioane, Andria, Lazare, Nikoloz , Giorgi).

In addition, in Samegrelo, as in all of Georgia, European / Latin-American (feminine and composed of two names) anthroponyms appeared (female names: Alexandra, Ioana... Annamaria, Lisamaria; male names: Ali Alexi, Daniel-Vato). Anthroponyms of similar formation are not typical for Georgian.

Key Words: Georgian anthroponymy, anthroponyms of Samegrelo, borrowed anthroponyms, Structure and semantics of anthroponyms.

შესავალი. ანთროპონიმების კვლევა მრავალი ასპექტით არის საინტერესო. საკუთარი სახელები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქვეყნის, ერის ისტორიის შესახებ. „თუ თითოეულ საკუთარ სახელში ღრმად ჩავიხედავთ, მისი ბგერობრივი არსის მიღმა აღმოვაჩენთ ხალხის ისტორიული თუ რელიგიური წარსულის, ეთნოგრაფიული ყოფის თუ ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის, მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის გამოძახილს, ლოგიკური აზროვნებისა თუ სახელდების მოტივაციის თავისებურებას" (ცხადაია, 2010).

ყველა ერს, ეთნოსს თავისი დამახასიათებელი ანთროპონიმები აქვს. დროთა განმავლობაში საკუთარი სახელები იცვლება. ცვლილებას სხვადასხვა ფაქტორი (მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, რელიგია...) განაპირობებს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ქრისტიანობის მიღებამდე გავრცელებული იყო **ირანული** სახელები (ანდრონიკაშვილი, 1966). IV

საუკუნიდან ინტენსიურად შემოდის **კანონიზებული ქრისტიანული** (ებრაული, ბერძნულ-ბიზანტიური წარმომავლობის) სახელები. სხვადასხვა პერიოდში შემოვიდა და დამკვიდრდა **არაბული, თურქული, ჩრდილოეთკავკასიური, რუსული** და **ევროპული** სახელები. უცხოური ანთროპონიმები საკუთრივ **ქართულ/ქართველურ** სახელებთან ერთად დღემდე თანაარსებობს.

ე.წ. კალენდრის (ებრაულ-ბერძნული) სახელების გავრცელების პარალელურად თანდათანობით იზღუდებოდა ტრადიციული ანთროპონომია. მართალია, ის ცოცხლობდა ხალხში და თაობებს გადაეცემოდა, მაგრამ არა ოფიციალური სტატუსით, არამედ მხოლოდ მეორე (არაკალენდარული) სახელის სახით არსებობდა. „ქართულ-ქართველური საკუთარი სახელები მაინც არ ეძლეოდა დავიწყებას და ხშირად მეორე, ანუ ზედმეტი სახელების სახით ვრცელდებოდა. ისინი განსაკუთრებით შემორჩნენ მთის რეგიონებსა და სამეგრელოში“ (თოფჩიშვილი, 2000: 173). საკმაოდ მძიმე იყო ქართული ანთროპონიმიისთვის საბჭოთა პერიოდი, როდესაც არაკანონიერად ცხადდებოდა ქართული, ტრადიციული სახელები. პასპორტში ჩვეულებრივ იწერებოდა ის სახელები, რომლებიც აღმასკომებისათვის დარიგებულ სარეკომენდაციო სიებში იყო. ასეთი იყო, მაგალითად, პრორევოლუციური, სააგიტაციო სახელები (ვლადიმერი, ვალოდია, მელორი, მელსი...).

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არაერთი გამოკვლევა არსებობს (ანდრონიკაშვილი, 1966; ღლონტი, 1986, 1988; ჭუმბურიძე, 1987; გოდერძიშვილი, 1998; თოფჩიშვილი, 1997, 2000, 2010; ცხადაია, 2000, 2010; ბუკია, 2013...). მაგრამ, როგორც ალ. ღლონტი აღნიშნავს, უცხოური წარმოშობის პირსახელებს მეტი ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილ ანთროპონიმებს. მეცნიერის თქმით, „ქართველური ანთროპონიმია იმდენად სუსტადაა შესწავლილი, რომ ნაადრევია მის გენეზისსა და სპეციფიკური, თვითმყოფადი ნიშნების ზუსტად გამოყოფაზე მსჯელობა“ (ღლონტი, 1988: 163).

აკაკი ჭანტურიამ,[1] ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) დავალებით, მეორე მსოფლიო ომამდე აღნუსხა

[1] აკაკი ჭანტურიას 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, შესთავაზეს ზუგდიდში „სამეგრელოს მუზეუმის“ ორგანიზება. ის იყო სიძველეთა

სამეგრელოში ფიქსირებული პირსახელები და გვარები.[2] პირსახელთა რაოდენობა შეადგენს **7 569**-ს. ისინი წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიანტით, რაც საკუთარ სახელთა ფორმაწარმოების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. სახელებს, სამწუხაროდ, არ ახლავს ახსნა-განმარტება (წარმომავლობა, სქესობრივი მიკუთვნება).

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: აღწერითი მეთოდის საშუალებით წარმოჩენილია სამეგრელოს ანთროპონიმია აკაკი ჭანტურიას წიგნის – „მეგრული სახელები და გვარები“ – მიხედვით; შედარებითი მეთოდის საფუძველზე მეორე მსოფლიო ომამდე სამეგრელოში არსებული საკუთარი სახელები შედარებულია თანამედროვე მონაცემებთან (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაგალითზე 2020-2023 წლების რეესტრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით); სტატისტიკური მეთოდით განისაზღვრა ქალისა და მამაკაცის პირსახელთა გავრცელების სტატისტიკა, რაოდენობრივი მაჩვენებლები; ანალიზის მეთოდით შესწავლილია მეგრული ანთროპონიმები როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური (მოტივაციის) თვალსაზრისით, ნაჩვენებია საერთოქართული და განსხვავებული ფაქტები.

შედეგები / მსჯელობა. აკაკი ჭანტურიას წიგნში წარმოდგენილი ადამიანის საკუთარი სახელების შედარებამ თანამედროვე მონაცემებთან (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) წარმოაჩინა ქართულ/ქართველურ ანთროპონიმიაში რვა ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების ძირითადი ტენდენციები.

მეორე მსოფლიო ომამდე სამეგრელოში ინდიგენური ანთროპონიმები იყო გავრცელებული. ქართველური წარმოშობის რთულფუძიანი სახელების სემანტიკა მეტწილად გამჭვირვალეა. გამოიყოფა **მოტივირებული** (რომლის წარმომავლობა ნათელია)და **არამოტივირებული** (რომლის სემანტიკა ბუნდოვანია) საკუთარი სახელები.

დაცვის რწმუნებული სამეგრელოში, სწავლობდა მხარის არქეოლოგიას, სიძველეებს და ა.შ.

[2] აღნიშნული სიიდან სახელები გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის ლაბორატორიის კრებულ „ქართველური ონომასტიკის“ მეორე ტომში (2004) პროფ. პაატა ცხადაიას რედაქტორობით.

ანთროპონიმებად შეიძლება იქცეს: მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა, ღვთაების, ადამიანთა, კოსმოსურ საგანთა და მოვლენათა, ქვეყნების, ეთნოსთა და ცალკეულ ჯგუფთა სახელები, აგრეთვე, ეპითეტები, მოქმედება-მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები... საზოგადო სახელებისგან საკუთარ სახელთა წარმოქმნა უნივერსალური მოვლენაა. ონომასტიკურ ლიტერატურაში ამ ტიპის საკუთარ სახელთა რამდენიმე ჯგუფს გამოყოფენ (შესაბამისი ტერმინებით). ქ. გოდერძიშვილი ინდიგენურ სახელთა შემდეგ სემანტიკურ ჯგუფებს ასახელებს: **ფიტოფორული**, **ზოოფორული, თეოფორული, პერსონოფორული**, **კოსმოფორული, ვერბოფორული, ეპიტოფორული, თიკუნოფორული**, **ეთნოფორული, თემოფორული, უდეტრებისაგან** მიღებული, **დღეთა, თვეთა, დღესასწაულთა** აღმნიშვნელი აპელატივები, **სხვადასხვა წარმომავლობის** (გოდერძიშვილი, 1998: 88-90).

აკაკი ჭანტურიას მიერ შეკრებილ მასალაში საკმაო რაოდენობით გვხვდება ინდიგენური ანთროპონიმები. მათი ნაწილი ფორმობრივად უცვლელია, ნაწილიკი შეცვლილია და სხვადასხვა ვარიანტით დასტურდება.

საკუთარ სახელთა სემანტიკური ჯგუფები

საანალიზო მასალა **სემანტიკური** ნიშნით დავაჯგუფეთ. პირობითად შემდეგი ჯგუფები გამოვყავით:

ფიტოფორული: ია /იაია, ვარდო, ტატალი, ნაყოფია / ნაცოფია...

ზოოფორული: ბათურა/ბათურია, **ბაჭია, ბეკეკა**/ბეკეკია/ბეკე, **გერია**/გერიე, **თაგუნია, თუნთი**/ თუნთია/თუნთიე, **კერი**/კერიე, **კვინორია, კვიცი, კიკო, ლეკვია, ლომი**/ლომაია, **მელა**/მელაია, **ტურა**/ტურია. ტურიე, **ფუჯი**/ფუჯიე, **ჯოლორია**/ჯოლორიკა, **ღეჯი**/ღეჯა/ღეჯიე/ღეჯილია, **ყურდგელი**/ყურდგელია, **ჩოჩორი, ძოკი**/ძოკია, **ჭუკი**/ჭუკა/ჭუკია/ჭუკილია, **ხოჯი**/ხოჯია... **კალმახი**/ კალმახა/კალმახია/კარმახი, **ციტუ**/ციტუია/ციტუე...

კვატა/კვატი/კვატია, **კოლონა**/კოლონია, **მაჭირხოლი**/მაჭიხოლი /მაჭირხელი, **მუნტურია, სკვინჩა**/სქვინჩა/კვინჩა, **ტორონჯია, შავარდენი**/შარდენი/შარდენია/შერდანი/შერდანია/შერდენი/შგრდენი, **ჩიტი**/ჩიტია/ჩიტა/ჩიტაია/ჩიტიელა/ჩიტილია/ჩიტო/ჩიტოლა, **ძერა, წიწილა, ჭუჭულია**/ჭუჭულია.

თეოფორული: იესე / იოსე, **უფლისა, ქირსე** / ქირსეია / ქირსეშია/ ქისე / ქისეია/ ქისეშია / ქიშესია / ქიშეშია / ქრისტეია / ქრისტეშია / ქრისტია, **ღვთისმერი** / ღვთისამიერი,**ჯვარისა** / ჯვარისი.

პერსონოფორული: ბაბა, ბაბადია, ბაბადიში, ბაბაკოჩი, ბაბაში / ბაბაშია, ბაბუ, ბაბუდია, ბაბუია, ბაბუში, ბიჭი/ბიჭა, ბოშა / ბოში / ბოშია, დადა, დაია, დია, ვაჟა, ვაჟობაჲ,კაცი / კაცია / კაციე, კოჩი / კოჩა / კოჩაია / კოჩალია / კოჩია / კოჩიე, კოჩობა / კოჩობაია, მამა,მამისმამა, მამისძმა, ცირა / ცირაია, ჯუმა / ჯუმაია / ჯუმალია / ჯუმალეი...

ეპიტოფორული: აბრაგია, ადვილია, ალალი, ახალია, ბედნიერი, ბორო, გლახა / გლახიე / გლახუია / გლახუნია, დაბალია, დიდი / დიდიკო, თოთო, იოლი, კოხტა / კოხთა / კოხტია, კუნტა / კუტა, მართალი / მართალია, რეგვენა / რეგვე,სათუთი / სათუთა, საყვარელა, საჩინო, სქვამი / სქვამიე / სკვამაია / სქვამა / სქვამაია, ურცხო, უსკვამა / უსკვამაში / უსქვამაში, უსქვამური, ცურუ / ცურუა /ცურუე / ცურუია, ყურუ / ყურუა / ყურუე, ჩელა, ჭკოლა...

წელიწადის დროებისგან, თვეებისგან, დღეებისგან ნაწარმოები: **წანა** / წანაშია / წანგ... **თუთაშხია, ცაშხაშია, ჯუმაშხია, ობიშხა** / ობიშხე / ობიშხია / ობიშხელა / ობაშხი / ობაშხია / ობაშხა, **შაბათი** / შაფათი / შაფათია... **კვირკვეშია, იანარია, მარტია**/ მარტიშია, **მესი** / მესია / მესიე...

კოსმოფორული: მურიცხია, ცაშაია / ცაშა, **თუთა**/თუთაია...

საინტერესოა **ვერბოფორული** (ზმნურიფორმის შემცველი) სახელები. ისინი მეტწილად მეგრული წარმოებისაა, ნაწილი კი სალიტერატურო ენის ფორმებს წარმოადგენს. ამ რიგის საკუთარი სახელების სემანტიკა ძირითადად გამჭვირვალეა, სტრუქტურული თვალსაზრისით კი არაერთგვაროვანია.გვაქვს როგორც ერთფუძიანი, ისე რამდენიმე ფუძისგან შედგენილი ანთროპონიმები.

1. საკუთარი სახელი წარმოადგენს **ზმნის მარტივ ფორმას** (სხვადასხვა მწკრივის ფორმას), ნაწილაკებით/ზმნისწინებით ან მათ გარეშე. მაგ.:

აწმყო: **მოკო** „მინდა“, **ვაკო** „არ უნდა“, **ირდუ** „იზრდება“. გამოიყენება სალიტ. ქართ. ფორმებიც: **ვიცი, არმინდა, მოგელი, მომელი / მომელია.**

უწყვეტელი: მოკორდი „მინდოდი“, **ვაკორდი** „არ უნდოდი“, **ვამირჩქდი/ვამიჩქდე** „არ ვიცოდი“, **ქომიკორდი** „(კი) მინდოდი“, **ქომიცორდი** „(კი) მიყვარდი“.

აწმყოს /მყოფადის კავშირებითი: ორდე „იყო“, **ქორდა** „იყავი“, **ვარდე** „არ იყო“, **ქომიკორდა /ქომიყორდა** „(კი) მიყვარდე“...

I პირობითი (ნამყო კავშ.): ქორდიკო „(კი) ყოფილიყავი“, **ვარდიკონი** „რომ არ ყოფილიყავი“.

წყვეტილი: გაირჩქინდი „გაგიჩნდი“, **გეთუ** „გათავდა“, **გოთანდი** „გათენდი“, **გომითანდი** „გამითენდი“, **გომილე** „შემომევლე“, **გუათი/გუათია** „გავათავე“, **გგმიგონი** „გამიგონე“, **ვალური** „არ მოკვდი“, **მუმოჭიში** „მომესწარი... შდრ. სალიტ. ქართ. ფორმა: **მეგონა.**

II კავშირებითი: ვალურა „არ მოკვდე“, **ქომირა** „(კი) ნახო“, **მახუტოლა** „ჩამეხუტო“.

I თურმეობითი: ყოფე/ ცოფე „ყოფილა“.

III კავშირებითი: ყოფედა/ცოფედა „ყოფილიყავი“, **მიძირუდა / მიძირგდა** „მენახე“...

ზმნის ფორმას დაერთვის მაანთროპონიმებელი **-ა** სუფიქსი: **გაჭირდი-ა, გილართი-ა** „იარე-ა“, **გოკურცხი-ა** „გაიღვიძე-ა“, **დამაკოჩი-ა**[3] „დამაკაცე-ა“, **დოხვადი-ა** „დახვდი-ა“, **ეცადი-ა** „ეცადე-ა“, **ვეგელი-ა** „არ გელი-ა“, **ინგარი-ა** „იტირე-ა“, **მიშველი-ა** „მიშველე-ა“, **მახოლი-ა** „მეახლე-ა“, **მირჩქილი-ა** „მისმინე-ა“, **მიხერდი-ა** „მყავდი-ა“, **მოკორდი-ა** „მინდოდი-ა“...

2. არცთუ იშვიათია **ორფუძიანი** ანთროპონიმები,რომელიც შედგება ზმნური ფორმისა და მასთან დაკავშირებული სახელისაგან/ზმნისართისაგან: **ბოშიორე** „ბიჭი არის“, **გურიმიგი** „გული მოიგე“, **კოჩიორე** „კაცი არის“, **კოჩივარე** „კაცი არ არის“, **კოჩირდა / კოჩიორდა / კოჩიორდი** „კაცი იყავ / იყავი“, **სომიტერდა** „სად მტოვებდე“, **სომიხერდა/სომიხერდე/სომიხერდი** „სად მყავდე / მყავდი“, **სოლემორთი / სოლემორთია** „საიდან მოხვედი“, **მამიკორდა** „მე მიყვარდე“, **მისოკო** „ვის უნდა“, **ხანიმიძინი** „წელი (ხანი) მომიმატე“... დასტურდება სალიტერატურო ქართული ფორმებიც: **გულმინდა, მამისახარ / მამისარი, ნიკოსივარ.**

ზმნური ფორმის შემცველი **სამკომპონენტიანი** ანთროპონიმები იშვიათია: **სისორდი / სისორდია** „შენ სად იყავი“. გვხვდება სალიტ. ქართ. ფორმა: **მევარკაცი** „მე ვარ კაცი“.

---

[3]ა. ჭანტურიას ნაშრომში ზოგი პირსახელი დასტურდება გვარსახელის აღსანიშნავად. მაგალითად: *დამაკოჩია, მიშველია, სისორდია.*

მსგავსი სტრუქტურის მეგრული ანთროპონიმები დაფიქსირებულია მე-17 საუკუნის სამართლის ძეგლებში: დოხვადი, მიძირუდა... გაცხადი-ა, გაჭირდი-ა, გოკურცხი-ა... ბოშმორთი, იშამორთი, კოჩიორე...(ბუკია, 2013).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზმნისგან წარმოქმნილპირსახელებს ქართველურ ანთროპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, თუმცა ქართულში შედარებით იშვიათად გვხვდება. მაგ.: **მახარე, გამიხარდი, მინდია, მომესწრა**... (იქვე).

სახელთა გარკვეული ნაწილის წარმომავლობა უცნობია, **სემანტიკურად გაუმჭვირვალეა.** ასეთი ჩანს, მაგალითად:

აიასუსუ, იასოსუ, იასუსუ, აკამა, ასანდა, ბეტიტი, ბეტუტუ, დოჯო, დუგუ, სბიდო, უზა, უსა, ფევო, ფოხო, ფუდუ, ფუთუ, ქოთოთო, ღუდა, ღუბუ, ყაზიბი...

აკაკი ჭანტურიას წიგნში გამოიყოფა, აგრეთვე, **უცხოური წარმომავლობის** სახელები:

აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული, ებრაული): ასლამ / ასლამბეი / ასლამბიი / ასლანგერი, ახმეთი, სადგრხანი, სელემხანი / სელიმხანი / სელგმხანი, სულეიმან, სულთან, ფარსადანი, ფარნაოზი, ყარამანი, ყერიმ, შახი / შახია, ხვარამზე / ხვარამძე / ხვარანძე / ხვარაძე... ჯარიმხან / ჯარისხან, ჯამსუკი / ჯამსუკი / ჯანსუყი / ჯანსუყუ... აბრამი / აბრამია, ადამი / ადამა / ადამია, იობა / იობი, მათე/ მათეია, იოანე / იოვანე, იოსები/ იოსობი...

ბერძნული: ალექსი / ალექსია, ანდრი/ ანდრია / ანდრო, დემეტრე / დემეტრია, ესტატე, ლუკა / ლუკაია, მელიტო...

რუსული: ნადეჟდა, ნადია, ნადე, სევერი.

საკუთარ სახელთა სტრუქტურული მოდელები

საანალიზო ანთროპონიმული მასალა ძირითადად აფიქსური წარმოებისაა. საკუთარი სახელები გაფორმებულია სხვადასხვა აფიქსით.

პირსახელები **ფუძის სახით**შედარებით იშვიათად გვხვდება: ბარან, ბედონ, ელაჯარ, ზაალ, ვახტამ, თავზარ, თელაშხან, იონარ, ისპიდონ, კერეკენ, ლუარსამ, მანძუფარ, რუსუდან,როდამ, როდან, სირინოს, სილოვან, სოფრომ, სულეიმან, სულთან, ფარნაოზ, ქერამინ, ქერექენ, შახან, ცაშხან, ხელახელ, ხეინარ, ხელითან, ხელქან, ხეხუთან, ჯაუზალ...

თანხმოვანფუძიანი სახელებიზოგჯერ პარალელური, **ი** ხმოვნით დაბოლოებული ვარიანტითაა წარმოდგენილი: ბესლან/ბესლანი, თამარ/თამარი, ოსმან/ოსმანი, როსთომ/როსთომი, ფატმან/ფატმანი, ფრიდონ/ფრიდონი.

საკუთარ სახელთა დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ, **ი დაბოლოებით** გვხვდება: ადამი, ათანდალი/ათანდილი, ალალი, ბედნიერი, ბიჭი, ბოში, გული, გური, გურგინი, დიდი, თოლი, კაჟი, კაცი, კერი, კინტირი, კოკორი, მამული, მაჭირხოლი, მახარებელი/ მახარობელი, მესი, პირი, სათუთი, სამი, სანთელი, სქვამი, ტერი, ტუჩი, უდიერი, უსქვამური, უწყინარი, ფასი, ფერადი, ყირიმი, ყუბანი, ყურდგელი, ცუკი, შაბათი, შაქარი, ხანი, ჯანი...

ი ხმოვნიანი სახელების პარალელურად იხმარება **-ია/-ა** დაბოლოებიანი ფორმები: კოჩი/კოჩია, მართალი / მართალია, მეტი / მეტია, ნიჩვი / ნიჩვია, სამართალი / სამართალია, ხუთი / ხუთია... არჩილი / არჩილა, როსთომი/როსთომა.

შდრ. ხმოვანფუძიანი სახელები: **სადა/სადაია, ჭოკა / ჭოკია, ხოლო / ხოლოია.**

ა ხმოვანფუძიან სახელს ზოგჯერ **ე** ხმოვნიანი ვარიანტი ენაცვლება: **ობიშხა/ობიშხე, ჩელა/ჩერე.**

ანთროპონიმთა გარკვეული ნაწილი წარმოქმნილია **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმისგან. ნათესაობითის **-იშ, -შ** ალომორფებს დაერთვის **-ი, -ია** ფორმანტები. მაგალითად:

ალონიში, გვიანიში, გუგურიში, ედიში, სორღოში, ურიში, ხუბიში, უსქვამაში / უსკვამაში, ბაგაში, ქერაში, თამუში, კვირკვეში, ძოკოში...

გურიშია, ვირიშია, თოლიშია, მარტიშია, სკვამიშია / სქვამიშია, შურიშია, ხანიშია, ხარიშია, ბაძღაშია, ბურდღაშია, ქგრსეშია / ქირსეშია, ცაშხაშია, ჯარუშია, ჯგერგეშია...

პარალელური წარმოების ფორმები: ბაბაში/ბაბაშია, ბაბუში/ბაბუშია, მამაში/მამაშია, შხუაში / შხუაშია, ძიკაში / ძიკაშია...

შედარებით იშვიათად დასტურდებაქართული **-ის** სუფიქსისგან ნაწარმოები ანთროპონიმები, რომლებიც, ასევე, **ა,-ი, -ია** სუფიქსებითარის გაფორმებული:

ყერუისა/ ცერუისა, ძღვისა, ჰაჰისა, ურისი, ჯუმისი, ჯვარისა / ჯვარისი, ჯოლისი / ჯოლისია...

სამეგრელოს ანთროპონიმთა მაწარმოებლად გამოიყენება ის სუფიქსები, რომლებიც ქართული ანთროპონიმიისთვის არის დამახასიათებელი. საილუსტრაციო ნიმუშები:

-ა: ათამა, ადამა, აგრიბა, გიტანა.

-ო: ბაკო, ათო, ალო, ანო.

-უ: აბუ, ათუ, ადუ, ამუ, აღუ, ბათუ, ბაკუ, გესუ, გეჯუ.

-ია / -იე: აბრაგია, აგუია, ადადია, ადვილია, ადია, ათანდია, აკობია, გვამია...გვამიე, გვაჯიე, გვინჯიე, ვადიე, ოფილიე, პეხვიე, სუფიე, ტერიე, ფეფიე, ცუჯიე. ნოჩია /ნოჩიე.

-უა / უე: აგილუა, აკუსუა, ბატუა, ბაჩუა, ბახუა, ბოხუა, ბუჭუა, ბეჭუა... ბუჭუე, პირტყუე, რუხუე, ცურუე.

-აკ (-ა): ბეჩაკი, ქუჩლაკი...თელაკა, თილაკა.

-იკ (-ა/-ია/-იე): გვაძიკი, ლიბერდიკი, სალიკი, ფეფიკი... ადამიკა, ანიკა, ბათინიკა, ბასილიკა, გახარიკა, იესიკა, იოსიკა, ზურაბიკა, ჭუჭულიკა... გვაშიკია, სალიკია, გვაძიკიე.

-იკ-ო: ანიკო, ასილიკო, ახიკო, იანიკო, ლიბერდიკო.

-უკ (-ა/-ია): ანუკი, ბეჟუკი, ფუნდუკი, დუნდუკი, ესუკი... ადამუკა, ბადუკა, ესუკა... ესუკი, ესუკია, დათუკია.

-უნ (ა): ბათუნი, გახუნი, დუტუნი... ბადუნა, ბაჩუნა, ბეჟუნა, ბეჩუნა, გუტუნა, ჟუტუნა.

-უნ-იკ-ა: ბეჭუნიკა, ბუჭუნიკა, ბათუნიკა, გლახუნიკა, დათუნიკა, ჭუჭუნიკა.

-ინ (-ა/-ია): ფეფინა, კევინა, კაკინა, კიკინა... კაჭინია, კაკინია, კიკინია.

-ინ-იკ-ა: ფეფინიკა, გოგინიკა.

-ურ / -ულ: ადამური, ასტამური, ახთული, ბაგული, ბადული, გოგული, გუთული, ვუკული, კაკული, კიტული, მატული, პირტყული, სასული, ფაფული, ციცული.

-ურ-ა/ -ულ-ა: ბადურა, ბაგურა, ბათურა, ბაკურა, ბეკურა, გიზურა, გიძურა, კვირულა.

-ილ-ა/ო: ბასილა, გოჩილა, კაკილო.

-ელ-ა: გუგელა, აღდგომელა, ბასაელა, გოგიტელა, დავითელა.

-ოლ (-ა/-ია): კატოლი, ადოლი/ადოლა, გოგოლა, გოტოლა, კაცოლია.

-აჩ (-ია): გიდლაჩი, მაფაჩი / მაფაჩია.

-იჩ-ა: ბაკიჩა, ბეკიჩა.

-უჩ-(ა): დუდუჩი,კაკუჩა.

-ატ (-ია): გვატატი, ხუტატია.

-იტ-ა: გიოგიტა, გიორგიტა, გოგელიტა.

-უტ (-ა/-ია): ბეჟუტი, მახუტი, გუგუტა, ვახუტა, ხახუტა, ხუსუტია, მაფუტია.

-უც (-ა/-ია): კაკუცი,ფუცუცი, გოგუცა, კელუცა,კაკუცა, კაკუცია, პახუცია.

საინტერესოა **-ყვა/ცვა** დაბოლოებიანი სახელები: ადაზიყვა / ადაზგყვა / ადასიყვა, ასანყვა, ბათაყვა / ბათაცვა, ბასიყვა, ბეზგრყვა, დანყვა, დარიყვა /დარგყვა, დაჭიყვა, მოსიყვა, მუსგრყვა, სასიყვა, სესგრყვა / სისგრყვა / სგსგრყვა, სეფეყვა, შამყვა / შემყვა, შანგყვა / შანუყვა, შინაყვა / შინყვა, შგყვა, შგმაქვა, ცგმყვა...

გ. როგავასაქართველოში გავრცელებულ მსგავსი წარმოების ანთროპონიმებს (ბათაყვა, ზიყვა, გეყვა, ჩერეყვა, თემყვა, სესგრყვა, ჯაყვა, შერეყვა) ჩერქეზული წარმოშობისად მიიჩნევს (როგავა, 1946: 15).[4]

აკაკი ჭანტურიას ანთროპონიმულ მასალაში მრავლად გვხვდება **კომპოზიტური** აგებულების ანთროპონიმები.

ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული (პრეპოზიცია): სქვამი-ბოში „ლამაზი ბიჭი“, სქვამი-კოჩი „ლამაზი კაცი“, სქვამი-ცირა „ლამაზი გოგო“, ურა-ბოში „ახალგაზრდა (უხედნი) ბიჭი“, უჩა-კოჩი „შავი კაცი“, ქექე-ცირა „მსუბუქი გოგო“, ჩე-ბოში „თეთრი ბიჭი“, ჩერე-ცირა / ჩე ცირა „თეთრი გოგო“... აკა-სქუა „ერთი შვილი“...

პოსტპოზიცია: თოლი-სქვამი / თოლი-სქვამია „თვალშავა“, თო-სკვამა / თო-სქვამი / თო-სქვამია „თვალშავა“.

ატრიბუტის ფუნქციით გამოიყენება არსებითი სახელი:**თასი-ბოში** „საჯიშე (თესლი) ბიჭი“, **თოლი-კოჩი** „თვალადი (თვალი) კაცი“.

---

[4] **-ყვა** ელემენტი დასტურდება გვარებში: *როყვა, ინგოროყვა, ჭანუყვაძე...* ტოპონიმებში: *მალთაყვა, აჭყვა, ბობოყვათი...* -ყვა-ს წარმომავლობის შესახებ გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები: 1. -ყვა ჩერქეზული წარმომავლობისაა, ნიშნავს „შვილს“, „ძეს“ ((Чикобава, 1948 263; ჯანაშია, 1952: 483-490). 2. ქართული წარმომავლობისაა: -ყვა < -ყმა (ჩუხუა, 2011: 227-228). ამ მოსაზრებას იზიარებს თ. გვანცელაძე (2022).

სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრული: დედის-მამა / დეის-მამა / დეის-მა, მამის-თვალა / მამის-თვალი, მამის-მამა, მამისფერი, მამის-შური „მამის სული“.

სამეგრელოს ანთროპონიმები თანამედროვე მონაცემების მიხედვით

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, კომუნისტური მმართველობის დასრულების შემდეგ, როდესაც ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთება გაძლიერდა, ქრისტიანული სახელები კვლავ აქტუალურიგახდა. ამავე წლებში დაიწყო ლათინურ-ამერიკული ტელესერიალების ჩვენება. ისინი იმდენად პოპულარული იყო, რომ იმ პერიოდში დაბადებულთა სახელებში გაჩნდა სერიალის გმირთა სახელები (მონიკა, ანამარია, ბეტო...). დღეს საქართველოში ამ ტიპის საკუთარი სახელები თითქმის აღარ დასტურდება.

ახალი მასალის მიხედვით, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებს ეყრდნობა და მოიცავს 01.01.2020–31.01.2023 წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დაბადებული ბავშვების სახელების სტატისტიკას, საანალიზო პერიოდში დაიბადა 2.446 ბავშვი. მათგან მდედრობითი სქესისაა –1.140, ხოლო მამრობითი სქესისა – 1.306. სამეგრელოში გავრცელებული ქალისა და მამაკაცის სახელების ათეული (რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით) ასე გამოიყურება:

ქალის სახელები: მარიამი – 43 / **მარიამ** – 37 (/**მარია** – 2), **ლილე** – 60, **ელენე** – 48 / **ელენა** – 7, **ანასტასია** – 48, **ნია** – 42, **ბარბარე** – 38, **ლიზა** – 28 / **ლიზი** – 13, **ევა** – 39, **ნიცა** – 36, **მართა** – 33.

მამაკაცის სახელები: გაბრიელ – 30 / **გაბრიელი**– 51, **თომა** – 74, **ალექსანდრე** – 73, **დემეტრე** – 72 (/**დიმიტრი** – 5, **დიტო** – 3), **იოანე** – 71, **ანდრია** – 69 (/ **ანდრეა** – 1), **ლაზარე** – 59, **ნიკოლოზი** – 34, **ნიკოლოზ** – 25, **გიორგი** – 56, **ილია** – 49.

შდრ. ა. ჭანტურიას აღნუსხულ ანთროპონიმებში ზემოთ დასახელებული მამაკაცის ყველა სახელი დასტურდება გარკვეული სახესხვაობებით: **გაბრიელა** (/გაბრია, გაბრიე, გაბრიო, გაბრუ), **ალექსი** (/ალექსია, ალესი, ალესია, ალე), **თომა, დემეტრე** (/დემეტრია), **დიმიტრია** (/დრიმიტია, დრიმი), **იოანე** (/ იოვანე), **ანდრია** (ანდრი, ანდრო), **ლაზარია** (/ლაზარიკა), **ნიკოლოზა** (/ ნიკოზა, ნიკო, ნიკოია,

ნიკოლა, ნიკოლი), **ილია** (/ილა, ილო), **გიორგელა** (/გიორგელია, გიორგეტა, გიორგიტა, გიოგიტა, გიოია, გიო).

რაც შეეხება ქალის სახელებს, აქ მხოლოდ რამდენიმე დასტურდება: **მარია, ელენე, ევა, მართა**. დანარჩენი სახელებიარ ფიქსირდება.

შედარებით იშვიათად დღესაც გვხვდება **უცხოური** წარმოშობის სახელები:

ქალის სახელები: ალისა (7), ალისია (1), ამანდა (1), დაიანა (1), ელის (1), ვერონიკა (2), კატრინ (1), მატილდა (1), ნაზირა (1), სვეტლანა (1), სვეტლანკა (1), სტეფანია (1), ტაისია (6), სელენა (1), სელიმი (1)...

მამაკაცის სახელები: დომენიკო (1), ელიასი (1), ვილლიემ (1), ლუკას (1), მასიმილიანო (1), მერთ (1), მიკაილ (1), სებასტიან (1), პეტროს (1), ნიკას (1), ნიკოლას (1), სელიმ (1), ტონი (2), ჰენრი (1)...

ბოლო პერიოდში საქართველოში შეიმჩნევა ქართველი ბავშვებისთვის მდედრობითი სქესის გაგების შემცველი ევროპული სახელების დარქმევის ტენდენცია. სამეგრელოში ქალის სახელებად დღეს დასტურდება: **ადრიანა** (1), **ალექსანდრა**(8), **გაბრიელა** (2), **გაბრიელლა** (1), **დანიელა** (1), **იოანა** (7), **ივანა** (1), **მიქაელა** (1), **ვივიანა** (3). მსგავსი წარმოების პირსახელები ქართულისთვის უცხოა. შდრ. მამაკაცის სახელები: **ალექსანდრე, გაბრიელი, დანიელი, იოანე, ივანე.**

საინტერესოა, ასევე, ორი სახელისაგან შედგენილი ანთროპონიმები, რომლებიც მეტწილად უცხოური (იშვიათად ქართული) სახელების კომბინაციით არის მიღებული. მათი მართლწერა არაერთგვაროვანია: ზოგი ერთ სიტყვად იწერება, ზოგი – ცალცალკე, ზოგიც დეფისითაა გაყოფილი.

ქალის სახელები: ანამარია (9), ანა მარია (1), ანნა სოფია (1), აიამაჰმუდ (1), ლიზამარია (1), მართა ბაია (1), ნუცი ნელიკო (1), სვეტლანასესილი (1).

მამაკაცის სახელები: ალი ალექსი(1), ანდრია-ონური(1), ბათუ ბართლომე (1), დანიელ-ვატო(1), ვლადიმერ ვაჩე (1), ისააკთომი(1).

მსგავსი ტიპის ანთროპონიმებიშედარებით ახალია და ნელნელა მკვიდრდება ქართულ/ქართველურ ანთროპონიმიაში.

გვხვდება საკუთრივ **ქართული** წარმომავლობის ან გაქართულებული სახელები: **ქალის სახელები:** ბაია (1), გვანცა (5), თათა (4), თათია (1), თაია (4), თამარ (3), თამარი (3), თინათინ (4), თინათინი (1), თინანო (2), თიკო (2), კესანე (3), ლილე (60), მედეა (1), ნათია (3), ნიცა (36), ნუცა (26, ნუცი (7), ნუციკო (2), ციცი (1)...

მამაკაცის სახელები: ბაჩუკი (1), ბერიკა (1), ბუბა (1), გია (2), გიგა (1), გიგი (4), გოგი (2), ზვიადი (1), კახა (1), კახი (1), კოკა (7), მალხაზი (1), მამუკა (1), ნუკრი (1), უტა (1), შოთა (2), შოთიკო (2), ცოტნე (10).

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, თანამედროვე მონაცემების მიხედვით, არ დასტურდება ზმნური ფორმის შემცველი საკუთარი სახელები, რომლებიც სპეციფიკურია მეგრულისათვის და ასე მრავლადაა წარმოდგენილი აკაკი ჭანტურიას წიგნში.

გვხვდება განსხვავებული სახელებიც (რომლებიც ა. ჭანტურიას წიგნში არ გვაქვს). ასეთია, მაგალითად, **ქალის** სახელებიდან: **ამელი** (1), **ბეა** (1), **დინა** (1), **ლეა**(1), **ლეკა** (1), **მექია** (1), **მილანა** (2), **მირა** (2), **მონა** (1), **ნეა** (1), **ნისა** (2), **ტაისია** (6)... **მამაკაცის** სახელებიდან: **იუსიფ** (1), **კუტი** (1), **ნოა** (6), **ნოი** (1), **ფეიზო** (1)...

მამაკაცის ზოგი სახელიდაფიქსირდა ქალის პირსახელად: **ვივიენ** (3) **ვივიენი** (1), **მიშელი** (1), **ნიკოლ** (2).

დასკვნები

აკაკი ჭანტურიას მიერმეორე მსოფლიო ომამდე სამეგრელოში ჩაწერილი ანთროპონიმული მასალისა და თანამედროვე მონაცემების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას: რვა ათეული წლის განმავლობაში სამეგრელოს ანთროპონიმიაში მომხდარი ცვლილებები ძირითადად იმ ტენცენციებს წარმოაჩენს, რაც ზოგადად ქართულ ანთროპონიმიაში შეიმჩნევა. მეგრული გვარსახელების სტრუქტურული მოდელები, წარმოების პრინციპი, მაწარმოებელი აფიქსები ძირითადად მსგავსია. სპეციფიკური წარმოების (ზმნური, კომპოზიტური) ანთროპონიმები დღეს თითქმის არ გამოიყენება. დავიწყებას მიეცა საბჭოთა პერიოდთან დაკავშირებული ანთროპონიმები. სამწუხაროდ, ნელ-ნელა ქრება ქართული/ქართველური სახელებიც დამათ ადგილს უცხოური სახელები იკავებს. სტატისტიკური მონაცემებით, როგორც ქალის, ისე მამაკაცის სახელთა ათეულში კანონიზებული (ებრაულ-ბერძნული წარმოშავლობის) სახელები ჭარბობს. ამასთან, ქართულ/ქართველურ

ანთროპონიმიაში ნელ-ნელა შემოდის და მკვიდრდება ევროპული / ლათინურ-ამერიკული ანთროპონიმები (მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი, ორი სახელისგან შედგენილი).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ანდრონიკაშვილი, 1966 – ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966;

ბუკია, 2013 – ბუკია მ., მეგრულ პირსახელთა წარმოების თავისებურებისათვის. ქართველური ონომასტიკა, №6, თბ., 2013;

გვანცელაძე, 2022 – გვანცელაძე თ., აფხაზეთისა და მისი მომიჯნავე მხარეების მეცნიერული კვლევის ამოცანები ზოგი მცდარი მოსაზრების კრიტიკული ანალიზის ფონზე.ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“,XIV, ქუთაისი, 2022;

გოდერძიშვილი, 1998 – გოდერძიშვილი ქ., ინდიგენური სახელებისათვის. ჟურნ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. II, ქუთაისი, 1998;

თოფჩიშვილი, 1997 – თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.

თოფჩიშვილი, 2000 – თოფჩიშვილი რ., ქართული ანთროპონიმული მოდელი წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ჟურნ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. IV, ქუთაისი, 2000.

თოფჩიშვილი, 2010 – თოფჩიშვილი რ., სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010.

როგავა 1946 – როგავა გ., ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში, იკე, 1, თბ., 1946.

ღლონტი, 1986–ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986;

ღლონტი, 1988 – ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988;

ჩუხუა 2011 – ჩუხუა მ., -ყვა დაბოლოების გენეზისისათვის ქართველურ გვარებში. კრებ. ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, II, ბათუმი, 2011.

ცხადაია, 2000 – ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000;

ცხადაია, 2010 – ცხადაია პ., აკაკი ჭანტურია, მეგრული გვარები და სახელები, თბ., 2006. – კადმოსი 2, 2010:https://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/article/view/63/53;

ჭანტურია, 2006 – ჭანტურია ა., მეგრული სახელები და გვარები, თბ., 2006;

ჭუმბურიძე, 1987 – ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ., 1987;

ჯანაშია 1952 – ჯანაშია ს., ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის. შრომები, ტ. II, თბ., 1962.

Чикобава, 1948 – Чикобава А. С., Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, თბ., 1948.

სტატისტიკური მონაცემები 2020-2023 – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა: სტატისტიკური მონაცემები01.01.2020–31.01.2023 პერიოდში დაბადებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების სახელების შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. №01/26482.

ალინა ბაღიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი,
alina.baghishvili@tsu.ge, 599 35 27 38

ნანული კაჭარავა
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი,
nanuli.katcharava@tsu.ge, 599 30 14 12

მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში (ნაწილი II)

მოკლე შინაარსი

ნაშრომი წარმოადგენს „ახალციხე – 2015“ ონომასტიკურ კრებულში დაბეჭდილიამავე სახელწოდების სტატიის გაგრძელებას, მეორე ნაწილს. ამჯერად განხილულია სამეგრელოს მარტვილისა (სამხრეთ ნაწილი) და წალენჯიხის რაიონებში დადასტურებული მცენარეული ლექსიკიდან მიღებული ფიტონიმები, ოიკონიმები, ჰიდრონიმები, კომონიმები და სხვ. ტოპონიმები კლასიფიცირებულია მათი მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით. მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმიკის შესწავლა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის როგორც მცენარეული საფარის, ასევე ამ მხარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის შესახებ ძველთაგანვე. საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია სხვადასხვა სახეობის მცენარეები: მერქნიანები, პურისა და ხეხილის ჯიშები, კენკროვნები, პარკოსნები, ნაირგვარი ბალახეული, მათ შორის სარეველაც. ნაშრომს ახლავს მოძიებული კოლხური ვაზის ჯიშების ნუსხა, 96 ერთეული.

სამეგრელოს ტოპონიმიაში დასტურდება ისეთი მცენარეთა სახელები, რომლებიც მეგრულ-ქართულ ლექსიკონებსა და ბოტანიკურ ლექსიკონებშიც კი არ არის შეტანილი. ისტორიული კოლ-

ხეთის ტერიტორია იყო არა მარტო ოქრომრავალი, არამედ ფლორამრავალიც, ცნობილი თავისი უნიკალური მცენარეული საფარით, რაც მკაფიოდ აისახამიკროტოპონიმიაში.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმია, სამეგრელო, მცენარეთა ლექსიკა

Alina Baghishvili,
Doctor of Philology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia,
alina.baghishvili@tsu.ge, 599 35 27 38

Nanuli Katcharava,
Doctor of Philology, Associated Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia,
nanuli.katcharava@tsu.ge, 599 30 14 12

DENOTING VOCABULARY OF PLANTS IN SAMEGRELO TOPONYMY (Part II)

Abstract

The work is a continuation of the article of the same name printed in the onomastic collection "Akhaltsikhe - 2015", the second part.This time, phytonyms, oikonyms, hydronyms, commononyms, etc. obtained from the proven plant vocabulary in Martvili (southern part) and Tsalenjikh districts of Samegrelo are discussed.Toponyms containing plants are classified according to their producing affixes.The study of toponymy derived from the names of plants gives us a clear idea of both the vegetation cover and the agricultural existence of the population of this area since ancient times.Different types of plants are spread in the research area: woody plants, breadfruit and fruit trees, berries, legumes, various herbs, including weeds.The work is accompanied by a list of Kolkhi grape varieties, 96 items.

The names of such plants are confirmed in the toponymy of Samegrelo, which are not even included in the Megrelian-Georgian dictionaries and botanical dictionaries too.The territory of historical Kolkheti was not only rich in gold, but also rich in flora, known for its unique vegetation, which is clearly reflected in microtoponymy.

Key Words: toponymy, Samegrelo, plant vocabulary.

შესავალი. „ახალციხე –2015“ ონომასტიკურ კრებულში წარმოდგენილ სტატიაში მიმოვიხილეთ მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში შემდეგი რაიონების მიხედვით: აბაშა, ზუგდიდი, მარტვილი (ჩრდილოეთი ნაწილი), სენაკი, ფოთი, ჩხოროწყუ, ხობი. ამჯერად განვიხილავთ მარტვილისა (სამხრეთ ნაწილი) და წალენჯიხის რაიონს. ამით დასრულდება სამეგრელოს ყველა რაიონის მიმოხილვა ტოპონიმიაში მცენარათა აღმნიშვნელი ლექსიკის გამოყენების თვალსაზრისით.

მსჯელობა. მცენარეთა შემცველი ტოპონიმები დალაგებულია მათი მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით.

პირველ რიგში ვიხილავთ ტოპონიმებს, რომელთაც **პირდაპირ, ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე ჰქვია მცენარის სახელი.** მაგალითები: **ადესა** (ვაზის ჯიშია) ჰქვია ტყეს ეთაფლანძეში, მარტვილის რ-ნი; **ამბალახა** (ვაზის ჯიშია) - ბორცვი ეოდიშარიეში, მარტვილის რ-ნი; **ბალი** - ვენახი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ბარცხი** (ქართ. თაგვისარა) - ფერდობი დობერასთან, მარტვილის რ-ნი; **ბაცუ//ბაცოუ** (ქართ.ზღმარტლი) - ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში; ბორცვი სოფ. სერგიეთში, მარტვილის რ-ნი; **ბოგვერი** (ბალახის სახელია, ქართ. ურო) - მინდორი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **გვიმარა** (ქართ.გვიმრა) - ბუჩქნარ-გვიმრნარი სოფ. მუჟავა, წალენჯიხის რ-ნი;**კაკირი** (ქართ. ირაგა) - ტყე სოფ. გოლასქურში, სენაკის რ-ნი; პაატა ცხადაიას მიხედვით, კაკირი ხეზე ნაჭდევის გაკეთებას ნიშნავს. მაშინ როცა კაკირი მეგრულად ზოგადად აღმნიშვნელია ყველანაირი ფხალეულისა, რომელიც ხის გობში ინაყება ანუ დაკეპილი ფხალეული არის კაკირი. **კაცხა// კაცხარა**(ქართ. ეკალ-ღიჭი) -ადგილი სოფ. სქურის სატყეოში, წალენჯიხისრ-ნი (შდრ. კაცხი - კაცხის მონასტერი, კაცხის სვეტი ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე). კორჩხელი(ქართ. ეკალ-ღიჭი) - ადგილი სოფ. ლებარდეში, მარტვილის რ-ნი; ლერწმანე//ლერწმინა (ლერწამი, მეგრული სახელწოდებაა ლარჭემი) - ტყე-ფერდობი სოფ. ქალაღალში, წალენჯიხის რ-ნი; ლიხი (ქართ. მაღალი შამბნარი) - ადგილი შუშელის მთაზე, მარტვილის რ-ნი; შდრ. ლიხის მთა; ლიხნი (ვაზის მაღლარი. მაღალ სარზე - ოლიხნარზე გასხლული ვაზის მიშვებასლიხნუა ეწოდება(კეკელია,2022, 234-237)) - ადგილი სალხინოს სატყეოში, მარტვილის რ-ნი; შდრ. სოფ. ლიხნი აფხაზეთში; **მანდარნა** (მანდარინი) - სახნავი სოფ. სტეფასდაბალში,

მარტვილის რ-ნი; **მარქვალია** (სოკოს სახეობა, რომელიც კარტოფილივით მიწიდან მოიპოვება. ტრუფელი?!) - სახნავი სოფ. კვაუთში, სენაკის რ-ნი; **მაჭყვანდური** (ვაზის მაღლარი ჯიშია) - ფერდობები სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **მაჭყვადური** (შვიტა ბალახია)- სახნავი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **სამშურე//შამშურე // შაშურანი// შაშურამი// სამშურანი** (ქართ. რეჰანი) - ადგილი ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **სურანდი** (მეგრ. სუროვანდი- ქართ. სურო, სუროიანი ადგილი) - ტყე, მარტვილის რ-ნი; **სხული** (ქართ. მსხალი) - ბუჩქნარი სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **ტრიფოლიატკა იგივე ციტრუსის ჭალა** - სახნავი ტარჩენის ჭალაში, სოფ. აბედათი, მარტვილის რ-ნი; აქ ყოფილა ტრიფოლიატის სანერგე. **ულურალე//ულურყელი** (ქართ. დანდური) -სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი;**ურთხელა //ურთხეი** (ურთხმელი) - მინდორი სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **უჭირალე//უჭურალე** (ქართ. მარშანცია) - ადგილი ლუღარაში, წალენჯიხის რ-ნი; **ქამნა // ქამანია //ქამენია//კამანია** (ქართ. ანაგვირილა, ქამნა // ქამანია //ქამენია //კამანია მეგრულში შესული არაბული ნასესხობაა) - ბორცვი და ნასახლარები გუჩუურში, სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; აქაურებს ეწოდებოდა ქამნაშრეფი. **ქარჩხამი** (ქარჩხი -ჯაგი)- ჯაგნარი სოფ. ორქაში, მარტვილისრ-ნი; **ქვიშა // ქვიშანკური** (სოკოს სახეობაა)- სახნავი სოფ. კვაუთი, სენაკის რ-ნი; **ღოლონა // ღოლელია** (ქართ. დიყი) -საძოვარი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **შვეია** (უეკალბარდო ტყე) - სოფ. ნახუნაო, მარტვილის რ-ნი; **შიარი** (ქართ. შამბნარი) - ბუჩქნარი მდ. აბაშის ჭალაში, მარტვილისრ-ნი; **ჩაი//სა-ჩაი-ო**(ორივე სახელი ჰქვია) - ჩაის პლანტაციები სოფ. მუხურჩაში, მარტვილისრ-ნი; **ცხაცხუ** (ქართ. ცაცხვი) - მინდორი სოფ. ლეხარჩილეში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხვანტა** (ქართ. ეკალბარდი) - ტყე-ბორცვი სოფ. საჩინოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცგ** (ქართ. თელა) -ადგილი, სადაც სრულდებოდა ხე-ღვთაების ანუ ჟინიშის რიტუალი, წალენჯიხის რ-ნი; **წელამი** (ქართ. წალამი, შალაფა) - ვაკე-სერი სოფ. ჯგალში, წალენჯიხის რ-ნი; **წირლია //შხურიშიჯი //შხურიშიჯუ //ჩიქვიშიჯი** (წირღუ -კატაბარდა; მოტანილია კატაბარდის სინონიმები მეგრულში) - ჯვარის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **წიფური** - საკულტო წიფელი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **წიწიმდერა//წიწინდერა** (ქართ. მარწყვი)- ყვირას სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **წკომურ-ი//წყომურ-ი** (ქართ. ტყემალი)

- ბორცვი-ტყე სახნავებით სოფ. ნალეფსაო, მარტვილის რ-ნი; **წყეი//წყიი** (ქართ. წყავი) - ადგილი სოფ. ნალეფსაოში, მარტვილის რ-ნი; **ჭანდარი** (ჭადარი) - ჩაის პლანტაცია სოფ. ეწერში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭადუ // ჭანდრა //ჭარდა-ში** (სოკოს სახეობაა, წითელი ფერის სოკოა) - სოფ. მოხაში, სენაკის რ-ნი; **ჭითა ცომური** (ქართ. წითელი ტყემალი) - წყარო სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭითა ჯა** (ამერიკული წითელი ხე, მაგაგონი) - სოფ. ნაგურუ, წალენჯიხის რ-ნი; **ჭოდი** (ყურძნის ჯიშია) - ფერდობები სოფ. წინაკვერკვესა და სოფ. ჭაბურთაში; სახნავი მდ. თათულიას მარცხენა ნაპირზე, მარტვილის რ-ნი; **ჭყონი** (ქართ. მუხა) - ჩაის ფართობი სოფ. ლექართეში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭყონ-ა (ჭყონ-ი > ჭყონ-ონ-ა >ჭყინ-ა** - აქ გვაქვს ჰაპლოლოგიის შემთხვევა) - ტყე სოფ. ლეხაინდრაოში; ტყე სოფ. სტეფასდაბალში; სახნავი სოფ. ქვემო ნაგვაზაოში; სახნავი სოფ. ლეციცხვაიეში; ტყე ნალეფსაოში; მინდორი სოფ. ნაჯახაოში; ტყე სოფ. სერგიეთში; მინდორი ქვაითში; ტყე სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; ჩაის პლანტაცია მაზანდარაში, მუხიანი სოფ. მიქავაში, წალენჯიხის რ-ნი; **ხაბუმე** (ბალახის სახელია) - სოფ. ხაბუმე, ჩხოროწყუს რ-ნი; **ხაია** (ქართ. ჭაობის ბალახი ისლი; მეგრულში სინონიმია მაისირაია) -ტყე სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ხარდანი//ხარანი** (ვაზის ჯიშია) - ნავენახარი სოფ. ლეკეკელეში; სახნავი სოფ. ლეკვანტალიეში, მარტვილის რ-ნი; **ხვანჭკირი** (ვაზის ჯიშია, შდრ. ხვანჭკარა) - ფერდობი სალიპარტიოს სოფ. სკურდში, მარტვილის რ-ნი; **ხირზენი // ხარზენი //ხარძენი// ხეჩელა** (ქართ. ხარისძირა) - ვაკე-მინდორი წაჩხურუში, სალხინოს სატყეო, ჩანჩქერი სოფ. სალხინოში, მარტვილის რ-ნი; პაატა ცხადაიას მიხედვით, ხირზენი ნიშნავს ნახიზნარ ადგილს. მაგრამ, შევნიშნავთ, რომ ეს ლექსემა არის მცენარე **ხარისძირის** მეგრული შესატყვისი. **ხუნწი** (ქართ. მოცხარი) - სოფ. ხუნწი, მარტვილის რ-ნი.

როგორც ცნობილია, -ეფ მეგრულში მრავლობითის მაწარმოებელია. მოტანილი გვაქვს სამი მაგალითი მიკროტოპონიმია მრავლობით რიცხვში: **ბურღ-ეფ-ი** (ბუერები) - ვაკე უბანი მდ. ინწირის მარჯვენა მხარეს. **ცაცხვ-ეფ-ი** (ცაცხვები) - ბორცვი სოფ. ჯაღირაში და მინდორი წალენჯიხაში; **ცხვაცხვ-ეფ-ი** (ცაცხვები) - სოფ. სამესხიო, წალენჯიხის რ-ნი;

ნაგენეტივარი მცენარეთა აღმნიშვნელი ტოპონიმები: სამეგრელოს ტოპონიმიაში გვხვდება ნათესაობით ბრუნვაშიდასმული მცენარის სახელები, რომლებიც ტოპონიმად ქცეულა. მეგრულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია: -იშ (ი), -შ(ი), რომელიც გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულებას (ისევ, როგორც მისი ქართული შესატყვისი -ის). მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ მას მიკრო მატოპონიმებელი ფუნქცია აკისრია: ბარდვ-იშ-ი (ბარდვი > ბარდი)- ბუჩქნარი ქვემო ჭველეში, წალენჯიხის რ-ნი; **ბუჲ-იშ-ი//ბუ(ლ)-იშ-ი** (ქართ. ბლისა) **-** ბორცვი მდ. ნოღის მარჯვენა მხარეს, სოფ. ქვაითი, მარტვილის რ-ნი; ტყე-ფერდობი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **გვიმრე-ში //გუმრე-ში** (ქართ. გვიმრ-ისა)- ბორცვი დადინოხორში, სოფ. ქვაითი; ბორცვი მდ. ნოღის მარცხენა მხარეს, სოფ. ქვაითი, მარტვილის რ-ნი; **თხირ-იშ-ი** (ქართ. თხილისა) **-** ტყე-ფერდობი სოფ. ჩქვალერში, წალენჯიხის რ-ნი; **ინჭირ-იშ-ი//ინჭრგ-ში** (ინჭირი- ანწლი) - საძოვარი სოფ. ჭალესა და მუჟავაში, წალენჯიხის რ-ნი; **ინჭგრი-ში** - გორა-საძოვარი სოფ. ჭალესა და მუჟავაში, წალენჯიხის რ-ნი; **კოჷო-შ-ი //კოჷე-შ-ი** (კოლო(ში)//კოჷო-შ-იკოლხური ვაზის ჯიშია) - სახნავი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ლანჯ-იში** (ლანჯი - იფანი) - ნასოფლარი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **მოხა-ში** (მოხა არის კოლხური ხორბლის ჯიში) -სოფ. მოხაში, სენაკის რ-ნი; **ნები-ში** (ქართ. კაკლისა) -ადგილი სოფ. ჭალეში, წალენჯიხის რ-ნი; **ნუზუ-ში** (ქართ. ნაძვისა) - ტყე სოფ. ჭველეში, წალენჯიხის რ-ნი; **პანე-ში //პანა-ში // პალა-ში //პარა-ში//პალე-ში** (პანე ვაზის ჯიშია) - ფერდობები სოფ. საჩინოსა და ლარაში, წალენჯიხის რ-ნი; როგორც ცნობილია, „პანი ბერძნულ მითოლოგიაში ტყეების ღმერთია, რომელიც შიშის ზარს სცემდა ადამიანებს თავისი გარეგნობით და საზარელი ხმით (აქედანაა გამოთქმა პანიკური შიში). როდესაც ნინფა სირინქსმა დახმარებისთვის მდინარის ღმერთებს მიმართა, რათა თავი დაეღწია მასზე შეყვარებული პანისაგან, მდინარის ღმერთმა ის ლერწმად გადააქცია. დადარდიანებული პანი მდინარის პირას ჩამოჯდა... უეცრად მას შემოესმა ნაზი მუსიკა, რომელსაც ლერწამი ნიავის დაბერვის დროს გამოსცემდა. მან ლერწმის ღეროები მოჭრა, ერთად შეკრა და პირველი სალამური გააკეთა. სწორედ ღმერთი პანი იყო ასეთი ფორმის სალამურის

პირველი გამომგონებელი. საყურადღებოა ისიც, რომ პანი პარალელს პოულობს კოლხური მითოლოგიის ღვთაება ოჩოკოჩთან (ვაც-კაცი). (გარეგნობა, საზარელი ხმა, ტყაშ მაფას სიყვარული)“ (ჟღენტი, 2017). ჩვენი ვარაუდით, კოლხური ვაზის ჯიშის სახელი **პანე-ში //პანა-ში // პალა-ში //პარა-ში //პალე-ში** მომდინარეობს ბერძნულ მითოლოგიაში ტყის მფარველი ღმერთის პანის სახელიდან. **სხულნე-ში** - ფერდობები სოფ. ლეციცხვაიეში, მარტვილის რ-ნი;**ჭადა-ში** - ფერდობი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; ჭადა ფეტვია და ღუმუშ ღუმუსაც (ღომის ღომი) ეძახიან.**ჭარდა-ში //ჭადუ // ჭანდრა** (სოკოს სახეობაა, წითელი ფერის სოკოა) - სოფ.მოხაში, სენაკის რ-ნი; **წიფუნე-ში // წიფურე-ში (წიფუნე-ში > წიფურონე-ში)** - ტყე ხატმამუის ფერდობის ძირას სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **წყოუ-ში (წყოუ>წყოჳ-ში**-წყავი) -ადგილი სოფელ ფახულანის ტერიტორიაზე, წალენჯიხის რ-ნი. **ჭყონა-შ-არ-ეფ-ი** (ჭყონისელები, შდრ. მუხისი და მუხისელები) - უბანი სოფ. მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი. აქ გვაქვს ფუძე+ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ + სადაურობის მაწარმოებელი -არ + მრავლობითის სუფიქსი -ეფ.

როგორც სტატიის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, სამეგრელოს მცენარეული სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები მაწარმოებლების მიხედვით ერთობ მდიდარია. მათ საწარმოებლად მეგრულში გამოყენებულია გაცილებით უფრო მეტი დერივაციული საშუალება, ვიდრე ეს ქართულშია. ამ მხრივ პროდუქტიულია სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. შეგვხვდა ასევე პრეფიქს და ორმაგი სუფიქსური წარმოება. ერთი და იგივე მცენარის სახელი სხვადასხვა სუფიქსით ფორმდება და იძლევა როგორც სუფიქსური წარმოების, ისე სემანტიკის ნაირსხვაობას. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა **-ონ** სუფიქსი, რომელიც ჭანურ-მეგრულში მრავლობითობის გამომხატველია. ქართულის მქონებლობის **-იან, -ოვან** სუფიქსების ფონეტიკური შესატყვისი მეგრულში არის -**იან, -ონ;** *„-ონ; ლაზურისათვის ლამის ერთადერთია. მას, ამ თვალსაზრისით, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს“* (ქირია..., 2015, 132); *„**-ონ** სუფიქსი, მისი ქართული ფუნქციური ანალოგის **-ნარ** სუფიქსის მსგავსად, სიმრავლეს,კერძოდ (და პირველ რიგში) მცენარეთა სიმრავლეს, იმ ადგილს აღნიშნავს, სადაც, ჩვეულებრივ, რომელიმე ერთი სახეობის ბევრი მცენარეა;*

უფრო ნაკლებად მას შეუძლია გამოხატოს ცხოველების ან რაიმე საგნების კრებითობა-სიმრავლეც. ბუნებრივია, ასე ნაწარმოები სახელები ადვილად განზოგადდებიან გეოგრაფიულ სახელებად, მაგრამ მათი თავდაპირველი და ამოსავალი, სპეციფიკური გრამატიკული მნიშვნელობა მაინც სიმრავლის, კრებითობის აღნიშვნაა. ამდენად, უფრო ლოგიკური ჩანს მათი გამორჩევა ცალკე ჯგუფად (და არა გეოგრაფიულ სახელებში) წარმოდგენა, როგორც ეს აკაკი შანიძეს აქვს.

***-ონ-ა** იგივეა, რაც **-ონ-ი**, ოღონდ **ა-ს** აქვს მასუბსტანტივებელი ფუნქცია. **ონ-ი** და **ონ-ა** ერთმანეთს ენაცვლებიან. ნეძ-ონა და ნეძ-ონ-ი ნიგვზნარი (შდრ. ნეძი „კაკალი“, „ნიგოზი“); ნუზ-ონ-ი და ნუზ-ონა ნაძვნარი (შდრ. ნუზუ „ნაძვი“). **-ონ** სუფიქსზე სპეციალურად მსჯელობს არნ. ჩიქობავა „ორიოდე შემთხვევაში მეგრულშიც აქვს ადგილი -ონ სუფიქსის ხმარებას; ასეთია: გვიმარონი (ადგილი, სადაც გვიმრა იზრდება); ჭუბურონა (წაბლნარი; ტყის სახელია ეკის მთის კალთაზე, ძვ. სენაკის თემში); ჭორთონა (ადგილი, სადაც ახლად აყრილი წვრილი ხეები იზრდება, მაგ., მურყნისა ანუ თხმელასი თუ სხვა რისამე); აქვე უნდა მოვიგონოთ „ჭველეთონა“ (პატარა სოფლის სახელი ჯვარის თემში, სვანეთის საზღვრისკენ, ზუგდიდის მაზრაში). აღნიშნავს „ჭველ“-ი რომ ხაროჰს ისეთ ადგილს.“ (ქირია..., 2015, 183-184);* ახლა გადავიდეთ **ონ-ი და ონ-ა** სუფიქსებით ნაწარმოები მცენარეებიდან მომდინარე ტოპონიმების ჩამოთვლაზე, რომელთა რაოდენობა „*ორიოდე შემთხვევა*“კი არა, უხვად ფიქსირდება საკვლევ ტერიტორიაზე:

ა) - ონ-ა : აკაცი-ონ-ა - ტყე სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი;**აკიდ-ონ-ა** (აკიდო ყურძნის ჯიშია) - სახნავი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ამბალახ-ონ-ა** (ამბალახი -ყურძნის ჯიშია; შდრ. ბალახვანი ქუთაისში) - ჭყონდიდის ეკლესიის ფერდობზე, მარტვილისრ-ნი; **ატაბ-უნა//ატამ-უნა//ატამ-ონ-ა** (ატმის ბაღი) –სოფ. ეძარიე, მარტვილის რ-ნი; **ბაბლ-ონ-ა** (ბაბილო თეთრყურძნიანი ვაზია. ქეგლ-ის მიხედვით ბაბილო არის ტყის ვაზი, უსურვაზი. ბაბილოს განმარტება მოცემული აქვთ ნიკო და დავით ჩუბინაშვილებსაც) - ტყე-ფერდობი მდ. ქალაღალის მარცხენა ნაპირას, წალენჯიხის რ-ნი; **ბაკარ-ონ-ა//ბაკარ-ნა** (ბირკა) - ჩაის ფართობი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ბალახ-ონ-ა// ბალახ-უნ-ა//ბაჲახ-ონ-ა// ბაჲახ-უნ-ა**(ჲ - იოტიანი ფორმები ახასიათებს მეგრული ენის

მარტვილურ დიალექტს) - ბორცვი ეოდიშარიეში, ფერდობები სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; ტოპონიმი **ბალახ-ონ-ა** მომდინარეობს ვაზის ჯიში ამ ბალახისაგან. **ბარცხ-ონ-ა //ბარცხ-ან-ა** (ბარცხი მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე, წითელ კენკრას ისხამს, ეკლით დაბოლოებული ფოთლებით, გამოიყენება ცოცხად, ბუხრის ან ქვევრის საწმენდად იგივე ბაძგი, ქართულად თაგვისარა) - ტყე-ბუჩქნარი ობუჯის საზღვართან. აქედან გაედინება ბარცხონა ღალი, კუნტა ბარცხონა და გირძე ბარცხონა; ტყე-ხევი წალენჯიხაში; **ბზაკალ-ონ-ა** (ბზაკალი -ბზა) - ბზის კორომი ჯვრის სატყეოში; ტყე-ხეობა მდ. ღურჯიასთან, წალენჯიხის რ-ნი; **(ბ)ზღ-ონ-ა** - ჯაგნარი სოფ. ქვემო ნაგვაზაოში, მარტვილის რ-ნი; **ბზღი-ონ-ა // ზღი-ონ-ა** (ბზღიი ნიშნავს ჯაგრცხილას) - ჯაგნარი ჭყონდიდის ეკლესიის ფერდობზე; ჯაგნარი ქვემო ნაგვაზაოში, მარტვილის რ-ნი. **ბოგვერ-ონ-ა // ბოგვერ-ონ-ი //ბოგორ-ონ-ი** (ბოგვერა - ურო) - სახნავი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ბუჲ-ონ-ა// ო-ბუჲე-შ-ი** (ბუჲ -ბალი) - მინდორი სოფ. ჯოლევში, სახნავი სოფ. ნაგვაზაოში, ბუჩქნარები სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ბურუხ-ონ-ა** (ბურეხი გარეული ვაზია, უსურვაზი) - ტყე-ფერდობი სოფ. ხურჩის სათავესთან, წალენჯიხის რ-ნი; **ბურღ-ონ-ა**(ბურღი - ბუერა)- ბუჩქნარი სოფ. ჯოლევსა და ნახუნაოში, ტყე-ფერდობი მარტვილში; ტყე სოფ. წინაკვერკვეში, ტყე სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; ვაკე-სახნავი მდ. ჭალაღალის მარცხენა მხარეს, ხეობა ჯოგვოშ ღალის სათავესთან სოფ. წყოუში; თხმელნარი სოფ. ლეღვინჯილეში, ბორცვი სოფ. ლეღვინჯილეში წალენჯიხის რ-ნი; **ბურწუჲ-ონ-ა** (ბროწეული) - ბორცვი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **გჳგიბ-ონ-ა** (გჳგიბი - სოჭი) - სოჭნარი კურორტ ლებარდის ტერიტორიაზე, მარტვილის რ-ნი; **ეჲ-ონ-ა//ჲოჲ-ონ-ა** (ეჲ,ჲოჲ - იელი) - ტყე ეჟორდანიაში, მარტვილის რ-ნი; **ვაკაცი-ონ-ა** (აკაციის ტყე) - ტყე სოფ. ნალეფსაოში, მარტვილის რ-ნი; **ვერხ-ონ-ა** (ვერხვნარი) - ტყე სოფ. მუხურჩაში; სახნავი სოფ. ნაჯახაოში; სახნავი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ზაკალ-ნა//ზაკალ-ონ-ა//ზაკაჲ-ნა//ზაკაჲ-ონ-ა** - ბზის ტყე ბჟერის მთაზე, სოფ. ლექაჯაიე, სახნავი სოფ. ნაგერაოში, მარტვილის რ-ნი; ბუჩქნარი მდ. ფუისქურის მარცხენა მხარეს, წალენჯიხის რ-ნი; **თხირ-ონ-ა//ო-თხირ-ე** (თხირი - თხილი) - ბუჩქნარი სოფ. ლექაჯაიეში; სახნავი სოფ. სტეფასდაბალი; თხილნარი დატყე სოფ. ნახუნაოში; სახნავი სოფ. ნაჯახაოში,

მარტვილის რ-ნი; **თხუმულ-ონ-ა** (თხემლნარი) - ტყე და ბუჩქნარი სოფ. ნაშამგუში, წალენჯიხის რ-ნი; **თხომუ-ონ-ა//თხუმლ-ონ-ა** (თხემლნარი)-ბუჩქნარი სოფ. ლემიქავეში; ტყე სოფ. საელიავოში; თხემლნარი სოფ. მახათში; ტყე სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **(ი)აკაცი-ონ-ა** - ტყე სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **კალამ-ონ-ა// კაჲამ-ონ-ა** (მეგრ. კალამი - ქართ. შალაფა) - მთა სოფ. ნალეფსაოში, მარტვილის რ-ნი; **კაფარ-ონ-ა //კაპარ-ონ-ა** (მეგრ. კამპარი - ქართ. ჯონჯოლი) - ბუჩქნარი ბჟერის მთის კალთაზე, მარტვილის რ-ნი. **კვადაც-ონ-ა** (კვადაცი-ქაცვი) - მინდორი სოფ. ნოჯიხევში, მარტვილის რ-ნი; **კოლოშ-ონ-ა//კოლოშ-ინ-ა** (კოლო(ში) კოლხური ვაზის ჯიშია) - ბუჩქნარი სოფ. აბედათში, ტყე-ფერდობი სოფ. ლემიქავეში, ტყე სოფ. ლექაჯაიესა და სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **კოთოშ-ონ-ა // კოჲოშ-ან-ა//კოჲო-შ-ონ-ა** (კოლო(ში) კოლხური ვაზის ჯიშია) - ტუნგის ტყე და ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **კოჲო-შ-ი //კოჲე-შ-ი** (კოლო(ში)//კოჲო-შ-ი კოლხური ვაზის ჯიშია) - სახნავი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ლულ-ონ-ა** (მეგრ.ლული- ლელვი) - ღელე სოფ ნაგებერაოში; სახნავი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **მახვატურ-ონ-ა//მახვატურ-ნა//მახატურ-ნა// მახვატ-ანა//მახატ-ონა//მახატ-უნა, მახ(ვ)ეატ-ანა** (მახვატურა - ვაზისჯიშია) - ფერდობი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **მორცხ-ონ-ა** (მორცხვია ვაზის ჯიშია) - ფერდობები სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ნეძ-ონ-ა** (კაკლნარი)- ბორცვი ნეძინაშ წყარის სათავესთან, მარტვილის რ-ნი; ტყე-ფერდობი სოფ. ჩქვარელში,წალენჯიხის რ-ნი; **ნეძოძ-ონ-ა** (კაკლნარი) - ტყე-ხეობა სოფ. ლესალეში, წალენჯიხის რ-ნი; **პანა-შ-ონ-ა//პანე-შ-ონ-ა** (პანე მეგრული ვაზის ჯიშია) - ტყე-ფერდობები სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **სხულ-ონ-ა//სხუჲ-ონ-ა** (მსხალნარი) - მინდორი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; სახნავი და ჩაის პლანტაცია სოფ. ჩქვარელში, წალენჯიხის რ-ნი; **სხულ-ონ-ა //სხუ-ნ-ოლ-ა// სხუ-ნ-ელ-ა** (აქ გვაქვს ფუძისეული ლ-სა და სუფიქსის ნ-ს მეტათეზისი, რასაც ითვალისწინებს ენის გრამატიკული კანონზომიერება) - საძოვარი სოფ. ჩქვარელში და ფერდობი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ტუნგ-ონ-ა** - ბუჩქნარი სოფ. სერგიეთში, მარტვილის რ-ნი; ფერდობი სოფ. მედანში, წალენჯიხის რ-ნი; **უშქურ-ონ-ა (უშქური - ვაშლი)** - სახნვი სოფ. მახათში, ვაშლნარი

სოფ. მუხურჩაში, სახნავი სოფ. ნაგვაზაოში, მინდორი სოფ. სერგიეთში, ფერდობი და საბალახო სოფ. ლეციცხვაიეში, ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, სახნავი სოფ. ლეკეკელეში, მარტვილის რ-ნი; ტყე ლუღარაში, წალენჯიხის რ-ნი; **უჩაშ-ონ-ა** (უჩა(ში) შავი ყურძნის-ჯიშია)- ტყე და ხევი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ფშა-ონ-ა** (ფშაჲა - სვია) - ჩაის ფართობი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ფშქერ-ონ-ა**- შქერის ტყე სოფ. ფუქში, წალენჯიხის რ-ნი; **ქაც-ონ-ა//ქვაც-ანა//ქაცუ//ქვაცა** (კუნელი) - ბუჩქნარი ჭყონი ჭაიას გვერდით, მარტვილის რ-ნი. **ქვიშ-ონ-ა** - სახნავი სოფ. ბუდურში, სენაკის რ-ნი; **ქგრცხ-ონ-ა //ქაცხაცხ-ონ-ა //ქოცხოცხ-ონ-ა** (ეკალნარი) - ჯაგნარი სოფ ობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **ქოჲ-ენ-ა (ქოჲ - ჭილი)** - ჭეჭყობი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ქუმუ-ონ-ა** (სელი) სოფ. საჩინო, წალენჯიხის რ-ნი; **ქუც-ონ-ი-ა** - ქაცვნარი სოფ. ლეკეკელეში, მარტვილის რ-ნი; **ქუც-ონ-ა//ქვაც-ან-ა//ქუც-ან-ა** (კუნელი)- საძოვარი სოფ. ლეხაინდრაოში, ჭვავნარი და ბუჩქნარი სოფ. ბომბოთში, სახნავი და მინდორი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; ჯაგნარი და ვაკე-სახნავი სოფ. საჩინოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცომურ-ონ-ა** (ტყემლნარი) სერი და ვაკე სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **შ-ონ-ურ-ონ-ა** (შგ -ვაზის ჯიშია, -ონ მრავლობითის სუფიქსი, -ურ წარმომავლობის ბოლოსართი, -ონ განმეორდა მრავლობითი, -ა ნაწევარა)- ტყე-ფერდობი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **შქერ-ონ-ა//შქერ-ენ-ა** (შქერი)-სახნავი სოფ. ქვაითში; სახნავი სოფ. ნოღაში, მარტვილის რ-ნი. **ჩამფ-ონ-ა** (ბოკვნარი) – მაგანის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **ჩე-ში-ონ-ა** (ჩეში ყურძნის ჯიშია; ჩეშიონა -ადგილი, სადაც ეს ყურძენი ხარობს) - ფერდობი ხორიათში, მარტვილის რ-ნი; **ჩე-ში-ონ-ა და ჩე-რგვალი** - ვაზის ჯიშია, რომელიც ისხამს წვრილ მარცვალს და გვიან შემოდგომაზე მწიფდება. **ჩემ-ონ-ა//ჩეჩ-ონ-ა** (აქ აფრიკატიზაციის შემთხვევა გვაქვს, ყურძნის ჯიში თეთრა, ჩე - თეთრი, -შ(ი) ნათესაობითი ბრუნის ნიშანია, -ონ მრავლობითისა და კრებითობის აღმნიშვნელი სუფიქსი, -ა კი - ნაწევარა) -სახნავი და საძოვარი სოფ. ნოღის მარცხენა მხარეს, ტყე სოფ. ლექაჯაიეში, გვიმრნარი სოფ. ჯოლევში, ტყე სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; ტყე-ფერდობი და სახნავი სოფ. ქალაღალში და ფუქიში, თხემლნარი უბადოღალიში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩე(ში) და ჩეჭიფე(ში)** ყურძნის ჯიშებია. **ჩეჩ-ონ-ა//ზედაგონი** - ტყე ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **ჩეშის ზედაგსაც**

უწოდებენ, მაგრამ ზედაგის ყურძნის ჯიში უფრო მოშავოა. **ჩოხ-ონ-ა** (ჩოხა - სოკოს სახეობაა) - ფერდობი სოფ. ლესალეში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხიმ-ონ-ა>ცხიმურ-ონ-ა** (რცხილნარი) -ტყე-ფერდობი სოფ. მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხიმურ-ონ-ა //ზებაშფერდი** (მოსახლეობა ორ სახელს უწოდებს) - ტყე-ფერდობი სოფ. პალურში, წალენჯიხის რ-ნი; **ც(ხ)იცხ-ონ-ა //ცხჳცხ-ონ-ა** -ჯაგნარი, ქაცვნარი, შამბნარი სოფ. ჩქვარელში, წალენჯიხის რ-ნი;**ციცხ-ონ-ა//ცხიცხ-ონ-ა** (ჯაგნარი) - ჯაგნარი სოფ. ზემო ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ცუ-ონ-ა** (თელნარი) -ჭენწყალის შენაკადი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცქიტიშ-ონ-ა//ცქვიტჳშ-ან-ა** (ცქიტი ყურძნის ჯიშია) - სახნავი სოფ. ლემიქავეში; **ცხემურ-ონ-ი** - სახნავი სოფ. სტეფასდაბალში, მარტვილის რ-ნი; **ცხემურ-ონ-ა** (ცხემლნარი) **//ბურღ-ონ-ა** - ბორცვი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი. ამ ბორცვს მოსახლეობა ორივე სახელს უწოდებს. **ცხიმ(უ)ნორა** (რცხილნარი, ცხიმურ-ონ-ა >ცხიმნორა. აქ გვაქვს მეტათეზისის შემთხვევა) - სოფ. წინაკვერკვე, მარტვილის რ-ნი; **ძერწ-ონ-ა** (ძეწნარი) - სახნავი სოფ. მუხურჩაში, მარტვილის რ-ნი; **ძე(ნ)ძ-ონ-ა//ძერძ-ონ-ა//ძეძ-ონ-ა//ძოძ-ონ-ა** (ძეძვნარი) - სოფ. ჯოლევის ცენტრის სახელ, სახნავი სოფ. ბანძაში, ტყე სოფ.ლეკეკელეში, მარტვილის რ-ნი; **ძიგირ-ონ-ა//ძირგ-ონ-ა (ძიგირ-ონ-ი > ძიგრ-ონ-ა > ძირგ-ონ-ააქ** გვაქვს მეტათეზისის შემთხვევა) (ეკალღიჭი) - სახნავი სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **ძგგრ-ონ-ა** (ძგგრი - შვინდი, მაყვალი, ეკალი) - ტყე-საძოვარი სოფ. ხურჩაში, წალენჯიხის რ-ნი; **ძოძ-ონ-ა** (ძეძვნარი) - ტყე-ფერდობი სოფ. ქალაღალში, წალენჯიხის რ-ნი; **წიფ-ონ-ა** (წიფლნარი) - ბორცვი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; ტყე-საძოვარი მაგანის სატყეოში, ტყე სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **წიფრ-ონ-ა** -ტყე-ხევი სოფ. ფახულანში, ჯაგნარი სოფ. ჯაღირაში, წალენჯიხის რ-ნი; **წიფ(რ)-ონ-ა** - წიფლნარი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **წიფურ-ონ-ა** (წიფლნარი) - სახნავი სოფ. სტეფასდაბალში; ტყე სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილისრ-ნი; ტყე სოფ. საჩინოსა და მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი; **წყჲ-ონ-ა** (წყავნარი) - ფერდობები სოფ. მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი; **წყი-ონ-ა** (წყჲ - წყავი) - ტყე სოფ. ნოჯიხენში, მარტვილის რ-ნი; ტყე-ხევი ბორაგოლში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭველეთ-ონ-ა** (ახალა-მოყრილი თხმელა) - ხუდონის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **ჭველ-ონ-ა** - ნორჩი თხმელის ტყე სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი;

ჭვიტლურ-ონ-ა (ჭვიტილური ვაზის ჯიშია) - ფერდობი სოფ. ობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭოდ-ონ-ა** (ჭოდი - 1. ფეტვი 2. ჭადა-სოკო 3. ყურძნის ჯიში) - სახნავი სოფ. ნალეფსაოში, ბუჩქნარი სოფ. საპირტახიოში, ფერდობი სოფ. ბომბოთში, მარტვილის რ-ნი; ბორცვი სოფ. ჩქვარელში, საძოვარი სოფ. ჯაღირაში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭოთ-ონ-ა** (ჭოთი > ჭოი > ჭოლი > ჭილი) - ტყე სოფ. ჭაბურ-თაში, მარტვილის რ-ნი; **ჭოი-ონ-ა** (ჭოი - ჭილი) - ადგილი სქურის სატყეოში, წალენჯიხისრ-ნი; **ჭუბურ-ონ-ა//ჭუბურ-ონ-ი//ო-ჭუბურ-ე** (წაბლნარი) - ტყე სოფ. ალეშოურის თავზე, წაბლნარი სოფ. ნაროუში; სახნავი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; წაბლნარი სოფ. ქალაღალში, ტყე-ბორცვი სოფ. კუხეში, წალენჯიხის რ-ნი; **ხაი-ონ-ა** (ისლნარი) - ტყე სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ხამუშ-ონ-ა//ჰამუშ-ონ-ა** - ტყე სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი. **ჰამო(ში)** საადრეო ყურძნის ჯიშია, თეთრიცაა და შავიც, ჰგავს კაჭიჭს. **ხვიმალ-ონ-ა// ხვიმ-ონ-ა //ხვიმ-ან-ა** (ხვიმა, ხვიმრა, ხვირმა, ხომა - ხურმა) - ტყე-ფერდობი სოფ. ლეთკანთში, სოფ. ნაგურუსა და ფახულანში, ტყე სოფ ჭალეში,წალენჯიხის რ-ნი; **ხინჭკ-ონ-ა** (ადგილი, სადაც ბევრი კუნელი ხარობს) - ბორცვი სოფ.ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ხვამც-ონ-ი** (ხვამცა-დეკა) - ხევი მაგანას სა-ტყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ხოროშ-ონ-ა//ხოროშ-უნ-ა//ხოროშ-უმ-ა** (ხოროში ატმის ჯიშია) -ფერდობი ერუხაიესა და ომანთხირეს შორის, მარტვილის რ-ნი. **ხოსქარ-ონ-ა** (ვირისტერფა) - ადგილი ლექარდეში, წალენჯიხის რ-ნი; **ხურშ-ონა//ხურჩ-ონა** - ხევი, ფერ-დობი, დიდღალის ნაპირას. **ხუმ-ონ-ა**(ხვიმა, ხომა > ხომ-ონ-ა - ხურმნარი) - ფერდობი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ჯამპ-ონ-ა** (თუთნარი) - სახნავი სოფ. ნაკიფუში, ნაკრძალი სოფ. მაზანდა-რაში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯაპ-ონ-ა//ჯაპ-ან-ა** (თუთნარი) - ფერდობი ჯაპონაშ ღაის (ღელის) ნაპირას, ხეხილნარი სოფ. ვედიდკარში; სახნავები სოფ. ჯოლევში, სოფ. ლეხაინდრაოში, სოფ. ქვემო ნაგვაზაოში, სოფ. ჭაბურთასა და სოფ. ნაჯახაოში, ჩაის ფართობი სოფ. სერგიეთში, მარტვილის რ-ნი.

ერთი მაგალითი შეგვხვდა ნაგენეტივარ მცენარეულ სახელს ერთვის **-ონა** სუფიქსი, სემანტიკა არ იცვლება: **ჭედ-იშ-ონ-ა//ჭოდ-იშ-ონ-ა//ჭოდო-შ-ონ-ა** - სახნავი და ბუჩქნარი ეზარქუეში; სახნავი სოფ. ლექაჯაიეში, მარტვილის რ-ნი;

ასევე ერთი მაგალითი დაფიქსირდა, სადაც ორი სუფიქსის სინთეზია და ორივე, ფაქტობრივად, მრავლობითობის გამომხატველია: **ნეძ-(ო)ბ-ონ-ა//ნეძ-ობ-ონ-ი //ნეძ-ობ-ან-ა//ნეძ-ობ-ინ-ა** - სახნავი სოფ. ქვაითთან, კაკლნარი სოფ. ორქაში, სახნავი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი;

ბ) როგორც შევამჩნიეთ, ზოგიერთი ტოპონიმი რამდენიმე პარალელური ფორმით არსებობს. პარალელური ფორმები იწარმოება -ანა, -ენა, -ინა, -უნა, -ნა სუფიქსებით, რომელთაც იგივე სემანტიკური დატვირთვა აქვს, რაც -ონ-ა'ს (ქართული ეკვივალენტია -იან, -ნარ/-ნალ). ივარაუდება, რომ ყველა მათგანი -ონ-ა'ს ვარიაციებია. გამეორების თავიდან აცილების მიზნით, მოვიტანთ მხოლოდ ტოპონიმებს, ხოლო მათი ადგილი იხილეთ შესაბამის სუფიქსთან.

-ან-ა: ბარცხ-ან-ა, კოდოშ-ან-ა,ლაღვ-ან-ა (დაღვ-ან-ა //დუღ-ონ-ა//იდუღ-ან-ა//ლაღვ-ან-ა// ლუღ-ონ-ა //დოღ-ონ-ანაწარმოებია მცენარე ლეღვისგან: **ლუღი-დან > ლეღი > დუღი > დუღ-ონ-ა//დუღ-ან-ა)**- ღელე სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **მახ(ვ)ეატ-ან-ა //მახვატ-ან-ა, ქვაც-ანა ქვაც-ან-ა // ქუც-ან-ა** (კუნელი), **ჩერგვ-ან-ა (ჩერგვალი > ჩერგვალ-ან-ა > ჩერგვ-ან-ა -** ჰაპლოლოგია ანუ მარცვლის ჩავარდნა) - ფერდობები სოფ. ლექაჯაიეში, მარტვილის რ-ნი; **ჩერგვალი** ყურძნის ჯიშია, ძალიან ჰგავს ცოლიკაურს და ხეებზეც გადის. **ციც-ან-ა** (ციცუა სიმინდის საადრეო ჯიშია) - ყანა სოფ. ბობოთში, მარტვილის რ-ნი; **ცქვიტგშ-ან-ა, ჭოდ-ან-ა** -ფერდობი სოფ. ჯაღირაში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯაპ-ან-ა.**

-ენ-ა: ბარცხ-ენ-ა//ბარცხ-ენ-ი//ბარცხ-ი(ნ)ი (თაგვისარა)- სახნავი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **დო-ენ-ა // დო-ინ-ა**(იელი) - ბუჩქნარი სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი. **შქერ-ენ-ა//შქერ-ონ-ა**(შქერი) - სახნავი სოფ. ქვაითში; სახნავი სოფ. ნოღაში, მარტვილის რ-ნი.

-ინ-ა: ბარცხ-ი(ნ)ი, თხ-ინ-ა, თხ-ინ-ა //რთხ-ინ-ა //თხ-ინ-ა-ია - ხეობა და ბუჩქნარი სოფ. მაგანის სატყეოში; ტყე-ბუჩქნარი უბადო ღალის სათავესთან, ბუჩქნარი წყავაშლის ხეობაში, ჩაის ფართობი სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **დო-ინ-ა, კოლო-შ-ინ-ა, პანე-შ-ინ-ა // პანე-ში//პანა-ში//პალა-ში//პარაში//პალეში** - ფერდობი სოფ. საჩინოსა და ლარაში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭყო-ინ-ა** - მინდორი ქვიჯეს სათავესთან, მარტვილის რ-ნი.

-უნ-ა: ატაბ-უნა // ატამ-უნა, ბალახ-უნ-ა// ბაყახ-უნ-ა, მახატ-უნ-ა, მაჭყვად-უნ-ა (მაჭყვადური ვაზის ჯიშია) - ფერდობები სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ხოროშ-უნ-ა.**

-ნ-ა: ზაკალ-ნ-ა//ზაკაყ-ნ-ა, თხომ-ნ-ა, მახვატურ-ნა//მახატურ-ნა, ნაი-ნ-ა (ნაი ბალახის სახელია, რომელსაც საქონელი არ ეკარება) - სახნავი სოფ. ბანძაში, მარტვილის რ-ნი;

გ) -ონა-ს და მისი ვარიანტების ეკვივალენტია -ონ-ი:

ადეც-ონ-ი -ვენახი მიშახის ნაწილი ინგირისპირას, წალენჯიხის რ-ნი; **ბზაკალ-ონ-ი** - ბზის კორომიოლორის მარჯვენა ნაპირას, ოგურგინჯის სამხრეთით, სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **ბულ-ონ-ი** (ბალნარი) - ტყე-ხევი ხუდონის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **გვიმრ-ონ-ი** (გვიმრნარი) - ბორცვი სოფ. ქვაითში, ფერდობი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; დავაკება სოფ. ჭალეში, წალენჯიხის რ-ნი; დამაზ-ონ-ი (დამაზი //დამასკი - ქლიავის სახეობა, მიჩნეულია, როგორც დამასკოს ხილი) - სახნავი ოღუელალის სათავესთან, სოფ. ჩქვარელი, წალენჯიხის რ-ნი; დინცხ-ონ-ი (დინცხი - ჯაგარცხილა)- საძოვარი სოფ. ჯვარში, წალენჯიხის რ-ნი; **დუცხ-ონ-ი** (დუცხუ - ხის სახეობა) სოფ. ჯვარი, წალენჯიხის რ-ნი; **დგრჩ-ონ-ი** (დგრჩი - ძირთეთრა იგივე ლაჰაგვაჯა) - სოფ. მაგანას სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **დგრცხ-ონ-ი** (დგრცხგ ეკლიანი ბალახია) - საძოვარი მინდორი სოფ. მაგანას სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ვერხ-ონ-ი** (ვერხვნარი) – ჭალა-სახნავი სოფ. ორქაში, მარტვილის რ-ნი; **ელ-ონ-ი//ეჲ-ონ-ი** (ეჲი > ეი, მაგრამ არის კიდევ ელ-ონ-ი > ეჲ-ინ-ი - იელი) - მინდორი სოფ. ხუნწში, სადაც ხაროზდა იელი, მარტვილის რ-ნი; **ზაკაყ-ონ-ი** (ზაკაყ - გზა) - ბუჩქნარი სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **თხირ-ონ-ი** (თხილნარი) - ბუჩქნარი ქადაშ გვალაში, სოფ. ლარა, წალენჯიხის რ-ნი; რ-ნი; **თხუმლ-ონ-ი** (თხემლნარი) -ტყე და ბუჩქნარი სოფ. ნაშამგუში, წალენჯიხის რ-ნი; **თხუმ-ონ-ი//თხომუ-ონ-ი// თხომურ-ონ-ი** - მინდორი ლეკეკელეში, სახნავი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **კაკლ-ონ-ი > კაკლ-არ-ონ-ი** (ეკალნარი, შამბნარი, ჯაგნარი) - სოფ. ნაკიფუ, წალენჯიხის რ-ნი; **კვადაც-ონ-ი** (კვადაცი - ქაცვი) - სახნავი სოფ. ორქაში, მარტვილის რ-ნი; **კორჩხელ-ონ-ი** (ეკალ-ღიჭი) - ადგილი სოფ. ლებარდეში, მარტვილის რ-ნი; **ლაგვაგვი-ონ-ი** (ლაგვაგვია ანუ ლაგვიმარაია იგივე ლაგ(უ)მორია არის გვიმრისნაირი მცენარე, მხოლოდ უფრო მაღალი, ქართულად ჰქვია ჩადუნა) - სათიბი და

ტყე-საძოვარი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ლარჭემ-ონ-ი** (ლარჭემი - ლერწამი. ლარჭემი ასევე ჰქვია ლერწმისაგან გაკეთებულ სალამურს) – ტყე სქურისადა ჯვარის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი. **მაჭყვადირ-ონ-ი** (მაჭყვადირი// მაჭყვადური ყურძნის ჯიშია) - ფერდობი მანცხვარღაის მარჯვენა მხარეს, მარტვილის რ-ნი; **ნუზ-ონ-ი** (ნაძვნარი) - ტყე სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ნეძ-ონ-ი** (კაკლიანი) **-** სახნავი და კაკლნარი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ტკვარჩელ-ონ-ი** (ტკვარჩელია//ტყვარჩელია - ყოჩივარდა) - სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; შდრ. ტოპონიმი ტყვარჩელი (აფხაზეთი); **ურთხელ-ონ-ი-** გორაკი სოფ. ნაგურუსა და ფახულონში, წალენჯიხის რ-ნი; **უშქურ-ონ-ი** - ჩაის პლანტაცია სოფ. ლარასა და სოფ. ფუქში, წალენჯიხის რ-ნი;**ფშალვ-ონ-ი // ფშალე-ონ-ი // ფშალუ-ონ-ი** (ფშალი -სვია) - ტყე-ფერდობი სოფ. მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ფშქერ-ონ-ი -** ტყე-ფერდობი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ქუმურ-ონ-ი//ქვიმ(უ)რ-ონ-ი //ქუმ(უ)როში //ქიმუროში //ხუმუროში** (ქუმური ვაზის ჯიშია) **-** ბორცვი სოფ. ლეციცხვაიეში, მარტვილის რ-ნი; **ცუმურ-ონ-ი** (ტყემლნარი) - ბორცვი სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **შქერ-ონ-ი** (შქერნარი) - შქაშღალის შენაკადი, სოფ. მუჟავა, წალენჯიხის რ-ნი; **ჩამვ-ონ-ი** - ტყე-საძოვარი სოფ. წყოუში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩამფა // ჩამქვა//ჩამქა //ჩამძვა // ჩამპ(ვ)ა** - მცენარე მაღალმთის ბოკვი. **ჩამპ-ონ-ი** (ბოკვნარი) - ტყე-საძოვარი ეგრისის მთაზე, წალენჯიხის რ-ნი; ჩამქვას არქეტიპია ქართ. ძელქვა, „აკაკის ხე.“ **ქართ. ძელ-ქვა > მეგრ. ჯალ-ქუა > ჯამ-ქუა > ჯამქუა // ჩამპუა > ჩამპა. ჩეიშელ-ონ-ი** (მცენარე პირწმინდა) - ადგილი ლებარდის ტერიტორიაზე, მარტვილის რ-ნი; **ჩიქ-ონ-ი**(მეგრ. ჩიქი - ქართ. მცენარე მარმუჭი) - ადგილი სოფ. ლარაში, წალენჯიხის რ-ნი; **ცაცხუ-ონ-ი** (ცაცხვნარი) -ტყე-ხევი ხუდონის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცინტური-ონ-ი** (ასისთავა) - ადგილი სქურისსატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცუ-ონ-ი** (თელნარი) - ტყე მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხიმერ-ონ-ი** (რცხილნარი) - ტყე-გორა მეგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხიმრ-ონ-ი (ცხიმ-ურ-ონ-ი)** -რცხილნარი მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი;**ძგძგრ-ონ-ი** (მაყვლოვანი) **-** ტყე-საძოვრები ჯვარის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **წელამ-ონ-ი** (წელა-წელამი ერთგვარი ბალახია იგივე შალაფა; არსებობს ჭითა წელა, რომელსაც სხვაგვარად წერაქვაც ჰქვია)- ტყე სქურის

სატყეოში, საძოვარი სოფ. ჯგალში, ვაკე-სერი სოფ. ლეხარჩალეში, წალენჯიხის რ-ნი; **წელ-ონ-ი** - ტყე-საძოვარი, სოფ. მუჭავა, წალენჯიხის რ-ნი; **წერაქვ-ონ-ი** (მეგრ. წერაქვი - ქართ. მცენარე თომი) - ადგილი ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **წირლუ-ონ-ი** (წირლუ - კატაბარდა) - ადგილი სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭველ-ეფ-ონ-ი //(ო)ჭველ-ეფ-ონ-ი** (სამმაგი სუფიქსაციის მაგალითია, ჭველა - ახალამოყრილი, ნორჩი თხმელა) - ბუჩქნარი სოფ. წყოუში, ბუჩქნარი სოფ. ნაგუროში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭველ-ონ-ი//ჭველ-ონ-ი-ა** (ჭველა - ახალამოყრილი თელა) -სახნავი სოფ. ლარაში, თხმელნარი სოფ. ნაკიფუში, ბუჩქნარი სოფ. მუჭავაში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭუბურ-ონ-ი**(წაბლნარი) - ტყე-ნაკრძალი სოფ. ულურიაში, ჩაის ფართობი სოფ. მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი; **ხვიმარ-ონ-ი//ხვიმალ-ონი**- კლდე-ფართობი სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **ხვიმ-ონ-ი //ხვიმალ-ონ-ი**- ფერდობი სოფ. ქალაღალიში, წალენჯიხის რ-ნი; **ხობზ-ონ-ი** (ხობზი - შქერი) - ტყე-ხევი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ხომალ-ონ-ი** (ხურმნარი) - ხურმნარი სოფ. ლექაჯაიში, მარტვილის რ-ნი; **ჯამჰ-ონ-ი** - სახნავი სოფ. კუხეში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯაჰ-ონ-ი** (თუთნარი)- სოფ. ქვაითი, მარტვილის რ-ნი.

ნაგენეტივარი სახელი გაფორმებული **-ონი** სუფიქსით: **ბულ-შ-ონ-ი//ბულშვან(დ)ი** - ტყე-ფერდობი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი;

კრებითობის მნიშვნელობას ამჟღავნებს **-ერ/-ურ** სუფიქსიც:

სხუი-ერ-ი (ქართ. მსხალი) - ჭალა, სახნავი ოღუეს გვერდით, მარტვილის რ-ნი; **ფშალ-(უ)რ-ი //შჰალ-ურ-ი** - აქ ხარობდა სვია-ფშალე, რომლისგანაც მზადდებოდა დროჟი, სოფ. მაზანდარა, წალენჯიხის რ-ნი; ორმაგი სუფიქსაცია: **მოხა-შ-ურ-ი** - მდინარე სოფ. უშაფათში, სენაკის რ-ნი;

ებ-ურ- ორმაგი სუფიქსი კი მსგავსების სემანტიკას იძლევა: **სხულ-ებ-ურ-ი** (მსხლისნაირი) - ღელე სოფ. ფახულანში, წალენ-ჯიხის რ-ნი;

დ) -ია სუფიქსი კნინობითობის გამომხატველია მეგრულში. კნინობითობას აღნიშნავს -ია შემდეგ ტოპონიმებში, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ აქ გვაქვს ორმაგი სუფიქსური წარმოება, კრებითობა-კნინობითობის სინთეზი: -ონ-ია. თუმცაღა ესენი -ონ სუფიქსიანი ფორმების პარალელურად არსებობენ.

თხ-ინ-ა-ია, კამფარ-ონ-ია, ჩელ-ონ-ია - ტყე-ხევი სოფ. ლეთ-კანთში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩელი** მარადმწვანე მცენარეა, შქერს ჰგავს, საქონელი არ ეკარება. ეს მცენარე ლექსიკონებში არ არის დაფიქსირებული. **წელამ-ონ-ია** - სათიბი სოფ. ნაგურუში, მინდორი მაგანის სატყეოში, წალენჯიხისრ-ნი;**ჭველ-ონ-ია.**

ე) მნიშვნელობით ისევ კრებითობის მაჩვენებელია -ონი, -ონა, -ინა სუფიქსებთან პრეფიქსი ო- ანუ მივიღეთ კონფიქსი ო---ონი, ო---ონა, ო---ინა. ***-ონ*** *სუფიქსის ფუნქციური სისუსტის შედეგი ჩანს ის გარემოება, რომ ამ ფორმებმა დამატებით სინქრონიულ დონეზე უფრო აქტიური* ***ო-*** *პრეფიქსი დაიმატეს:* ***ო-თხირ-ონ-ი*** *ტოპონ. თხილნარი (ელიავა, კატალ., 76).* ***ო-ლაკაცონ-ი*** *„სააკაციო. იგივეა, რაც ლაკაცონი, - ადგილი, სადაც აკაციები დგას (ცხად.,ტოპონ., 65). (ქირია...,2015, 199).*

ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში დადასტურდა: **ო-ლაკაცი-ონ-ი** - აკაციის ტყე სოფ სამესხიოში წალენჯიხის რ-ნი; **ო-ტუნგ-ონა** - ტყე-ფერდობი სოფ.ულურიაში, ტუნგის ნარგავები სოფ. პალურიში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ტუნგ-ონ-ი // ტუნგ-ონ-ი** - ტუნგის ნარგავები სოფ. მუჟავაში, ბუჩქნარი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ხვართქ-ინ-ა** - ბორცვი სოფ. ცაიშში. ხვართქი ერთგვარი ხვიარა მცენარეა, ხვიარა სარეველა ბალახსაც ნიშნავს. შდრ. ხვარ-თქლი ლეჩხუმურსა და გურულ დიალექტებში. **ო-ხომუ-ონ-ი //თხუმუ-ონ-ი** - ტყე-თხემლნარი სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი.

ო---ოლ კონფიქსიც იმავე მნიშვნელობას გვაძლევს.როგორც ჩანს, -ონი/-ოლი ვარიაცია დაშვებულია. ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითი შეგვხვდა: ო-ტუნგ-ოლ-ი - ტუნგოს ნარგავები სოფ. საჩინოში, ბუჩქნარი სოფ. კუხეში, წალენჯიხის რ-ნი.

ვ) გეოგრაფიულ სახელებში გამოყენებული დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი კონფიქსი ო---ე განსაკუთრებული ინტენ-სივობით ხასიათდება. მნიშვნელობით ისევ კრებითობის გამომხა-ტველია. პრეფიქსები ო-(ქართ. სა-) და ნო-(ქართ. ნა-) რეალიზე-ბულია წინა ვითარებისა და დანიშნულების სახელებში.მეგრულში ო--ე (ქართ. სა--ე) კონფიქსური წარმოება უმეტესად მიკროტო-პონიმიაში გვხვდება:

ო-ბამბ-ე - სახნავი სოფ. ეჟორდანიესა დასოფ. აბედათში, მინდორი სოფ. ქვაითსა და სოფ. ნაჯახაოში, ბორცვი სოფ. ჯოლევში; ტყე სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-ბამბუ-ე** (ბამბა) - მინდორი სოფ. ჩქვარელში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ბი-ე** (ბია -კომში) - ფუქის ტყე სოფ. ფუქიში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ბინეხ-ე //ო-ბინეხ-უ** - სახნავი მარტვილში; ვენახი სოფ. ჯვარში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ბუდ-ე** (ბუდ -ბალი) **-** ტყე ოდიშარიების მთაზე; საძოვარი მარტვილთან; **ო-ბერწუ (დ)-ე (ბროწეული > ბერწული > ბერწუდდ > ბერწუდ,** მაგრამ **ბერწული > ობერწულე > ობერწუდე)** - მთისძირა ფერდობები სოფ. ლემიქავეში; ბუჩქნარი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ო-გვიმრ-ე** -ტყე სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-დაფ-ე** - დაფნარი სოფ. მუხურჩაში, მარტვილის რ-ნი; **ო-დამაზ-ე** (დამასკი//დამაზი - დამასკური ქლიავი) - ადგილი წალენჯიხაში; **ო-დაფ-ე** (დაფნარი) - მინდორი სოფ. ჭველეში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-დურღენ-ე//ო-დურღუნ-უ //ო-დურღინ-ი** - მაყვლიანი და ტყე სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ზმეხ-ე** (ზგმეხი> ძმერხლი, საძმერხლე) - ტყე-ხევი სოფ. ფოცხოში,წალენჯიხის რ-ნი;**ო-თიფ-ურ-ე//ო-თგფ-ურ-ი //ო-თიფ-ურ-ი (თიფი -თივა)** - ჭალა-სახნავი სოფ. ლექაჯაიეში; საბალახო ნოჯიხენის მთის კალთაზე სოფ. საელიავო, სახნავი სოფ. ბობოთში, მარტვილის რ-ნი; **ო-თუთუმ-ე** (სათუთუნე) - მინდორი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ო-თხირ-ე** (თხილნარი)- თხილნარი სოფ. ნახუნაოსა და სოფ. ბობოთში, სახნავი სოფ. ნაგვაზაოსა და სოფ. ნაჯახაოში, ტყე სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-თხომუ(რ)-ე** (თხომუ -თხემლა) - ბუჩქნარი ოდიშარიების მთაზე, მარტვილის რ-ნი; **ო-(ი)-აკაცი-ე** - ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-ისინდ-ე** - სასიმინდე სოფ. ჯვარში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ისირ-ე// ო-ისგრ-ე// ო-ისგრგ**(ისირი - ისლი)- ტყე სოფ. პირველ ნოღასა დასოფ. ლეფოჩხუეში, ვაკე სოფ. ხუნწის საზღვართან; ბუჩქნარი სოფ. საელიავოსა დასოფ. ბობოთში, ჩაის ფართობი სოფ. საელიავოში; სახნავები სოფ. საელიავოში, სოფ. ლეხაინდრავოში, სოფ. ნაჯახაოსადა სოფ. ჯოლევში; თხილნარი სოფ. მუხურჩაში; ბუჩქნარი სოფ. ხუნწსა და სოფ. სერგიეთში; ისლნარი სოფ. მუხურჩაში; საძოვარი სოფ. ნახუნაოში; ტყე-ბუჩქნარი სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; ჩაის ფართობი სოფ. ეწერფერდში, ლეშამუგესა და ჭალეში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ლებ-ე//ო-ისგრ-ე** -ადგილი წალენჯიხაში; **ო-დაკაცი-ე (აკაცია >დაკაცია**

>ო-ჲაკაცი-ე) - ფერდობი ჩაის ფართობით სოფ. ქვაითში, აკაციის ტყე სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ო-ლაკაცი-ე** (ლაკაცია - აკაცია) - აკაციის ტყე სოფ. წყოუში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ლარჭემ-ე** (ლარჭემი - ლერწამი) - ტყე-ხეობა სოფ. ფოცხოეწერში, წალენჯიხის რ-ნი; **ო- ლები-ე** - ბუჩქნარი თხინას ფერდობზე და ფერდობი ლაკადაში, სოფ. ლარა, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ლისგრ-ე** (ლისგრ - ისლი) - წალენჯიხა; **ო-ლულ-ე** (ლელვნარი) - ბორცვი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-მანდარინ-ე** - ფერდობი ონთხაესთან, სოფ. საელიავო; სახნავი სოფ. ლეხაინდრავოში; ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-მელიში-ე (მელიშია - მოცვი)** - ადგილი, სადაც მოცვი მოდის, სოფ. საჩინო, წალენჯიხის რ-ნი; **ო-პურასქი-ე** (პურასქია - პრასი) - სახნავი მდ. აბაშის ჭალაში; აქ ხარობდა კვარიაშპურასქია ანუ „ყვავის პრასი," ლაზურად კვარიასკინჩი. ამ მცენარეს მეგრულში მეორენაირად ჰქვია კვარაკუჩხა ან მათირია, ხოლო ქართულში – სათოვლია. **ო-ტუნგ-ო** - ადგილი მარტვილში; **ო-ფშალუ-ე** (ფშალი -სვია) - ტყე-ფერდობი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ქერ-ე** (ქერის ყანა)- ბუჩქნარი სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **ო-ღუმუ-ე** (ადგილი, სადაც მცენარე ღომი ითესებოდა) - ბუჩქნარი ცაცხვი- ფერდთან სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი; **ო-შინდ-ე** (საშინდია)- ფერდობი ხორიათში სოფ. ქვაითი, მარტვილის რ-ნი; **ო-შქერ-ე** (შქერი) - ტყე ღანჯიოურის ხეობაში; ტყე სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-ჩაი-ე** (ჩაის პლანტაცია) - ჩაის ფართობი სოფ. ლეთკანთი, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ციცუ-ე** (ციცუა -საადრეო ჯიშის სიმინდი)- ბუჩქნარი სოფ. ლემიქავეში, ტყე-ფერდობი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ო-ცხემურ-ე** (ცხიმური - ცხემლა) - ტყე სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-ცხიმურ-ე // ცხიმურ-ონ-ა** (ცხემლნარი) - სოფ. საჩინო, სოფ. ეწერი, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ჭვ-ე** (ჭვავნარი) - სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ჭვიტლურ-ე// ჭვიტლურ-ონ-ა** (ჭვიტილური ვაზის ჯიშია) - ფერდობი სოფ. ობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; პირველი ტოპონიმი **(ო-ჭვიტლურ-ე)** მიგვითითებს მცენარის გავრცელების არეალზე, ხოლო მეორე **(ჭვიტლურ-ონ-ა)**- მცენარის კრებითობის ადგილს. **ო-ჭუბურ-ე // ჭუბურ-ონ-ა** (საწაბლია, წაბლნარი) - ტყე-წაბლნარი სოფ. ეწერაში, წალენჯიხის რ-ნი; ტყე მასიეთში, სოფ. ლემიქავე; ტყე ეჟორდანიეს უბანში მარტვილში; ტყე ოდიშარიების მთაზე; ბორცვი წაბლნარით სოფ. ქვაითში; ტყე

დობერაში, სოფ. საელიავო, მარტვილის რ-ნი; **ო-ჭურიალ-ე** (ჭურიალი - მარშანცია) - ადგილი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ჭუჭელ-ე** (ჭუჭელი - ჭინჭარი) - ბუჩქნარი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ჭყონ-ე** (მუხიანი) -სახნავი სოფ. ეწერში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ჭყონუ-ე** - ტყე ბჟერის მთის კალთაზე, სოფ. ლემიქავე; ტყე-წაბლნარი სოფ. ბობოთში; საწაბლია სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ო-ხაბურზაკ-ე** (*χarbūz* veya *χarbūze* خربزه სპარსული ნასესხობაა; ხარბუზი, ხაბურზაკი -საზამთრო. ამ ფორმითაა შემოსული მეგრულში, ქართული ენის აჭარულსა და გურულ დიალექტებში, ხოლო ქართლურსა და კახურ დიალექტებში გვხვდება ყარფუზის ფორმით) - ფერდობი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-ხარდან-ე** (ხარდანი ვაზის ჯიშია) - ფერდობი სოფ. ჯოლევში, ტყე-ფერდობი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ო-ხაჯ-ე** (ხაჯი - ცერცვი) - ბუჩქნარი სოფ. ლექაჯაიესა და სოფ. საელიავოში, ბუჩქნარი მდ. ღაიას მარცხენა ნაპირზე, სოფ. ლემიქავე, მარტვილის რ-ნი; **ო-ჯაპ-ე //ო-ჯამპ-ე** (თუთნარი, სათუთია) - ჩაის ფართობი სოფ. ლეკვანტალეში; სახნავები სოფ. ქვაითში, სოფ. ლეკეკელესა დასოფ. ნაჯახაოში, მინდორი მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას, გზის პირი სოფ. ნაგვაზაოში, მარტვილის რ-ნი; სახნავი და ბუჩქნარი სოფ. ლიასა და ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი;

მხოლოდ სამი მაგალითის შემთხვევა გვაქვს, როცა ანალოგიური კონფიქსით სიტყვა ნაგენეტივარია: ო-ბურღ-ე-შ-ი (ბურღი-ბუერა)- ბუჩქნარი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ო-კვანტი(ჲ)-ე-ში** (კვანტი(ჲ)ა მცენარეა, რომელსაც ქიჯი(ჲ)ოჯასაც ეძახიან იგივე, რაც იმერული ფხალი სკვანტილა - მუსკანტურა) - ბორცვი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი. **ო-(ნ)წყე-ეშ-ი** (წყიი, წყვი -წყავი) - ბუჩქნარი ცხვატასა და მენჯს შუა, სოფ. აბედათი, მარტვილის რ-ნი; **ო-წყიე-ში** - ბუჩქნარი მეინჯსა და ცხვატას შუა, სოფ. სერგიეთი; **ო-ჭური-ე-ში** (ჭურია ბალახის სახელია) - სახნავი სოფ. სერგიეთში, მარტვილის რ-ნი.

განსხვავებული დერივატებით იმავე სემანტიკას იძლევა შემდეგი მაგალითები:

ო-თხომ-უ (თხილნარი) - ტყე სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი; **ო-ღუმ-ო-ი //ო-ღუმ-ოლ-ი (ღუმუ - ღომი)** - მინდორი მდ. ტარჩენის ნაპირას, სოფ. აბედათი, მარტვილის რ-ნი;

ყომურ-ი-ათ-ი (ტყემლნარი) - ფერდობები სოფ. ზემო ხუნწში, მარტვილის რ-ნი;

ჭუბურ-ე-ანი // ჭუბურ-ოვან-ი - სახნავი სოფ. ონოღიაში; მარტვილის რ-ნი;

სა--ო: კონფიქსი მეგრულისათვის შედარებით ახალია და ქართულიდან არის შესული:

სა-ლობიო//ო-ლები-ე - ფერდობი სოფ.მედანში, წალენჯიხის რ-ნი; **სა-სოტოლი-ო (სოტელია // სოტოლია - წითელი მხალი)** - სოფ. ჭალის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **სა-ჯაპ-ო** - ჩაის ფართობი მდ. ტარჩენის მარჯვენა ნაპირას, სოფ. აბედათი, სახნავები მარსილაში სოფ. ჯოლევსა და სოფ. ნაგვაზაოში, მარტვილის რ-ნი;

ზ) ***ქართულ ტოპონიმიაში წინა ვითარების სახელებს აწარმოებს ნა- პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსთან ერთად. ლაზურში ამავე ფუნქციით შეესატყვისება ნო--ენ ცირკუმფიქსი და მეტწილად მიკროტოპონიმიაშია დადასტურებული*** **(ქირია..., 2015, 196). მეგრულში წინა ვითარების სახელთა მაწარმოებლად ფუნ-ქციონირებს ქართულიდან შეთვისებული ნა- პრეფიქსი:**

ნა-ბინეხ(ე) (ნავენახარი) - სახნავი სოფ. ჯაღირაში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ისირ(ე)** (ნაისლარი) - ღელე და ხევი სოფ. ობუჯი, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ისჳრ(ე)//ნა-ისჳრეში** - ჩაის ფართობი, სოფ. ლია; სახნავი სოფ. ჩქვალერი; ბუჩქნარი სოფ. ფახულანი; პატარა ხევი სოფ. კუხე, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ლაზუტ-(ი)** (ლაზურად ლაზუტს სიმინდს უწოდებენ) - ბუჩქნარი წალენჯიხაში; **ნა-ობინახ(ე)** - ჩაის ფართობი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ოისჳრე** (ნაისლარი) - ბუჩქნარი სოფ. ეწერში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ქერე (ნაქერალი)** - ბუჩქნარი სოფ. მედანში, ფერდობი სოფ. ეწერ-ფერში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ქობაი** - სახნავი სოფ. ლეცეცხვაიეში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ქობალ(ე)** (ნაპურალი) - ტყე-ბორცვი, ვაკე-საძოვარი, პატარა ტყე, სათიბი სოფ. მუჟავაში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ჭარხალ(ე)** (ნაჭარხალი) - სოფ. მედანი, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ჭვიტილუ** (ჭვიტილური ვაზის ჯიშია) - ტყე-ფერდობი სოფ. მაზან-დარაში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ჭკედე** (ჭკიდი - ჭადი, ფეტვი) - ტყე-ფერდობი, სათიბი, ბუჩქნარი, სოფ. ჯაღირაში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ხაჯ(ე)** (ნაცერცვალი) - მინდორი და დავაკება სოფ. ჩხვარელში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ჭახალ-(ი)** (ნაჭარხლარი) - სახნავი სოფ. ნახუ-ნაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭყვად-ურ-ი** - სახნავი სოფ. ხუნწში,

მარტვილის რ-ნი; **ნა-ხაჯ-ი** - ნაცერცვალი სოფ. ორქაში, მარტვილის რ-ნი;

თ) ყველაზე პროდუქტიულია ნა- -უ წარმოება (ნა- ქართული პრეფიქსია, -უ / > გ კი ქართ. -ავ სუფიქსის შესატყვისი (ფენრიხი-სარჯველაძე, 2000, 351);

ნა-ანჯ-უ // ნა-(ი)-ანჯ-უ (იანჯი -კოპიტი) - ღელე სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ბამ(ო)-უ// ნა-ბამბ-უ// ნა-ბამბუ-უ// ნა-ბამბ(გ)** (ნაბამბარი)- საბალახოები სოფ. ნალეფსაოსა და სოფ. ნახუნაოში, ბუჩქნარი სოფ. ქვაითთან, სახნავი სოფ. ბობოთში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ბინეხ-უ //ნა-ბუნეხ (გ) // ნა-ო-ბინეხ(უ)// ნა-ბინეხ-ი** (ნავენახარი) - ფერდობი სოფ. ქვაითში; სახნავი სოფ. აბე-დათსა დასოფ. ჯოლევში, ტყე სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ნა-თიფ-ურ-უ //ნა-თიფ-ურ-ენ-ი** - საძოვარი სოფ. ნახუნაოში, მარტვი-ლის რ-ნი; **ნა-თხირ-უ** (ნათხილარი)- სახნავი ეკაკიეს უბანში სოფ. აბედათი, აქ მოდიოდა მიწისთხილი; სახნავი სოფ. ნაგვაზაოში; ბუჩქნარი სოფ. ქვემო ნაგვაზაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ისირ-უ //ნა-ისირ-გ // ნაისგრ-გ // ნაისგრ-(გ)** (ნაისლარი) - სახნავები დიდ-ღაის სათავესთან, სოფ. ქვაითი, სოფ. ნალეფსაოში, სოფ. ბანძაში, სოფ. ლეხაინდრაოსა და სოფ. ნახუნაოში, მინდორი სოფ. ქვაითში, საძოვარი სოფ. ლექაჯაიეში, ჯაგნარი სოფ. ქვაითში, ტყე საყუ-რუოში სოფ. ჯოლევი,ტყე სოფ. ჭაბურთაში, ბუჩქნარისოფ. ბობოთ-ში, სოფ. ხუნწსა და სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ნა-კვეც-უ** - ბორცვი სოფ. სერგიეთში, აქ მზადდებოდა კვეცი - თხილის ან ლეკუხის წკნელი; **ნა-კიფ-უ** (ნაკანაფარი; კიფი - კანაფი) - ტყე სოფ. ნალეფსაოში, მარტვილის რ-ნი; ტყე-საძოვარი სოფ. ფოცხოეწერსა დასოფ. ნაკიფუში წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ლები-უ** (ლებია - ლობიო) - ვაკე ადგილი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-მანდარინ-(უ)** - ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, კაჭიჭი ბაღუში (სქუას) ნამანდა-რინევი ადგილი სოფ. სკურდი, მარტვილის რ-ნი; **ნა-მანდარინ //ნა-მანდარინ-გ // ნა-მანდარინ-უ** -სახნავი სოფ. ქვაითში; საძოვარი სოფ. ხუნწში; ადგილი სოფ. ლეციცხვაიეში, მარტვილის რ-ნი; ტყე სოფ. საჩინოში, სახნავი სოფ. კუხეში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ო-ბამბ-უ** - სახნავი აბედათსა და სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ო-ბინეხ(უ)** (ბინეხი- ვენახი, ნავენახარი) - სახნავი მეშქარიაღალის სათავესთან, სოფ. აბედათი; ბუჩქნარი სოფ. ჯოლევთან; საძოვარი სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ო-ისირ-(უ) // ნა-ო-ისგრგ**

//ნა-ო-ისგრ(გ)//ო-ისგრე - ჩაის ფართობი ტებღალის ნაპირას;ტყე სოფ. წინაკვერკვეში, საძოვარი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ო-თიფ-ურ-ენ-ი** (თიფი -თივა) - საძოვარი სოფ. ლემიქავეში; **ნა-პერელ-უ** (პერილა ერთწლიანი ბალახი, რომელიც გამოიყენებოდა პირუტყვის საკვებადაც. ამ მცენარის თესლისაგან ხდიდნენ ზეთსაც) - მინდორი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ურიშ-ი** (ურიში-კოლხური ხორბლის ჯიშია)-ვაკე-მინდორი სოფ. აბედათში, მარტვილის რ-ნი; **ნა-უშქურ-უ** (ნავაშლარი) - სახნავი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ფატ-უ** (ნაფეტვარი) –ბუჩქნარი და ჩაის ფართობისოფ. ნაშამგუ, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ფსულ-უ** (ფსუ -სელი) - ფერდობი და ვაკე სოფ. საჩინოში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ქერო-უ //ნა-ქერ-(ოუ)//ნა-ქერ-უ** (ნაქერალი)- მინდორი სოფ. ჯოლევში; საძოვარი სოფ. ხუნწში, ფერდობი სოფ. ნალეფსაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ქობაი//ნა-ქობაჲ-უ//ნაქობალ (გ) // ნა-ქობალ-უ** (ნაპურალი)- ფერდობი მდ. თათულაის სათავესთან, სოფ. ნალეფსაო, ბუჩქნარი სოფ. აბედათსა და სოფ. ნახუნაოში; ტყე-ფერდობი სოფ. ლემიქავეში;მინდორი სოფ. ლექაჯაიეში, სადაც კოლხური ჯიშის ხორბალი ითესებოდა; სახნავი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; სახნავი სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ღუმუ-(უ) // ნაღუმუ //ნა-ღუმუ-უ** (ნაღომარი)- ტყე ბჟერის მთაზე; ადგილი სოფ. ბანძაში, მარტვილის რ-ნი; სახნავი, ბორცვი და ვაკე სოფ. ნაშამგუში, წალენჯიხის რ-ნი; ღომი ფეტვისებრთა ოჯახის ერთწლიანი თავთავიანი მცენარეა. გავრცელებული იყო კოლხეთში. არქეოლოგების დასკვნით, იგი ჯერ ჩვ. წ-აღ-მდე არსებობდა. მისგან მომზადებულ ღომს ღუმუშ ღუმუ ეწოდებოდა. **ნა-ციც-უ** (ციცუა საადრეო სიმინდის ჯიშია) - ყანა სოფ. ბობოთში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭად-ენ-ი** (ჭადია//ჭადიე მარწყვისნაირი კენკრაა, ახლა აღარ არის)- ტყე-საძოვარი ბჟერის მთის კალთაზე, სოფ. აბედათი, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭახაჲ-უ** (ჭახაჲ -ჭარხალი) - ჩაის ფართობი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭკიდ-უ//ნა-ჭკიდო-უ//ნა-შკიდ-უ** (ჭკიდი -1. ჭადის ჭადი 2. ფეტვი) - ტყე სოფ. ეჟორდანიეში; ბუჩქნარი სოფ. ლექაჯაიეში, სადაც წინათ ჭკიდი (ფეტვი) ითესებოდა; მინდორი სოფ. ლეხაინდრავოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭ(ო)უ** (ნაჭვავარი) - საძოვარი სოფ. აბედათში; მინდორი სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭ-უ//ნა-ჭვ-ი//ნა-ჭო-უ** (ჭვავი) - საბალახო ეთაფლანძეში; მინდორი სოფ. ბანძაში; სახნავი

სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭუბურ-უ** (ნაწაბლარი) - სახნავი სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჭყონ-(უ)** - ტყე-ბორცვი სოფ. ნალეფსაოში; ამ ადგილს ჭყონჯინჯისაც უწოდებენ. **ნა-ხარან-უ //ნა-ხარან-(უ)//ნა-ხარამ-უ** (ხარანი იგივე ხარდანი ვაზის ჯიშია) - სახნავი სოფ. სტეფასდაბალში; სახნავი სოფ. ნაგვაზაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ხარდან-უ //ნა-ხარდან-(უ)** (ხარდანი ყურძნის ჯიშია) -ბორცვი მდ. სკურჩის გვიმრაღაის შესართავთან, სოფ. აბედათი; მინდორი სოფ. ბანძაში; ბორცვი სოფ. წინაკვერკვეში; სახნავი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ხაჯ-უ** (ხაჯი -ცერცვი) - ბუჩქნარი სოფ. ქვაითთან; ჩირგვნარი სოფ. ჯოლევში; სახნავი სოფ. ბანძასა და სოფ. ლეკეკელეში; სახნავები სოფ. ონოღიაში, სოფ. ნაგვაზაოში, სოფ. ნახუნაოში, სოფ. ნაჯახაოში, სოფ. ლეხაინდრავოსა და სოფ. სტეფასდაბალში; ბუჩქნარი სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ჯამპ-უ** (ნათუთარი) - ბუჩქნარი სოფ. ეწერფერდში, წალენჯიხის რ-ნი;

ი) ფუძე ერთია,დერივაციული გაფორმება განსხვავებული, სემანტიკა - უცვლელი:

ნა---ა: ნა-ცაცხვ-ერ-ა - გორა სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი.

ნა---ე: ნა-თიფ-ურ-ე (თიფი-თივა) - სახნავი სოფ. აბედათსა და სოფ. ბობოთში, ჩაის ფართობი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი;

კ) მეგრულსა და ლაზურში წინა ვითარების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება ნო- პრეფიქსი და ნო--ენ პრეფიქსს-სუფიქსი. ნო-ქართული ნა-წინსართის ადეკვატია.ნო- პროდუქტიულობით არ ხასიათდება. აქაც დერივაციული გაფორმება განსხვავდება, შინაარსი იგივეა.

ნო---ნი

ნო-ჭადე-ნი (ჭადი არის ფეტვი და სოკოს სახელიც)- ფერდობი სოფ. ქვაითში; მინდორი სოფ. ლემიქავეში; ტყე სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი;

ნო---უ: ნო-თხირ-უ (ნათხილნარი) - სახნავი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი;

ლ)ლე- პრეფიქსი -ე სუფიქსთან გვარებისაგან აწარმოებს ადგილის სახელებს (ტოპონიმებს): **ლე-სიჭინ-ე** (შდრ. გვარი სიჭინა), **ლე-გაგუ-ე** (შდრ. გაგუა), **ლე-კაჭარ-ე** (შდრ. კაჭარა), **ლეკეკელ-ე** (შდრ. კეკელია), **ლე-პატარ-ე** (შდრ. პატარაია), **ლე-დგები-ე** (შდრ. დგებია), **ლექაჯაი-ე** (შდრ. ქაჯაია)...(ქირია..., 2015,

193). სავარაუდოა, რომ ადრე ის საზოგადო სახელებსაც ერთოდა: **ლე-ფშალ-ე** (შდრ. ფშალე//ფშაე „სვია“), **ლე-გვიმარ-ე** (შდრ. გვიმარა „გვიმრა“), **ლე-შქიშქილ-ე** (შდრ. შქიშქილი „ლორთქო, ნორჩი ბალახი, ყლორტი“) (ცხადაია, 1999, 72).

ჩვენთან დადასტურდა ორი მაგალითი. **ლა-/ ლე- : ლე-ჭვიტილ-ე// ნა-ჭვიტილუ** (ჭვიტილური ვაზის ჯიშია) - ტყე ფერდობი მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი;

ლა-ხუნწ-არ-ა (ხუნწი - მოცხარი) - სოფ. ჭალის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი;

მ) -ალ/-ელ სუფიქსური წარმოების მხოლოდ ერთი მაგალითი დაფიქსირდა:

ჭყონ-ალა//ჭყონ-ელ-ა - საკულტო მუხნარი სოფ. ორქაში, მარტვილის რ-ნი; მუხნარი სოფ. ნაკიფსა და ფუქში, წალენჯიხის რ-ნი; შდრ. ნოღელა, სუმელა.

კომპოზიტები. პრეფიქს-სუფიქსური წარმოების გარდა მრავლად შეგვხვდა ტოპონიმები, წარმოდგენილი კომპოზიტებით, რომლის ერთი შემადგენელი ნაწილი მცენარის სახელითაა გადმოცემული. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ გეოგრაფიული სახელები არ ითარგმნება, მაგრამ შედარების მიზნით ქართულად მითითებული გვაქვს ის მცენარე, რომლის სახელიც გვაქვს ტოპონიმში. კომპოზიტების კლასიფიკაციისას გამოიყო რამდენიმე ჯგუფი.

ა) *კომპოზიტები გაფორმების გარეშე.ხშირია და გავრცელებული სინტაგმური (მსაზღვრელ-საზღვრულიანი) ტოპონიმები. ამათ შეიძლება ვუწოდოთ გეოგრაფიული კომპოზიტები ან ტოპოკომპოზიტები, გამომდინარე იქიდან, რომ მათ შინაარსი გეოგრაფიული სახელებისა აქვთ, ფორმა კი რთული სახელებისა, რომელთაც არა აქვთ სპეციალური მატოპონიმიზებელი აფიქსები* (ქირია..., 2015, 190). **თხზული სიტყვის შემადგენელი ნაწილები წარმოდგენილია ყოველგვარი აფიქსის გარეშე: ბაბულული** (ლეღვის ჯიშია) - ფერდობი მდ. ნოღის მარცხენა მხარეს, სოფ. ქვაითი, მარტვილის რ-ნი. **დიდი ჭყონა** (დიდი მუხნარი) - ნატყევარი მდ. ლიარსანის სათავეებთან, წალენჯიხის რ-ნი; **დიდი ჭყონი** - მინდორი კორტეფიშ რობუში, მარტვილის რ-ნი; **დიდი ჩაი** (ჩაის პლანტაცია) - სოფ. სტეფასდაბალი, მარტვილის რ-ნი; სოფ. ლია, წალენჯიხის რ-ნი. **დი(დი) ცგ** (დიდი თელა) - ტყე-ხეობა მდ. ხურჩის სათავესთან, სოფ. ლარა, სოფ. მედანი, წალენჯიხის რ-ნი; **კაბეტნები**

(დიდი კაკლის ხე) - სოფ. ლეთკანთი, წალენჯიხის რ-ნი; **კუნტა ბული** (ბული მეგრულში არყის ხესაც ჰქვია) - ბლის ხე სქურის სატყეოში, სოფ. ობუჯი, წალენჯიხის რ-ნი; **კალამწიფური** (შალაფა, წიფელა) -ხეობა სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **მარტოხომა** (ხომა- ხურმა) - ბუჩქნარი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი;**კოლოსხული** (მწარე მსხალი) - სოფ. ქალაღალი, წალენჯიხის რ-ნი; **ნადაღა ნუზუ** (დაღდასმული ნაძვი) - ტყე სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ნამეხჭყონი** (ნამეხარი მუხა) - ტყე სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ნაჯვარწიფური** - ტყე ნოჭკადირენში, სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **ნეძგეკვათიი** (გადაჭრილი კაკალი) - ტყე-ბუჩქნარი სოფ. ლეციცხვაიეში, მარტვილის რ-ნი; **ჟირსხული** - საძოვარი სოფ ლარაში, წალენჯიხის რ-ნი; **სუმნუზუ** - ბორცვი სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **სუმცაცხუ// ცხაცხვეთი** - მინდორი წალენჯიხაში; **სხულნატახა** (გადანატეხი მსხალი) - დავაკება სოფ. ნაშამგუში, წალენჯიხის რ-ნი; **ტყარი ბული** (ბალამწარა) - ადგილი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ტყარი ცვალმინთა** (ველური პიტნა) - სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **უჩა ტყა** (შავი ტყე) - სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **უწკე ხვიმა** (უკურკო ხურმა) - საძოვარი სოფ. ლეთკანთიში, წალენჯიხის რ-ნი; **ქუჩურუა წიფური** (თავქოჩორა წიფელი) - სოფ. ჩქვარელი, წალენჯიხის რ-ნი; **ქუჩურპანტე** (თავქოჩორა პანტის ხე) - სერი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ღვლცაცხვი** (გადახრილი ცაცხვი) - დავაკება სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ღვლწიფური** (გადაფერდებული წიფელი) - ტყე სოფ. ჯვარის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩხოროცხაცხუ** (ცხრა ცაცხვი) - მინდორი სოფ. ლარაში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხედნები** (კერკეტი კაკალი) - სახნავი სოფ. ჯგალში, წალენჯიხის რ-ნი; **წიფურსქვამი** (ლამაზი წითელი) - ტყე სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭითა ცომური** (წითელი ტყემალი) - წყარო სოფ. ნაკიფუ, წალენჯიხის რ-ნი; **ჭითაჯა** (ურთხელი) - სოფ. ნაგურუ, წალენჯიხის რ-ნი; **ხვალახე ჭყონი** (მარტოხელა მუხა) - ჩაის პლანტაცია სოფ. ეწერსა და სოფ. ლექარდეში, წალენჯიხის რ-ნი; **ხუჯმა ჭყონი** (ხუთი ჯიმა ჭყონი - ხუთი ძმა მუხა) - ბორცვი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯვარამ წიფური** (ჯვრიანი წიფელი) - ადგილი ჯვარის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი;

გ) შემდეგი ჯგუფია ანალოგიური შინაარსის მქონე კომპოზიტებისა, სადაც საზღვრული სუფიქსითა თუ კონფიქსითაა გაფორმებული: დიდი ნა-ქობალ (დიდი ნაპურალი) - საძოვარი კგდას ფერდობზე ჭიჭე ნაქობალის გვერდით, სოფ. ჩქვარელი, წალენჯიხის რ-ნი; **დიდი ო-ჩაი-ე** (ჩაის ფართობი) - სოფ. საჩინო, სოფ. პატარა ეწერი, სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **კვარკვალია ნუზ-ონ-ი // შქაშ ნუზ-ონ-ი** (მრგვალი ნაძვნარი // შუა ნაძვნარი) - კოროში სოფ. ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **კუნტა ბარცხ-ონ-ა // კუნტა ფარცხ-ონ-ა// კუნტა ქვრცხ-ონ-ა** (მცირე შამბნარი) - ღელე და ხეობა სოფ. ობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **კუნტა ბარცხ-ონ-ი** (მცირე ჯაგნარი) - ტყე-ხევი სოფ. ობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **კაბეტი ო-ჩაი-ე** (დიდი საჩაიე) - სოფ. ეწერი, წალენჯიხის რ-ნი; **პიტა ქობალ-ონ-ი** (ჩელტა - ზანდური) - ადგილი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **უჩა წყეი-ონ-ა (შავი წყავნარი)** - ტყე-ფერდი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **უჩა ჯა-ლ-ონ-ი (შავი ტყე)** - ნაძვნარი სოფ. ლეთკანთში, წალენჯიხის რ-ნი; **ძგაშ-ო-ჩაი-ე** (განაპირა ჩაი) - სოფ. ლესალე, წალენჯიხის რ-ნი; **ჭიჭე წიფ-ონ-ა** (პატარა წიფლნარი) - სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **ჭიჭე ნა-ქობალ(ე)** (პატარა ნაპურალი) - ვაკე-საძოვარი სოფ. ჩქვარელში, წალენჯიხის რ-ნი;

ამ სამ მაგალითში პირიქით, მსაზღვრელია სუფიქსდართული: სუმცუჯაში ტყა (სამყურა ბალახი) - ადგილი სოფ. ლაკადაში, წალენჯიხის რ-ნი; **სურუამჯაპი** (სუროიანი თუთა) - ადგილი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **სურუანი ჯა** (სუროიანი ხე) - სოფ. ლაკადაში, წალენჯიხის რ-ნი;

გ) კომპოზიტის წევრები წარმოდგენილია სუფიქსური გაფორმების გარეშე, მაგრამ ივარაუდება ნათესაობითი ბრუნვის დაკარგვა, მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთება და ერთ თხზულ სიტყვად ქცევა:

ბაბაუშქური (ბამბეშ უშქური - ბამბავაშლა)- ტყე და ხილნარი საქებურიოში, წალენჯიხის რ-ნი; **ბამბეწყარი // ბამბეწყუ** (ლბილი წყალი) - ადგილი სოფ. ნახუნაოში, სოფ. წინაკვერკვე; **ბარცხვან-ღალ(ი) // ფარხვალღალ(ე)** (ბარდნარ ღელე) - ღელე-ხეობა ტებენის მარჯვენა შენაკადი, წალენჯიხის რ-ნი; **ბზაკალ გეშალ(ე)** (გასასვლელი ბზის ხეივანში) - წალენჯიხის რ-ნი; **ბიაჯინჯი** (კომშის ძირი) - სახნავი სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **ბუიწყუ** (ბლის წყარო) - საძოვარი მდ.აბაშის მარჯვენა ნაპირას; ჭალა სოფ.

ბომბოთში, მარტვილის რ-ნი; **ბუიჯინჯი** (ქართ. ბლის ძირი) - სახნავი სოფ. ვედიდკარში, მარტვილის რ-ნი; **ბულგა** (ივარაუდება ბულიშ გა - ბლის სერი) - ტყე-საძოვრები სოფ. ნასამგუში, წალენჯიხის რ-ნი; **ბულრზენი** (ბლის ვაკე) - სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ბურლონალალ(ე)** - ღელე და ხეობა სოფ. წყოუში, ჭალაღალი და ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **ბურლონაწყარი** (ბუერნარის ღელე) - წყარო სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ბულურგულ-ი**(ბუერათა გული (ცენტრი)) - მიკროუბანი მდ. მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **გგნძებული // გგრძე ბული** (გრძელბალა) - მთა-საძოვრები ჭანისწყლისა და ხობისწყლის ხეობას შორის, წალენჯიხის რ-ნი; **გვიმარაღალ(ე), გუმარაღალ(ე), გუმრაწყარი** (გვიმრის წყალი) - ღელე და ხეობა ენწერში სოფ. ლემიქავე, მარტვილის რ-ნი; **დადი(შ)ჯაჰი** (ქართ. დადის თუთა) - მინდორი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ზაკალონფერდი // ნუზუშფერდი** (ზაკალი - გზა) - ტყე ფერდობებიზაკალონღალის სათავესთან სოფ. მაზანდარა, წალენჯიხის რ-ნი; **თე(ი)აჯინჯი** (თელის ძირი) - სახნავი სოფ. ვედიდკარში, მარტვილის რ-ნი; **თხირმენჯი** (თხილის ვეძა)- ვაკე-ტყე სოფ. მუჟავაში, წალენჯიხის რ-ნი; **თხომუჯინჯი**(ქართ. თხემლის ძირი) - ჩაის ფართობი სოფ. აბედათში, მარტვილის რ-ნი; **თხომლონწყუ//მიხაშ წყუ** (თხემლნარის წყარო ან მიხას წყარო - ორივე სახელი ჰქვია)- ღელე სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **თხუმტობა** (თხმელის ტბა) - სოფ. ლექარდე, წალენჯიხის რ-ნი; **კაკლარონი სუკი** (ჯაგნარის ბორცვი) - სოფ. ნაგურუ, წალენჯიხის რ-ნი; **კაკუ ფარონი** (კაკუს გაფოთლილი ტყე) - სოფ. ნაკიფუ, წალენჯიხის რ-ნი; **კიცხირფონი** - ფონი მდ. ტეხურაზე, სოფ. ჯოლევი, მარტვილის რ-ნი; ამ ფონთან ხარობს მცენარე კიცხირა, რომელიცქაცვის მსგავსია; **ლეფონჯარა** (ლეფონი - ლაფანი) - ჭანისწყლის მარცხენა შენაკადი, წალენჯიხისრ-ნი; **მაჩარკატყა** (რუს. მაჩალკა (мачалка)-ლუფა)-ტყე ეკინწურესქუეში, სენაკისრ-ნი; **მიხაშიარი** (შიარი - შამბნარი) - ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **სხულტობა** (მსხლის ტბა) - ქვაბული სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ურთხელაჯინჯი** (ურთხმელის ძირი) - ტყე სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **უშკურკვანა //უშქურყვანა-** სახნავი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **უშქურტობა**(ვაშლატბა) - მორევი სოფ. ლეკეკელეში, მარტვილის რ-ნი; მორევი სოფ. ჩქვა-

რელში, წალენჯიხის რ-ნი; **ფშერ(ამ) ღალ(ე)** - შქერის ღელე ეწერ-ფერდში, წალენჯიხის რ-ნი; **ფშქერღალ(ე)** - შქერის ღელე სოფ. ლიაში, წალენჯიხის რ-ნი; **ცომურჯინჯ** (ტყემლის ძირი) -სახნავი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ცუმურჯინჯი** (ტყემლის ძირი) - საძოვარი სოფ. მუხურჩაში; სახნავი სოფ. ბანძაში, მარტვი-ლის რ-ნი; **შქერღალ(ე)//შქერ(ამ)ღალ** (შქერის ღელე) - ღელე სოფ. ჭალესა და ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩიტღული** (ჩიტილეღვა) -სოფ. ჯგალი, წალენჯიხის რ-ნი; **ცაცხუჯინჯი // ც(ხ)აცხუნჯინჯი //ცხაცხუჯინჯი** (ცაცხვის ძირი) - მინდორი სოფ. ლემიქავეში და სოფ. ბანძაში; ბორცვი სოფ. საელიავოსა და სოფ. აბედათში; ად-გილი სოფ. ბობოთის ცენტრში, მარტვილის რ-ნი; **ცაცხუ საბარგო** (საბარგო -მწყემსების დასაბინავებელი ადგილი) - ტყე სოფ. ნაგუ-რუშუ, წალენჯიხა; **ცაცხუე ფერდი**(ცაცხვის ფერდობი) - ბორცვი სოფ. აბედათში; ბორცვი ლექაჯაიეს საზღვართან, მარტვილის რ-ნი; **ცხაცხუგა** (ქართ. ცაცხვის სერი) – მინდორი სოფ.ლექაჯაიეში, მარტვილის რ-ნი; **ცხიმურ საბარგო** (მწყემსების სადგომი) - დავა-კება მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხი(მუ)რმონწყვილი** - ტყე ნორსელიაში, სოფ. ქალაღალი, წალენჯიხის რ-ნი; **ცხიმურტობა** - მორევი სოფ. ნაგურუსა დაობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **წიფურტობა** (წიფლის მორევი) - მორევი სოფ. ობუჯში ჭენწყალზე, წალენჯიხის რ-ნი; **წიფურჯინჯი** (ქართ. წიფლის ძირი) - მინდორი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ჭადარჯინჯი** (ჭადრის ძირი) - ჭალა მდ. აბაშის პირას, სახნავებისოფ. აბედათში, სოფ. ლეხაინდ-რაოში, სოფ. სტეფასდაბალში, სოფ. ონოღიასა და სოფ. ჯოლევში, მინდორი მდ. ცხენისწყლის ჭალასა და სოფ. ხუნწში, გზაჯვარე-დინი სოფ. ნახუნაოში, შუკა ლებახიეს უბანში სოფ. ხუნწი, მარტვი-ლის რ-ნი; **ჭუბურღალ(ე)** - მდ. ქალაღალის მარცხენა შენაკადი, სოფ. ქალაღალი, წალენჯიხის რ-ნი; **ჭყონჯინჯი// წყონჯი(ნჯი)** (მუ-ხის ძირი) - მინდორი სოფ. მახათში, სახნავები სოფ. ჯოლევსა და სოფ. აბედათში; ტყე სოფ. წინაკვერკვეში; ფერდობი სოფ. ბობოთში, მარტვილის რ-ნი; **ხვიმროზა (> ხვიმაშ როზა** - ხურმის ხევი) - ტყე-ხეობა მაგანას სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯაჭინჯი** - სახნავი სოფ. ჯოლევში; მოსაცდელი სენაკი-მარტვილის გზაზე; სახნავი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი;

ანალოგიური სემანტიკაა ამ ორ მაგალითშიც, მხოლოდ საზღვრული სუფიქსებითაა გაფორმებული: **ტყაწიფ-ონ-ა** - ტყე-წიფლნარი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი;**ჩიტლულ-ონ-ი** - ვიწრო და ღრმა ხევი ლეფიფიეში სოფ. ლეშამუგე, წალენჯიხის რ-ნი;

დ) მეგრულის ნათესაობითი ბრუნვის მხოლოდ ნაწილია შენარჩუნებული შემდეგ კომპოზიტებში:

ნაისგრ(გ)ღალი (ნაისლარი ღელე) - ჭენწყარის მარჯვენა შენაკადი სოფ. ობუჯი, წალენჯიხის რ-ნი; **ნეიჯინჯი//ნეძიჯინჯი** (ქართ. კაკლის ძირი) - სახნავები სოფ. ონოღიაში, მუხურჩასა და სახნავი ლეპატარავეში; მინდორი ლეკეკელეში, მარტვილის რ-ნი; **ფრია(ი)ჯინჯი** (ქართ. ვერხვის ძირი) - სახნავი სოფ. ვედიდკარში, მარტვილის რ-ნი; **სხუჟენწერი< სხუი-შ-ენწერი //სხვეინწერი// ცხვეინწერი** (მსხლის ეწერი) - სახნავი ოღუეს გვერდით, მარტვილის რ-ნი; ბორცვი სოფ. ქვაითში, წალენჯიხის რ-ნი; **ფარფაიჯინჯი** (ფარფაი - ვერხვი) - მინდორი ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ცხაჯინჯი** - მინდორი სოფ. ბანძაში, მარტვილის რ-ნი; **ცხაცხვიფერდი** - ბორცვი სოფ. ფუქში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხვაცხვი საბარგო** - მწყემსების სადგომი სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **ცხვაისუკი //ცხვაცხვი სუკი//სხვასხვისუკი**(ამ ადგილს მირსობაშ სუკისაც ეძახიან) - ბორცვი სალოცავითა და სასაფლაოთი სოფ. ლეჯოლიხესა და ლეღვინჯილეში, წალენჯიხის რ-ნი; აქ მდგარა დიდი ცაცხვი, რომელზეც წარმართობის პერიოდში ლოცულობდნენ. ქრისტიანობის დროს აქ ესვენა ჯინჯიხატი (მთავარი ხატი) და წმინდა გიორგის სალოცავი ყოფილა. მირსობა იგივე ნირსობაა ანუ მითრაიზმის კულტისადმი თაყვანისცემა. **ჭყონ(ი) ჭა(ი)ე** (მუხის ჭალა) - საბალახო სოფ. ნახარებავოში, მარტვილის რ-ნი; **ჭყონიხინჯ(ი)** (მუხის ხიდი) - სახნავი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ჭყონ(ი)ჯინჯი //ნა-ჭყონ-(უ)** - ტყე-ბორცვი მდ. თათულიას ნაპირას, სოფ. ნალეფსაო, მარტვილის რ-ნი. **ჯაპ(ი)ჯინჯი** (ქართ. თუთის ძირი) - სახნავი სოფ. მუხურჩაში, მარტვილის რ-ნი.

ე) მართვით დაკავშირებული კომპოზიტები:მსაზღვრელ-საზღვრული დაკავშირებულია ერთმანეთთან მართვის წესით. აქ გამოვყავით სამი ქვეჯგუფი: 1) თხზული სიტყვები, რომელთა პირველი, მეგრულის ნათესაობითი ბრუნვით წარმოდგენილი წევრი, მცენარის აღმნიშვნელი სახელია; 2) თხზული სიტყვები, სადაც მსაზღვრელი მეგრულის ნათესაობითი ბრუნვით წარმოდგენილი

საკუთარი ან გეოგრაფიული სახელია, ხოლო საზღვრული - მცენარის აღმნიშვნელი სახელი, და ბოლო 3) თხზული სიტყვები, რომლის შემადგენლობაში მსაზღვრელად ისევ მეგრულის ნათესაობითი ბრუნვით წარმოდგენილი საკუთარი ან გეოგრაფიული სახელია, ხოლო საზღვრულად გამოდის მცენარის აღმნიშვნელი ნასუფიქსარი სახელი, სადაც სუფიქსს, რასაკვირველია, სემანტიკური განსხვავება შეაქვს:

1) თხზული სიტყვები, რომელთა პირველი, მეგრულის ნათესაობითი ბრუნვით წარმოდგენილი წევრი, მცენარის აღმნიშვნელი სახელია: **აკაცია-შ ჯინჯი** (აკაციის ძირი)-სახნავი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ბამბე-შ-წყარი // ბამბეწყუ** - წყარო ბჟერის მთაში, სოფ. ლემიქავე, მარტვილის რ-ნი; **ბზაკალონ-იშ ინჭა** (ბზის ჭა) - კარსტული ჭა სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ბზაკალონ-იშ ღალ(ე)-** ღელე სოფ. ლეთკანთში, წალენჯიხის რ-ნი; **ბულ-იშ ხინჯი** (ბლის ხიდი) - ღელე-ხევი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ბურღ-ეფ-იშ წყურგილი** (ცივწყარო ბუერებში) - მდ. ინწირის მარჯვენა მხარეს, წალენჯიხის რ-ნი; **ბურღონაშ ფერდი** (ბურღონა - ბუერა) - ფერდობი ბურღონის მთის წვერზე სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ბურღონა-შ წყარი //ბურღონ წყარი** - წყარო ბურღონაში, სოფ. ქვაითი, მარტვილის რ-ნი; **ბურღონა-შ ღე(ი)ე// ბურღონღაი** - ღელე სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი; **ბურღონა-შ წყურგილი (ცივწყარო ბუერებში)** - წყარო სოფ. აბედათში, მარტვილის რ-ნი; **დამაზონ-იშ წყურგილი// დამასონ-იშ წყურგილი** (დამაზი //დამასკი - დამასკური ქლიავი) - სოფ. ჩქვარელი, წალენჯიხის რ-ნი; **ე-ჲონა-შ საჩაიე//ეჲონა-შ ჩაი** (იელის ჩაი) - ჩაის პლანტაცია სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **ეკაიე-შ ჩაი** (ეკალნარის ჩაი) - ჩაის ფართობი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ზაკალნა-შ ობონეში** (საბანაო ბზანარში)- საბანაო სოფ. ლექაჯაიეში, მარტვილის რ-ნი; **თეჲა-შჯინჯი//თეჲაჯინჯი** (თელის ძირი) -მინდორი სოფ. აბედათში, მარტვილის რ-ნი; **თხირფაიე** (ადგილი, სადაც თხილი ხარობს) - თხილნარი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **თხინა-შ ღალ** - ღელე-ხეობა სოფ. ლესალეში, წალენჯიხის რ-ნი; **თხინაია-შ სუკი** (სუკი - ბორცვი) - ბორცვი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **თხირონ-იშ ღალ(ე)** - ღელე-ხეობა ლეაფშილეში, სოფ. მუჟავა, წალენჯიხის რ-ნი; **თხომნა-შ ჲაფა** (თხომუ -თხემლა) - სახნავი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **თხომნა-შ წყარი** - თხემლის წყარო

სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **თხომუ-შ ჯინჯი** - სახნავი სოფ. ონოღია, მარტვილის რ-ნი;**თხუმლონ-იშ სუკი** - თხემლნარის ფერდობი სოფ. ნაშამგუში, წალენჯიხის რ-ნი; **იაკაცია-შჯინჯი** (ქართ. აკაციის ძირი)-მინდორი სოფ. ნოჯიხევში, მარტვილის რ-ნი; **ინჭირ-იშ წყურგილი** (ანწლის ცივწყარო) - წყარო სოფ. მუჟავაში, წალენჯიხის რ-ნი; **იფონ-(იშ) ტობა** (იფონი - ლაფანი) - მორევი სოფ. ბობოთში, მარტვილის რ-ნი; **ჯალვანა-შ წყურგი(ი)ე** - წყარო სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **კვარია-ში კუჩხა //მათირია//მოვარიე** (სამი სახელი ჰქვია, ქართ. სათოვლია, ბოტანიკოსების აზრით, გამყინვარებას გადარჩენილი მცენარეა)- შუშელის მთა, მარტვილის რ-ნი; **კოლოშინა-შ წყურგილი** (კოლოშინას (ვაზის ჯიშია) ცივწყარო) - ცივწყარო სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **ლანჯიშიშ ტებენე** (იფნის მდინარე)- სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **ლიფონ-იშ ხინჯი** (ლიფანი - იფანი) - ნახიდარი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ლულ-იშ ღალგ** - ლელვის ღელე სოფ. მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი; **მაგნოლია-შ ჯინჯი** -ჩაის ფართობი სოფ. აბედათში, სადაც დგას მაგნოლიის ხე, მარტვილის რ-ნი; **მაჩარკა-შ წყარი** (ლუფის წყალი) - სენაკი; **ნე-იშჯინჯი//ნეძ-იშჯინჯი** (კაკლის ძირი) - სახნავი სოფ. მუხურჩაში, ლეპატარავესა და სოფ. ნაჯახაოში, ბორცვი სოფ. ჯოლევში, მინდორი სოფ. ლეხაინდრაოში; მარტვილის რ-ნი; სახნავი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ნეძ-იშ წყარი** (კაკლის წყარო) - წყარო სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ნუზუ-შფერდი** (ნაძვის ფერდი)- ფერდობი სოფ. ფუქში, წალენჯიხის რ-ნი; **ჟირი იაკაცია-შჯინჯი** (ქართ. ორი აკაციის ძირი) - მინდორი სოფ. ნოჯიხევში, მარტვილის რ-ნი;**ო-ჭყონუ-ეშ გიოლვაფუ** (ქართ. მუხნარში გადასაყრელი ადგილი)-ნაგავსაყრელი სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **სხუ-იშჯინჯი // სხულ-იშჯიჯი** (მსხლის ძირი) - სახნავი სოფ. ონოღიასა და სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ურთხელა-შ სუკი //ურთხელ(იშ) სუკი** (ურთხელის ბორცვი)-გორაკი სოფ. ნაგურუში, სოფ. ქალაღანი, წალენჯიხის რ-ნი; **ურთხელ(იშ)ღალ(გ)**- ღელე-ხევი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ფსქერ-იშ ღალ(გ)** - შქერის ღელესოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **ჩაი-შდუ** - ბორცვი სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ჩაი-შშარა** (ჩაის გზა) - გზა სოფ. მუხურჩაში, მარტვილის რ-ნი; **ჩამქვა-შ წყარი** (ბოკვის წყალი) - წყარო სოფ. ჭალის

სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩეგე-ში წიფრ-ონ-ა**(ჩეგეშის წიფლნარი) - ღრმა ხევი სოფ. ლეკუკეში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩიტი-ში ყურძენი** (უსურვაზი) - სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **ჩიტი-ში ბორკი** (ქართ. ყვავილი ცისთვალა) - ადგილი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცახვი-შ-ჯინჯი //ცაცხუჯინჯი //ცხაცხუ ჯინჯი = ცხაცხუკურზუ(ი)ე //ცაცხოური** (ცაცხვის ძირი)- ვაკე-ბორცვი ფერდობი ბერიას გორაზე, სოფ. ქვაითი; ბორცვი სოფ. ლემიქავეში; გზაჯვარედინი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **ცაცხვი-შ ფერდი // ცაცხუ ფერდი** - მინდორი სოფ.ქვაითში, მარტვილის რ-ნი; ამ ადგილას მდგარა სალოცავი ცაცხვი. **ცაცხუ-შჯინჯი** - მინდორი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **ციცხვაიას ჩაი** - ჩაის ფართობი სოფ. ლეციცხვაიეში, მარტვილის რ-ნი; **ციცხონა-შ ღალი** (ცაცხვიღელე) - ღელე სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ცხუცხუ-შ ოხვამე** - ეკლესია საჯვაროში, სოფ. ლექაჯაიე, მარტვილის რ-ნი;**ცხვაცხვ-იშ ფერდი // ცხვაცხვ-იშ სუკი** - ბორცვი სოფ. საჩინოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცჷიხინჯი** (თელის ხიდი) -ვაკე-მინდორი მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი;**ძერწ-იშჯინჯი**(ძეწნის ძირი) - მორევი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **წიფუნე-ში ღაი** - წიფლის ღელე სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ჭაჭახ-იშ ო-ჩაი-ე** (ჭაჭახის ჩაის ფართობი) - ჩაის პლანტაცია სოფ. ობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭოდონა-შ ღაი** (ჭოდის ღელე) - ეს ღელე ერთვის მანცხვარღაის ღელეს სოფ. ნალეფსაოში, მარტვილის რ-ნი; **ჭყონა-შ სუკი** (მუხის ბორცვი) - ბუჩქნარი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭყონა-შ ცურუმი ტყა** (სუროიანი მუხის ტყე) - სოფ. ეწერი, წალენჯიხის რ-ნი; **ჭყონ-იშ ფართობი** - ჩაის ფართობი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭყონ-იშ ჯინჯი** (მუხის ძირი) - ბუჩქნარი სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **ხაონ-იშ წყურგილ** (ცივწყარო ისლნარში) - სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **ხოჯი-შ თოი //ხოჯიშ თოლი** (ხარისთვალა - ვაზის ჯიშია, ასევე ჰქვია მცენარე ნარცეცხლასაც) - კარსტული ორმო სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ჯაპ-იშ-ჯინჯი** - მინდორი სოფ. ბანძაში, მარტვილის რ-ნი; **ჯაპონა-შ ღაი// ჯაპონა-შ ღალგ /ჯაპონა-შ ღალ** - ღელე სოფ. ქვაითსა და სოფ. ვედიდკარში, მარტვილის რ-ნი;

2) თხზული სიტყვები, სადაც მსაზღვრელი მეგრულის ნათესაობითი ბრუნვით წარმოდგენილი საკუთარი ან გეოგრაფიული სახელია, ხოლო საზღვრული - მცენარის აღმნიშვნელი სახელი:

ბაბუ-შ-სხუი (ქართ. პაპის მსხალი) - მოედანი სოფ. ნალეფსაოს ცენტრში, მარტვილის რ-ნი; **ბათლომე-შო(ი) აკაციე** (ბათლომეს აკაცია)-ტუნგის ნარგავები მდ. სურქანის ნაპირას, სოფ. საელიავო, მარტვილის რ-ნი; **ბარბა(ი)ეკარ-იშ ჩაი** - ჩაის ფართობი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **ბარბალობა-შ ცხაცხუ**- ბარბალე ერქვა სარიტუალო ცაცხვის ხეს ჯაღირა-ობუჯის საზღვარზე, წალენჯიხის რ-ნი, სადაც აღინიშნებოდა წარმართული ბარბალობა ასტრალური ხასიათის რიტუალით. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (I ს-ში) იგი შეცვალა აღმოსავლური წმინდა დიდმოწამე ბარბალეს ხატებამ. **ბაციაშ ჩაი** - ჩაის ფართობი საარახამიოში, წალენჯიხის რ-ნი; **ბულშვანდ-იშ ოჩხარჩხალაია** - წყარო ბულშვანდის ფერდობზე სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **გვაჭკა-შ ქუჩუროა წიფური** (გვაჭკას ქოჩრიანი წიფელი) - წიფლის ხე ჩქვალერში, წალენჯიხის რ-ნი; **გრიშა-შ ნეძი** (გრიშას კაკალი) - სახნავი სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **დათაია-შ სხუი** (დათაიას მსხალი) - მსხალი არაჯანიაშ ღაჲს მარცხენა ნაპირზე, სოფ. წინაკვერკვე, მარტვილის რ-ნი; **დიხაფალგ-ში ჩაი** - ჩაის ფართობი ფუქარის ბორცვზე, სოფ. ლარა, წალენჯიხის რ-ნი; **დომე-შ ნეძ-ი** - კაკლის ხე სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ე-ბაღუ(ში) სკუე-ში ოჩაიე** (საბაღიშვილოს ჩაის პლანტაცია; უძველესი მეგრული გვარი ბაღუში პასპორტიზაციის პერიოდში გაფორმდა როგორც ბაღიშვილი) - ჩაის პლანტაცია სოფ. სკურდში, მარტვილის რ-ნი. **ეფრემია-შ ჩაი** (ეფრემიას ჩაი) - ჩაის ფართობი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **თომა-შ ჩაი // ქარდა-შ ჩაი** (თომას ან ქარდას ჩაი)- ჩაის ფართობი სოფ. ლიაში, წალენჯიხის რ-ნი; **დიდგა(ში) ჩაი** - ჩაის პლანტაცია სოფელი სკურდში, მარტვილის რ-ნი. **ივა-შ ნარგი ცხაცხუ** (ივას დარგული ცაცხვი) - სოფ. ლია, წალენჯიხის რ-ნი;**ინჭაზაკალონ-იშ** (ბზანარის ჭა, ჭა ბზანარში) - სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; ეს ერთადერთი ინვერსიული წყობის მაგალითი დაფიქსირდა. **იონა-შ ჩაი** - ჩაის ფართობი სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **კვიკვ-იშ ნეძი** (კვიკვის კაკალი) - სოფ. ჭალის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **კვიკვ-იშ ცომური** (კვიკვის ტყემალი) - სათიბი სოფ. ჯვარზენში, წალენჯიხის რ-ნი; **კიკესქუა-შ ჩაი** (კიკესშვილის ჩაი) - ჩაის ფართობი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი;**კომოთე-შ დიდი ჭყონი** - მუხა დობერაში, სოფ. ნახუნაო, მარტვილის რ-ნი; **კოსტა-შ ლუ-**

ღეფი (კოსტას ლელვები) - ნასახლარი წალენჯიხაში; **ლუს-იშ ნაც-ხონტა წიფური** (ლუსის გასხლული წიფელი) - სოფ. სამესხიო, წალენჯიხის რ-ნი; **მეიტო-შ-ცაცხვ** (მეიტოს ცაცხვი)- ცაცხვის ხე ბჟაეფიშ გორაზე, მარტვილის რ-ნი; **მიქე-შ დიდი ჭადარი** - ჭადარი დობერაში, სოფ. ნახუნაო, მარტვილის რ-ნი; **მიქე-შ ჭყონი**(მიქეს მუხა) - მუხა სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **მონი-ეფ-იშ ჩაი** (მონიების ჩაი) - ჩაის ფართობი სოფ. ხუნწში, მარტვილის რ-ნი; **პაპა-შ ცხაცხუ** (მღვდლის ცაცხვი) - გორაკი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **პაპა-შ ჩაი**(მღვდლის ჩაი) - ჩაის პლანტაცია სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **სი(ა)გეფ-იშ ც(ხ)აცხუნჯინჯი** - მინდორი სიაგეფიშ მთაზე, სოფ. ნალეფსაო, მარტვილის რ-ნი; **სიდონია-შ დიდი ჭყონი** - მუხა დობერაში, სოფ. ნახუნაო, მარტვილის რ-ნი; **სუმო-შ ბურღ-ონ-ა** (ბურღი -ბუერა) - ტყე სოფ. ლემიქავეში, მარტვილის რ-ნი; **ფახულან-იშ ცხაცხუ** (ფახულანის ცაცხვი) - ხე-ღვთაება სამეგრელოში, სოფ. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი; **ფიიპე-შ აკაცია** - ადგილი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ფიფი-ეფ-იშ ჭყონა**(ფიფიების მუხა) - მუხნარი სოფ. ეწერში, წალენჯიხის რ-ნი; **ქარდა-შ ჩაი // თომა-შ ჩაი** (ქარდას ან თომას ჩაი) - ჩაის პლანტაცია სოფ. ლიაში, წალენჯიხის რ-ნი; **ხგფგ-ში ნუზუ** (ხგფგს ნაძვი) - ბორცვი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯოტო-შ ნაყა ჭუბური** (ჯოტოს მონიშნული წაბლი) - ადგილი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ჰავა-შ ნეძი** (დასასვენებელი ადგილი კაკლის ხის ქვეშ) - დასასვენებელი ადგილი სოფ. ფოცხოში, წალენჯიხის რ-ნი;

3) თხზული სიტყვები, რომლის შემადგენლობაში მსაზღვრელად ისევ მეგრულის ნათესაობითი ბრუნვით წარმოდგენილი საკუთარი ან გეოგრაფიული სახელია, ხოლო საზღვრულად გამოდის მცენარის აღმნიშვნელი ნასუფიქსარი სახელი, სადაც სუფიქსს, რასაკვირველია, ლექსიკური განსხვავება შეაქვს:

ანდრია-შ ო-ისგრ-ე (ისგრ -ისლი) - საძოვარი სოფ. ჭაბურთაში, მარტვილის რ-ნი; **ანდრო-შ ო-ჯაპ-ე-ში** (ქართ. ანდროს თუთნარი) - სახნავი სოფ. ლექაჯაიე, მარტვილის რ-ნი; **ანთი-ეფ-იშ ო-ისგრ-ე** (ანთიების საისლე) - ადგილი სოფ. ლია-ჯვარის გზატკეცილზე, წალენჯიხის რ-ნი; **ანთი-ეფი-შ ო-ისირ-ე** -ჯაგნარი ლია-ჯვარის გზატკეცილზე,წალენჯიხის რ-ნი;**არსენ-იშ ნა-(ე)ო-აკაცი-ონ-ი** - ტყე სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **ბათა-შ ნა-ისირ-გ** (ბათა

სარიას აქ ჰქონდა საისლე) - თხმელნარი უსქირაფღალის ხეობაში, წალენჯიხის რ-ნი; **ბათა-შ ნა-ო-ისირ-ი** (ბათას ნაისლარი) -სახნავი ტაფობზე მექოგეთის სერსა და ბათას ტყეს შუა, სოფ. ნაკიფუ, წალენჯიხის რ-ნი; **ბაკო-შ ნა-ო-ბინეხ-ი** (ბაკოს ნავენახევი) - ტყე კაკილაშის ფერდობზე, წალენჯიხის რ-ნი; **ბარდა-შ ნა(ო)ბინეხ(ე)** (ბარდას ნავენახარი) - სახნავი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ბარდღაჲნა-ბინეხ(უ)** (ბარდღას ნავენახარი) - სახნავი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; აქ გენეტივის ნიშანი ნაწილობრივ დაკარგულია. **ბართიმე-შ ო-ჲაკაცი-ე** - ტუნგის ნარგავები სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი; **ბასაია-შ ო-ჭობურ-ე** (ქართ. ბასას წაბლნარი) - სახნავი სოფ. საელიავოში, მარტვილის რ-ნი; **ბაცუ-შ ქუა(ჲ)-ონ-ა** (ბაცუს ზღმარტლი) - სახნავი ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ბეგი-შ ნა-ისჷრ-ი** (ბეგის ნაისლარი) **-** ტყე ლესალეს გორაზე,წალენჯიხის რ-ნი; **ბეგი-შ ო-ჩაი-ე** (ბეგის ჩაის ფართობი) - ჩაის ფართობი ლექუსუეში, სოფ. ჩქვალერი, წალენჯიხის რ-ნი; **ბესო-შ ოცხიმურ-ონ-ი** (ბესოს რცხილნარი) - რცხილნარი გზის პირას წალენჯიხის რ-ნი; **ბეჩა-შ ო-ჩაი-ე** – ჩაის ფართობი ბეჩაში, წალენჯიხის რ-ნი; **ბესა-შ ნა-(ჲ)ანჯ-უ** (მეგრ.(ჲ)ანჯ-ი> ლანჯ-ი - ქართ. კოპიტი)– სახნავი სოფ. ლეხაინდრავოში, მარტვილის რ-ნი; **ბიდა-შ ო-ჩაი-ე** (ბიდას ჩაის ფართობი) - ჩაის ფართობი სოფ. ლია, წალენჯიხის რ-ნი; **ბიქტორია-ს თხ-ინ-ა // ყარამანი-შ თხ-ინ-ა** (ბიქტორიას//ყარამანის თხილნარი)- ბუჩქნარი სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **ბულ-შ-ვადი-შ ო-ჩხარჩხალაი-ა** (წყარო ბლის ხეივანში) - ჭიჭე ტებენის მარჯვენა ნაპირას, წალენჯიხის რ-ნი; **გახუ-შ-ო-ისჷრ-ე** (გახუს ისლნარი) - ბუჩქნარი სოფ. საელიავო, მარტვილის რ-ნი; **გვადა-შ ო-ისირ-ე** (ისირი -ისლი) **-** სახნავი სოფ. ლეპატარავეში, მარტვილისრ-ნი; **გვაჩი-შ ო-ისჷრჷ** - ისლნარი სოფ. ლეხაინდრავოში, მარტვილის რ-ნი; **გიორგი-შ ნა-ისჷრჷ** - ჩაის ფართობი სოფ. პალურში, წალენჯიხის რ-ნი; **გრიშა-შ ო-ისჷრ-ე** - ისლნარი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **ერისტუ-შ ნა-(ო)-ისირ-(უ)** - ტყე სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილისრ-ნი; **ერი-შ ო-ისჷრ-ე** (ერის ისლნარი) **-** ისლნარი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ექურდიე-შ ო-ჩაი-ე** - ჩაის პლანტაცია სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **ვატა-შ სხულ-ონ-ი** (ვატას მსხალნარი) - სოფ. ჯგალი, წალენჯიხის რ-ნი; **ვეჯინჯი-შ ო-ჩაი-ე** - ჩაის ფართობი სოფ. ჯგალსა და საჩინოში, წალენჯიხის რ-ნი; **ვლადიმირი-შ ჭანდარ-ონ-ი** - ჭადრის ხე სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის

რ-ნი; **თათია-შ ზაკალ-ონ-ი** - ბზანარი ნაკიფსა და ლაკადას შუა, ეკუთვნოდა მეწამლე თათიას, წალენჯიხის რ-ნი; **თედო-შო-ჩაი-ე** - ჩაის ფართობი ნაკიფში, წალენჯიხის რ-ნი; **იბლო-შ ნა-ისგრ(ე)** - საძოვარი სოფ. წინაკვერკვეში, მარტვილის რ-ნი; **იბლო-შ ო-ისგრ-ე** - ისლნარი სამარღიოში; **ივანე-შ ნა-ისირ(უ)** - საძოვარი, სოფ. აბედათი, მარტვილის რ-ნი; **იზდორეი ო-თუთუმ-ე//იზდორე-შ ო-თუთუმ-ე** (ისიდორეს სათუთუნე) - მინდორი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **იზიდორე-შ ნა(ო)ბუნებ(ე)** - ჩაის ფართობი სოფ. უღურიაში, წალენჯიხის რ-ნი;**კაზა-შ ჭველ-ონ-ი** (კაზას თხემლნარი) - ტყე სოფ. ლეშამუგეში, წალენჯიხის რ-ნი; **კაკინია-შ წოხლენი ო-ჩაი-ე** (კაკინიას ყოფილი ჩაის ფართობი) - სოფ. ობუჯი, წალენჯიხის რ-ნი; **კაკ-იშ ნა-ბამბ-უ** - ბუჩქნარი მელაგურთან, სოფ. ლემიქავე, მარტვილის რ-ნი; **კარტოზია-შ ო-ისგრ-ე** - ბუჩქნარი მდ. შანის ნაპირას სოფ. აბედათში, მარტვილის რ-ნი; **კიკუ-შ ო-თუთუმ-ე** (კიკუს სათუთუნე) - ფერდობი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი;**კოკია-შ ნა-ისრ(ე)** (კოკიას ნაისლარი) - ფერდი სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **კოლია-შ ნა-ბიხუ** (კოლიას ნავენახარი) - სოფ. სამესხიო, წალენჯიხის რ-ნი; **კოლია-შ ო-ჩაი-ე** (კოლიას ჩაის ფართობი) - ბუჩქნარი სოფ. მაზანდარაში, წალენჯიხის რ-ნი; **კომოთე-შ ძიგირ-ონ-ა** (ძიგირონა -ეკალნარი) - ტყე დობერაში, მარტვილის რ-ნი; **კორსანტელი-შ ნა-დიბ(ე) //კაკლარ-ონ-ი** (კორსანტელის ჯაგნარი) - სოფ. ნაგურუ, წალენჯიხის რ-ნი; **კოსტაია-შ ჯანჯ-ონ-ა** - ბუჩქნარი სოფ. ნაჯახაოში, მარტვილის რ-ნი; **კოსტა-შ ლაკაცი-ონ-ი** (კოსტას აკაციის ტყე) - აკაციის ტყე სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **კოსტა-შ ო-ისირ-ე //კოსტა-შ ო-ისგრე** (ქართ. კოსტას ისლნარი) - ჩაის ფართობი მდ. სურქანის ნაპირას სოფ. საელიავო, მარტვილის რ-ნი; **კოწია-შ ო-ისგრ-ე** - ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **კოწია-შ ცხიმურ-ონ-ა** (კოწიას ცხემლნარი) - სოფ. ჯვარი, წალენჯიხის რ-ნი; **კუჭუ-შ ო-წიფურ-ე**- წიფლნარი სოფ ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ლადი-შ ო-თუთუმ-ე** (ლადის სათუთუნე) - სახნავი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ლად-იშ ო-ლაკაცი-ე //ლად-იშ ო-ჯაკაცი-ე** (ლადის აკაციები) - სახნავი სოფ. ქვაითში, მარტვილის რ-ნი; **ლაზ-აშ ო-ჩაი-ე** (ლაზას ჩაის ფართობი) - ჩაის ფართობი ნაკარუს ფერდობზე, სოფ. ლესალე, წალენჯიხის რ-ნი; **ლაუ-შ ო-ჩაი-ე** (ლაუს ჩაის ფართობი) - სოფ. ლესალე, წალენჯიხის რ-ნი; **ლესალე-შ ო-ჩაი-ე** - ლესალელების

ჩაის ფართობი, წალენჯიხის რ-ნი; **ლიარ-ეფ-იშ ო-ჩაი-ე** (ლიელების ჩაის ფართობი) - ჩაის ფართობი სოფ. ლიაში, წალენჯიხის რ-ნი; **მაია-შ უშქურ-ონ-ა** (მაიას ვაშლნარი) - მინდორი სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **მახაზ-იშ ნამაღაზას ო-დაფ-ე** (მახაზის ნალიის ადგილზე გაშენებული დაფნარი) - სოფ. სამესხიო, წალენჯიხის რ-ნი; **მედან-იშ ო-ჩაი-ე** (მედანის ჩაის ფართობი) - სოფ. ლარა, წალენჯიხის რ-ნი; **მართა-შ ნა-ხაჯ-უ** - ადგილი სოფ. სტეფასდაბალში, მარტვილის რ-ნი; **მაქსიმე ხურცია-შ ო-ისირ-ე** - სახნავი სოფ. ლეხაინდრავოში, მარტვილის რ-ნი; **მიხა-შ ნა-ო-ბინებ(უ) -** ბუჩქნარი სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **ნალაგვან-იშ ჩაი (ლაგვანი - ქვევრი) -** ჩაის ფართობი სოფ. ლიაში, წალენჯიხის რ-ნი; **ნესტორ-იშ ჭუბურ-ონ-ი** (ნესტორის წაბლნარი) - ბუჩქნარი სოფ. საჩინოში, წალენჯიხის რ-ნი; **ომერ-იშ ო-ისგრ-ე -** ჩაის ფართობი სოფ. ლიაში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ისგრეშ დუდი// ო-ისგრეშ სუკი** - მაღალი გორა სოფ. ქალაღალში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-სირ-ე-შ ჩაი** - ჩაის ფართობი ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ო-ტუნგოლი-შ გინაჯინუ** (ხედი ტუნგოს ბაღიდან) - პატარა ბექობი სოფ. კუხეში, წალენჯიხის რ-ნი; **პავლე-შ ნა-ბინებ** (პავლეს ნავენახარი) - სახნავი სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **პაპა-შ ნა-ისირ-უ** -ადგილი სოფ. ბანძაში, მარტვილის რ-ნი; **პემო-შ ო-ისგრგ** - ბუჩქნარი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **პერტია-შ ო-ისგრ-ე // ჲეპერტიეშ ო-ისგრ-ე** - ისლნარი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **პეტრე-შ ნა-ისგრგ** - ბუჩქნარი სოფ. ლესალეში, წალენჯიხის რ-ნი; **პეტრე-შ ო-ჩაი-ე** - ჩაის ფართობი სოფ. ლესალეში, წალენჯიხის რ-ნი. **ჟენია-შ ო-ჩაი-ე** - ჩაის პლანტაცია სოფ. საჩინოში, წალენჯიხის რ-ნი; **სანდრო-შ ნა-ისგრგ** - მინდორი სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **სვიმონკარი-შ ო-ჩაი-ე** - ჩაის პლანტაცია სოფ. ობუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **სპირდო-შ დიდი ო-ცხიმურ-ე** - ტყე სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ-ნი; **სტეფა-შ ო-ისგრ-ე** - ისლნარი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **სუჲაბერ-ეფ-იშ ნა-ცაცხუ //სუჲაბერიეფიშ ცხაცხვი** - საკულტო ხე სოფ. ნალეფსაოში, მარტვილის რ-ნი; **ტებენე-შ ო-ჩაი-ე** - ჩაის პლანტაცია სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ფიფი-ეფ-იშ ნა-თუთუნ-უ** (ფიფიების ნათუთუნარი) - ბუჩქნარი სოფ. მედანში, წალენჯიხის რ-ნი; **ფიფი-ეფ-იშ ნა-ჭარხალ(გ)** (ფიფიების ნაჭარხლევი) - მინდორი სოფ. მედანში, წალენჯიხის რ-ნი; **ფუკია-შ ო-ბინებ-ე -** ვენახი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ქუთუ-შ ო-**

ისგრ-ე - სახნავი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ქუძუ-შ ნა-ისგრ(გ)** - თხმელნარი უბადოღალში, წალენჯიხის რ-ნი; **ქუძუ-შ ნა-ქობალ** (ქუძუს ნაპურალი) - ტყე უბადოღალში,წალენჯიხის რ-ნი; **ყარამან-იშ თხ-ინ-ა** (ყარამანისთხილნარი)-ბუჩქნარი სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცურუეფ-იშ ო-ჯამპ-ე** (ყურუების თუთნარი) - სახნავი სოფ. კუხეში, წალენჯიხის რ-ნი; **შარდენი-შ ო-ისირ-ე** (ისირი -ისლი) - ადგილი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **შეფე-შ ნა-ო-ბინეხ(გ)** - ჩაის პლანტაცია სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **შინტო-შ ბულ-ონ-ი** (შინტოს ბალნარი) - ჩაის პლანტაცია სოფ ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **შონ-იშ ო-ჩაი-ე** (სვანის ჩაის ფართობი) - სოფ. ეწერი, წალენჯიხის რ-ნი; **ჩაგუ-შ ნა-ხაჯ-უ** - ადგილი სოფ. სტეფასდაბალში, მარტვილის რ-ნი; **ჩაგუ-შ ო-ჩაი-ე** (ჩაგუს ჩაის ფართობი) - სოფ. მუჟავა, წალენჯიხის რ-ნი; **ჩერიმ-იშ ო-ისირ-ე** - ისლნარი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **ძვაძვა-შ ნა-ბინეხგ** -ბუჩქნარი სოფ. ულურიაში, წალენჯიხის რ-ნი; **ძვაძვა-შ ნა-ისგრ(გ)**- მინდორი სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი; **ძომ-ონ-ა-შ ღალ(გ)** - ღელე სოფ. ნაშამგუში, წალენჯიხის რ-ნი; **ჭუჭა-შ ო-ჩაი-ე** (ჭუჭას ჩაის ფართობი) - სოფ. კუხე, წალენჯიხის რ-ნი; **ხაფულ-იშ ო-ჩაი-ე** - ჩაის ფართობი სოფ. ეწერში, წალენჯიხის რ-ნი; **ხურცი-ეფ-იშ ნა-ისირ-უ** (ხურციების ნაისლარი) - ჩაის ფართობი სოფ. ლეხაინდრავოში, მარტვილის რ-ნი. **ჯათუ-შ ნა-ო-ბინეხ(გ)** (ჯათუს ნავენახარი) - ხმელნარი სოფ. ლესალეში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯგალ-არ-ეფ-იშ ო-ჩაი-ე // ვეჯინჯ-იშ ო-ჩაი-ე** (ჯგალელების ჩაის ფართობი// დიდძირის საჩაიე) - ჩაის პლანტაცია სოფ. ჯგალში, წალენჯიხის რ-ნი;

გენეტივის ნიშანი დაკარგულია: გორე ბურღ-ონ-ა (გორეს ბუერნარი) - ბორცვი მდ. შეტეურის ნაპირზე სოფ. საელიავო, მარტვილის რ-ნი; **ჯორხუ ჭუბურ-ონ-ი** (ჯორხუს წაბლნარი) - ტყე სოფ. ნაგურუში, წალენჯიხის რ-ნი. ამ ბოლო ორ მაგალითში მსაზღვრელთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია.

ვ) ტოპოკომპოზიტების შემდეგ ჯგუფში ამჯერად მსაზღრელი წარმოადგენს სუფიქსით გაფორმებულ მცენარის აღმნიშვნელ სახელს, ხოლო საზღვრული კი ჩვეულებრივ, გეოგრაფიული, ადგილის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია:

ჲაღვ-ანა-პიჯი //ჲაღვ-ანა-ჭა(ჲ)ე // ჲაღვ-ან-ძგა //ლაღვანა(ი)ე (ლეღვნარის პირი, ლეღვნარის ჭალა, ლეღვნარის კიდე, ლეღვნარი)

- სახნავი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **თხიხ-ონ-წყარი** (თხილნარის წყარო) - სოფ. მუჟავა, წალენჯიხის რ-ნი; **ლალვ-ან-ა ჭა(ი)ე** (ლელვნარის ჭალა) - სახნავი სოფ. ონოღიაში, მარტვილის რ-ნი; **პანე-შ-ონ-ა ღალ(ე)**(პანე ვაზის ჯიშია)- ღელე სოფ. კუხეში, მარტვილის რ-ნი; **პანა-შ-ონ-ა-შ ღალ(ე)** - ღელე სოფ. ნაგურუში, სოფ. ომუჯში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-თიფურე-შ სუკი** (ნათივარის ბორცვი) - ბორცვი სოფ. ლეციცხვაიეში, მარტვილის რ-ნი; **ნა-იანჯუპიჯი** (ნალაფანარის პირი) - სახნავი სოფ. ნაგებერაოში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ისჯრე-ში რობუ** (ნაისლარის ხევი) - პატარა ხევი, სოფ. კუხე, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ობინეხ-ე-შ-ი წყურგილი** (ნავენახარის ცივწყარო) - ცივწყარო სოფ. ჯოლევში, მარტვილის რ-ნი; **ნა-ფაწყუ** (ნაფეტვარის წყარო) - სოფ. ფოცხო, წალენჯიხის რ-ნი; **ნაფატ(უ)ღალ(ე)** (ნაფეტვარის ღელე) - მდ. ოლორის მარჯვენა შენაკადი, სოფ. ნაგურუ, წალენჯიხის რ-ნი; **ნაფატე-ში რზენი** (ნაფეტვრის ვაკე) - მინდორი სოფ. ქალაღალიში, წალენჯიხის რ-ნი; **ნაქერღალ(ე)** (ნაქერალის ღელე) - ღელე და ხევი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ნა-ხარანუ-შ წყურგი** (ხარანუ//ხარდანი - ვაზის ჯიშია) - ცივწყარო სოფ. სტეფასდაბალში, მარტვილის რ-ნი; **ნეძ-ონ-ა(შ) წყარი** (ნაძვნარის წყალი) - ღელე, მოედინება და ერთვის მანცხვარ ღელეს, მარტვილის რ-ნი; **ნეძოძ-ონ-ა-შ ღალ(ე)** (ნაძვნარის ღელე) - ღელე სოფ. ლესალეში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ბინეხ-ე-შ თუდოლენი** (ვენახის ქვემოთა მხარე) - სოფ. ეწერი, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ბინეხ-ე-შ წყურგი-ი** (ცივწყარო ვენახში) - სოფ. ჯოლევი, მარტვილის რ-ნი; **ო-ლაკაცი-ე ღალი** (აკაციების ღელე) - ღელე სოფ. ლეჯოლიხეში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ლუღელალ(ე)** - ღელე სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-მანდარინ-ე-სუკი** (მანდარინების ბორცვი) - ბორცვი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-წყურგილ-ე ჩაი** (ცივწყაროს ჩაი) - ჩაის პლანტაცია სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ო-ჭვეი-ე რზენი** (ჭვეი - ჭვავი, რზენი - ვაკე) – სახნავი სოფ. ნაგურუში, სადაც ადრე ჭვავი ითესებოდა, წალენჯიხის რ-ნი; **ფშალუ-ონ ღალ(ე)** (ფშალუ - სვია) - ღელე სოფ. მაგანას სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ღეჯი-ან ნეძ-ონ-ი** (ჩავარდნილი ადგილი კაკლნარში) - ადგილი ჭალის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ღუმუ-შ ო-გიმარე** (ღომის საცეხვი) - სახნავი სოფ. კუხეში, წალენჯიხის რ-ნი; **შუშელ წიფ-ონ-ა**(შუშელის მთას სამი სახელი ჰქვია: ასხი, შუშელი და მაიდანი ანუ შუშელის მთის წიფლნარი) -

საძოვარი სქურის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **შქერ-ონ-(ა) ღალ(ე)** (შქერნარის ღელე) - ღრმა ხევი სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩამე-ონ წყარი** (ბოკვნარის წყარო) - მდ. მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჩამფ-ონ-იშ დუდი** (ჩამფა - ბოკვი) - მთა ეგრისის ქედზე, წალენჯიხის რ-ნი; **ცუონღალ(ე)** (თელნარის ღელე) - ღელე მაგანის სატყეოში, წალენჯიხის რ-ნი; **ცურუ-ამ-ნები** (სუროიანი კაკალი, **-ამ** სუფიქსი სიტყვას სძენს ქონების მნიშვნელობას) - სახნავი სოფ. ფახულანში, წალენჯიხის რ-ნი; **ცურუ-ონ-ღალ(ე)** (ცურუ - სურო) - მდ. ჭენწყალის შენაკადი, სოფ. სამესხიო, წალენჯიხის რ-ნი; **ძგგრ-ონ-ი-შ ინჭა**(მაყვლოვანის ჭა) - მაყვლოვანის წყარო, ჯვრის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **ძგგრ-ონა-შ მიოხვამური** (მაყვლოვანის სალოცავი. აქ მდგარა ურთხელის ხე-ღვთაება) - სქურის სატყეო, წალენჯიხის რ-ნი; **ძგგრ-ონ-ა-შღალ(ე)** (მაყვლოვანის ღელე) - ღრმა ხევი სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **წიფრ-ონ-ღალ(ე)** (წიფლნარის ღელე)-ღელე სოფ. ჯაღირაში, წალენჯიხის რ-ნი; **წელამ-ონ-ა-შ დუდი** (წელამი, კალამი -შალაფა)- საძოვარი სოფ. მედანში, წალენჯიხის რ-ნი; **წყეი-ონ-ღალ(ე) (ღელე წყავნარში)** - სოფ. ჭველე, წალენჯიხის რ-ნი; **წყეი-ონ-ღალ(ე) //წყიიონღალ(ე) //წყიიონღალ(ე) // წყი(ი)ონღალ(ე) (წყი>წყივი> წყილი>წყოვი - წყავი)** - სოფ.საჩინო, ტყე-ხევი სოფ. მაზანდარაში, ჭენწყალის მარჯვენა შენაკადი, სოფ. ობუჯი, წყავის ბუჩქები სოფ. ნაკიფუში, ტყე-ხეობა სოფ. ნაკიფუში, წალენჯიხის რ-ნი; **ხაი-ონ-ღალ(ე) //ხაი-ონ-ღალ(ე)//ხაი-ონ-აღალ(ე)** - ხევი და ღელე სოფ. სამესხიოში, წალენჯიხის რ-ნი; **ჯამპ-ონ-ა ღალ(ე)** (თუთნარის ღელე) - ღელე და მდ. ინწრას შენაკადი სოფ. მაზანდარაში, წალენ-ჯიხის რ-ნი.

ზემოთ მოტანილი მასალა დასტურია იმისა, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორია იყო არა მარტო ოქრომრავალი, არამედ ფლორამრავალიც, ცნობილი თავისი უნიკალური მცენარეული საფარით, რაც მკაფიოდ აისახა მიკროტოპონიმიაში.

ჩვენ მიერ მოტანილი მასალის მიხედვითსტატიაში დაფიქსირდა კოლხური ვაზის შემდეგი ჯიშები: **1. ადესა//იზაბელა, 2. ამბალახა //ამბალახი //ამბალახონა** (შავი წვრილმარცვლიანი ვაზის ჯიში, ჰგავს ფრანგულას, იანვარშიც ხაროობს)**, 3. აკიდო, 4. აფშილორი, 5. ბაბილო, 6. ბულიში //ბულიშონა, 7. ბურეხი, 8. გაბიაშური// გაბილური** (სახელწოდება მომდინარეობს გაბიას გვარიდან), **9.**

გაგრა, 10. გვიტილური, 11. გგრები, 12. გუდაუთური, 13. დღუნ-დღუში, 14. ეშერბგული, 15. ველთახი, 16. ზერდაგი,17. ზერდა-გული, 18. თანაფიფა,19. თქეოფო, 20. კაბისონი //კაპისთონი, 21. კაჭიჭი, 22. კეთილური, 23. კერთოლი, 24. კვაცახური, 25. კიკაჩე, 26. კოლოში, 27. კუაჩი, 28. კუტალა, 29. მარგატელი, 30. მაური, 31. მაჭკიდია, 32. მაჭკვათური, 33. მაჭყვადური, 34. მახვატელი, 35. მწვანე, 35. მორცხვია, 36. ნოჭადენი, 37.ოკონა, 38. ოფოფი, 39. ოჯა-ლეში, 40. პანე(ში)//პანეშონა //პალეში//პალაში(-ში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია და არა ფუძისეული), **41. პუმპულიში, 42. ჟვანიერი, 43. სამანჭრო// სამარჭო// სამაჭრო, 44. სამჭაჭა, 45. ტობა, 46. ტოვახი, 47. ტოროკუჩხი, 48. ტუტაში, 49. უჩა(ში) //უჩაშონა, 50. უჩა ხარდანი, 51. ფრანგულა, 52. ღორჯოული, 53. ღუდღუში** (საადრეო ჯიში), **54. ღურშონა //ღურჩონა** (აქ -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო -ონ მრავლობითისა და კრებითობის გამომ-ხატველი სუფიქსი), **55. ქუმური, 56. ქუმ(უ)ში //ქუმუშონა** (თეთრი ვაზის ჯიში), **57. შონა //შ-ონ-ურ-ი // შონურონა// შონნორა// შონდორა, 58. შხურინი//შხურიში, 59. შხურიშ ჯი, 60. ჩერგვალი//ჩერგვალონი** იგივე **ჭვიტილური, 61. ჩეკოლოში, 62. ჩემთასი //ჩემთასონა, 63. ჩე(ში)//ჩეშონა** (აქაც -შ ნათესაობითი ბრუ-ნვის ნიშანია, ხოლო -ონ მრავლობითისა და კრებითობის გამომ-ხატველი სუფიქსი), **64. ჩეშფეში // ჩეჭიფეში // ჩეშქვეშონი // ჩეშფეშონი** (ამბალახას მსგავსი ჯიშია), **65. ჩეფიჭეში, 66. ჩეხარდანი, 67. ჩიტიში ბინეხი, 68. ჩიჩქიში, 69. ჩხერი, 70. ჩხოროკუხი, 71. ცანაფითა, 72. ცგცქა, 73. ცქიტი//ცქიტიშონა//ცქვიტიშანა, 74. ცხენიში ძუძუ, 75. ცხგკგში, 76. ცხიმურული, 77. ცხინკოლოური, 78. ყურიში// წყვირიში //წყუიში, 79. ჭაბუსი, 80. ჭადა, 81. ჭვიტილური, 82. ჭითაში//ჭითაშონა, 83. ჭითა ჭიფე ყურძენა, 84. ჭიფეშონა //ჭიფეში, 85. ჭოდი ჩე, 86. ჭოდი უჩა, 87. ჭოდიში//ჭოდონა// ჭოთოშონა, 88. ჭუბარი, 89. ხარდანი, 90. ხემხუ, 91. ხვანჭკარა// ხვანჭკირა//ხვანჭკილი, 92. ხიხვი, 93. ხოჯი თოლი**(თეთრი ყურძენი), **94. ხოჯიში თოლი** (წითელი ყურძენი), **95. ხოჯიშ ყურძენი, 96. ჰამოში.**

ჩვენ კმაყოფილებას გამოვთქვამთ, რომ შევასრულეთ სულ-კურთხეული მეცნიერის, თსუ ონომასტიკის განყოფილების გამგის ბატონი პაატა ცხადაიას სურვილი და ანდერძი წარმოგვედგინა ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ სამეგრელოს

რაიონებში დადასტურებული მიკრო და მაკროტოპონიმები, მიღებული მცენარეთა სახელებისაგან. ნაშრომში მოტანილი ფიტონიმები, ოიკონიმები, ჰიდრონიმები, კომონიმები და სხვ. ჩაწერიალია ჩვენ მიერ, მოპოვებულია ინფორმატორების გამოკითხვით და ასევე ვეყრდნობით პაატა ცხადაიას კრებულებს „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (2007-2013). სტატიაში ცალკე ვიძლევით კოლხეთში გავრცელებული ვაზის ჯიშების სიას, რათა ეს სახელები არ მიეცეს დავიწყებას. ცნობები კოლხეთის მცენარეული საფარის სიმრავლისა და ნაირსახეობის შესახებ მოტანილია არა მარტო ბერძნულ მწერლობაში, არამედ ანალოგიურ ცნობებს ვხვდებით რომაულ ლიტერატურაშიც. კოლხეთის ფლორა ცნობილი იყო თავისი სამკურნალო მცენარეებით, რომელთა მსგავსი სხვაგან არსად არ მოიპოვებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

გეგეჭკორი არნოლდ, დედაბუნება, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986

გიგაური ციური, კოლხეთი რომაულ მწერლობაში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ თბილისი, 1985

ელიავა გივი, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, პროფ. კორნ. დანელიას რედაქციით, გამომცემლობა „ინტელექტი,“თბილისი, 1997

კეკელია, 2022 - კეკელია იგორ, აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2022

მაკალათია სერგი, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2006

მაყაშვილი ალ., ბოტანიკური ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991

ჟღენტი, 2017 - ჟღენტი ივანე, ნარკვევები ქართული ხალხური და ძველი პროფესიული მუსიკის შესახებ, თბილისი, 2017

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, V გამოცემა - გადამუშავებული და შევსებული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ თბილისი, 1987

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 - ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (II შევს. და გადამ. გამოცემა), თბილისი, 2000.

ფიფია დანიელ, მეგრული სალექსიკონო მასალები, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2008

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტ., თბილისი, 1956-1964

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984

ქირია..., 2015 - ქირია ჭაბუკი, ეზუგბაია ლალი, მემიშიში ომარ,ჩუხუა მერაბ,ლაზურ-მეგრული გრამატიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015

ქობალია ალიო, მეგრული ლექსიკონი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010

ცხადაია პაატა, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010

ცხადაია, 1999 - ცხადაია პაატა, ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურტერიტორიულ საზღვარზე, ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999.

ცხადაია პაატა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015

ჭანტურია აკაკი, მასალები მეგრულ-ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონისათვის, თსუ შრომები 321, გამომცემლობა თსუ, 1996

ჭარაია პეტრე, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997

Баранов Х.К., Арабско-Русский Словарь, Москва, 1984

Русско-Грузинский Словарь, Тбилиси, 2007

Büyük Lazca Sözlük, Didi lazuri Nenapuna, İstanbul, 2007

Nişanyan Sevan Bedros, Sözlerin Soyağacı: Çağdaş Türkçenin Etimolojik Sözlüğü,https://www.nisanyansozluk.com/kelime

Türkçe Sözlük,TDK, Ankara, 2005

იგორ კეკელია
ისტორიის დოქტორი, ფოთის N15 საჯარო სკოლის პედაგოგი,
საქართველო, ფოთი,
igor.kekelia@gmail.com, 577 954 835

იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიის შესახებ და თანამედროვე ისტორიოგრაფია

მოკლე შინაარსი

ცნობილი გერმანელი გამომცემლისა და წიგნებით მოვაჭრის – **იოჰან ჰაინრიხ ცედლერის** სახელს უკავშირდება ლაიფციგსა და ჰალეში პირველი სრულყოფილი გერმანულენოვანი ენციკლოპედიის 64 ტომად გამოცემა. მისი სახელწოდებაა **„დიდი უნივერსალური ლექსიკონი მეცნიერების და ხელოვნების ყველა დარგისათვის“**. მასში საქართველოს თემატიკისადმი მიძღვნილი 35 სტატიაა შესული. საქართველოს შესახებ ენციკლოპედიაში დაცული ინფორმაცია ქართველი მკვლევრებისა და საზოგადოების ფართო წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს, გერმანული ენიდან თარგმნეს და სათანადო საკვლევი აპარატურითურთ გამოაქვეყნეს **თამაზ გოგოლაძემ** და **გოჩა საითიძემ** (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 535-569).

მთარგმნელთა შეფასებით, „იოჰან ჰაინრიხ ცედლერის უნივერსალური ლექსიკონი მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი ენციკლოპედია და, ამავე დროს, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი საგამომცემლო პროექტია, რომელიც მთლიანობაში 68 000 გვერდს და 290 000 სტატიას შეიცავს“ (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 535).

იოჰან ჰაინრიხ ცედლერი 1706 წლის 7 იანვარს დაიბადა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში (მისი გერმანული სახელწოდებაა რესლაუ). მამამისი იოჰანი მეწაღე იყო. საგამომცემლო საქმე ვროცლაველ წიგნებით მოვაჭრესთან – ჰანს ბრახფოგელთან ბავშვობაში შეუსწავლია. 1726 წლიდან ქალაქ ფრაიბურგში ცხოვრობდა, სადაც ცოლად შეირთო ადგილობრივი გამომცემლის, დავით რიხტერის და დოროთეა (1695-1755 წწ.). ამავე ქალაქში

ცოლისა და ცოლისძმის დახმარებით დააარსა საკუთარი გამომცემლობა და გამოსცა რამდენიმე წიგნი. 1727 წელს მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ლაიფციგში, რაც მაშინდელი ევროპის ერთ-ერთ უმთავრეს საგამომცემლო ცენტრს წარმოადგენდა. აქაც ცედლერს საკუთარი გამომცემლობა და წიგნების მაღაზია ჰქონდა. საგამომცემლო საქმეში მის პირველ სერიოზულ საქმედ შეიძლება ჩაითვალოს 1728 წელს მარტინ ლუთერის თხზულებათა თერთმეტტომეულის გამოცემა.

1730 წლის 26 მარტს ახალი საგამომცემლო პროექტის, პირველი გერმანული სასაუბრო ლექსიკონის შესახებ ცედლერის განცხადებამ მისივე ლაიფციგელი კონკურენტების პროტესტი გამოიწვია, რაც ქალაქ ჰალეში ცედლერის საცხოვრებლად გადასვლის მიზეზი გახდა. 1731 წლის 6 აპრილს ადგილობრივი უნივერსიტეტის კანცლერის – იოჰან პეტერ ფონ ლუდევიგის დახმარებით „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის, შემდგომში უნგრეთისა და ბოჰემიის მეფისა და ავსტრიის ერცჰერცოგის) – კარლ VI ჰაბსბურგისაგან (1685-17400 წწ.) უნივერსალური ლექსიკონის დაბეჭდვის ნებართვა მიიღო (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 536-537).

ცედლერი საგამომცემლო პროექტის დანიშნულებას გადმოგვცემს ენციკლოპედიის საკმაოდ ვრცელ სათაურში. გამომცემელი აღნიშნავს, რომ ენციკლოპედიაში შესულია ყველა სახის ინფორმაცია, რაც „აქამდე ადამიანის გონებას შეუქმნია და შეუსწორებია“. ენციკლოპედიაში შესულია დედამიწის გეოგრაფიულ-პოლიტიკური აღწერა, ასტრონომიული და ისტორიულ-გენეალოგიური ცნობები, ასევე სტატიები წეს-ჩვეულებების, ზღვაოსნობის, ნადირობის, თევზაობის, მადნის მოპოვების, მეღვინეობის, მიწათმოქმედების, მეცხოველეობის... შესახებ. ენციკლოპედიით მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა გვექმნება ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო პირთა, წმინდა მოწამეთა, სექტანტთა და მწვალებელთა შესახებ. მასში წარმოდგენილია ინფორმაციები გამოჩენილი სწავლულების, უნივერსიტეტების, აკადემიების, საზოგადოებებისა და მათი აღმოჩენების, აგრეთვე, მითოლოგიის, ნუმიზმატიკის, ფილოსოფიის, მათემატიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ და ა. შ. (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 537-538).

ცედლერი 45 წლის ასაკში, 1751 წელს, ლაიფციგში გარდაიცვალა. უნივერსალურ ლექსიკონში საქართველოს თემატიკაზე საკითხების დამუშავება-შესწავლა და სტატიების სახით შეტანა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთი ევროპა გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა ჩვენი ქვეყნის მიმართ. ევროპელ მკვლევრებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოზე. „აღნიშნული თვალსაზრისით, მართლაც, საინტერესო სურათს ვიღებთ: ირკვევა, რომ ევროპელი მკვლევრებისთვის ცნობილი იყო ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორების..., აგრეთვე რამდენიმე ბიზანტიელი ავტორის... თხზულებებში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ“ (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 538-539).

საკვანძო სიტყვები: მხარე, საზღვრები, ტოპონიმია, ჰიდრონიმია, ისტორიული გეოგრაფია, ლოკალიზაცია, დასახლებული პუნქტი, მდინარე.

Igor Kekelia
Doctor of History, teacher of Poti public school №15,
Poti, Georgia,
igor.kekelia@gmail.com, 577954835

ENCYCLOPEDIC REFERENSES BY JOHANN ZEDLER ON THE HISTORICAL GEOGRAPHY AND TOPONYMY AND MODERN HISTORIOGRAPHY OF ABKHAZIA

Abstract

The name of Johan Heinrich Zedler, a famous German publisher and bookseller, is connected with the creation of a German encyclopedia, the Grosses Universal-Lexicon (Great Universal Lexicon), the largest and most comprehensive German-language encyclopedia developed in the 18th century. Among its expansive content, 35 articles are distinctly devoted to the Georgian subject matter. This research highlights the significance of the Zedler Encyclopedia's content, particularly in relation to inquiries concerning the historical and geographical aspects of Abkhazia during the latter half of the 18th century.The information contained in the encyclopedia about Georgia was made available to Georgian researchers and

a wide part of public translated from German published by Tamaz Gogoladze and Gocha Saitidze. Zedler gives the purpose of the publishing project in a rather broad headline. The publisher notes that the encyclopedia contains all sorts of information that the human mind has ever produced and modified.

Zedler's extensive references shed light on the toponyms and hydronyms that resonate within the borders of contemporary Abkhazia, encompassing notable names such as Enguri, Ekhalisi, Kodori, and Mokvistskali. Particularly intriguing is Zedler's documentation concerning the „Great Wall of Abkhazia". This study delves into the multifaceted realms of historical geography and toponymy within Abkhazia, scrutinizing them through the lens of modern historiography.

კვლევის მიზანი. ნაშრომში ყურადღებას მივაპყრობთ ცედლერის ენციკლოპედიაში აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმიის შესახებ შესულ ცნობებზე. აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ თანამედროვე ისტორიოგრაფიის ჭრილში.

მსჯელობა. აფხაზეთის სამთავროსადმი მიძღვნილი სტატიის მცირე მოცულობა, ცედლერის ქართულ ენაზე მთარგმნელთა მართებული აზრით, „დამოკიდებული იყო არა იმდენად დასამუშავებელი საკითხის მნიშვნელობაზე, არამედ იმაზე, თუ რა რაოდენობის ფაქტობრივ მასალას ფლობდნენ ავტორები ამა თუ იმ სტატიის დაწერისას" **(გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 539).**

აფხაზეთის მხარის საზღვრებს ცედლერი ასე წარმოგვიდგენს: „აფხაზეთი (Abascie, Avogasie, Abassa, Abascia, Abasgia) მხარე საქართველოში, აზიაში, მდებარეობს სამეგრელოს, ჩერქეზეთსა და შავ ზღვას შორის, ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე დასახლებული პუნქტი აქვს. მცხოვრებლები, რომლებსაც აბაზებს ან აფხაზებს უწოდებენ, ღონიერები და მოხერხებულები არიან, რის გამოც თურქებს სიამოვნებით ჰყავთ მონებად. ზოგი გეოგრაფი ამ **Abascie**-ს და **Avogasie**-ს ერთ და იმავე პროვინციად მიიჩნევს; ზოგიერთები კი მათ განასხვავებენ და **Abascie**-ს საქართველოს აღმოსავლეთში, **Avogasie**-ს კი დასავლეთში უჩენენ ადგილს" (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 542).

აფხაზეთის საზღვრების დასადგენად საყურადღებოა სამეგრელოს მხარის საზღვრებზე ცედლერის საენციკლოპედიო სტატიებში მოცემული მსჯელობაც.

სამეგრელო (Mingrelien, Mengrelien, Mengrellie, Mingrelia), საენციკლოპედიო სტატიის მიხედვით, მხარეა საქართველოში, რასაც ამჟამად **ოდიში** ჰქვია, ძველად კი **კოლხეთს** უწოდებდნენ. აღმოსავლეთით გურჯისტანი საზღვრავს, დასავლეთით – შავი ზღვა, ჩრდილოეთით – აფხაზეთი, სამხრეთით – ოსმალეთი. სამეგრელო მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკასიის მთიანეთის მახლობლად. იგი სამ პროვინციას – იმერეთს, გურიასა და **სადადიანოს,** ანუ საკუთრივ **სამეგრელოს** აერთიანებს. პირველი სამეგრელოს აღმოსავლეთით მდებარეობს, მეორე – სამხრეთით, მესამე კი – ჩრდილოეთით (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 551)[1].

სტატიაში ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთის საზღვრად აფხაზეთის მიჩნევა არასწორია: აფხაზეთის სამთავრო ოდიშის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, ხოლო ჩრდილოეთით ოდიშს სვანეთი ესაზღვრებოდა. თვით აფხაზეთისადმი მიძღვნილ მცირე სტატიაში აღნიშნულია, რომ მხარე ამ სახელწოდებით (Abascia, Avogasie, Abassa, Abasgia) სამეგრელოს, ჩერქეზეთსა და შავ ზღვას შორის მდებარეობს და ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე დასახლებული პუნქტი გააჩნია (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 542).

სტატიის ავტორის ცნობა, რომ სამეგრელო სამი პროვინციისგან შედგება, როგორც მთარგმნელთა კომენტარში სამართლიანადაა მითითებული, შეცდომაა – იმერეთი და გურია სამეგრე-

---

[1] სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული სახელწოდება იყო „კოლხიდა“, ხოლო „კოლხი“ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველების საერთო სახელი იყო. ძვ. წ. VIII ს-ის ურარტულ წყაროებში მოიხსენიება „კოლხა“. ძვ. წ. VIII ს-იდან არსებულ კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე ახ. წ. II ს-იდან აღმოცენდა ეგრისის სამეფო. ვახუშტი ბატონიშვილთან ქორონიმი მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული: ქალაქ ეგრისს „სწერენ ევროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარიღო ოქროს რუნი, ანუ საწმისი“. იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, IV, 1973. ევროპულ წყაროებში მოიხსენიება „კოლხიდა“. არქანჯელო ლამბერტი წერს: „ძველი პოეტებისაგან ფრიად სახელგანთქმული კოლხიდა არის აზიის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის უკიდურეს ნაპირზე და რომელსაც მკვიდრნი უწოდებენ ოდიშს და სხვები სამეგრელოს”. იხ. ლამბერტი, 2011: 101

ლოს, ანუ სადადიანოს პროვინციებს კი არ წარმოადგენდა, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები იყო. იმერეთი სამეფოს, ხოლო გურია სამთავროს წარმოადგენდა (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 566).

აფხაზეთი საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პროვინციის სახელწოდებაა. თანამედროვე აფხაზეთს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვა აკრავს; აღმოსავლეთით საზღვარი სვანეთ-აფხაზეთის ქედს და მდ. ენგურის ქვემო დინებას გასდევს, ჩრდილო-დასავლეთისა – მდ. ფსოუს, ხოლო ჩრდილოეთისა – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს.

ისტორიულ წარსულში **აფხაზეთს,** როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინს, სამი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. აფხაზეთი აღნიშნავდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილს, ანუ საკუთრივ აფხაზეთს – საქართველოს ისტორიულ პროვინციას, ხოლო ეთნონიმი „აფხაზი“, „აფხაზები“ – ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს; ამ მნიშვნელობით გვხვდება ეს ტერმინები უცნობი ავტორის თხზულებაში – „წამება და ღუაწლი წმინდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი“ („...რამეთუ იყო ბანაკი მათი (არაბთა – ი. კ.) ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი და აღაოხრნა და უვალ და უკაცურ ყო ქუეყანა მეგრელთა და აფხაზთა“), სტეფანე მტბევარის „გობრონის წამებაში“, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ იოანე მოციქულის მოგზაურობის აღწერაში, ეფრემ მცირის „მოქცევაში“, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მატიანეებში, უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაში“ და სხვ.; 2. „აფხაზეთი“ წარმოადგენდა მთელი დასავლეთ საქართველოს სახელწოდებას. აფხაზთა მთავარ ლეონ II-ის მიერ ამ რეგიონის გაერთიანებიდან; მეორე, ანუ მთელი დასავლეთ საქართველოსა და ამ ტერიტორიის ყველა მკვიდრის მნიშვნელობით აფხაზეთსა და აფხაზს ხმარობენ იოანე საბანისძე („აბოს წამება“), გიორგი მერჩულე („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) და ა. შ. ამ თხზულებებში აღწერილი ამბების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს პერიოდს VIII ს-ის 80-90-იანი წლებიდან XI ს-ის დასაწყისამდე (ლორთქიფანიძე, 1990: 9-10; გამყრელიძე, 1993: 588-589; გვანცელაძე, 1993: 572-573); 3. მესამე ეტაპზე „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ მნიშვნელობის ქვეშ თითქმის მთელი საქართველო და მისი ნებისმიერი მკვიდრი იგულისხმება, უმთავრესად უცხოურ –

არაბულ, სპარსულ, სომხურ და ბერძნულ წერილობით წყაროებში. ასეთი ვითარებაა ბაგრატ III-ის მიერ საქართველოს გაერთიანებიდან, ანუ XI ს-ის დასაწყისიდან, ვიდრე ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებამდე (გვანცელაძე, 1993: 573).

XV-XVI საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე ქორონიმ „აფხაზეთისა“ და ეთნონიმ „აფხაზის“ ქვეშ თავდაპირველი მნიშვნელობა – ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ის ხალხი მოიაზრება, რომლებიც ამჟამად აფსუებად იწოდებიან (იქვე: 574; გამყრელიძე, 1993: 590).

თავდაპირველი აფხაზეთი (აბაზგია), რაც ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ორ მცირე სამთავროს აერთიანებდა (ცენტრები: ბიჭვინთასა და ანაკოფიაში), მოიცავდა ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთით მდ. აბასკოსსა (მდ. ბზიფი, ფსოუ ან მზიმთა) და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ცხუმსა და ანაკოფიას შორის.

VII ს-ის დასაწყისში აფხაზეთმა აფშილეთის ნაწილის მიერთებაც შეძლო კელასურამდე და ამ სახით ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. VII-VIII სს-ში ეგრისის სამეფოს დასუსტების პერიოდში გაძლიერებულმა აბაზგიის სამთავრომ თავის ტერიტორიულ სივრცეში გააერთიანა აბაზგები, აფშილები, სანიგები და მისიმიელები. ტომთა ეს ერთობლიობა ქართულ წყაროებში **აფხაზებად** იწოდება, ხოლო აბაზგიის მთავარი – აფხაზთა მთავრად ან **ერისთავად** (ლორთქიფანიძე, „საქართველო“, I, 1997: 255).

VIII ს-ის II ნახევრის ბოლოს აფხაზთა მთავარმა ლეონ I-მა თავისი ნათესავის (პაპა დედის მხრიდან), ხაზართა ხაკანის დახმარებით შეძლო დასუსტებული ბიზანტიის იმპერიის ვასალობისგან თავის განთავისუფლება. ნიკოფსიიდან სამხრეთით – ჭოროხის ხეობამდე, ხოლო აღმოსავლეთით ლიხის მთამდე – მთელი დასავლეთი საქართველო (ეგრის-აფხაზეთი) ერთ ტერიტორიულ სივრცეში მოექცა. შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზთა სამეფოს“ სახელწოდებით. ლეონ I-ის ძმისშვილმა ლეონ II-მ „აფხაზთა მეფის“ ტიტული მიიღო. სამეფოს ცენტრი ქუთაისი გახდა. ამ სახით იარსება მან VIII ს-ის 70-იანი წლების ბოლომდე. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დასავლურქართული სამეფოს ტერიტორიაზე შექმნილი 8 საერისთავოდან

ორი შეიქმნა უშუალოდ აფხაზეთის ძველი ბიზანტიური საერისთავოს ფარგლებში. ესენია საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო, რამაც საზღვარი გაიფართოვა ჩრდილო-დასავლეთისკენ, ციხე-ქალაქ ნიკოფსისამდე (ნიკოფსია), და ცხუმის საერისთავო, რამაც მთელი ძველი აფშილეთი მოიცვა (მუსხელიშვილი, „საქართველო“, I, 1997: 250). მოგვიანებით, XII ს-ში ეს ტერიტორია ცხუმის საერისთავოს ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. მის სათავეში იდგა შერვაშიძეთა ფეოდალური გვარის წარმომადგენელი. აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ VIII-X სს-ში „ცხუმის საერისთავოდ“ წოდებული ტერიტორია ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV ს-ის მიწურული) ოდიშის (სამეგრელოს) ერისთავთერისთავებმა შეიერთეს, ხოლო აფხაზეთის ერისთავები – შარვაშიძენი ოდიშის მთავრის ქვეშევრდომები გახდნენ (იქვე).

ნიკო მარისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიღებული მოსაზრებით, ქართული **აბხაზ-** და ბერძნული **აბასგ-** ფუძეებისათვის ამოსავალი უნდა იყოს **აბაზხ-** (კახაძე, 1993: 551-556). ო. კახაძე არც იმ შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ამ სიტყვის მეგრული ფორმა აბხაზა (-აფხაზა) და ამ უკანასკნელის გამარტივებული სახე – ქართული აბხაზ-ი, მიგვეღო მეტათეზისის (ბგერათა გადაადგილების) გზით, **აბზახა** ფორმისაგან, რაც უახლოვდება ნ. მარისა და ს. ყაუხჩიშვილის მიერ ძირითადად ბერძნული ფორმის მეშვეობით აღდგენილ **აბაზხ** ფორმას: აბზახა/აბაზხა ← აბაზახა (იქვე: 556). მკვლევარი აბაზახა ფორმას ფუძითაც და -ხა ფორმანტითაც ადიღეურ (ჩერქეზულ)-ყაბარდოულ ენობრივ სამყაროს უკავშირებს (იქვე: 561). აბხაზ-/აბხაზა (← აბზახა ← აბაზახ) ფუძეთა ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ ეს ეთნონიმი ქართველებს ადიღეელთაგან (ჩერქეზთაგან) უნდა ესესხებინათ, რასაც ეთნონიმის ხ ელემენტი მოწმობს, და იმთავითვე გულისხმობდა ადიღეელებს, კერძოდ, აბაძახებს და, შესაძლებელია, მათ მეზობელ აბაზა ტომს (იქვე: 562).

აფხაზ-/აბაზგ- და **აბაზა/აფსუა** ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი მოცემულია აკად. თამაზ გამყრელიძის ნარკვევში. მისი დაკვირვებით, ახ. წ. I-II საუკუნეებიდან ბერძნულ წყაროებში ერთმანეთის მეზობლად მოხსენიებულ ქვეყნებს – **აფსილია-სა** და **აბაზგიას** შუა საუკუნეების ქართული წყაროების („ქართლის

ცხოვრება“) **აფშილეთი** და **აფხაზეთი** შეესატყვისება (გამყრელიძე, 1993: 581). ბერძნულ-ქართული წყაროების **აფსილ-/აფშილებს** თ. გამყრელიძე თანამედროვე **აფსუა/აფხაზებთან** გენეტიკურად და ენობრივად დაკავშირებულ ეთნოსად და მათ შესაძლო წინაპრად მიიჩნევს, ხოლო **აფხაზ-/აბაზგ-** ეთნონიმის ქვეშ, ახ. წ. I ს-ში შავიზღვისპირეთში არსებული ეთნოკულტურული ვითარების გათვალისწინებით, ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით დასავლურ-ქართველური წარმომავლობის იმ ტომებს მოიაზრებს, „რომლებიც ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომების ახლო მონათესავე უნდა ყოფილიყვნენ“ (იქვე: 587).

ვახუშტი ბატონიშვილი ანაკოფიის დასავლეთით, უფრო ზუსტად, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აფხაზეთის უწინდელ სახელწოდებად **ეგრისს** მიიჩნევდა: ,,ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე“ (ვახუშტი, IV, 1973: 784). მაშასადამე, დიდი მეცნიერის აზრით, საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორია ეგროსიანთა კუთვნილებას წარმოადგენდა; ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია „დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე“ (იქვე).

„წილი ეგროსისა“ გულისხმობს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, ანუ იმ ტერიტორიას, რაც ქართველთა ლეგენდარულმა ეთნარქმა ეგროსმა თარგამოსისგან მიიღო. ლეონტი მროველის აზრით, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც იზიარებს, ესაა „ქუეყანა ზღუის ყურისა“, მოქცეული შემდეგ საზღვრებში: „აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 5).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ემყარება ვახუშტის ვერსიას, ისტორიული რეალობის შემცველ ლეგენდას ეგროსისა და მისი შთამომავლების შესახებ (ვახუშტი, IV, 1973: 63), რის საფუძველზეც აფხაზეთს ქვემო ივერიად მიიჩნევდა, „რომელსაცა ეგრისი სახელსძევს“, ხოლო ეთნონიმ „აფხაზს“ ეგროსის შთამომავლის, გმირისა და აფხაზეთის პირველი მეფის აფხაზოსის სახელს უკავშირებდა (ბატონიშვილი, 1848: 56).

ქ. ლომთათიძის აზრით, უბიხურში „აფხაზის“ შესატყვისია **აზეღა**. მკვლევარს ეძნელება ამ ფუძის დაშორება ადიღელთა „ადგღა“, და მეორე მხრივ, **აბაზა/აბაზგ**-სა, რაც აფხაზურ ტომს მიემართება, და ადიღელ ტომთა **აბაძეხ/აბძახ/აბზახ/აბასხ** და **აფხაზ** სახელწოდებათა ერთმანეთისაგან დაშორება (ლომთათიძე, ეძ, VI, 1997: 124).

მკვლევრის დაკვირვებით, **აფშილ/აფსილ, აფსარ** და **აფსუა** ერთი და იმავე ხალხის აღმნიშვნელი, საერთო ძირის შემცველი, სახელებია, თუმცა გასარკვევია სხვაობები მათ შორის როგორც ძირეული, ისე აფიქსისეული ვარიანტების მიხედვით. **აფს-უა** (ბზიფ. **აფს'უა**) აფხაზურია და „აფხაზ ადამიანს“ ნიშნავს. **აფშილ** ფუძის **შ** შიშინა სახეობა ამ ეთნონიმის სხვა ენაზე გარდაქმნილ აკუსტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. „მაშასადამე, – დაასკვნის ქ. ლომთათიძე, – **აფშილ** სახელწოდებაში ამოსავალი სისინ-შიშინა ს'-ს ადგილას **შ**-ს გამოყენება ამ ენის წარმომადგენლის საქმეა, ვინც ეს ფუძე აწარმოვა. ბუნებრივია, სხვა ენობრივ გარემოში სწორედ ქართული გარემო ვივარაუდოთ“ (იქვე: 125-126). მკვლევრის დაკვირვებით, ქართულად გაფორმებული სახელწოდება **აფშილები/აფშილი** იმ აფხაზებს მიემართება, რომელთა ენაშიც იყო სისინ-შიშინა ს', ე. ი. **დასავლეთის (ბზიფური) შტოს აფხაზებს**. რაც შეეხება **აფსილ** სახეობას, უნდა ვიფიქროთ, რომ ესაა ქართული **აფშილ**-ის ბერძნულად გადაღებული ვარიანტი (ბერძნული **შ** ფონემის უქონლობის გამო). **აფსარ**- ეთნონიმის ამოსავალში უნდა ვიგულისხმოთ **აღმოსავლური**, ე. წ. **აბჟუური, აფხაზური ტომები**, რომელთაც სათანადო სისინ-შიშინა ბგერა არ გააჩნიათ. სწორედ აბჟუური კილოს სისინ-შიშინა ს' სპირანტი იძლევა **ს**-ს **აფსარ**- ფუძეში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, თუკი **აფშილ** დასავლურ-აფხაზურზე (ბზიფური შტო) დაფუძნებული და ქართულად გაფორმებული სახელწოდებაა, **აფსარ**-თან მიმართებაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: აღმოსავლურ-აფხაზურ ტომთა ენობრივი სპეციფიკის, ანუ აბჟუურის საფუძველზე წარმოქმნილი **აფს-არ-ი** ზანური (მეგრული) სადაურობის მაწარმოებელი **-არ** სუფიქსით არის გაფორმებული (შდრ. ჭყონდიდ-არ-ი) (იქვე: 126-127).

უზუსტობას შეიცავს ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ბერძენთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის

შემდეგ ეწოდა ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ბერძნული სახელწოდება „აბასა“. საქმე ისაა, რომ ძველ ბერძნულში „აფხაზეთის“ აღმნიშვნელად დამოწმებულია **აბასკოი** ფორმა და მისი ვარიანტები: **აბასგოი** და **აბასხოი**. ამასთანავე, ფიქრობენ, რომ ძველბერძნული ფორმის ამოსავალია აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი ზოგადი სახელიდან – **ა-აბაზა – აბაზა** ფორმიდან მომდინარე **აბაჟა,** რაც ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისის ახლო ხანებში უნდა გამხდარიყო ძველბერძნული **აბასკოი** ფორმის საფუძველი (გვანცელაძე, 1993: 581-590; მისივე, 1998: 38-39). თ. გვანცელაძე ვარაუდობს, რომ აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი სახელი აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ენებზე უნდა ყოფილიყო **ა-აბაზ-ა – აბაზა,** ამოსავალი ფორმით – ***ა-ფას-ა.** ამ უკანასკნელისგან **-უა** სუფიქსითაა ნაწარმოები **აფსუა** /- ***/ა-ფას-უა** (გვანცელაძე, 1998: 38-39). ამასთანავე, მისი დაკვირვებით, **აფხაზ-** ფუძე უნდა მომდინარეობდეს ჩერქეზული **აბაზა ხა** კომპოზიტისგან. **ხა** ჩერქეზულში ნიშნავს ,,ქვემოურს, ქვემოთას“. მაშასადამე, **აბაზა ხა** „ქვემოური აბაზა“. **აფხაზ-** ფუძის წარმოქმნის გზა, თ. გვანცელაძის აზრით, შემდეგია: ჩერქეზ. **აბაზა-ხა/აბზახა** →მეგრ. **აბხაზა** →ქართ. **აფხაზი** (იქვე: 38).

აფხაზი ენათმეცნიერის – ვ. კვარჭიას მსჯელობა ეთნონიმ „აბაზას“ შესახებ ასეთია: «**Абаза** – этнотопоним, использовавшийся в прошлом многими народами для обозначения Абхазии, абхазов и абазин. В турецком языке он бытует и сегодня в таком же значении. Названия Абаза, абхазское – Аҧсны, грузинское – Аҧхазети, русское Абхазия являются синонимами. В источниках и на географических картах они встречаются отдельно или вместе. Так, на карте Ламберти написано: «Абасса или Абхазия», а на карте Рейнеке (1802 г.) – «Абаза-Аҧсне».

Абхазы (в том числе и абазины) именуются в источниках также по-разному: абаза, аҧсуа (самоназвание), у грузин аҧхази, в мегр. аҧхаза, в русском – обезы, абаза, абазины, абхазы. Услар писал, чт абаза и аҧсуа имеют общее происхождение. Н. Я. Марр связал с ними и грузинское аҧхаз, абхаз. Но есть ученые, которые форму аҧсуа рассматривают отдельно. Как отмечает Д. И. Гулиа, некоторые аҧсуа (аҧсыуа) переводят как «люди души», а Аҧсны-как «страна души». Сам Д. Гулиа возводит аҧсуа к абасуа и переводит как «люди из Абиссинии» (Гулия, с. 94-95). Ш. Д. Инал-ипа дает три объяснения термина аҧсуа: аҧсы-уа (аҧсуа) – «люди души», «люди (племени)»

апсов», или же, аԥса-уа от аԥса (сосна) + уа «люди» (Инал-ипа. Вопросы, с. 355, 368). В одной из своих статей мною высказано мнение, что в этнониме «аԥсуа» возможно имеем основу ԥс«вода» + уа «люди», отсюда аԥсуаа букв, «люди воды», т. е. «люди, живущие у воды (моря)». (См.: Кварчия В., 1973, №11, С. 91-95). Однако, Услар прав, термин абаза и аԥсуа имеют общее происхождение, поэтому неверно рассматривать их раздельно. Все исследователи в самоназвании абхазов аԥсуа без сомнения выделяют элемент уа «люди», срав. ақырҭ-уа «грузин», агыр-уа «мегрел», ашәаны-уа «сван», асаӡ-уа «садз», ашә-уа «абазин», а-уа-ԥс «осетин» и т. д. Основа аԥс, как указывал Услар, увязывается с корнем этнонима абаза. От них не отделимы основы наименований древнеабхазских племен аԥс-ил, абас-к или абаз-х, абаз-г. Х. С. Бгажба пишет: «Абазги и апсилы являются ближайшими родственными этническими образованиями, о чем указывают и их самоназвания, восходящие к одному и тому же корню, представленному различными фонетическими вариантами: ps//ps' (Как мне представляется, все эти формы восходят к абхазо-адыгскому а-быз «язык». Отсюда абаз-а или абыз-а, букв, «язык люди», т. е. «одноязычные» – от абыз «язык» + а – показатель множественности класса людей. То же самое означает его более поздняя форма абз-уа > аԥс-уа из абыз «язык» + уа «люди». Из основы абыз «язык» происходит абхазское слово абызшэа «язык (разговорный)». Среди имен народов мира известны немало этнонимов, означающих «человек», «люди», «понимающие», «говорящие». Как отмечает В. А. Никонов, носители одного языка, понимая друг друга, называли себя «говорящие», в отличие от всех других, языка которых не понимали (Никонов В. Этнонимы. М. 1970. А. С. 16). У абхазов и абазин и сегодня можно услышать выражение ҳабзуаа – букв, «нашего языка люди».

Одного происхождения не только основы абаз, абас, аԥс, но и окончания этнонимов аԥс-уа, абас-к или абаз-х, абаз-г, а также кол-х, бру-х, зи-х, сани-к//сани-г древнегреческих источников. Похоже, что варьирующий суффиксальный элемент у (ҕэы), г, гу (базгун) к, х древних записей восходит к абхазо-адыгскому гортанному ҕэы «человек», «люди». Известно, что в абхазском языке ҕэы, ԫы перешли в аа, ԫы, у (см. Амичба С. А., Гублиа Р К. Абхазский язык. – Сухуми, 1984 – На абх. яз., С. 46). Основа ҕэы имеется в убыхском слове ҭыҕэса «человек», она же в форме уы присутствует в адыгском термине шыуы «всадник» (Шагиров, Этимологический словарь... А.-Н. М. 1977. С. 22).

Таким образом, мы считаем, чта абаза является древним автонимом и связано с абхазо-адыгской языковой средой. От него же производны варианты абазг, абаск, абазх, аԥсил, аԥсуа. От этнонима

абаза происходит название страны, территории Абаза, Абазия (Кварчия, 2006: 63-64).

აფხაზა//აფხაზი ეთნონიმის ადიღეურიდან (***აბაზხ, აბაზახა**) მომდინარეობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს არ იზიარებენ ა. ლომთაძე და რ. შეროზია, ვინაიდან, მათი აზრით, აუხსნელი რჩება **ხ (ხა)** ელემენტის რაობისა და მეტათეზისის საფუძველი. **აფხაზა** ეთნონიმის ადიღეურიდან შეთვისების შემთხვევაში იგი ჯერ დასავლურ-ქართველურ არეალში უნდა შემოსულიყო და შემდეგ გავრცელებულიყო საერთო-ქართველურში. თუ ქართველურ სალიტერატურო ენაში **ხ** ელემენტის მეტათეზისს დავუშვებთ, მეგრულ-ლაზურს ამოსავალი ფუძე თუ არა, მასთან მიახლოებული ვარიანტი მაინც უნდა შემოენახა. ყოველ შემთხვევაში ადიღეურ ურედუქციო ფორმებში არა გვაქვს მეგრულ-ლაზურისათვის არაკანონიკური თანხმოვანთმიმდევრობები, რომ მეტათეზისის გზით დაძლეულიყო იგი (ლომთაძე, შეროზია, „მახარია“, №12, 2003: 14; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ლომთაძე, შეროზია, ქუთაისური საუბრები, IX, 2002: 45-47). საისტორიო და საენათმეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ **აფხაზა//აფხაზი** ეთნონიმი უნდა მომდინარეობდეს სვანური გენიტიური მსაზღვრელ-საზღვრულიდან ***აფხაშ ზანი** – „მთის ზანი, მეგრელი“. კომპოზიტად ქცევის გზაზე, მკვლევართა აზრით, ეთნონიმ **აფხაზას** პირველ კომპონენტში დაკარგულა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო მეორე ნაწილში ბოლოკიდური **ნ**, რამაც მოგვცა **აფხაზა** და არა **აბხაზა** ფორმა. მსგავსი ფონეტიკური ცვლილებები დამახასიათებელია სვანური ტოპონიმებისათვის: ორკომპონენტიან სახელებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ვერ ძლებს და იკარგება. მაგალითად, არჩილაშ ლაკრავი, შდრ. არჩილა მურყვამ, არჩილი მოლ, არჩილი ნაკარ... ამასთანავე, თვით **აფხაზა** ტერმინი სვანეთის ტოპონიმიაში წარმოდგენილია რედუცირებული ფორმით: **აფხზარე ნენზილდარ, აფხზარ ნაშდუხ გორაგ**... ა. ლომთაძე და რ. შეროზია შესაძლებლად მიიჩნევენ ეთნონიმის პირველი კომპონენტის – **აფხას** დაკავშირებას მეგრულში დადასტურებულ **აფხა** სიტყვასთან, რაც ზურგს, ბეჭს აღნიშნავს, თუმცა იქვე შენიშნავენ: **აფხაზა** ტერმინის ამგვარ ახსნას დაბრკოლებებიც ახლავს, მაგრამ მას არსებობის უფლება აქვს და შესაძლებელია კვლევა-ძიების ამ მიმართულებით

წარმართვაც (იქვე). შდრ.: ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ მოცემულია **აფხა** სიტყვის ორი მნიშვნელობა: 1. **აფხა** (აფხას) ბეჭი; მხარი. **აფხაქ გაიწუოლგ ობრის**: მ. ხუბ., გვ. 27 – ბეჭი გაუვარდა ორბს. **განიშ აფხა, გურ დო ჩონჩხი**: ქხს, I, 303- ხბოს ბეჭი, გული და ღვიძლი. **აფხაშ დუდი** ბეჭის ძვლის კაკნატელა, ხრტილოვანი დაბოლოება; 2. **აფხა/აფხვა** (აფხას/აფხვას) ბეჭი; საქსოვი დაზგის ნაწილი (სავარცხელი). **ოშუალს (ძაფის) დობრშუნდით, ქამშურღვანდით დიორდე ზინგის დო უკული აფხას** – საქსოვს (ძაფს) დავქსელავდით, გავუყრიდით ჯერ ზინგში და მერე აფხაში (ბეჭში). (შდრ. მასალები, ტ. II, ნაწ. II, გვ. 217)“ (იხ. ქაჯაია, I, 2001: 200).

ვახუშტი ბატონიშვილი აფხაზეთს შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჴრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდამ კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღჳდამ კავკასის თხემამდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 784).

ციტირებული ცნობიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედამდე ვრცელდებოდა, ხოლო დასავლეთით (დავაზუსტოთ: ჩრდილო-დასავლეთით) – მდ. კაპპეტამდე („კაპპეტის მდინარე“). ვახუშტი წერს: „ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე“ (იქვე: 785).

მის მიერვე 1735 წელს შედგენილ რუკაზე კაპპეტის წყალი ბიჭვინთის დასავლეთითაა დატანილი. ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით, შავ ზღვას უერთდება მდ. ბზიფი. აღნიშნული მანძილისა და იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე რუკებზე ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთით კაპპეტის წყალს არსად არ ვხვდებით, მიჩნეულია, რომ ისტორიული წყაროების „კაპოეტი“ და ვახუშტისეული „კაპპეტის მდინარე“ ამჟამინდელი მდ. ბზიფი უნდა იყოს. ამას მოწმობს სხვა წყაროების ჩვენებაც; კერძოდ, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სანდო პირველწყაროდ მიჩნეულ 1737 წლის ლიხთ-იმერეთის რუკაზე აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარზე აწერია: „იალბუზის მთა აქ დასწყდება“; „აქეთ ჯიქეთი“; ,,აწ ამას აქეთ ყაბართო“; დასავლეთით კი საზღვარი კაპოეტის წყალზე გადის (ბურჯანაძე, I, 1959: 192).

ვახუშტი **ოდიშის** საზღვრებზე მსჯელობისას აღნიშნავს: „საზღვარი ოდიშისა არს... დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრით ზღუამდე; ჩდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთის კერძო... ოდიშისა არს...“ (ვახუშტი, IV, 1973: 776). საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ისტორიკოსი მიზნად ისახავდა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკური რეალობის აღდგენა-გადმოცემას. მაშასადამე, ისტორიკოს თ. ბერაძის აზრით, ვახუშტი ძირითადად სწორად იძლევა ოდიშის სამთავროს საზღვრებს XV ს-ის მეორე ნახევრისათვის (ბერაძე, 1967: 251; მისივე, სიგკ, IV, 1971: 54).

XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის სამთავროს საზღვრებზე როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში, შედარებით მეტი ცნობები მოგვეპოვება და ამით ადვილდება საზღვრების დადგენაც. ლამბერტი შენიშნავს, რომ კოლხიდის (ოდიშის) საზღვარს აფხაზეთთან მდ. კოდორი წარმოადგენს: „...მდინარე... მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და, ჩემი აზრით კი, ძველი კორაქსია. დასავლეთის მხრით კოლხიდის საზღვარია შავი ზღვა, ანუ პონტუს ევქსინუსი... ჩრდილო-დასავლეთით იწყება კავკასიის მთების ზურგი“ (ლამბერტი, 2011: 23).

კასტელი გვაუწყებს, რომ „პონტოს ზღვასთან მდებარე კოლხეთის მხარეს დასავლეთიდან ესაზღვრება კორაჩეს, აკუს მთა... კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთას კორაქსი ეწოდება, აღმოსავლეთით და სამხრეთიდან მას ნახევარწრედ კავკასიონი ეკვრის“ (კასტელი, 1976: 51).

ჟან შარდენის ცნობის მიხედვით, ოდიში „სიგრძით გადაჭიმულია ზღვიდან მთებამდე, სიგანით კი აფხაზეთიდან იმერეთის სამეფომდე. მას საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიკოსების მიხედვით ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორისა და რიონის სახელწოდებით არიან ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი იმერეთისაგან“ (შარდენი, 1975: 107).

უცხოელ ავტორთა (ლამბერტი, შარდენი...) ცნობების ანალიზის საფუძველზე XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად მდ. კოდორის მიჩნევა სწორი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ზურაბ ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 1976: 261-262; შდრ. ხორავა, 1996: 93).

რუსეთის მეფის დესპანებს – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევს, რომლებიც 1639-1640 წლებში იმყოფებოდნენ ოდიშში, თავიანთ ელჩობის ანგარიშებში აღწერილი აქვთ ილორის, მოქვისა და დრანდის მონასტრები. ანგარიშებში მოიხსენიება მდ. მორგულა, სოფლები – მერკულა, კვიტოული და ფშაფი: «Февраля въ 7 день начавали в деревне Пшехапе. Феврая въ 8 день начавали в деревне в Китоуле. Феврая въ 9 день были мы в монастыре в Мокшенском сь епископам сь Ондреям да сь Макшмам... Феврая въ 9 день были мы в монастыре вь Егорьвском (iloris – i. k.) Федот да поп Павел...» – ვკითხულობთ ანგარიშებში (ბელოკუროვი, 1887: 325). სხვაგან აღნიშნავენ, რომ «Феврая въ 5 де пошли из Маркулей и пришли к Чорному морю... Феврая въ 6 де в Дандренскай монастырь пришли» (იქვე: 351).

რუსეთის მეფის ელჩთა საანგარიშო აღწერილობიდან ჩანს, რომ კოდორის მარჯვენა მხარეს საკმაოდ დაცილებული სოფელი ფშაფი ამ დროისთვის ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში იყო. რუსი ელჩების მიერ მოხსენიებული დრანდის მონასტერი, რაც დრანდის საეპისკოპოსოს ცენტრს წარმოადგენდა, ოდიშის სამთავროს ეკუთვნოდა, ვინაიდან დრანდაც კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1630 წლისათვის, იტალიელი მისიონერის, ჯოვანი და ლუკას ცნობით, ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდ. აუსზე გადიოდა: „21 მაისს მოვედით ძველ ქალაქ სკისორნუმში (Schissornum), საცა მდინარე აუსი ჰყოფს აფხაზეთს სამეგრელოსაგან“ (თამარაშვილი, 1902, 144). პროფ. ილია ტაბაღუა ამ ადგილს შემდეგი სახით კითხულობს: „ჩვენ უკვე ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში ვიყავით, სადაც მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ყოფს“ (ტაბაღუა, III, 1987:157). იგი ფიქრობდა, რომ მდ. აბსი იგივე მდ. კოდორია (იქვე: 160). ამ მოსაზრებას არ იზიარებს ბეჟან ხორავა და შენიშნავს, რომ ჯოვანი და ლუკასეული აუსი მდ. ბესლეთს შეესატყვისება: „თუ აბსი მდ. კოდორია, მაშინ გაურკვეველია, სად იყო სკორჩა (სკურჩა), სადაც ჯ. ლუკა დღენახევრის მგზავრობის შემდეგ ჩავიდა და დრანდის ეპისკოპოსს შეხვდა. სკურჩა მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე იყო, დრანდა – მარჯვენაზე; თუ აბსი კოდორია, სად იყო მის სანაპიროზე ანტიკური ქალაქი? ჯ. ლუკა გარკვევით წერს, რომ ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ყოფს. საფიქრებელია, რომ მდ. აბსი,

აბსილი, იგივე მდ. ბესლეთია... ადვილი შესაძლებელია, ჯ. ლუკას მდინარის სახელწოდება ბასლა (ბესლეთი) აბსილად მოსჩვენებოდა“ (ხორავა, 1996: 94). მდ. აუსის/აბსის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა განსხვავებულობის მიუხედავად, ქალაქ სკისორნუმისა და სოხუმის იგივეობას ორივე მკვლევარი მხარს უჭერს.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ იტალიელი მისიონერი დრანდის წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიას ოდიშის შემადგენლობაში აქცევდა. ეკლესია „ახლოა აფხაზებთან, რომლებთანაც ქართველებს ძრიელ ცოტა მეგობრობა აქვსთ“ (თამარაშვილი, 1902: 149). ქართველებსა და აფხაზებს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე მიანიშნებს სკისორნუმელი (სოხუმელი?) თავადის – პუტოს ნათქვამი მისიონერ ჯოვანი და ლუკასადმი, რომ მას მეზობლად მყოფ ქართველ სასულიერო პირებთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდა (იქვე: 149; კვაშილავა, 2011: 68). პირველი დასახლებული პუნქტი, რასაც დომინიკანელი მისიონერი სამეგრელოში ასახელებს, არის Scourcia (იქვე). ესაა მდ. კოდორის ნაპირას მდებარე სოფელი სკურჩა.

ის ფაქტი, რომ ჯოვანი და ლუკას ცნობით ჯერ კიდევ ფუნქციონირებს დრანდის მონასტერი, როგორც დრანდელი არქიეპისკოპოსის (Driandelli) საკათედრო რეზიდენცია, კ. კვაშილავას აფიქრებინებს, რომ მომხდურ აფხაზთა შემოტევების გამო ოდიშართა სამხრეთ-აღმოსავლეთით დახევის მიუხედავად, მეგრული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის არსებობა დრანდაშიც ამ დროისათვის (იგულისხმება 1630 წელი) შესაძლებელია (კვაშილავა, 2011: 69). თუმცა მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ იტალიელ მისიონერთა ცნობებს ეჭვით უყურებს თამაზ ბერაძე, რადგან დრანდის მონასტერი ამ შემთხვევაში ოდიშის გარეთ ჩანდა (იქვე: 69; ბერაძე, 1999: 210).

XVII ს-ის 80-იანი წლებიდან კოდორ-ენგურის შუამდინარეთში ეთნიკური სიტუაცია მკვეთრად იცვლება. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, ამ დროიდან იწყება აფხაზ ფეოდალთა შეჭრა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი რაიონების დაპყრობა მდ. ენგურამდე: «Абхазские феодалы… в начале 80-х 22. XVII в вторглись на территорию Мегрельского к няжества и захватили его северные районы» (Анчабадзе,1959: 270).

ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორს-გაღმიდან ჩამოსული აფხაზები, ხოლო უფრო სამხრეთით, ადგილი აქვს ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, – ასე აფასებს XVII საუკუნის მიწურულის ვითარებას გ. ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 2006: 226).

XVII ს. 50-80-იანი წლების ოდიშ-აფხაზეთის საზღვრების შესახებ ცნობებს გვაწვდის ოსმალო ავტორი ქათიბ ჩელები. მისი თხზულების ქართული თარგმანის გამომცემლის, გიული ალასანიას მოსაზრებით, ჯიჰან ნუმას რუკები სწორედ ამ პერიოდშია შედგენილი; თუმცა საზღვრებთან დაკავშირებით ქათიბ ჩელების თხზულებასა და რუკის მონაცემებთან გარკვეული შეუთავსებლობაა. კერძოდ, ჩელები რუკაზე ოდიშ-აფხაზეთის გამყოფ საზღვარს მდ. კელასურზე ავლებს, თუმცა თხზულების მიხედვით მდ. კოდორია სასაზღვრო მდინარე (ალასანია, 1978: 56; ქათიბ ჩელების ცნობები..., 1978: 132). ფიქრობენ, რომ ქათიბ ჩელები გაცილებით განსხვავებულ და შედარებით ადრინდელ ცნობებს ფლობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომაც არის, რომ მისი რუკის მიხედვით საზღვარი მდ. კელასურზე გადის (კვაშილავა, 2011: 69).

ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი იყო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის, მაგრამ მისი მთავრობის პერიოდში გახშირებულმა აფხაზთა ლაშქრობებმა დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომების მონაწილეობით საფრთხე შეუქმნა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს. ამიტომ დადიანი იძულებული გახდა თავდაცვით პოლიტიკაზე გადასულიყო და ამ მიზნით აფხაზთა მარბიელი ლაშქრობისაგან სამთავროს დასაცავად აფხაზეთთან საზღვარი საფორტიფიკაციო ნაგებობებით გაემაგრებინა. საუბარია კელასურის ზღუდეზე, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ – აფხაზეთის დიდ კედელზე (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).

XVII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისისათვის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად მდინარე კოდორი ჩანს, მაგრამ 60-იანი წლებიდან აფხაზთა მთავარი სოუსტან (ბაგრატ) შერვაშიძე თავისი ლაშქრით აწარმოებს გახშირებულ თავდასხმებს ოდიშის მიწა-წყალზე.

„ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი, IV, 1973: 842). აღნიშნული ცნობა ოდიშის იმდროინდელი რეალური და საგანგაშო ვითარების ამსახველია. აფხაზებმა აიკლეს ოდიშის საზღვრისპირა პუნქტები და ქვეყნის შიდა ტერიტორიაზეც შეაღწიეს. აფხაზთაგან ცაიშის ტაძრის აოხრების შესახებ გვაუწყებს სახარების ერთი მინაწერი: „მერემეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა... ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით“ (თაყაიშვილი, 1913-1914: 188). აფხაზთა გამანადგურებელ ლაშქრობაზე მოგვითხრობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი: „...ბრმა ბაგრატისაგან შეურაცხყოფილი დადიანი ისეთი უძლური იყო, რომ აბაზგებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“ (ციტირება იხ. ხორავა 1996: 111).

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან კოდორ-ენგურის შუამდინარეთში ეთნიკური სიტუაცია მკვეთრად იცვლება. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, სწორედ ამ დროიდან იწყება აფხაზ ფეოდალთა შეჭრა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი რაიონების დაპყრობა მდ. ენგურამდე: «Абхазские феодалы... в начале 80-х 22. XVII в вторглись на территорию Мегрельского к няжества и захватили его северные районы» (Анчабадзе,1959: 270).

ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის, ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორსგაღმიდან ჩამოსული აფხაზები, ხოლო უფრო სამხრეთით ადგილი აქვს ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, – ასე აფასებს XVII საუკუნის მიწურულის ვითარებას ზ. ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 2006: 226).

XVII ს. 50-80-იანი წლების ოდიშ-აფხაზეთის საზღვრების შესახებ ცნობებს გვაწვდის ოსმალო ავტორი ქათიბ ჩელები. მისი თხზულების ქართული თარგმანის გამომცემლის, გიული ალასანიას მოსაზრებით, ჯიჰან ნუმას რუკები სწორედ ამ პერიოდშია შედგენილი; თუმცა საზღვრებთან დაკავშირებით ქათიბ ჩელების თხზულებასა და რუკის მონაცემებთან გარკვეული შეუთავსებლობაა. კერძოდ, ჩელები რუკაზე ოდიშ-აფხაზეთის გამყოფ საზღვარს მდ.

კელასურზე ავლებს, თუმცა თხზულების მიხედვით მდ. კოდორია სასაზღვრო მდინარე (ალასანია, 1978: 56; ქათიბ ჩელების ცნობები..., 1978: 132). ფიქრობენ, რომ ქათიბ ჩელები გაცილებით განსხვავებულ და შედარებით ადრინდელ ცნობებს ფლობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომაც არის, რომ მისი რუკის მიხედვით საზღვარი მდ. კელასურზე გადის (კვაშილავა, 2011: 69).

ჩრდილოკავკასიური ტომების მიერ და აფხაზ ფეოდალთა – შერვაშიძეების მეთაურობით ოდიშის სამთავროს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით განხორციელებული ექსპანსია საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი უკვე მდ. ენგური გახდა. ბზიფსა და ენგურს შორის მოქცეული ტერიტორია აფხაზეთის მთავარ ზეგნაყ შერვაშიძის სამ ვაჟს შორის განაწილდა: უფროსმა, როსტომმა დაისაკუთრა ტერიტორია ბზიფსა და კოდორს შორის, რაც აძვიბჟად („ორწყალშუა“) იწოდებოდა და სამთავრო დომენს წარმოადგენდა; შუათანას – ჯიქეშიას წილად ხვდა კოდორ-ღალიძგის შუამდინარეთი, ხოლო უმცროსს, ყვაპუს – ასევე საუფლისწულო სამფლობელოდ, – ღალიძგა-კოდორის შუამდინარეთი ერგო, რასაც მოგვიანებით (სავარაუდოდ, XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან), ყვაპუს შვილის – მურზაყანის პატივსაცემად სამურზაყანო ეწოდა. ამ ტერიტორიას მეგრელები სააფხაზოს ეძახდნენ, ხოლო აფსუები – აბჟუას („შუასოფელი“).

1702 წლის მიწურულს ოდიშის მთავარმა გიორგი IV დადიანლიპარტიანმა შეძლო აფხაზთაგან მიტაცებული ტერიტორიის ერთი ნაწილის, კერძოდ, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის კვლავ დაბრუნება (ხორავა, 1996: 121). სწორედ ამ დროიდან მიიჩნევა ღალიძგა სასაზღვრო მდინარედ ოდიშის სამთავროსა და შერვაშიძეთა სამფლობელოს შორის (არახამია, 2009: 116-117).

ამდენად, აფხაზეთად სახელდებული ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარე ვახუშტის მიხედვით შავი ზღვიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედამდე მოქცეულ ტერიტორიაზე თავსდება. მას ჩრდილო-დასავლეთით მდ. კაპოეტის წყალი გამოყოფდა ჯიქეთისაგან, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ფსირცხის მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთით იმიჯნებოდა ოდიშისაგან. ამ საზღვრებში მეცნიერი გადმოგვცემს ერთიანი ქართული მონარქიის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის პერიოდის (XV ს-ის 80-90-

იანი წლები) ამსახველ რეალურ ისტორიულ ვითარებას. მომდევნო 40-50 წლის განმავლობაში საზღვარი ოდიშ-აფხაზეთს შორის ამ მთაზე გადიოდა, რასაც მოწმობს თურქი მზვერავის მოხსენებითი ბარათი, რაც XVI ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 54; მისივე, 1998: 103; აბულაძე, 1983: 57).

ფეოდალური მონარქიის დასუსტებისა და სამეფო-სამთავროებად ქვეყნის დაშლის შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოს მთაში იკლებს ქართული მოსახლეობის რაოდენობა და მის ადგილზე კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებიდან ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ემიგრირებული და ადგილობრივ ფეოდალებთან ხიზნებად მდგარი უცხო ეთნიკური ელემენტი სახლდება. ადგილი აქვს ტერიტორიების ანექსიასაც აფხაზ ფეოდალთა მხრიდან. ასე შეიქმნა აფსუათა დასახლება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე; ისინი სარგებლობენ XVII ს-ის II ნახევარში ოდიშის სამთავროში გაჩაღებული ფეოდალური შინაომებით, რასაც შედეგად მოჰყვა ოდიშის მთავართა ტიტულის ჩიქვანთა გვარეულობის ხელში გადასვლა (ვახუშტი, IV, 1973: 842). საბოლოოდ კაცია ჩიქვანის ხელში აღმოჩნდა მთელი ოდიში, რომელიც „იყო თავ და გამგე მათი... ამით მოიყვანა ოდიში ქუეშე თვსსა, ვიდრე პყრობამდეცა თჳსად“ (იქვე: 845). სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული აფხაზები ისაკუთრებენ ტერიტორიას კოდორსა და ენგურს შორის და იბრძვიან მის შესანარჩუნებლად.

XVIII ს-ის მეორე ნახევრის აფხაზეთის საზღვარს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი ენგურზე ავლებს და შენიშნავს: მეგრული მხარე ოდიში „გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე, ქედის დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც ის აფხაზეთისგან არის გამოყოფილი“ (გიულდენშტედტი I, 1962: 321). მოტანილ ამონაწერს დედანში შემდეგი განმარტება ახლავს: „შემდეგ ჩრდილოდასავლეთით ესაზღვრებიან ჯიქეთი და ალალეთი; აღმოსავლეთით, კაბეთს ზემოთ, სონეთი ანუ სვანეთი. აფხაზეთის მოსახლეობას ქართულად ჰქვია აფხაზი, მრავლობითში – აფხაზები, ჯიქეთისას – ჯიქი, ალალეთისას – ალალი; ერთი უნდა იყოს ბაიერის ალანია, მეორე კი ციხია (ჯიქია)“ (იქვე).

დავუბრუნდეთ კვლავ იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობებს ტოპონიმების, კერძოდ, ჰიდრონიმების, შესახებ. სტატიის ავტორი ჩამოთვლის მდინარეებს, რომლებიც კავკასიის

მთიანეთში იღებენ სათავეს და შავ ზღვას ერთვიან. ესენია: **ფაზისი** ანუ **რიონი, ენგური** (ლათ. **ასტოლფუსი**), **კელმჰელი** (ლათ. **ქობუსი**), **ჭანისწყალი** (ლათ. **კიანეუსი**), **ტეხური** (ლათ. **სიგამე**), **ცხენისწყალი** (ძველად **ჰიპუსი** ან **აბაშია**), **ყვირილა, ხობისწყალი, ოქუმი, ეხალისი** და **მოქვისწყალი** (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 552).

ძველი კოლხეთის ჰიდრონიმთა შესახებ ცნობები ამოღებულია ძველ ბერძენ და ლათინელ ავტორთა ნაშრომებიდან. ზოგიერთი მდინარის ლოკალიზაციის შესახებ დღემდე აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა.

სტატიაში დასახელებული **Cadurs** თანამედროვე მდ. კოდორია. XIII-XV საუკუნეებში მოღვაწე ევროპელი კარტოგრაფები – გრაციოზო ბენინკაზა, ფრედუჩე დ'ანკონე და სხვანი საზღვაო რუკებზე აღნიშნავენ კონცხს – **Coto//Cotto** და მდინარეს – **Coto//Cotto// Coro** (ბერაძე, თოფურია..., I, 2013: 45-47). დიეგო ჰომემის მიერ 1559 წელს შედგენილ შავი ზღვის რუკაზეც მდინარის სახელწოდებად მითითებულია **Coto** (ბერაძე, თოფურია..., I, 2013: 48, 96).

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი 1654 წელს შედგენილ სამეგრელოს რუკაზე აღნიშნავს მდინარეს **Coddors**-ის, **Corax**-ისა **(„Coddors fe olim Corax“)** და **Corace**-ს ფორმით. ლამბერტის თქმით, „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის **კოდორი,** რომელიც უნდა იყოს (ძველთა) **კორაქსი**, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი“ (ლამბერტი, 2011: 201).

ჟან შარდენის მიერ 1672 წლის რუკაზეც მდინარის სახელწოდებად აღნიშნულია **„Coddor f. ant Corax“** (ბერაძე, თოფურია..., I, 2013: 57). ნიკოლას ვიტსენიც (1641-1717 წწ.) შავი ზღვის რუკაზე აღნიშნავს ამ მდინარეს, რასაც მიწერილი აქვს **Koddors aut Corax**. ნარატიულ წყაროთა მონაცემები კი ასეთია: ბერძენი გეოგრაფოსი კლავდიუს პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს.) კოლხეთის ქალაქების განლაგებას გეოგრაფიული კოორდინატებით გადმოგვცემს და შენიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოედინება დიდი მდინარე **კორაკი**. კოდორი აფხაზური **კ°ედრე (კუდრე), კორაქ** და ამ უკანასკნელიდან მომდინარე **კორაქს** ავტორთა მიერ ერთი და იმავე მდინარის პარალელურ ვარიანტებადაა მიჩნეული. ძვ. წ. V საუკუნის ავტორის – ჰეკატე მილეთელის მიერ პირველად

დასახელებული კორაქსების ტომი, კორაქსების კედელი და კორაქსების ქვეყანა ამ მდინარის აუზში მდებარეობდა (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. გვანცელაძე, „ქ. ო.“, , 2015: 66-71).

ცედლერის ენციკლოპედიაში დასახელებული **ტერშენი (Tercken),** ლათ. **თაზირისი (Lat. Thassiris),** მკვლევართა აზრით, მდ. მოქვისწყალი უნდა იყოს. ასე ეწოდება მდინარეს თანამედროვე ოჩამჩირის რაიონში; ერთვის შავ ზღვას[2]. მკვლევარი ნოდარ შონია უცხოელი და ქართველი ავტორების ცნობების გაანალიზების შედეგად დაასკვნის, რომ „ტარსურა“, „ტარშენ“, „ტარსუნდი“ და სხვ., გალის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 13 კმ-ის დაშორებით მდებარე სოფელ წარჩეს გულისხმობს (შონია, 2019: 29-35).

ფლავიუს არიანესთან (ახ. წ. II ს.) შავ ზღვაში ჩამავალი კოლხეთის მდინარეები ქალაქ ფაზისიდან სებასტოპოლისამდე (დიოსკურიამდე) შემდეგი თანმიმდევრობითაა დასახელებული: ფაზისი, ქარიენტი, ქობოსი, სინგამე, ტარსურა, ჰიპოსი და ასტელეფი. ლ. ელნიცკის, ნ. ლომოურის, ნ. კეჭაღმაძისა და სხვათა მიერ დასაბუთებულია, რომ არიანესეული ფაზისი – რიონს, ქარიენტი – ხობს, ქობოსი – ენგურს, სინგამე – ოქუმ-ერისწყალს, ტარსურა – მოქვს, ჰიპოსი – კოდორს შეესატყვისება. ამ დასაბუთებაში მკვლევარი მამანტი პაჭკორია სადაოდ მიიჩნევდა მხოლოდ **ქარიენტისა** და **ქობოსის** ლოკალიზაციას. მას გაუგებრად ეჩვენება ის ფაქტი, თუ რატომ უნდა მიეღო ერთ მდინარეს, ამ შემთხვევაში – მდინარე ენგურს, მახლობელი მდინარის – ხობის, ანუ ხობოსის/ქობოსის სახელი (პაჭკორია, 1974: 23). მ. პაჭკორია იმოწმებს სიმონ ჯანაშიას მსჯელობას მდ. **ქარიენტისა** და **ქობის//ხობ**-ის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. ქობ-ე თუ ხობ-ე, ს. ჯანაშიას აზრით, დღევანდელი ხობია. XV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ საბუთში მოხსენიებული კემხელი იგივე ხობია, რასაც პეისონელის შემდეგი ცნობაც ადასტურებს: „e Kobid zkhobi que les Turch appelent par corruption Kemkhal”.

---

[2] ტარსურაზე მსჯელობისას ს. ჯანაშია შენიშნავს, რომ „სინგამს მოსდევს მდინარე ტარსურა..., რომელსაც ანონიმის დროს თითქოს მოქე თუ მოხე-ს ეძახდნენ. მანძილი მათ შორის უდრის 120 სტ.=23,5 ვერსს. ტარსური დღევანდელი ოქუმის მდინარედ უნდა ვიგულისხმოთ“. იხ. ჯანაშია, VI, 1988: 278

პეისონელისავე რუკაზე აღნიშნულია „Kobidzkhali, En Turs Kemkhel“. ჟან შარდენიც თავის რუკაზე მიუთითებს „Kelmhel[!] ant. Cobus“ (ჯანაშია, VI, 1988: 274-275). „თუ ზემოთ დადგენილ ლოკალიზაციას მივიღებთ და საფუძველი არა გვაქვს იგი არ მივიღოთ, მაშინ იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ქარიენტი არის „ცივი“, სხვა მდინარე ამ რაიონში არ არის. ცივს ამჟამად საკუთარი შესართავი არა აქვს, იგი ხობს უერთდება თითქმის უკანასკნელის შესართავთან, მაგრამ შესაძლოა წინათ დამოუკიდებლადაც შეჰრთოდა ზღვას. მისი დღევანდელი მიმართულებაც ამის ეჭვს ჰბადებს: მდინარე თითქმის მიდის ზღვის ბაგესთან და მოულოდნელად უხვევს ჩრდილოეთით ხობისკენ, ისე რომ კუთხეს ჰქმნის 90^0. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მოცემული სანაპიროს გეოლოგიური ისტორიაც. ქარიენტი სანაოსნო ყოფილა. ცივზედაც ნაოსნობა შესაძლებელია“, – წერს ს. ჯანაშია (ჯანაშია, VI, 1988: 275). ქარიენტისა და ხობის ასეთ ლოკალიზაციას ეწინააღმდეგება ფლავიუს არიანეს მიერ ქობოსსა და სიგამეს//სინგამეს შორის მოცემული მანძილი – 210 სტადიონი (დაახლ. 38 კმ.). სწორედ ამ მანძილით არის დაშორებული არიანესეული სანაოსნო მდინარე სიგამე//სინგამე (ანონიმისეული ზიგანისი) მდ. ხობს. მიუხედავად იმისა, რომ მანძილი არ ემთხვევა, ს. ჯანაშია სიგამეში მაინც ინგურს გულისხმობს, რადგან შეუძლებელია ასეთი დიდი მდინარე არიანეს გამორჩენოდა (ჯანაშია, VI, 1988: 276-277). ამასთანავე, იმას, რომ არიანეს მიერ მოცემული მანძილები არ ეთანხმება ქარიენტისა და ხობის ასეთ ლოკალიზაციას, „ეს პუნქტები ბევრად უფრო ახლოს არიან როგორც ერთმანეთთან, ისე რიონის შესართავთანაც“, ს. ჯანაშია იმ გარემოებით ხსნის, რომ „ჩვენი პერიპლის ავტორი ხშირად ღალატობს თავის ზედმიწევნილობას მანძილების ანგარიშში“ (ჯანაშია, VI, 1988: 276).

მ. პაჭკორიას საეჭვოდ არ ეჩვენება სინგამესა და ოქუმ-ერისწყლის იგივეობა და სწორედ ამ უდავო ორიენტირიდან – ოქუმ-ერისწყლიდან ცდილობს გადაზომოს ფლავიუს არიანეს მიერ მითითებული მანძილი – 210 სტადიონი (დაახლ. 38 კმ.) ქობოსის ლოკალიზაციისათვის. მანძილების ასეთი გადაზომვა, მ. პაჭკორიას აზრით, თუკი საფუძვლიანია, მაშინ გამოდის, რომ

არიანეს დღევანდელი ხობის შესართავიდან (ენგურის გამოტოვებით) ოქუმ-ერისწყლის შესართავამდე უმოგზაურია (პაჭკორია, 1974: 23-24). მკვლევარი არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ მდ. ცივს ძველად ქარიენტი რქმეოდა, რაც ბერძნულად სასიამოვნოს, მშვენიერს ნიშნავს (პაჭკორია, 1974: 25). მდინარეების არიანესეული ლოკალიზაციის შესახებ მ. პაჭკორიას საბოლოო დასკვნა ასეთია: ძველი კოლხეთის მდინარეთა განლაგებისა და მათ სახელწოდებათა დღევანდელ მდინარეებთან შეფარდების, ასევე არიანესეული მანძილების უდავო ორიენტირებიდან (სოხუმი, მოქვი, გუდავა) გადაზომვისა და ფაზისის მიდამოებში ხმელეთის მაშინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ფაზისი – რიონს, ქარიენტი – ცივს, ქობოსი – ხობს, სინგამე – ოქუმ-ერისწყალის შესართავს, ტარსურა – მოქვს, ჰიპოსი – კოდორს შეეფარდება, ხოლო ამ თანმიმდევრობაში ორი დიდი მდინარე – ენგური და ღალიძგა გამოტოვებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში სავარაუდებელია, რომ უცხოელ მწერლებს მდინარეთა სახელები აერიათ: მათ მიერ აღნიშნული ხობი (ქობოსი) ფაქტობრივად იგივე ენგურია. სხვანაირად გაჭირდება იმის დაჯერება, რომ ხობი ენგურის სახელწოდება იყო. „განა იმიტომ უნდა დაეკარგა ენგურს თავისი ძველი სახელი – ქობოსი (თუ ასეთი მართლაც ჰქონდა), რომ იგი მის მეზობელ მდინარეს – ქარიენტს მიეღო“ (პაჭკორია, 1974: 26).

ცედლერის საენციკლოპედიო სტატიის მიხედვით მდ. ენგურის (Langur) შესატყვისად „ასტოლფუსია“ (Astolphus) დასახელებული (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 552). თ. გოგოლაძე და გ. საითიძე პუბლიკაციის კომენტარებში შენიშნავენ, რომ აქ სახელწოდებების აღრევას აქვს ადგილი: **ასტელეფი** (და არა ასტოლფუსი) არა ენგურის, არამედ **პატარა კოდორის** სახელწოდება იყო, მდ. ენგურს კი **ქობოსი//ქობუსი** ერქვა (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 56).

შარდენიც ენგურის (Langur) სახელად **Astolphe**-ს მიიჩნევს, რასაკვირველია, შეცდომით. „შუაღამე იყო, – წერს შარდენი, – როცა ასტოლფის მდინარის შესართავთან მივედით. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან. ეს სამეგრელოს ერთი დიდი მდინარეთაგანია... გათენებას ჯერ კიდევ ორი საათი აკლდა, როცა

14-ს ანარგიიდან გავემგზავრენით. გავიარეთ ორი ეჯი ასტოლფის აყოლებით, მერე გადმოვაბარგეთ ჩვენი ხაბაკი და დავაწყვეთ ექვს პატარა ურემზე“ (შარდენი, 2014: 7, 8). იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (XVIII ს.) ოდიშის მდინარეებს შორის ასახელებს „დიდ მდინარე ენგურს“ და რუხს – ციხეს ენგურის მარცხენა ნაპირზე (გიულდენშტედტი, 1961: 321, 325). მდინარეს არაერთგზის მოიხსენიებს **ნგოურ**-ის ფორმით ჟაკ ფრანსუა გამბაც (გამბა, 1987: 83, 94, 104, 105, 111, 112, 317, 321, 329).

ზემოთ ითქვა, რომ ბერძნული წყაროების ქობოსი იგივე მდ. ხობისწყალია (ხობოსი). არქანჯელო ლამბერტის ცნობით ენგური იგივე ძველი ასტელეფოსია. „აგრე ვფიქრობ ორი მოსაზრებით: ერთი – რომ არრიანე უჩვენებს ასტელეფოსს სწორედ ჭანისწყალის სიახლოვეს და მეორე – რომ შესავალში ამ მდინარეს აქვს მოყვანილობა ჩანგის ბუდისა (di una covert di cetra), რაც ბერძნულად გამოითქმის ასტელფოსად“ (ლამბერტი, 2011: 200).

თ. გოგოლაძეს და გ. საითიძეს ასევე აღრევად მიაჩნიათ Cianiscar-ისა და Cyaneus-ის მიჩნევა, როგორც ეს ცედლერის ენციკლოპედიაშია აღნიშნული. **კიანეუსი/ქიანე,** მათი აზრით ეწოდებოდა არა ჭანისწყალს, არამედ მოქვისწყალს, რადგან **Cyaneus** კლავდიოს პტოლემეს რუკაზე სწორედ ტარსურას (მოქვისწყლის) ადგილზეა მოთავსებული (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 566, 58-ე კომენტარი). როგორც ჩანს, ცედლერის ენციკლოპედიაში შესული სტატიის ავტორი წყაროდ იყენებდა ლამბერტის შემდეგ ცნობას: „ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ ჭანის-წყალად და რუკებზე კი იწერება **Cianeo.** ეს მდინარე შეერთვის ხოფს და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას“ (ლამბერტი, 2011: 200; მსჯელობისათვის იხ. ბერაძე, „მაცნე“, 3, 1971: 148).

ცედლერის მიერ დასახელებულ სამეგრელოს მდინარეებს შორის ერთ-ერთია **ტეხური** (Techur), რომლის ლათინურ შესატყვისად **სიგამეა** (Sigame) მითითებული (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 552). თ. გოგოლაძე და გ. საითიძე ამ შემთხვევაშიც შენიშნავენ, რომ სახელწოდებები არეულია: სიგამე/სინგამე, მკვლევართა აზრით, ერისწყალს ეწოდებოდა (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 567, 59-ე კომენტარი).

ენციკლოპედიაში მდ. **ოქუმის** შემდეგ დასახელებულია **ეხალისი** და **მოქვისწყალი** (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 552). ვახუშტი ბატონიშვილი მდინარეს ოქუმის სახელწოდებით არ იცნობს, მაგრამ სხვა წერილობითი წყაროთი დასტურდება, რომ ვახუშტი ბატონიშვილამდე ბევრად ადრე აღნიშნული მდინარე ოქუმის სახელს ატარებდა. ვგულისხმობთ ლამბერტის შემდეგ ცნობას: „ოქუმის იქით ეგრისია (Echalis) და ეგრისის იქით – მოქვისწყალი“ (ლამბერტი, 2011: 201).

ქართველ მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ეგრისწყალი იგივე ღალიძგაა. „ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების ღალიძგას“, – წერს ნიკო დადიანი (დადიანი, 1962: 153). ეგრისწყლისა და ღალიძგის იგივეობის თვალსაზრისს მხარს უჭერდა პ. ინგოროყვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ თვით მდინარის სახელწოდება „ღალიძგა“ მეგრულად სიტყვასიტყვით ნიშნავს მოსაზღვრე მდინარეს, ანუ ღელეს კიდესი. მკვლევარმა ლამბერტის მიერ მოხსენიებული **Echalis** გაიაზრა როგორც „ეგრისი“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ღალიძგას ძველის სახელწოდება ეგრისწყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII საუკუნეებამდე (ინგოროყვა, 1954: 128, სქოლიო).

საქმე ისაა, რომ ლამბერტის რუკაზე, ოდიშის დასავლეთ ნაწილში, მდინარის სახელწოდებად მკაფიოდ იკითხება Echalis, ხოლო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას – Echalisgas (ღალიძგა) (კეკელია, 2014: 194).

ჯუანშერის, ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ რამდენიმეგზის (სხვადასხვა სიტუაციაში) მოხსენიებული „ეგრის წყალი“ და „ეგრის მდინარე“ ღალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ამ კუთხით მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ლამბერტის რუკაზე, ოქუმსა და მოქვისწყალს შუა გამოსახული მდინარე იწოდება **Echalis**-ად. ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ეკლესიის პირობითი ნიშნით მონიშნულია **Echalisgas**, რაც, საფიქრებელია, რომ სწორედ დასახლებული პუნქტის სახელწოდების – **ღალიძგის** (აწინდელი ბესლახუბა) შესატყვისი უნდა იყოს (ცხადაია 2004: 44-45; კეკელია, 2014: 184-194). მოქვისწყალს ვახუშტი ბატონიშვილიც ასახელებს და შენიშნავს, რომ „...ამ მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე ჩდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს

ზღუას“ (ვახუშტი, IV, 1974: 780). მდინარე მოედინება ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ამასთანავე, მოქვი ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს მოქვის ნაპირზე. მოქვისწყალი აღნიშნულია კასტელის 1654 წლისა და შარდენის 1672 წლების რუკებზე.

საინტერესოა ცედლერის ენციკლოპედიაში მოცემული შემდეგი ცნობაც: „კავკასიონის ქვემოთ დაახლოებით 60 მილის გალავანია მაღალი კოშკებით, რომლებზედაც მუდმივად ჯარისკაცები დარაჯობენ და ყოველთვიურად იცვლებიან, რათა აფხაზები შეაჩერონ და თავიანთ ქვეყანაში შემოჭრის საშუალება არ მისცენ“ (გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011: 553). აქ იგულისხმება კელასურის კედელი, რაც აგრეთვე „აფხაზეთის დიდი კედლის“ სახელითაა ცნობილი. კედელი სოხუმის სამხრეთით, 5 კმ-ის დაშორებით იწყება და მიუყვება კელასურის მარცხენა ნაპირს, მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან ჩრდილოეთით – ღალიძგამდე. ვახუშტი თავდაცვით ნაგებობათა სისტემის აგებას, „ზღუდის შევლებას“ ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის სახელს უკავშირებს და შენიშნავს, რომ ეს განპირობებული იყო „აფხაზთა გამოუსლველობისათვის“. მეცნიერი საკმაო სიცხადით მიუთითებს ზღუდის ადგილმდებარეობას, რომ იგი ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვასთან იწყება და მთამდე გრძელდება. ამასთანავე, მან იცის, რომ ეს ზღუდე წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის, და რომ იგი „გარნა აწ უქმად არს“. თუმცა დაზუსტებით არაფერს ამბობს ზღუდის სახელწოდებაზე (ვახუშტი, IV, 1974: 782).

ამ სიმაგრის შესახებ ცნობები დაცულია ლამბერტის ნაშრომში: „...ზღვის მხრით... მტერი ადვილად შეძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც: რადგან ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე (olusce) ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოციათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“ (ლამბერტი, 2011: 188). ჟან შარდენის

თქმით, სამოცი მილის სიგრძის კედელი ოდიშს იცავდა ჩრდილოეთიდან, – აფხაზეთისაგან (შარდენი, 1975: 24).

„აფხაზეთის დიდი კედლის“ გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურის (ლამბერტი, შარდენი, ვახუშტი, დიუბუა დე მონპერე, დ, ბაქრაძე, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე, მ. ივაშჩენკო, ჯ. კუდრიავცევი, დ. გულია, ბ. ბღაჟბა, ი. აძინბა...) ნაწილი მიმოიხილა თ. ბერაძემ და გამოთქვა სავსებით დამაჯერებილი მოსაზრება, რომ ამ სახელწოდების ქვეშ „მკვლევარები ხელოვნურად აერთიანებენ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობებს“ (ბერაძე, IV, 1971: 72). თ. ბერაძე მიიჩნევდა, რომ ვახუშტის ცნობა ლევან II დადიანის მიერ ზღუდის აგების შესახებ სარწმუნოა და კელასურიდან ღალიძგამდე არსებული გზაგადასასვლელების ქვის კედელ-გალავნებით გამაგრებას ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე აფხაზი ფეოდალების თავდასხმებით შექმნილი საშიშროების თავიდან აცილება განაპირობებდა. ლევანმა საზღვარი საგანგებოდ გაამაგრა და ჩრდილოელთაგან დასაცავ ბარიერად კედელი გაავლო, ვინაიდან „იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჩერება ენგურამდე შეუძლებელი იქნებოდა“ (ბერაძე, IV, 1971: 72).

უთუოდ აფხაზთა თავდასხმების მოგერიებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ოდიშის მესვეურნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის გამაგრებას. ამაზე ყურადღებას ამახვილებს ლამბერტი, რომელიც წერს: იმ მიზნით, რომ ოლუშედ წოდებულ ადგილას აგებულ კოშკებს შეიარაღებული მცველები არ მოკლებოდნენ, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებსა და დიდებულებს ევალებოდათ, მორიგეობით გამოეყვანათ „თავისი კაცები“ ამ ადგილების თითო თვით დასაცავად (ლამბერტი, 2011: 188).

სპეციალისტთა წინაშე დასმულ მთავარ კითხვას, თუ ვინ, როდის და რა მიზნით ააგო ეს კედელი, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ზ. ალექსიძემ. მან ყურადღება მიაქცია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო თხზულების – „მოქცევაი ქართლისაის“ ახალ, სინურ რედაქციაში კლისურის ზღუდის შესახებ დაცულ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ კედელი სპარსელების მიერ ყოფილა აგებული (ალექსიძე, იფძ, 2, 2011: 38). ამ

ცნობაზე დაყრდნობით, კითხვას – ვისი აგებულია ჩვენამდე მოღწეული კედელი: სპარსელთა მიერ VI ს-ში, თუ ლევან დადიანისა – XVII ს-ში, ზ. ალექსიძემ შემდეგი პასუხი გასცა: კელასურის კედელი აგებულია სპარსელთა მიერ ხაზართა უკუგდების მიზნით, დიდი ალბათობით – 553-568 წლებში, უფრო კი 553-562 წლებს შორის პერიოდში, ანუ მანამდე, ვიდრე ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის 50-წლიანი ზავი დაიდებოდა. მკვლევარს შესაძლებლობის გათვალისწინებით საეჭვოდ მიაჩნია ლევან დადიანის მიერ ამხელა კედლის აგება, ვინაიდან შესაძლებელია ოდიშის მთავარს მხოლოდ რაღაც დაემატებინა, გამოეყენებინა, შეევსო და გაემაგრებინა უკვე არსებული ნაგებობა (ალექსიძე, იფძ, 2, 2011: 40-41).

მკვლევარ ი. ვორონოვის მსჯელობით, კელასურის საფორტიფიკაციო ხაზის სიგრძე 58 კმ-ს აღწევს, ხოლო კედლისა – 25 კმ-ს (Воронов, 4, 1926; კეკელია, 2014: 212-215).

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი გამომცემლისა და წიგნებით მოვაჭრის – იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის მასალების მნიშვნელობა, რაც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ავსებს ჩვენ ცოდნას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიის საკითხებზე.

დამოწმებული ლიტერატურა:

ალექსიძე, იფძ, 2, 2011 – ალექსიძე ზ., როდის, ვინ და რისთვის ააგო კელასურის ზღუდე. ქრისტიანული კავკასია. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 2. თბ., 2011.

ანთელავა, 1990 – ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990.

აფხაზავა, ქსე, VII, 1984 – აფხაზავა ი., მოქვი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984.

ბერაძე, სიგკ, III, 1967 – თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967.

ბერაძე, IV, 1971 – სიგკ, ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. IV. თბ., 1971.

ბერაძე, „მაცნე“, 3, 1971 – ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბ., 1971.

ბერაძე, 1998 – თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ. კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998.

ბერაძე, თოფურია..., I, 2013 – ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., ხორავა ბ., საქართველოს ისტორიული ატლასი. I. აფხაზეთი. თბ., 2013.

ბურჯანაძე, „მოამბე“, I, 1959 – შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.

გამბა, 1987 – გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1987.

გვანცელაძე, VII, 2015 – გვანცელაძე გ., კვლავ ჰიდრონიმ *კოდორის* ეტიმოლოგიისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII. თბ., 2015.

გიულდენშტედტი, I, 1961 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1961.

გოგოლაძე, საითიძე, 14, 2011 – გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 14, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2011.

დადიანი, 1962 – დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1962.

დუმბაძე, 1957 – დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება). თბ., 1957.

ვახუშტი, IV, 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973.

ზაქარაია, სსმმ, XXVI, B, 1970 – ზაქარაია პ., საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVI – B. თბ., 1970.

ინგოროყვა, 1954 – ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954.

კეკელია..., II, 2011 – კეკელია ი., კურდღელია ე., ხარებავა ი., მასალები ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის. კრ. „მხარეთმცოდნე“ (ონომასტიკური და საისტორიო მასალები). II. ქუთ., 2011.

კეკელია, იემ, XIV, 2012 – კეკელია ი., აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისა და რუკების მიხედვით. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. XIV, თბ., 2012.

კეკელია, 2012 – კეკელია ი., ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. XIV, თბ., 2012.

კეკელია, 2013 – კეკელია ი., აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ქუთ., 2013.

კეკელია, 2013 – კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. 2013.

კეკელია, №14, 2016 – კეკელია ი., სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხები იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიაში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, №14, თბ., 2016.

კეკელია, 2022 – კეკელია ი., აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2022.

კვაშილავა, 2011 – კვაშილავა კ., ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, თბ., 2011.

ლამბერტი, 2011 – ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბ., 2011.

ლომთათიძე, ეძ, 1997 – ქ. ლომთათიძე, ეთნონიმების **აფშილ/აფსილისა** და **აფსარის** შესახებ. კრ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბ., 1997.

ლომთაძე, შეროზია, „მახარია“, №12, 2003 – ა. ლომთაძე, რ. შეროზია, ეთნონიმ **აფხაზის** ეტიმოლოგიასა და ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. გაზ. „მახარია“, №12 (39). თბ., 2003.

პაჭკორია, 1974 – პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან. წგნ.: ფურცლები კოლხეთის წარსულიდან. თბ., 1974.

ფუტკარაძე, I, 2005 – ტ. ფუტკარაძე, ქართველები. ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა. ქუთ., 2005.

შარდენი, 1975 – ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1975.

შონია, 2019 – შონია ნ., ძიებანი სამურზაყანოს ტოპონიმიიდან, თბ., 2019.

ცხადაია, 2004 – ცხადაია პ., სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004.

ცხადაია, III, 2007 – ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. III (ხობის რ., ქ. ფოთი). თბ., 2007.

ცხადაია, VII, 2013 – ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. VII, სენაკის რაიონი. თბ., 2013.

ხორავა, 1996 – ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი, 1996.

ჯანაშია, VI, 1988 – ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. შრომები, VI, თბ., 1988.

Адзинба, 1958 – Адзинба И., Архитектурные рамятники Афхазии. Абидз., 1958.

Анчабадзе, 1959 – Анчабадзе З., Из истории средневековой Абхазии. Сухум, 1959.

Воронов, 4, 1926 – Воронов И., Келасурская стена, Известия научного общества. Вып. 4, 1926.

ნესტან სულავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი,
nestansulava@rambler.ru, 599 723 488

რომის წმინდა ადგილების იდენტიფიკაციისათვის სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“

მოკლე შინაარსი

სულხან-საბა ორბელიანი 1713 წლის 17 აგვისტოს ჟან რიშართან ერთად გორიდან გავიდა ევროპაში დიპლომატიური მისიით გასამგზავრებლად. ისინი ჩავიდნენ ქუთაისში, სადაც 40 დღე დარჩნენ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ გრიგოლ II ლორთქიფანიძესთან. სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ელჩობის მიზანი და ამოცანები გააცნო დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს გრიგოლ II-ს და მის თანაშემწეს დავით ბერს, რომელიც ევროპაში მოგზაურობისას თან ახლდა საბას პატრიარქ გრიგოლ მეორის ინიციატივით. იგი ფრანგულ წყაროებში „დავით მეგრელად“ არის წოდებული. სულხან-საბა ორბელიანი თავის ელჩობას საიდუმლოდ ინახავდა. ცნობილია, რომ კათალიკოსი გრიგოლი იზიარებდა ვახტანგისა და სულხან-საბას გეგმებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. წყაროების მიხედვით, კათალიკოსი გრიგოლი ჟან რიშარის მეშვეობით საფრანგეთის მეფეს, ლუი XIV-ს, სთხოვდა, რომ დასავლეთ საქართველოში გაეგზავნა ფრანგი მისიონერები, რომლებიც დავითს პარიზიდან უნდა წამოეყვანა. დავით მეგრელის პირადი თვისებები და უნარიანობა უნდა დადებოდა საფუძვლად იმ გადაწყვეტილებას, რომ იგი საბამ თავისი ელჩობისას თან იახლა. ამ ნაბიჯს ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. უნდა განმტკიცებულიყო ფრანგი მესვეურებისა და რომის პაპის დამოკიდებულება დასავლეთ სა-

ქართველოში კათოლიკე მისიონერების დაბინავებისა და მათთვის სამოღვაწეო ასპარეზის შექმნის საქმეში. 2. ეს დიპლომატიური ხერხი, დასავლეთ საქართველოს ჩართვა კათოლიკე მისიონერების საქართველოში ჩამოსვლაზე ზრუნვა, საბას იმის საშუალებას მისცემდა, რომ ლუი XIV-ისა და რომის პაპის წინაშე წარმდგარიყო არა მარტო ქართლის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს ელჩის სტატუსით, რითაც იზრდებოდა ვახტანგ VI-ის ავტორიტეტიც და ისიც წარმოჩნდებოდა, რომ საფრანგეთთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა არა მხოლოდ ქართლის სამეფო, არამედ დასავლეთ საქართველოც.

ამ დროისათვის საფრანგეთი აღმოსავლეთში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მფარველად მიიჩნეოდა და დიდ ფინანსურ დახმარებასაც უწევდა უცხოეთის მისიების საზოგადოებას. სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთსა და რომში თავისი ელჩობის მიზნები ჯერ ქართლში, შემდეგ დასავლეთ საქართველოში საგანგებოდ შეიმუშავა და ისე წარსდგა კათოლიკური სამყაროს პოლიტიკური მესვეურების წინაშე. საბამ ორ წელზე ცოტა მეტი დაჰყო ევროპაში და თავისი შთაბეჭდილებები ასახა მოგზაურულ-მემუარული ხასიათისა და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს საფრანგეთისა და იტალიის გეოგრაფიული სივრცის, მათი წმინდა ადგილების, იქ დაცულ სიწმინდეთა და ღირსშესანიშნაობათა შესახებ. თხზულებას როგორც უცხოელის თვალით დანახული და აღქმული ამ ქვეყნების მეცნიერული გეოგრაფიისა და ისტორიის გასაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ღირებულება ეკისრება იმის გამოც, რომ სულხან-საბა ორბელიანი ნანახ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს ზოგჯერ თავისი სამშობლოს ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს ადარებდა.

საკვანძო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, რომი, გეოგრაფიული სივრცე, წმინდა ადგილები.

Nestan Sulava
Doctor of Philological Sciences, Professor,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Samtskhe-Javakheti State University,
Tbilisi, Georgia,
nestansulava@rambler.ru, 599 723 488

FOR THE IDENTIFICATION OF THE HOLY PLACES OF ROME IN THE WORK OF SULKHAN-SABA ORBELIANI „JOURNEY TO EUROPE"

Abstract

On August 17, 1713, Sulkhan-Saba Orbeliani left Gori with Jean Richard to go on a diplomatic mission to Europe. They arrived in Kutaisi, where they stayed for 40 days with the Catholicos-Patriarch of Western Georgia Grigol II Lortkipanidze. Sulkhan-Saba Orbeliani introduced the purpose and tasks of his embassy to the Catholicos-Patriarch of Western Georgia Grigol II and his assistant Davit Beri, who accompanied Saba on his trip to Europe at the initiative of Patriarch Grigol II. He is called "David Megreli" in French sources. Sulkhan-Saba Orbeliani kept his embassy a secret. It is known that Catholicos Gregory shared the plans of Vakhtang VI and Sulkhan-Saba in matters of domestic and foreign policy of Georgia. According to the sources, Catholicos Gregory, through Jean Richard, asked the King of France, Louis XIV, to send French missionaries to Western Georgia, which David was supposed to bring from Paris. Davit Megreli's personal qualities and abilities should have been the basis for the decision to bring him to Saba during his ambassadorship. This step had two meanings: 1. It was necessary to strengthen the attitude of the French rulers and the Pope of Rome in the matter of settling the Catholic missionaries in Western Georgia and creating an arena for them. 2. This diplomatic method, involving Western Georgia and taking care of the arrival of Catholic missionaries to Georgia, would allow Saba to appear before Louis XIV and the Pope as the ambassador not only of the Kingdom of Kartli, but of the whole of Georgia, thus increasing the authority of Vakhtang VI and It seemed that not only the Kingdom of Kartli, but also Western Georgia was trying to establish relations with France.

At that time, France was considered the protector of the Catholic missionaries working in the East and provided great financial support to the foreign mission society. Sulkhan-Saba Orbeliani specially developed the goals

of his embassy in France and Rome, first in Kartli, then in Western Georgia, and presented himself to the political leaders of the Catholic world. Saba spent a little more than two years in Europe and expressed his impressions in a magnificent work of travel-memoir character and documentary prose "Journey to Europe", which contains important information about the geographical space of France and Italy, their holy places, sanctuaries and sights preserved there. The work is of special importance for introducing the scientific geography and history of these countries as seen and perceived by the eyes of a foreigner. A special value is due to the fact that Sulkhan-Saba Orbeliani sometimes compared the places and sights he visited with the nature and historical monuments of his homeland.

Key Words: Sulkhan-Saba Orbeliani, "Journey to Europe", Rome, Geografic places, the holy places.

მიზანი. კვლევის მიზანია სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში დიპლომატიური მისიით მოგზაურობის ამსახველ მოგზაურულ-მემუარული ხასიათისა და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“ საფრანგეთისა და იტალიის გეოგრაფიული სივრცის, მათი წმინდა ადგილების, იქ დაცულ სიწმინდეთა და ღირსშესანიშნაობათა შესახებ შემონახული ცნობების მოკვლევა, რასაც როგორც უცხოელის თვალით დანახული და აღქმული ამ ქვეყნების მეცნიერული გეოგრაფიისა და ისტორიის გასაცნობად, ქართველი მწერალი-მოგზაურის, დიპლომატის აღქმის შედეგების გასააზრებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ქართული კულტურის, მწერლობის დონის გასათვალისწინებლად, არამედ დასახელებული ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესასწავლადაც. სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები მით უფრო ღირებულია ჩვენთვის, რამდენადაც მწერალი ნანახ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს ზოგჯერ ადარებდა თავისი სამშობლოს ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს. თხზულება გვეხმარება ავტორის მსოფლმხედველობის, მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს წვდომაშიც, რადგან მასში გადმოცემული ამბები ხშირად მოკლე სიუჟეტის მქონე ნაწარმოების შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს.

კვლევის მეთოდი. სტატიაში გამოყენებულია კვლევის მულტიდისციპლინური მეთოდები, ძირითადად, ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური, ჰერმენევტიკული, წყაროთმცოდნეობითი მეთოდები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებითი და მეცნიერული სააზროვნო სისტემის ძირითადი მახასიათებლების წარმოსაჩენად, რადგან თითოეულ მახასიათებელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების შესასწავლად, მეორე მხრივ, ქართული მეცნიერული, ლიტერატურულ-მხატვრული სააზროვნო სისტემისა და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გასააზრებლად.

შესავალი. სულხან-საბა ორბელიანი 1713 წლის 17 აგვისტოს ჟან რიშართან ერთად გაემგზავრა გორიდან, რათა ევროპაში წასულიყო დიპლომატიური მისიით. ისინი ჩავიდნენ ქუთაისში, სადაც 40 დღე დარჩნენ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ გრიგოლ II ლორთქიფანიძესთან. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, წყაროებიდან არ ჩანს, თუ სად იყვნენ დაბინავებულნი სულხან-საბა და ჟან რიშარი, სად მიიღო ისინი კათალიკოსმა. რამდენადაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია გელათში იყო, საფიქრებელია, რომ სტუმრები გელათში მიეღო. როგორც ჩანს, სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ელჩობის მიზანი და ამოცანები გააცნო დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს გრიგოლ II-ს და მის თანაშემწეს დავით ბერს, რომელიც ევროპაში მოგზაურობისას თან ახლდა საბას პატრიარქის ინიციატივით. იგი ფრანგულ წყაროებში „დავით მეგრელად“ არის წოდებული. მის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავის ელჩობას საიდუმლოდ ინახავდა. ისიც ცნობილია, რომ კათალიკოსი გრიგოლი იზიარებდა ვახტანგისა და სულხან-საბას გეგმებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. წყაროების მიხედვით, კათალიკოსი გრიგოლი ჟან რიშარის მეშვეობით საფრანგეთის მეფეს, ლუი XIV-ს, სთხოვდა, რომ დასავლეთ საქართველოში გაეგზავნა ფრანგი მისიონერები,

რომლებიც დავითს პარიზიდან უნდა წამოეყვანა. დავით მეგრელის პირადი თვისებები და უნარიანობა უნდა დადებოდა საფუძვლად იმ გადაწყვეტილებას, რომ იგი საბამ თავისი ელჩობისას თან იახლა. ამ ნაბიჯს ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. უნდა განმტკიცებულიყო ფრანგი მესვეურებისა და რომის პაპის დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოში კათოლიკე მისიონერების დაბინავებისა და მათთვის სამოღვაწეო ასპარეზის შექმნის საქმეში. 2. ეს დიპლომატიური ხერხი, დასავლეთ საქართველოს ჩართვა კათოლიკე მისიონერების საქართველოში ჩამოსვლაზე ზრუნვა, საბას იმის საშუალებას მისცემდა, რომ ლუი XIV-ისა და რომის პაპის წინაშე წარმდგარიყო არა მარტო ქართლის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს ელჩის სტატუსით, რითაც იზრდებოდა ვახტანგ VI-ის ავტორიტეტიც და ისიც წარმოჩნდებოდა, რომ საფრანგეთთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა არა მხოლოდ ქართლის სამეფო, არამედ დასავლეთ საქართველოც.

უნდა ვიფიქროთ, რომ კათალიკოსი გრიგოლი, სულხან-საბა და, რასაკვირველია, ვახტანგ VI კარგად იყვნენ გარკვეულნი აღმოსავლეთში საფრანგეთის მისიების მოღვაწეობის ხასიათსა და მასშტაბებში. ამ დროისათვის საფრანგეთი აღმოსავლეთში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მფარველად მიიჩნეოდა და დიდ ფინანსურ დახმარებასაც უწევდა უცხოეთის მისიების საზოგადოებას. სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთსა და რომში თავისი ელჩობის მიზნები ჯერ ქართლში, შემდეგ დასავლეთ საქართველოში საგანგებოდ შეიმუშავა და ისე წარსდგა კათოლიკური სამყაროს პოლიტიკური მესვეურების წინაშე. ცხადია, საბას ელჩობის პოლიტიკურ მიზნებში დავით მეგრელიც კარგად იქნებოდა გარკვეული. სხვაგვარად სულხან-საბას დიდი პოლიტიკური ამოცანებით გამსჭვალულ ელჩობაში ის მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ამაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში მოგზაურობისას მარტო არ იყო და თანამოაზრე//თანამდგომი ჰყავდა.

მსჯელობა. საბამ ორ წელზე ცოტა მეტი დაჰყო ევროპაში და თავისი შთაბეჭდილებები ასახა მოგზაურულ-მემუარული ხასიათისა და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს საფრანგეთისა და იტალიის გეოგრაფიული სივრცის, მათი წმინდა ადგილების, იქ დაცულ სიწმინდეთა და ღირსშესანიშნაობათა შესახებ. თხზულებას როგორც უცხოელის თვალით დანახული და აღქმული ამ ქვეყნების მეცნიერული გეოგრაფიისა და ისტორიის გასაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მით უმეტეს, სულხან-საბა ორბელიანი ნანახ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს ზოგჯერ თავისი სამშობლოს ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს ადარებდა.

საგანგებოდ ამოვწერეთ ის გეოგრაფიული პუნქტები, სადაც სულხან-საბა ორბელიანმა გაიარა თავის თანმხლებ პირებთან ერთად. „მოგზაურობის“ მოღწეულ ტექსტში პირველი პარიზია დასახელებული, ხოლო უკან დაბრუნებისას კი თითქმის დეტალურადაა დაცული ის გეოგრაფიული პუნქტები და წმინდა ადგილები, სადაც დიპლომატ-მოგზაურებს მოუხდათ გავლა. დავიმოწმებ მათ: ჯერ გზა საქართველოდან პარიზისაკენ: გორი > დასავლეთ საქართველო და მაშინდელი ოდიში > კონსტანტინეპოლი > მარსელი > პარიზი, რომელიც იყო ბოლო პუნქტი, სადაც სულხან-საბა ორბელიანი თავის თანმხლებ პირებთან ერთად რამდენიმე თვე იმყოფებოდა; აქ დასახელებული გეოგრაფიული პუნქტები პირობითად არის ჩამოთვლილი და შესაძლოა ზუსტი არც იყოს, მეტი გეოგრაფიული პუნქტი შეიძლებოდა ჩამოთვლილიყო, მაგრამ რადგან თხზულებას ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია, იქითა გზის სავარაუდო მარშრუტი ზემოჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

პარიზიდან საქართველოსაკენ სულხან-საბა ორბელიანი გამოემგზავრა შემდეგი მარშრუტით: პარიზი > მარსელი > სულხან-საბას მიხედვით: ტანტიბ ქალაქი (Antibes, ანტიბი) > სულხან-საბას მიხედვით: ნისი (Nice, ნიცა), სულხან-საბას მიხედვით: საბია (სავოია) ბატონის ქალაქი > სულხან-საბას

მიხედვით: ლაფრანგა (***Villefranche***–sur-Mer, ვილფრანში) > მონაკომდე ოთხი „მაგარი“ ციხე გაიარეს > მონაკო (Monaco) > სულხან-საბას მიხედვით: მანტო ქალაქი (Menton, მენტონი) > ამის შემდეგ უკვე სულხან-საბას მიხედვით: ჯენევიას (გენუის) თემში შევიდნენ > სულხან-საბას მიხედვით: სენერემ ქალაქი (სან რემო San Remo) > სულხან-საბას მიხედვით: ფიორტუმორი (Porto Maurizio, პორტო მაურიციო) > სულხან-საბას მიხედვით: ონელი (Oneglia ონელია) > სულხან-საბას მიხედვით: დინა (Diano Marina, დიანო მარინა) > სულხან-საბას მიხედვით: არასიო (Alasio, ალასიო) > სულხან-საბას მიხედვით: არბენწქო (Albenga, ალბენგა) > სულხან-საბას მიხედვით: ვანია ქალაქი (Loano, ლოანო) > სულხან-საბას მიხედვით: ფინს ქალაქი (Finale Ligure, ფინალე ლიგურე) > სულხან-საბას მიხედვით: ნორი (Noli ნოლი) > სულხან-საბას მიხედვით დასახელებულ ლიმონილო-ში შესაძლოა ლუმინელა იგულისხმებოდეს (Luminella), ადგი-ლი ნოლის დასავლეთით > სულხან-საბას მიხედვით: საონა (Savona, სავონა) > სულხან-საბას მიხედვით: ჯენევია (Genova, გენუა), „სულობით ასე შენობა იყო გაბმით, სასახლე და წალკო-ტები, რომ ერთი ქალაქი გეგონებოდა“ > სულხან-საბას მიხედ-ვით: პორტუფენი (Portofino, პორტოფინო) > სულხან-საბას მიხედვით: მასა (Massa, მასა) > ლივორნო (Livorno), სულხან-საბას მიხედვით: ალიკორნი > სულხან-საბას მიხედვით: ფომ-ბინო (Piombino, პიომბინო) > სამხრეთით კუნძულს, ელბას ჩაუარეს, ასევე ლონგონეს (Longone), სულხან-საბას მიხედვით: ფორტო ლონგონე, პორტო აზუროს თავზე > სულხან-საბას მიხედვით: ფორტე ერკოლე, მონტე არგენტარიოს ნახევარკუნ-ძულზე (Porto Ercole, პორტო ერკოლე) > სულხან-საბას მიხედ-ვით: ჩივტაევთია (Civitavecchia, ჩივიტავეკია) > რომი > სულხან-საბას მიხედვით: ოსტრიკო (Otricoli, ოტრიკოლი) > სულხან-საბას მიხედვით: ნარმა (Narni, ნარნი) > სულხან-საბას მიხედ-ვით: თერნა (Terni, ტერნი) > სპოლეტო (Spoleto) > ფოლინიო (Foligno, სულხან-საბას მიხედვით: ფოლინიო) > ვალჩიმარა (Valcimarra) > სულხან-საბას მიხედვით: ტოლეტინო (Tolentino, ტოლენტინო) > სულხან-საბას მიხედვით: მაჩერთო (Macerata,

მაჩერატა) > სულხან-საბას მიხედვით: რაღანატო (Recanati, რეკანატი), სულხან-საბას მიხედვით: ლორენტა, შემდეგ ლარეტასაც უწოდებს და ლოტერიასაც (Loreto, ლორეტო) > სულხან-საბას მიხედვით: ფოლინიო, მას უოლინიოს უწოდებს (Foligno, ფოლინიო) > სულხან-საბას მიხედვით: ასიის ქალაქი (Assisi, ასიზი) > პერუჯა (Peruggia) > სულხან-საბას მიხედვით: კამუჩია (Camucia, კამუჩა) > არეცო (Arezzo) > სულხან-საბას მიხედვით: ფლორენცა (Firenze, ფლორენცია, ფირენცე) > სულხან-საბას მიხედვით: ფისა (Pisa, პიზა) > პალერმო (Palermo) > სულხან-საბას მიხედვით: მისინა (Messina, მესინა) > სულხან-საბას მიხედვით: რჯა (Reggio di Calabria, რეჯიო დი კალაბრია) > სულხან-საბას მიხედვით: გუსტა (Augusta, აუგუსტა) > სირაკუზა (Siracusa - სირაკუზაში არ ყოფილან, სულხან-საბა წერს: „ჩამოვიარეთ მიღმად და დავინახეთ“) > სულხან-საბას მიხედვით: მალთა (Malta, მალტა) > სულხან-საბას მიხედვით: მორა (პელოპონესის ნახევარკუნძულის ძველ სახელწოდებას ასახელებს) (Morea, მორეა) > სულხან-საბას მიხედვით: ნეღრა პონტო (კ. ევბეა, იგივე ნეგროპონტე, Negroponte,) > სულხან-საბას მიხედვით: ქიო, სახიზი (კ. ქიოსი Xios) > მიტილენე, კ. ლესბოსი -სულხან-საბას მიხედვით: მიტილინი, ბიტილიმი, ბიდლიმი > სულხან-საბას მიხედვით: ზმირინის ზღვა, ქალაქი (სმირნა, იზმირი) > ანატოლიას ჩაუარეს, სულხან-საბა წერს: „ანადოლზე ახლო ვიარებოდით“ > სულხან-საბას მიხედვით: კალი პოლი, მარმარილოს ზღვასთან, სულხან-საბა წერს: „კალი პოლი ერთი მომცრო ძველი ქალაქია, ზღვის პირს, ურუმელში“ (Gallipoli, გალიპოლი) > კონსტანტინოპოლი > ათინა > ხოფა > ჩხალა > გონიო > ნიგალის ხევი > არტანუჯი > არტაანი (სულხან-საბა ორბელიანთან არის არტანი) > აბოცი > თბილისი.

სტატიაში ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ რომისა და მის შემოგარენში არსებული ტაძრების, წმინდა ადგილების, სიწმინდეებისა და ღირსშესანიშნაობების ნაწილზე, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანმა მოიხილა და მოილოცა.

სულხან-საბა ორბელიანი რომში 29 თიბათვეს ჩავიდა. იგი საგანგებოდ ასახელებს იმ შვიდ ეკლესიას, ტაძარს, მონასტერს,

რომლებიც უთუოდ უნდა მოინახულოს ადამიანმა რომში ყოფნისას. საბა აღნიშნავს, რომ ისინი ადამიანმა 24 საათში, ანუ 40 ჟამის შესრულების დროში, უნდა შემოიაროს და მოილოცოს. მას პირადად რომის პაპმა ურჩია, მოელოცა ისინი და თავისი ეტლი გაუგზავნა. ესენია: წმ. პეტრეს ტაძარი, წმ. პავლეს ტაძარი, წმ. ღვთისმშობლისა, რომლის შესახებ საინტერესო ისტორიას გვიამბობს თოვლის მოსვლის თაობაზე და იქ ეკლესიის აღმართვის შესახებ, წმ. იოვანე მახარებლის ტაძარი - სან ჯოვანის ტაძარი, რომელიც კონსტანტინე დიდის აგებული ყოფილა, წმ. ლავრენტი დიაკვნის ტაძარი, ჯვარის ეკლესია - სანტა კროჩე ინ იერუსალიმო, სადაც მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეებია დაცული, და წმ. სევასტიანე მოწამის საფლავზე აგებული ტაძარი სახელწოდებით სან-სებასტიანო-ფუორი-ლე-მურა, რომელიც მდებარეობს ვია აპიაზე, აგებულია რომის კატაკომბების თავზე. ამ ტაძართა ლოცვით შემოვლის შესახებ მწერალმა აღნიშნა, რომ ყველა ეს ტაძარი ფეხით უნდა შემოიაროს და მოილოცოს, ლოცვა მხურვალე გულით უნდა თქვას, რომ ცოდვები მიეტევოს. აქ საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ცნობას ურთავს და წერს: „მე თავათ ბერი კაცი ვიყავი და სნეული და ავი დრო იყო, სიცხე. პაპამ დასტური არ დამცა ქვეითობისა. შენდობა მიბძანა: მე ისევ შენდობა მომიცემიაო. ჩემის ეტლით წადიო“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 188-189).

3 ივლისს რომში, წმინდა პეტრეს ეკლესიის სანახავად მისულმა საბამ, როგორც თავად ამბობს, ერთ „მომცრო მინდორზე“ საოცარი სანახაობა იხილა.[1] იგი წერს: *„ოთხ პირად, მგრგვალად ორმოც-ორმოცი ქვის სვეტია ამართული. თვითო ექვს ადლს უმაღლეა, სამ კამარად შეკრული, მოსწორებული და ზეიდამ სულ წმიდათ სახეები ქვისა, გათლილი დგანან. მინდორს შუა ერთი ოთხკუთხა ქვა, ყაბახს უმაღლეა, მთელი და ზედ ჯვარი ამართული“* (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 162). უწინარეს ყოვლისა, მწერალმა ეს მოედანი და მისი შემოგარენი შეადარა

[1] ტექსტი დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს სოლ. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959.

თბილისის ყაბახს, საასპარეზო ვაკე ადგილს ახლანდელი 9 აპრილის ბაღის, ყოფილი ალექსანდროვის ბაღის, ქვედა ნაწილში; თხზულებაში მოედნის სახელწოდება არაა დასახელებული, მაგრამ ისე დეტალურად აღწერს, რომ მკითხველი მყისვე მიხვდება, რომ საუბარი ეხება წმ. პეტრეს მოედანს. უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანს იმ დროს აქვს ნანახი ტაძრის წინ მდებარე ღია სივრცე, რომლის არქიტექტურული სახე პაპის ალექსანდრე მეშვიდის დავალებით ჯან ლორენცო ბერნინის უკვე შექმნილი ჰქონდა, რაც 1656-67 წლებითაა დათარიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში. დაგეგმარების ერთ-ერთი მიზანი ის იყო, რომ მოედანზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი პაპის ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ტაძარი ქრისტიანობის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილად ითვლება, რადგან აქაა დაკრძალული პეტრე მოციქული, ანტიოქიის პირველი ეპისკოპოსი და ცოტა მოგვიანებით კი რომის პირველი ეპისკოპოსი. მისი საფლავი ტაძრის საკურთხევლის ქვეშაა განთავსებული, რის საფუძველზეც რომის პაპები, პირველის ჩათვლით, აქ იკრძალებოდნენ. „მოგზაურობაში“ აღნიშნულია ტაძრის სიახლოვეს წყაროების გადმოსვლა/გადმოდინება და იგი ისე აღიქმება თითქოს ტაძარში შემსვლელი სასუფეველში შედიოდეს. წმ. პეტრეს ტაძარი, საბას ცნობით, იმ ადგილზეა აშენებული, სადაც ადრე კონსტანტინიანეს მიერ აგებული ძველი ბაზილიკა მდებარეობდა. ცნობილია, რომ თანამედროვე ტაძრის მშენებლობა დიდხანს მიმდინარეობდა, დაიწყო 1506 წლის 18 აპრილს და დასრულდა 1626 წელს. მწერალმა აღტაცებითა და აღფრთოვანებით აღწერა მოედნის სვეტები, ქანდაკებები და შენიშნა, რომ ადამიანი რომში რამდენ ხანსაც არ უნდა დარჩეს, თუნდაც ას წელს (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 169), მაინც ვერ შეძლებს ქალაქის სრულყოფილად აღქმას, დათვალიერებას, მის ისტორიულ და რელიგიურ მნიშვნელობას, ქალაქის გრადიოზულობას, სიდიადეს. მან ყურადღება გაამახვილა ტაძრის დიდ საკურთხეველში განთავსებულ სკამზე, რომელზეც წმ. პეტრე მჯდარა; ეს სკამი ოთხ ღვთისმეტყველს უპყრია ხელთ და ჩამო-

თვლის მათ: გრიგოლ დიოლოღოსს, წმ. ამბროსის (მედიოლანელს), წმ. ჯერასიმეს და წმ. აგვისტინეს. აღნიშნულია, რომ სატრაპეზოში წმ. სვიმონ მოციქულისა და წმ. თადეოზის საფლავებია, ხოლო მარჯვნივ პეტრონილა, წმ. პეტრეს ქალიშვილია დაკრძალული. როგორც სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, სხვა ტრაპეზში წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი-ანძიაძორელი (ქართული ტრადიციით - ნაზიანზელი) და მის პირდაპირ კი გრიგოლ დიალოღონი ასაფლავია. იქვეა დაკრძალული წმ. იოანე ოქროპირი. ყველა საფლავი უცხოდ შემკულია, რამაც მწერლის ყურადღება მიიქცია და საგანგებოდაც ჩაიწერა ყოველივე ეს თავისი მოგზაურობის ამსახველ თხზულებაში.

ცნობილია, რომ რომში წმ. პეტრეს სახელთან დაკავშირებული რამდენიმე ტაძარია. ერთ-ერთი მათგანია „ქვო ვადის, დომინე?“ - ეს ფრაზა არავისთვის უცხო არაა, ქრისტიანული მრწამსის მქონე ყოველმა ადამიანმა ეს იცის. სულხან-საბა ორბელიანი თარიღებს უთითებს, რომელ ტაძარს როდის ეწვია და რა ნახა იქ. პირველ აგვისტოს იგი სწვევია წმ. სევასტიანეს მონასტერს, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ რომის სატუსაღოდან გაქცეულ პეტრე მოციქულს აპიას გზაზე გამოეცხადა იესო ქრისტე და პეტრემ სწორედ ეს შეკითხვა დაუსვა მაცხოვარს („საით მიემართები, უფალო?“). ქრისტეს პასუხი იყო: „მივდივარ იქ, სადაც მეორედ ისევ უნდა ვეწამო“. როგორც კი პეტრემ მოისმინა უფლის პასუხი, მიხვდა, რომ მოახლოებულიყო მისი, მაცხოვრის მოწაფის, წამების ჟამი. ამ სიტყვების მოსმენისთანავე პეტრემ გახედა იმ ადგილს, საიდანაც ხმა მოესმა, მაგრამ ქრისტე იქ უკვე აღარ იყო, ქვის ფილაზე კი მისი ორივე ფეხის ნატერფალი აღბეჭდილიყო. წმ. პეტრე მყისვე დაბრუნდა რომში, სადაც მალევე აწამეს. ეკლესია, რომელიც აპია ანტიკას გზაზე აშენდა, ამ შეხვედრის ადგილზეა აგებული. ტაძრის შესასვლელშივე, ინტერიერის იატაკზე, მოთავსებულია წმინდა ფილა, რომელზეც ქრისტეს ფეხების ანაბეჭდებია გამოსახული. დაცვის მიზნით ამჟამად მასზე რკინის ცხაურია დაფარებული. ყოველივე ამას დეტალურად გვიამბობს მწერალი და თავის შინაგან

განცდებსაც გამოხატავს, რომელშიც შეზავებულია რწმენა, გაკვირვება, აღფრთოვანება, სიხარული, რომ ყოველივე ამის ხილვის ღირსი აღმოჩნდა თვითონ.

კიდევ ერთი ტაძარი, რომელიც წმ. პეტრეს სახელს უკავშირდება და რომელსაც საკმაოდ დეტალური აღწერილობით გვაცნობს სულხან-საბა ორბელიანი, რომში მდებარე სან პიეტრო ინ მონტორიოს (წმინდა პეტრე ოქროს მთაზე) ეკლესიაა, წმ. პეტრეს ჯვარცმის ადგილი; მას 9 ივლისს ეწვია სულხან-საბა ორბელიანი და მეტად საინტერესოდ აღწერა იგი: *„წამიყვანეს, სადაც რომ წმიდა პეტრე ჯვარს აცვეს. რომის წყალს გაღმაა. რა ქალაქი დაილევა, მერმე ერთი პირაღმართი არის, ისე სერსერი მოსდევს, რომი სულ ჩანს იქიდამ. იქ ჯვარს აცვეს. ერთი მომცრო მონასტერი დგას. წოკოლანტები (მონაზონთა ერთერთი ორდენი) დგანან, მაგრამ ერთს ეკლესიად ისიც ითქმის. წინ ვაკეზე ერთი დიდი წყარო შადრევნად ამოუდის და უკან ერთი წყაროა, იქვე გამოდის...“* (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 165-166). მწერალი ამ შადრევნებს მხატვრულად აღწერს და გაკვირვებული შენიშნავს, რომ რომში ძალიან ბევრი წყაროა, ისინი არც გემოთი ჰგვანან ერთმანეთს და არც ფორმით, რადგან თითოეული მათგანი შადრევნებად არის მიყვანილი სხვადასხვა აუზში, წყალი ზოგან ადამიანთა გამოსახულებებში გადმოედინება, ზოგან სხვადასხვა ცხოველში, თევზებში, ზოგან წვიმასავით ჩამოდის, ზოგან მკლავის სისხოსავით გადმოდის. განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ამ მონასტრიდან ქალაქის ლამაზი ხედით და კმაყოფილებას ვერ ფარავს.

სულხან-საბა ორბელიანი აღფრთოვანებულია ძველი რომის პერიოდის იმ ეკლესიით, რომელიც ცნობილია სახელწოდებით: წმინდა პავლეს ბაზილიკა კედლებს გარეთ (იტალიურად: Basilica Papale di San Paolo fuori le Mura). აქაა დაკრძალული თვით წმ. პავლე მოციქული. იგი ერთ-ერთია რომში მდებარე პაპის ოთხი მთავარი ბაზილიკიდან. საბა დანარჩენი სამის სახელწოდებასაც გვაუწყებს. ესენია: წმ. პეტრეს ტაძარი, რომლის შესახებ უკვე ვისაუბრეთ; წმ. იოანე მახარებლის ლატერანული ეკლესია, რომელზეც გვიყვება, რომ 2 აგვისტოს სწვევია

და რომელიც კონსტანტინე მეფის აშენებული ყოფილა, დაარსებიდან მისი ეპისკოპოსი ყოფილა რომის პაპი და იქვე მდგარა, ხოლო შემდეგში კი პაპები წმ. პეტრეს ტაძარში დამკვიდრებულან. ამასთან დაკავშირებით წერს: *„პირველი რომში აშენებული, ქრისტიანობაში, ეკკლესია ის არის, და მერმე წმიდის პეტრეს საფლავი აუშენებიათ, რომელიც პაპა იქ დამდგარიყო“* (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 192); მწერალმა აქაც შენიშნა, რომ წმ. პეტრე მოციქულის ტაძარი რომის იმპერატორს, კონსტანტინე პირველს დაუარსებია იმ ადგილას, სადაც წმ. პეტრე იყო დაკრძალული და სადაც მის მიმდევართა მიერ მემორიალი იყო აღმართული. უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ყურადღება მიუქცევია სან ჯოვანის ლატერანოსა და სან პაოლოს ბაზილიკებში „კედლების მიღმა“ პატარა ატრიუმს - მყუდრო ღია ეზოს, რომელიც გამწვანებულია, მორთულია ყვავილებით, ხშირია შადრევნები და გარშემორტყმულია მეტად შთამბეჭდავი კოლონადით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანულ მონასტრებში ამგვარ ეზოებს სიმბოლური დატვირთვა აკისრიათ, ისინი სამოთხის ალუზიას ქმნიან და დამახასიათებელია მონასტრების არქიტექტონიკისათვის (ლიხაჩოვი).

სულხან-საბა ორბელიანს აღწერილი აქვს ღვთისმშობლის სახელზე აგებული ტაძრები რომში. მწერალი გვიამბობს სანტა მარია მაჯორეს ბაზილიკის შესახებ, ერთ-ერთს რომის ოთხ უდიდეს ეკლესიათაგან, რომლებსაც პაპის მთავარ სამლოცველოდ გვაცნობს, და გვიყვება მის აგებასთან დაკავშირებულ საინტერესო ლეგენდას, რომლის მიხედვით, 352 წელს, პაპის ლიბერიუსის, მოღვაწეობის დროს, ერთ-ერთ დიდებულ რომაელ ცოლ-ქმარს აგვისტოში სიზმარში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა. ამცნო, რომ აეშენებინათ ეკლესია იქ, სადაც მეორე დღეს თოვლი მოვიდოდა. რომში თოვლის მოსვლა ისედაც იშვიათია, აგვისტოში კი ეს მოვლენა სასწაულად იქნა აღქმული და ესქვილინის ბორცვზე, სადაც მართლა მოსულა თოვლი 5 აგვისტოს, აღიმართა ეკლესია. მისი პირველი სახელი სწორედ ამ სასწაულით განისაზღვრა - სანტა მარია დელა ნევე

(neve - თოვლი; „თოვლიანი დედოფალი“). აქ ინახება ქრისტეს აკვანი, ბეთლემის ხის ბაგა და ქვაბის ქვების ფრაგმენტები, რომელშიც ჩვილი იესო იწვა. საბა ასახელებს ტაძრის ერთ-ერთ უძველეს რელიქვიას - ღვთისმშობლის უძველეს სასწაულმოქმედ გამოსახულებას, დაწერილს წმ. ლუკა მახარებლის მიერ, აგრეთვე, სხვა უამრავ სიწმინდეს, რომლებიც ამ ტაძარშია დაცული. ახსენებს ქანდაკებებს და მონუმენტურ სკულპტურულ ძეგლებს, რომელთაც აღტაცებით აღწერს. ყურადღებას იქცევს ტაძრების საბასეული აღწერა-დახასიათება, სვეტების მონუმენტურობა და სინატიფე.

სულხან-საბა ორბელიანი გვიამბობს სანტა მარია ინ ტრანსტევერეს ტაძრის შესახებ, რომ იგი ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდეა აშენებული და მას მიიჩნევენ რომის პირველ ოფიციალურ ქრისტიანულ ეკლესიად.

სულხან-საბა ორბელიანი ახსენებს და აღწერს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის კიდევ ერთ ტაძარს - სანტა მარია დელ პოპოლოს, რომელიც პოპოლოს, ანუ სახალხო მოედანზე მდებარეობს და ავგუსტინელთა ორდენის ეკლესიაა. ბაზილიკის სახელწოდება ერთ ლეგენდას უკავშირდება: მიიჩნევდნენ, რომ ტაძარში მდებარეობდა ქრისტიანთა სასტიკი მდევნელის, იმპერატორ ნერონის აკლდამა. საუკუნეების შემდეგ საძვალეზე გაიზარდა ვერხვის ხე (ლათინურად „populus“), რომლის ძირთან ყვავთა გუნდები იკრიბებოდა. მოცემული ადგილი დაწყევლილად ითვლებოდა. რომის პაპს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და ამ ხის მოჭრა უბრძანა. კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა აღასრულა მისი ნება და იქ ააგო მისი სახელობის სამლოცველო, ხოლო მოგვიანებით სალოცავის ადგილას პატარა ეკლესია აშენდა.

სულხან-საბა ორბელიანი საგანგებოდ აღწერს ტრანსტევერეში, რომის ერთ-ერთ ყველაზე ცენტრალურ უბანში, მდებარე წმინდა ცეცილიას (ქრისტიანი მოწამისა და მუსიკის მფარველის) სახელობის ტაძარს და გადმოგვცემს წმინდანთან დაკავშირებულ ლეგენდას. ადრეულ ასაკში ქრისტიანული სიბრძნის შეცნობის შემდეგ ცეცილიამ ქალწულობის აღთქმა დადო,

თუმცა მშობლებმა ქალიშვილის ნების გაუთვალისწინებლად იგი წარმართ ვალერიანს მიათხოვეს. ცეცილიას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მან მეუღლე აპიის გზაზე არსებულ კატაკომბებში გააგზავნა მიწისქვეშეთში მცხოვრებ ქრისტიანობის მქადაგებელ ურბანთან შესახვედრად. რადგან დიდებულთა წრის წარმომადგენლისათვის კატეგორიულად იყო აკრძალული ქრისტიანობის მიღება, ვალერიანი და მისი ძმა უმალვე შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ცეცილიასაც იგივე ბედი ელოდა. ჯალათები თავიდან ახალგაზრდა ქალის გაგუდვას ცდილობდნენ, შემდეგ კი მის მდუღარე წყალში დახრჩობას, თუმცა ამაოდ. მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა ცეცილიას კისერში სამჯერ დაჰკრა ნაჯახი, რომლითაც წმინდანს მხოლოდ ღრმა ჭრილობები მიაყენეს. ბოლოს ქრისტიანი ქალი დილეგში გამოკეტეს, სადაც იგი სისხლისგან დაიცალა. აღსასრულის წინ ცეცილიამ თავისი სახლი ეკლესიას უანდერძა, რამაც იგი საკულტო თაყვანისცემის ადგილად გარდაქმნა. ტაძრის ცენტრალური ნეფის ჭერს ამშვენებს დიდებული ფრესკა, რომელზეც გამოსახულია წმინდა ცეცილიას თავზე გვირგვინის დადგმა, ქვემოთ გამოხატული ორღანი კი მოწმობს წმინდანის სტატუსზე, როგორც მუსიკის მფარველზე. სულხან-საბა ორბელიანმა ისე მხატვრულად აღწერა ეს ისტორია, რომ ნოველის სახე მიეცა. ყოველ ეპიზოდში, რომელსაც ქართული პროზის დიდოსტატი გვიამბობს, ნათლად იგრძნობა დიდი მწერლის სტილი და თვალთახედვა. ცალკეულ ტაძართან ან წმინდა ადგილთან დაკავშირებული მწერლის თითოეული მონათხრობი დამოუკიდებელი ნოველის შთაბეჭდილებას ტოვებს.

წმ. პეტრეს ტაძართან და მოედანთან ახლოს მდებარეობს სანტ-ანჯელოს ციხე-სიმაგრე, რომელსაც მწერალი სახელდებით არ ასახელებს, მაგრამ მისი აღწერილობა ემთხვევა ტიბრის სანაპიროზე აგებულ ამ მონუმენტურ ნაგებობას. აღწერს ტიბრზე არსებულ ხიდს, თუმცა, არც მდინარის სახელწოდებას ასახელებს, მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ რომის წყალზე ხიდი დევს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წმინდა ანგელოზის ხიდი, რომელსაც ამშვენებს ბერნინის ესკიზების მიხედვით

შექმნილი სკულპტურები, რასაც სულხან-საბა ორბელიანი საგანგებოდ ეხება. თუმცა, არც ამ სკულპტურების შემოქმედი, ბერნინი, ჰყავს დასახელებული. ადრე მას ელიოს ხიდი რქმევია, მდინარე ტიბრის ორივე ნაპირის გამაერთიანებელი ხიდი იმპერატორ ადრიანეს საფლავში შესვლის ფიგურულ კარიბჭედ მოუფიქრებია, რაც ცნობილია სულხან-საბა ორბელიანისათვის. ამ ხიდის ხსენებისა და აღწერისას მწერალი გადმოგვცემს წმ. გრიგოლ დიალოღონის მოღვაწეობის დროს ჟამიანობის ისტორიას და მასთან დაკავშირებულ ლეგენდას, რომლის მიხედვით პაპმა გრიგოლ დიდმა მოაწყო რელიგიური მსვლელობა. როდესაც პროცესია ხიდზე გადავიდა, მავზოლეუმის სახურავზე მთავარანგელოზი მიქაელი გამოჩნდა, ხმლით შეიარაღდა და გაუჩინარდა. მთავარანგელოზის ეს გამოცხადება ეპიდემიის დასასრულს მოასწავებდა, მთავარანგელოზის გამოცხადება ასე აღიქვეს რომში და, მართლაც, საბაც წერს, რომ ჭირი მალევე დასრულებულა. სწორედ ამის გასახსენებლად აღმართეს წმინდა ანგელოზის ქანდაკებაო, - წერს მწერალი.

სულხან-საბა ორბელიანმა მოინახულა და მოილოცა რომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პოპულარული სიწმინდე - წმინდა კიბე. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ეს კიბე იყო განთავსებული იერუსალიმში, პილატეს სასახლეში, და მასზე ავიდა იესო ქრისტე, როდესაც სამსჯავროსაკენ მიემართებოდა. გადმოცემით, კიბე რომში წმ. ელენე დედოფალმა ჩამოაბრძანა იერუსალიმიდან IV საუკუნის პირველ მეოთხედში (გვ. 165).

ცალკე უნდა აღინიშნოს სულხან-საბა ორბელიანის ინტერესი და ღრმა ცოდნა კატაკომბებთან დაკავშირებით, რაც დეტალურად აქვს აღწერილი: *„ჩაგუიყვანეს სანთლებითა. ძველის რომის დრონი რომ ყოფილა, ქრისტიანენი იმაში დამალულან და წმიდა პაპები. და ვისცა აწამებდენ, იქ დამარხვიდენ, მოიპარიან... აქათ და იქით ოთხი საფლავი იყო ერთმანეთზე, ზოგან სამი, ზოგან ერთი. მრავალი გამოესვენებინათ, სხვაგან დაემარხათ. და უანგარიშო და კაცთშეუგებელი შიგვე არის. ვისიც სახელი სცოდნიათ, საფლავის ქვაზე სწერია... თუ სანთელი გაუქრა, კაცი გზას ვეღარ გაიგებს. შიგ საყდრები არის.*

სახლები უანგარიშო“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 191). კატაკომბები ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ, რადგან რომაული კანონი კრძალავდა ქალაქის საზღვრებში საფლავების არსებობას. კატაკომბების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში შემდგომი კვლევების საფუძველზე განსხვავებული შეხედულებებიც გამოითქვა. კატაკომბებში კრძალავდნენ მიცვალებულებს, ე.ი. ისინი სასაფლაოები იყო, რადგან ქრისტიანული რელიგიის მრწამსის კვალობაზე წარმართულ ეპოქაში გავრცელებული კრემაცია გაუქმდა, რის შემდეგაც კატაკომბებში დაკრძალვა დაკავშირებული იყო სოციალურ პრობლემასთან, მიწების გამოყოფასთან სასაფლაოებისათვის, რაც საკმაოდ დიდ სირთულეს უქმნიდა მიწის დამმუშავებლებს და სწორედ ამიტომ დაიწყეს კატაკომბებში ქრისტიანების დაკრძალვა. ასეთი სახით სასაფლაოების მოწყობა ცალკე მიწის გამოყოფას არ მოითხოვდა. სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც უთითებენ, რომ კატაკომბებში არა მხოლოდ ქრისტიანები, ებრაელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც იკრძალებოდნენ. სულხან-საბა ორბელიანს ამის შესახებაც აქვს ცნობები და გვიყვება, რაც გაუგონია.

უაღრესად მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანისეული დახასიათება და მის მიერ მოწოდებული ცნობები რომის უძველესი ტაძრის, პანთეონის შესახებ. იგი ეძღვნებოდა ძველ რომაელ ღმერთებს (ნეპტუნი, იუპიტერი, მარსი, ვენერა, პლუტონი, მერკური და სატურნი) და რომის იმპერიის სიდიადეს განასახიერებდა. ვარაუდობენ, რომ იგი აშენდა ახ.წ. II საუკუნეში მარკუს აგრიპას მიერ ადრე აგებული ტაძრის ადგილზე. თავდაპირველად მას რქმევია „ყველა ღმერთის ტაძარი“. ქრისტიანულ ეპოქაში წარმართული „ყველა ღმერთის ტაძარი“ გადაიქცა ღვთისმშობლის ეკლესიად „მოწამეთა“ (Santa Maria ad Martyres). სახელწოდება „მოწამეთა“ განპირობებულია იმით, რომ რომაული კატაკომბებიდან აქ გადმოასვენეს 28 ურიკა წმინდა მოწამეთა ნაწილებით. შემდგომ საუკუნეებში პანთეონი გახდა ცნობილი ადამიანების საფლავის ადგილი, მათ შორისაა რაფაელის საფლავი. ეკლესიის მეორე სახელი, სანტა მარია

დელა როტონდა უკავშირდება შენობის მრგვალ ფორმას. პანთეონი არის უზარმაზარი ნაგებობა, რომელსაც, საბას სიტყვით, არა აქვს სარკმელი, მაგრამ მისი გუმბათის შუაგულში არის საკმაოდ დიდი სასინათლო, რომელიც მთელი დღის განმავლობაში, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, ანათებს მთელ ტაძარს. დავიმოწმებ სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებს: *„ერთი საკერპო ყოფილა: მრავალ ღმერთთ ტაძარს თურმე უხმობენ, აწ ყოველთ წმიდათა ეკკლესიად უკურთხებიათ. ისევ მაშინდელი ნაშენი, - როგორც ყოფილა, მგრგვალია, მოვარაყებულია, სამოცდა ერთი ბიჯია, სიგრძე და განი ერთი. განი ზეიდამ აქვს. მრგვლად შეკრულია. დიაღ, მაღალი და დიდი. მის მეტი სასინათლო არა აქვს და, დიაღ, ნათელია ერთი კამარა მგრგვალი. ოცდარვა ყვითლის მარმარილოს სვეტი აქვს. თვითო რვა ადლი იქნება, მთელი, შეუწყობელი. სისხო ორი მხარი...“* (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 166-167).

4 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანი წაიყვანეს იმ ადგილას, სადაც წმ. იოანე მახარებელი იმპერატორს, ნერონს, ადუღებულ ფისში ჩაუგდია და უნახავს ტრაპეზის ქვეშ განთავსებული ის ქვაბი. აღწერილობის მიხედვით ტრაპეზი მარმარილოსია და კანდელებით შემკული. იმ გზის იქით კიდევ ასახელებს სხვა ტაძარს, რომელიც აგრეთვე იოანე მახარებლის სახელობისა ყოფილა. იქიდან წამოსულებს უნახავთ ერთი საკერპო, რომელსაც სიმართლის ღმერთს ეძახდნენ. ესეც ნოველასავით იკითხება. ერთ ქვაზე გამოსახული იყო პირღია კაცის თავი, ღიობში ვინც ხელს შეჰყოფს, *„თუ მტყუანიაო, მოუჭირებს და მოსტეხს. ამაზე ღმერთს ეძახდენ. თურმე ის ქვა იქავ იდვა. და ის საკერპო ეკკლესიად მოექციათ, მართლის ღვთის დედისად. კაი ეკკლესია იყო“* (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 194) და ამ საკერპოსთან დაკავშირებულ ერთ ისტორიას გვიყვება. ის კერპი ისევ იქ არისო, - წერს საბა. მისი მონათხრობი ნოველის შთაბეჭდილებას ტოვებს და ნათლად იგრძნობა „სიბრძნე სიცრუისას“ ავტორის სამწერლო გამოცდილება.

სულხან-საბა ორბელიანმა მოიხილა და მოილოცა წმ. ანდრია მოციქულის, წმ. იოვანე მახარებლის, წმ. ბართლომეს,

სული წმიდის, წმ. ათანასე ალექსანდრიელის, წმ. ფრანცისკოს, წმ. დომენიკოს, წმ. ავგუსტინეს, წმ. ბალბინა ქალწულ-მოწამის მონასტრები, რომელთა საბასეული აღწერილობები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის ეპოქის მდგომარეობას გვაცნობს.

ყველგან, სადაც სულხან-საბა ორბელიანი მიდიოდა ან შედიოდა, ქართულ წიგნებს ეძებდა. 24 ივლისს საბა პაპის „სამწიგნობროში“ (ბიბლიოთეკა) წაიყვანეს, მაგრამ სასურველს ვერაფერს მიაკვლია და გულისტკივილით აღნიშნა: *„სხვა ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო. მრავალი ვეძებე ქართული წიგნები, ვერ ვიპოვე, არსად ჩნდა“* (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 183). ცნობილია, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები 1629 წლით თარიღდება. საბას ევროპაში მოგზაურობის დროს ქართული წიგნის ბეჭდვის საუკუნოვანი ისტორიაც კი არ ჰქონდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომში გამოცემულ წიგნებს - „ქართულ ანბანს ლოცვებით“, სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ირბახის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონს“, აგრეთვე, მაჯოს „ქართული გრამატიკას“ კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა და, შესაძლოა, სულხან-საბა ორბელიანს ნანახიც არ ჰქონოდა ისინი. ქართულ ნაბეჭდ წიგნებს საბა ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებული სტამბიდან გაეცნობოდა. საბას ევროპაში გამგზავრების წელს, 1713 წელს, უკვე რამდენიმე დასახელების წიგნი იყო გამოცემული, მათ შორის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. სავარაუდოდ, სულხან-საბა ორბელიანი „მოგზაურობაში“ ნახსენებ წიგნებში უფრო ხელნაწერებს გულისხმობდა, რომლებიც არ იყო ევროპის, კერძოდ კი რომის იმ მონასტრებში, რომლებიც მოინახულა და მოილოცა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანმა ორ წელზე ცოტა მეტი დაჰყო ევროპაში და თავისი შთაბეჭდილებები ასახა მოგზაურულ-მემუარული ხასიათისა და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს საფრანგეთისა და იტალიის გეოგრაფიული სივრცის, მათი

წმინდა ადგილების, იქ დაცულ სიწმინდეთა და ღირსშესანიშნაობათა შესახებ. წასვლამდე მან საფრანგეთსა და რომში თავისი ელჩობის მიზნები ჯერ ქართლში, შემდეგ დასავლეთ საქართველოში საგანგებოდ შეიმუშავა და ისე წარსდგა კათოლიკური სამყაროს პოლიტიკური მესვეურების წინაშე. თხზულებას როგორც უცხოელის თვალით დანახული და აღქმული ამ ქვეყნების მეცნიერული გეოგრაფიისა და ისტორიის გასაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ღირებულება ეკისრება იმის გამოც, რომ სულხან-საბა ორბელიანი ნანახ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს ზოგჯერ თავისი სამშობლოს ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს ადარებდა და მხატვრულად აღწერდა. მისი დაკვირვებები, აღწერილობები ზოგიერთ შემთხვევაში ნოველის შთაბეჭდილებას ტოვებენ და გვაგრძნობინებენ, რომ თხზულების ავტორი სწორუპოვარი მწერალია.

დამოწმებული ლიტერატურა:

სულხან-საბა ორბელიანი, 1959: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს სოლ. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959.

ლიხაჩოვი, 1994: Лихачев Д., Культура как целостная среда // Ж. «Новый Мир» 1994, №8.

დავით შავიანიძე
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ქუთაისი,
David.shavianidze@atsu.edu.ge

ქართველთა ყოფით-კულტურული მახასიათებლები (სვანური და აჭარული ანთროპონიმიის და ეთნოგრაფიული ლექსიკის მიხედვით)

მოკლე შინაარსი

სამსჯელოდ გამოგვაქვს: 1. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, აჭარასა და სვანეთში მოძიებული ონომასტიკური მასალის კვლევის შედეგები; 2. გვარებისა და გვარის მემკვიდრეობითი სახელების, ტოპონიმების კვლევის დროს მოძიებული, საკვლევ მასალასთან დაკავშირებული, თემის, მხარის, ზოგადქართველურში არსებული, ქართველთა ყოფით-კულტურული, რწმენითი ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ტერმინი.

ოსმალოს და რუსის მცდელობა იყო, საუკუნეების წინ არსებული, დიდი სოციალურ-კულტურული ისტორიის მომთხრობი გვარსახელი გამოეყენებინა განსაზღვრული, დროის მიერ გამოცდილი, ტრადიციული ცხოვრების იმ წესის შესაცვლელად, რომლის დაცვის მყარი გარანტიც იყო ანთროპონიმიის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

დამპყრობლების მიზანი ბოლომდე და სრულად ვერ განხორციელდა.

ქვეყნის ეთნიკურ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესწავლის საშუალებაა კავკასიის მკვიდრ და სხვა, უცხო ეთნოსის წარმომადგენელებთან ქართველთა ურთიერთობის მადასტურებელი ადამიანთა სახელები.

ქართულ ყოფით-კულტურული ცხოვრების კვლევის პირველწყაროა სამხოს სვანეთში გავრცელებული სახელი „**კავი**“.

გვარის მემკვიდრეობითი სახელები („**ალიოღლები**“, „**ალავერდოღლები**“, „**იალამ ოღლები**“, „**შალი კოღლები**“„**ყადიროღლიები**“, „**ბიძოღლები**“, „**დარიოღლები**“, „**მოხდილები**“, „**აღათახუმები**“,

„კობრები“), ანთროპოტოპონიმების (**გობიან ხიდი, გუდაძი ახო, ყამაჯოღლები, ლომსანიძე, დარციყანა, მემიშოღლები, ქუხარტი, რამაზან ღელე**); ადგილთა თურქული ენით ახსნილი სახელები (**თრუბელული, თუნო ბიჩეგი, ქუჩუგ არაზი, ჰაჯიოღლი იურდი**); რელიგიურ-საკულტო და ქართულ ეთნიკურ-კულტურული ყოფის, რელიეფის აღმნიშვნელი ტოპონიმები (**საყდარი** და **საყდრის უკანა, ნაფუზარი** და **ნაფუზარის გვერდი, ლაშარა გორი, ნახიზ ნავი, შუა თემ-არი, აკვანასერი, ქალის საკაზმავი, სალორია, დარჩიძი ყანა, ღამის სათევი, საციხველა, წისქვილის კარი, ნაბელლავი, ნაკალოები** და **გზაბაწარა, ნადაბური გზა, ნადაბური წვერი**) მიწის გარკვეულ ადგილს, მონაკვეთს გადაგებული, ერის შესაბამისი ეპოქის კულტურულ-ისტორიული და ენობრივი განვითარებულობის ამსახველი ერთგვარი ხალიჩაა.

ყოფითი ცხოვრების განმსაზღვრელი რწმენიანობის ამსახველი ტერმინები (**„ხელის გახსნა“**, **„ბეგარა“**, **„მოგიფსო“**, **„თავი“/„თვალი“**, **„რიგდება“**, **„ბეგარა“**, **„მომაფსებელი“**...) მოგვითხრობენ აჭარელთა და სვანთაგან შენახული, გადარჩენილი ქართული მენტალობის, იმის შესახებ, თუ როგორ აფორმებდნენ ადგილობრივები ლექსიკურ ერთეულებს საკუთარი სახელმწიფო-სამწიგნობრო, მშობლიური ენის კანონების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: გვარსახელი; გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელი; ეთნოგრაფიული ლექსიკა; რწმენითი ცხოვრება; კულტურულ-ყოფითი ცხოვრება; ენის კანონები; საოჯახო სამეტყველო; სუბეთნოსი.

Davit Shavianidze
Doctor of History, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia, David.shavianidze@atsu.edu.ge

THE HOUSEHOLD AND CULTURAL CHARACTERISTICS OF GEORGIANS

(according to Svan and Adjariananthroponymy and ethnographic vocabulary)

Abstract

We bring up for discussion issuess follows: 1. The results of studying onomastic material found in the historical-ethnographic regions of Georgia, such as Adjara and Svaneti; 2. Several terms concerning to the studied material, found during the research on surnames and hereditary names of surnames, toponyms, reflecting the household, cultural and religious details of Georgians existing in general Kartvelian dialects of communities and regions.

The attempt of the Ottomans and Russians was to use the centuries-old surname telling the great socio-cultural history in order to change the established, time-tested, traditional way of life, the protection of which was guaranteed by this most important part of anthroponymy.

The conquerors never achieved their goals.

The names of people confirming the relations of Georgians with representatives of Caucasian and other ethnic groups are a means of studying the ethnic-cultural, socio-political history of the country.

The primary source for the study of the Georgian social and cultural life is the common name of the brotherhood in Svaneti - "Kavi".

Hereditary family names ("Ali-oglus", "Alaverd-oglus", "Ialam-oglus", "Shalikoglus", "Kadir-oglus", "Bidz-oglus", "Dari-oglus", "Mokhdilis", "Agatakhums", "Kobos"), anthropotoponyms (GobianKhidi, GudadziAkho, Kamajoghlebi, Lomsanidze, Dartsikana, Memishoglebi, Kukharti, RamazanGhele); Names of places explained in Turkish (Trubelughi, TunoBichegi, KuchugAraz, HajiogliYurdi); Toponyms denoting religious-cult and Georgian ethnic-cultural existence, relief (church and back of the church, Nafuzari and side of Nafuzari, LasharaGori, NakhizNavi, Shua Tem-ari, Akvanasseri, KalisSakazmavi (women's decoration), Saghoria, Darchidzi Kana, GhamisSatevi (night lodging), Satsikhvela, (Tsikvilis Kari (mill doo),

Nabeglavi, Nakaloeb and Gzabatsara, NadaburiGza, NadaburiTsveri) is a kind of carpet reflecting the cultural-historical and linguistic development of the respective era of the nation, thrown over a certain place, section of the land.

The terms describing the faith defining the life ("khelisgakhsna" (opening of the hand), "begara", "mogipso", "tavi" (head) "tvali" (eye), "rigdeba", "begara", "momapsebeli"...) tell us about the Georgian mentality about how the natives formed lexical units in accordance with the laws of their state-literary, native language, preserved and saved by the Adjarians and Svans.

Key Words: surname; the second hereditary name of the family; ethnographic vocabulary; faith life; cultural life; laws of language; family speech; sub-ethnicity.

შესავალი: სამსჯელოდ გამოგვაქვს: 1. აჭარასა და სვანეთში მოძიებული ონომასტიკური მასალის კვლევის შედეგები. კერძოდ: გვარებისა და გვარის მემკვიდრეობითი სახელების, ქართველური მემკვიდრეობის ამსახველი, თაობებისთვის ინფორმაციის გადამცემი ტოპონიმების, ანთროპოტოპონიმების შესახებ. 2. სამსჯელოდ გამოტანილ ონომასტიკონთნ დაკავშირებული კვლევის დროს მოძიებული, ქართველთა ყოფით-კულტურული, რწმენითი ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ტერმინი.

მეთოდი: დაკვირვების მეთოდი; შედარებითი ანალიზის მეთოდი; კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდი; შედარებით-ისტორიული მეთოდი.

შედეგები: აჭარასა და სვანეთში მოძიებული ონომასტიკონის, თემატურ-ეთნოგრაფიული ლექსიკის კვლევით ირკვევა ქართველთა სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური სინამდვილის, ქართულ ეროვნულ-ტრადიციული, ლოკალურ-კუთხური მახასიათებლების, გადარჩენილი და შენარჩუნებული ფასეულობების, ქართულ-ქართველური მემკვიდრეობის შესახებ; მენტალური, ყოფითი და, რა თქმა უნდა, ენობრივი სინადვილე-მახასიათებლები.

კვლევა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ აჭარელთა, მაჰმადიანობის გამო ეთნიკური ნიშნით მოხსენიების უარყოფითი შედეგის მომტანი, ერთეული, თუმცა მაინც ჯერ ისევ არსებული შემთხვევების დაუშვებლობის შესახებ; აჭარელთა და სვანთა სუბეთნოსებად და სვანთა საოჯახო სამეტყველო ენის სუბეთნოსის ენად გამოცხადების დაუშვებლობის შესახებ.

მსჯელობა: ნებისმიერი ეთნოსის, ხალხის ენაში აისახება ის, რაც ამ ადამიანებს გარს აკრავთ, რითაც ისინი დაკავებულები არიან, რასაც ქმნიან, რითაც ვაჭრობენ, რაზეც ფიქრობენ, მათი წეს-ჩვეულებები, მითები, ყველაფერი, რითაც ისინი ცხოვრობენ - წერდა ვიაჩესლავ ივანოვი (http://arilimag.ge/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%98/?fbclid=IwAR2ktA4KavX3EFwKIcoo6C8m71jgNZilfEIdXDYf-ofCAMJaiR7bANRTZao).

დიდი ისტორიის და სოციალურ-კულტურული შინაარსის მქონე გვარსახელი ოსმალომ და რუსმა გამოიყენა ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის შესაცვლელად.

ეთნოგრაფიული მასალა:

„**რუსკომუნისტობაში**“ თურქობის კვალის წასაშლელად, ჩვენ უკეთესები ვართო და, გვარებს აბრუნებდნენ. თითქოს შენს სურვილზე იყო, მაგრამ იმათგან შემოთავაზებული გვარების ჩამონათვალიდან უნდა აგერჩია. შეიძლება შენი საკუთარი, წინაპრისეული გვარი არ იყო. ისიც იყო, რომ „ოღლობაში გუუნათლებლობის გამო **დაბეჩებულებს** ბევრს თავის ძველი გვარი აღარც ახსოვდა, დიევიწყა. ეს არ გიცავდა შენიანზე ცუდათ შეუხვედრელობისგან, არ იცოდი, რო შენი გვარისაზე შეიძლება ქორწინდებოდი“ (მთხრობელი ნ. აბაშიძე. სკვანა 2022წ).

მსგავსი მასალა, რომ რუსობაში, უბანში მცხოვრები სხვადასხვა გვარების წარმომადგენლებს ერთ გვარზე წერდნენ ჩავიწერეთ დიდაჭარაშიც.

ოსმალოთაგან და რუსთაგან (/„**რუსკომუნისტები**“) აჭარაში ქართული ცხოვრების წესის ჩამოშლის მცდელობის მიუხედავად, ქართველური სახელდების მექანიზმი არ შეცვლილა.

აბაშიძეები „ალიოღლები“, დუმბაძეები „ალავერდოღლები“ და **„იალამოღლები“** არიან; ბაკი ბაკოელი **ნაკაშიძეები „შალიკოღლები“**, ალმედან ამოსული **აბულაძე „ყადიროღლია“; სურმანიძეები „ბიძოღლები“** და **„დარიოღლები“** არიან; **მიქელაძეები „მოხდილები“, „კობრები“ და „აღათახუმები“ არიან.**

ეთნოგრაფიული მასალა: „აღათახუმები“ სელიმ ხიმშიაშვილის დროს მდიდრები იყვნენ, „კობრები“ ზოგი ჩვენებურობის მოწინააღმდეგეები და მერე ყველას დაერქვათ „კობრი“; „მოხდილები“ უფრო გაჭირვებული ხალხია“.

ხიხაძირის ხეობის სოფლების ტოპონიმები და ანთროპოტოპონიმები (**გობიან ხიდი** და **გუდაძი ახო**, **ლომსანიძე**, **დარციყანა** [„საყანე მიწა ადრე დარჩიძეების ყოფილა“], **ქუხარტი** [ბოლქვაძეების ადგილი: „წყალი ქუხს ამ ადგილას“], **რამაზან ღელე**, **ყამაჯოლლები**; **მემიშოლლები** [გუნდაძეების ადგილი]) „ქართველური მემკვიდრეობის“, ენობრივ-დიალექტური მახასიათებლების გადარჩენის, კულტურათა შერევის ამსახველია.

სამკვიდრო-საცხოვრისი უბნები ხიხაძირის თემის სოფლებში გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელის სახელებსაც ატარებენ.

სხვა, უცხო ეთნოსის წარმომადგენელებთან ქართველთა ურთიერთობის მადასტურებელია სვანურ სამეტყველოში, ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან შემოსული ადამიანთა სახელები: **არდაშანი, უზანი, ფიადორი, მელიხანი, კლჩბი, ჯამლეთხანი, სელიმხანი, ბათალბი, კადურბი, შახა, ზადგერი, თემირყანი, მურზაბეგი, ნავრუზი, ხალუმბეგი, სორთმანი, სემრანი, ბრუჟაკი** და სხვა.

სვანურიც და სვანურ საოჯახო სამეტყველოში შემოსული უცხოური სახელები სახელედბულია საძმოს სახელით (/„**კავი**“) და იწარმოებიან ქართველურენობრივი წესის შესაბამისად. „**ბიარზუყვისანი**“, „**ხალუმბეგისანი**“და „**ნავრუზისანი**“ (**შუკვანები** (<-ღოღელიანი); „**სუთმაამშა**“ (**ნიჟარაძეები**). **კაკრიაშვილების** გვარის სამხუბია „**კაკიშა**“ (<- საკუთარი სახელიდან **კაკი**).

„**კავი**“/საძმო ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი, სვანთში გავრცელებული ისეთივე განაყოფის სახელია, როგორც ლეჩხუმში, აჭარასა და ტაოს მკვიდრ, ავტოქტონ ქართველებში ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს დადასტურებული და სამეცნიერო ბრუნვაშიც შემოტანილი გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები: „**გვარის სიგელი**“, „**ბაბშოული**“, „**განარიგი**“/„**გამრიგო**“ და „**თური**“, ოკრიბაში „**ნეკი**“ (შავიანიძე, 2022: 213).

ეთნოგრაფიული მასალები:

„კავში“ შედის შვიდ განაყოფამდე, სისხლით საძმო. საძმოში ქორწინება არ შეიძლება. საძმო ერთმანეთს ეხმარება სიტყვით, საკუთარი ძალით, ყველაფრით. ჭირი და ლხინი ერთი აქვთ, სწამთ,

ერთმანეთის სიყვარულს უნერგავენ ერთმანეთს. „კავს“ თავისი უფროსი ჰყავს. შენი „კავი“, საძმო პირველის, საფუძვლის დამდების სახელს ატარებს. მათ საცხოვრებელ უბანსაც „კავის“ სახელი ჰქვია (მთხრობელი ვ. წერედიანი. სოფელი ლატალი. 2015).

შედარებისთვის: იმერეთის თემ ოკრიბაში ვინმეს შექება, ან პირიქით, საყვედური რომ უნდათ, იტყვიან „იმის ნეკისააო“, ანუ იმის გვარისაა, იმის შთამომავალიაო.

ჩვენმა ახლანდელმა და ადრინდელმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ქართული წარმოების ტოპონიმები უფრო მრავლადაა არა მხოლოდ ხიხაძირის ხეობაში, არამედ მთლიანად აჭარაში.

დარჩიბი ყანა - სოფელსკვანაში.

ნადაბური გზა და **ნადაბური წვერი**, **წისქვილის კარი**, **ნაბელლავი და ნაკალოები**, **საციხველა** გვხვდება სოფლებში: ბაკი ბაკოში, ხიხაძირსა და თხილვანაში.

ხიხაძირშია **ნაკალოები** და **გზაბაწარა. შდრ.:** სვანურის ბალსზემოურ მეტყველებაში არა ერთხელ უთქვამთ, რომ საგვაროვნო თემებს, სოფლებს შორის „გაბმული ბაწარი უნდა გაგევლო“.

აჭარელთაგან ქართული მენტალობის შენარჩუნებულობის დასტურია რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის და ყოფის ამსახველი ტოპონიმებიც.

თრუბელული. ადგილობრივები ხსნიან, როგორც სასაფლაო ადგილს. ტოპონიმი ადასტურებს ეთნოგ რაფიული მასალების სიმართლეს, რომ სოფელ სკვანაში ყოველთვის ჰქონდათ საერთოსასოფლო სასა ფლაო. Türbe განსასვენებელი ადგილი.

საყდარი და **საყდრის უკანა** - სოფელი კალოთა.

ნაფუზარი და **ნაფუზარის გვერდი** - ბაკი ბაკოს ტოპონიმებია. **შდრ.**, **ნასახლევი** გვხვდება კალოთასა და თხილვანაში.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ფუძე ჩვენი საკულტო ადგილია. ნაფუზარი რომ გახდება ფუძის სახელს არ ვკარგავთ სახელის დარქმევით. იგივეა „ნასახლევი“.

ლაშარა გორი - „აქ ლაშა გიორგის უომია“.

ნახიზნავი - „მოძალებულისგან თავდასაცავი, სოფლის გასახიზნი ადგილი“.

შუა თემ-არი - სოფელ კალოთაში.

საღორია ბაკი ბაკოს ტოპონიმია: „ღორები ყოლიენ. აქ გარეკავდნენ“.

„ქალის საკაზმავი“.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ქალის საკაზმავი არის ადგილი, საიდანაც „იეილები“/საზაფხულო სახლები გამოჩნდება, ახლოსაა. ბარიდან ასული ქალები ჩერდებოდნენ და თავს მოიწესრიგებდნენ მემთეურებთან მისვლამდე. სტუმარს „მემთეური“ აუცილებლად გამოაცილებდა „ქალის საკაზმავამდე“. აჭარაში იყო ბევრი „ბეჩური“ სიტუაცია, ჯერ თათრის და მერე რუსის, პოლიტიკის, გაუნათლებლობის გამო. იყო ქალის ქართული წესისგან განსხვავებული მდგომარეობაც, განსაკუთრებით თურქეთიდან გადმოსახლებულ იმ ოჯახებში, სადაც იქიდან გამოთხოვილი ქალი იყო. იყო ოჯახები, სადაც კანონად ქონდენ, რომ უნდა დამორჩილებოდნენ უცხოს, რადგან კანონი იყო. თუმცა ჩვენთანაც ქალს განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა. ქალიც ყოველთვის ღირსებით უნდა ყოფილიყო“ (მთხრობელი მ. სურმანიძე. ვერნები. 2022).

შეიძლება დაუშვათ, რომ არაა სანდო მთხრობლთა გადმოცემა და ადგილის სახელი შეიძლება შექმნილი იყოს სხვა საქმისთვის კაზმვის, მზადყოფნის მიხედვით. თუმცა აღნიშნულიც კვლევით სიმართლის დადგენამდე ვარაუდად დარჩება.

სხვა მასალების კვლევით დასტურდება, რომ ქალისთვის პატივის მიგების მდგომარეობა-დამოკიდებულება მოცემულობა იყო, არის აჭარაში.

შედარებისთვის: პოლიტიკური მოვლენების, კულტურული გავლენების, შერევის, ყოფითი მახასიათებლების შესახებ მომთხრობი ტოპონიმების შექმნის, მოტივაციისა და წარმოების წესი არა მხოლოდ აჭარულის, არამედ ზოგადქართველურის იდენტურია ტაო-იმერხევშიც.

თუნო ბიჩეგი.მთხრობელთა თქმით, **„თუნოს სათიბი“. მიგვაჩნია, რომ ნამდვილად სათიბია. „biçe k/ბიჩეგი „სათიბი“. თუნი Tüm (,,ყველა, მთლიანად“) ნ/მ მონაცვლეობითაა მიღებული.**

ქუჩუგაზი. უნდა იყოს **ქუჩუგარაზი.** küçük arazi/პატრა ნაკვეთი. k გადავიდა გ-ში, გამჟღერდა.

ჰაჯიოღლი იურდი - Yurt /იურდი. ჰაჯიშვილის მამული.

დიობანზე მიკრულია იფხრეული და **შარაზების უბანი. „პურ** თესავდნენ იფხრეულში და ლექავდნენ იქვე, სოფელს და მთას

შორის ადგილ **ლეწილში**“(მთხრობელბები: ჯაფარიძეები რესულ და მემედ ჯაფარიძეები და ნიაზ ექინი).

ეთნოგრაფიული ლექსიკა - ხალხის მეხსიერებაში, ამ ერთგვარ მუზეუმ არქივში არსებული ცოდნის კვლევის უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა.

ტერმინები: **„თავი“/„თვალი“ და „რიგდება“**.

„თავი“/„თვალი“ შვილი ქალის/ქალიშვილი და **ვაჟიშვილის** აღმნიშვნელია სვანეთში. ნებისმიერი გვარის კვლევის დროს გეტყვიან, რომ „შვილი თვალია გვარის, თემის, სოფლის. ვაჟიშვილიც და შვილ ქალიც.

ეთნოგრაფიული მასალები:

„ლახუშდში გვქონია თავის/თვალების, და „გზის სალოცავი“ ეკლესია. თავის და თვალების, ანუ, მარტო კაცზე არა, ქალზეც. როცა კარგად გყავს გვარიც კარგადაა. ანუ გვარზეც, შენ გვარზე სალოცავი, გზის. როცა მივდიოდით, ბედნიერად რომ იარო“.

რიგდება - ძმების გაყოფის დროს, „გაყოფის“ მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინია აჭარაში. იგივე ტერმინს ვნახავთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში. „რიგდება“ საქართველოს კუთხეების მსგავსად აჭარაშიც გამოიყენება მიცვალებულის სულის და ხორცის გაყრის აღმნიშვნელად.

ეთნოგრაფიული მასალები:

„ჩემი მეუღლის **ცხონებული** რვა დედმამისშვილიდან **სასუფეველში** გადავიდა ყველა. ყველა წესის მიხედვით „გარიგდენ“, როცა დიიჭირვენ. გიიყვენ ისე რო, ზუსტად, წესით რავაცაა ჩვენში, საქართველოში“ (მთხრობელი თ. ცეცხლაძე. სკვანა. 2022).

რწმენითი და კულტურულ-ყოფითი ცხოვრების ამსახველი ამ ტერმინებთან ერთგვარ კავშირშია „**ბეგარა**“და **„მოგიფსო**“.

„**ბეგარა**“, სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია, როგორც ყმების (ქვეშევრდომთა) ვალდებულება უსასყიდლოდ (ან თავისი ხარჯით) ემუშავათ ბატონის (ან სახელმწიფოს) სასარგებლოდ.

„ბეგარა“ არანებისმიერად, „ღმერთის და კაცის სიყვარულით, უღალატოდ, ყოფნა, წესიანი-რიგიანი ცხოვრებით ცხოვრებაა“.

„**მომაფსებელი**“ გამოიყენება ზოგადქართველურში „ოჯახის გამძღოლად“, „დიასახლისად“, „წინამძღოლად“, „ზღურბლის მაპა-

ტიოსნებელად“, „ვარცლ-ბურჯისად“, „ქუდის დამხურავად“, „სახლობის ღირსებად“, „სარტყელად“, „ქვეყნისთვის ვარგისი ადამიანების მზრდელად“ აღიარებული ქალის მისამართით.

ეთნოგრაფიული მასალები:

„ქალს აშენება შეუძლია შენი და შეუძლია მოგიფსოს ოჯახი. თუ გვერდით არ გიდგანა ყველა საქმეში იმედად, მრჩევლად. წასული რომ ხარ, გამოგაპარებს და, თუ შვილებს მისებურად ზრდის და არა სოფელ-ქვეყნიზა“ (მთხრობელი რ. რომანაძე. აჭყვისთავი. 2010).

ტერმინს იგივე შინაარსი აქვს იმერულის ოკრიბულ თქმაში: „იმფერი გამოდგა ის რძალი, კერას დამაფსებელი“ (მთხრობელი ნ. ცნობილაძე. ორპირი. 2008).

როგოც ცხენისწყლის, ისე ენგურის ხეობის სვანეთის მასალებით, თუ ქალმა „თავისი, ქალური მდგომარეობის დროს“ მიიღო მონაწილეობა მიცვალებულის სულის მსახურების საქმეში, სხვა ტრადიციული რიტუალისთვის საჭირო სამზადისში, „ესე იგი ვერ ჩაუდგამს ქართულ სულს შვილს და მაშინაა იგი მთავარი მომაფსებელი(/დამაქცეველი). ქალის დამაფსებლობა უფრო ეტყობა თემსაც და ქვეყანასაც“.

დასკვნები:

ანთროპონიმიის და ქართულ-ტრადიციულის მახასიათებელის შემავსებელი ეთნოგრაფიული ლექსიკის კვლევით გრძელდება ქვეყნის ეთნიკურ-კულტურული ისტორიის შესწავლის საქმე.

აღნიშნული პირველწყარო მასალების კვლევით შესაძლებლობა გვეძლევა აღვადგინოთ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურიც სინამდვილე, ქართულ-ქართველურის შენარჩუნება-გადარჩენის მიზეზ-საფუძვლები.

საშურია აჭარელთა საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრთაგან ეთნიკური ნიშნით განსხვავებულობის დასრულება.

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების მკვიდრებთან ერთად ქართველური მემკვიდრეობის ერთ-ერთ შემქმნელები სვანები არიან. ამდენად, ჩვენთვის, ეთნოგრაფისთვის დაუშვებელია სვანთა სამეტყველოს სუბეთნოსის ენად გამოცხადება.

მადლიერება:

აჭარასა და სვანეთში მოძიებული ონომასტიკური ერთეულები და ეთნოგრაფიული ლექსიკა გვიყვება საუკუნეების წინ არსებულ, დიდ ისტორიაზე. აღნიშნული საქმის წარმატებით, მეტ-ნაკლებად წარმატებით შესრულების გზაზე აუცილებელია ხელშეწყობა.

მადლიერებას ვუდასტურებთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომ საშუალებას გვაძლევს გვქონდეს ველზე მუშაობის ფუფუნება. დაგვიფინანსოს სტუდენტური, სამეცნიერო ჯგუფური, თუ ინდივიდუალური ეთნოგრაფიული ექსპედიციები.

მადლიერი ვართ აჭარელი და სვანი მეგობრების, რომლებიც არაფერს იშურებენ იმისთვის, რომ ეთნო გრაფიულმა ექსპედიციებმა იმუშაოს ადგილზე ცხოვრების პრინციპით.

ჩვენი მადლიერება ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ საშუალებას გვაძლევს კონფერენციებში მონაწილეობისას. საშუალება გვაქვს სამეცნიერო საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი ნააზრევი.

გამოყენებული ლიტერატურა:

შავიანიძე 2022 - შავიანიძე დ., სვანეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), 2022

გამყრელიძე, ივანოვი, 2019 - თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი – ინდოევროპული წინარე სამშობლოს საიდუმლო.

http://arilimag.ge/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%98/

რუსული პატრონიმებისა და გვარების გაჩენის ისტორია. როგორ და როდის გამოჩნდა პატრონიმიკა რუსეთში https://ik-ptz.ru/ka/testy-ege---2014-po-literature/istoriya-vozniknoveniya-russkih-otchestv-i-familii-kak-i-kogda-na-rusi.html

ნინო ხაზალაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველო, ახალციხე,
nin.khazalashvili@gmail.com, +995 577 95 82 81

სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ რუკებთან დაკავშირებული ონომასტიკური პრობლემები

მოკლე შინაარსი

სტატიის მიზანია სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ რუკებზე არსებული ტოპონიმიკის პრობლემებისა და მათი მნიშვნელობის წარმოჩენა, როგორც ტურიზმის, ასევე ონომასტიკის პერსპექტივიდან. გაანალიზებულია რეგიონის ონომასტიკასთან დაკავშირებული გამოწვევები ისტორიულ და დემოგრაფიულ ჭრილში და წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთის სტატიკურ და დინამიკურ რუკებზე არსებული ონომასტიკური მასალის ანალიზი. სტატიის ბოლოს მოცემულია ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც აუცილებელია სამცხე-ჯავახეთის რუკების ონომასტიკასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად.

საკვანძო სიტყვები: სამცხე-ჯავახეთი, ონომასტიკა, ტოპონიმიკა, ტურიზმი, გეოგრაფიულ სახელთა სახელმწიფო კატალოგი.

Nino Khazalashvili
Doctoral student of Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia
nin.khazalashvili@gmail.com, +995 577 95 82 81

ONOMASTIC PROBLEMS OF TOURIST MAPS OF SAMTSKHE-JAVAKHETI

Abstract

The purpose of the article is to present the problems of toponymy on the tourist maps of Samtskhe-Javakheti and their significance, both from the perspective of tourism and onomastics. First, the challenges related to the onomastics of the region are analyzed from a historical and demographic

point of view. Then, is presented the analysis of onomastic material on static and dynamic maps of Samtskhe-Javakheti. At the end of the article, measures are given that need to be taken to overcome the problems associated with the onomastics of Samtskhe-Javakheti maps.

Key Words: Samtskhe-Javakheti, Onomastic, Toponymy, Tourism, Catalogue of Geographical names

შესავალი. ტურიზმის განვითარებასთან ერთად სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკურმა პრობლემებმა ამჯერად ტურისტულ რუკებში იჩინა თავი. ტოპონიმიკას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებაში. გარდა იმისა, რომ სახელი შესაძლოა იქცეს ადგილის ბრენდად, ან თავად სანახაობად, ადგილობრივებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორ იმახსოვრებს ტურისტი მონახულებულ ადგილს. სახელთან კავშირში მიაქვს ვიზიტორს ყველა ის ემოცია, რომელიც ტურისტული ადგილის მონახულებისას უგროვდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი შესაძლებელია თავად ადგილის სახელიც კი იწვევდეს ამ ემოციებს. სახელებს ისევე სჭირდება გაფრთხილება, როგორც იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც დღეს არის შემორჩენილი რეგიონში, ვინაიდან ტოპონიმიკა არის იმ არეალის კულტურისა და იდენტობის ნაწილი, რომლის სანახავადაც მოდის დღეს ტურისტი.

გარდა იმისა, რომ ტოპონიმიკას აქვს გავლენა ტურიზმზე, ტურიზმსაც აქვს გავლენა ტოპონიმიკაზე. დღევანდელ გლობალურ სამყაროში ინფორმაცია გაცილებით მარტივად ვრცელდება. შედეგად ტურისტულ რუკებზე თუ ტექსტებში გადატანილი ონომასტიკური უზუსტობები ფართო მასშტაბებით ვრცელდება და მკვიდრდება, რაც კიდევ უფრო ზრდის პრობლემის მნიშვნელობას და წინა პლანზე წამოწევს მისი გადაჭრის აუცილებლობას. გეოგრაფიულ სახელთა ერთიანი დადასტურებული მონაცემთა ბაზის არარსებობის პირობებში, პასუხისმგებლობა მთლიანად დამკვეთზე გადადის. გარდა იმ ბარიერებისა, რომლის გადალახვაც მათ სჭირდებათ რუკაზე ცვლილებების განსახორციელებლად, პირველ რიგში, დამკვეთებმა უნდა შენიშნონ ამ ცვლილების საჭიროება, რაც ხშირ შემთხვევაში სრულიად სცდება მათ კომპეტენციას.

დაუდასტურებელი, ან ზოგჯერ სადაო ტოპონიმების გამოყენება მკვიდრი მესხების და სამეცნიერო საზოგადოების გულისწყვეტას იწვევს. ამასთან, ტურიზმში დგას ბრენდინგის და მომხმარებელთან კომუნიკაციის საჭიროება, რაც წარმოუდგენელია გეოგრაფიული დასახელებების გამოყენების გარეშე.

სამცხე-ჯავახეთის რუკებზე არსებული პრობლემების წარმოსაჩენად გაანალიზდა როგორც სტატიკური (ეს შეიძლება იყოს ბეჭდური, ე.წ. ქაღალდის რუკები, ან მათი ელექტრონული ვერსია), ასევე დინამიკური, ე.წ. ციფრული რუკები. სტატიკური რუკებიდან დამუშავდა საჯარო რეესტრის საიტზე განთავსებული სამი რუსული რუკა (1:25 000; 1:50 000; 1:100 000) და საბაზისო ქართული რუკა, საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი, სამცხე-ჯავახეთის ტურისტული გზამკვლევი, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტურისტული გზამკვლევი (ქართული და ინგლისური ვერსიები), სამცხე-ჯავახეთის საფეხმავლო ბილიკების გზამკვლევის სამუშაო ვერსია. აღნიშნული სამუშაო ვერსია, დამკვეთის მოთხოვნით ჩასწორდა საბეჭდ ფაილებში და უკვე ჩასწორებული ვერსიები გამოიცა, თუმცა შესწორებები არ არის ასახული ბაზებში, რომელთა მიხედვითაც მომზადდა სამუშაო ფაილები. შედეგად, არ ხდება შეცდომების გავრცელების აღკვეთა მომავალში. ციფრული რუკებიდან გაანალიზდა google map პლატფორმა და ის ტურისტული ციფრული პროდუქტები, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა ციფრულ რუკებს: Georgian Travel Guide - ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ვებგვერდი საქართველოში, ორი საერთაშორისო სალაშქრო აპლიკაცია - Gaia GPS, AllTrails და სამცხე-ჯავახეთის სალაშქრო აპლიკაცია - HikeSJ.

სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკასთან დაკავშირებული გამოწვევები

სამცხე-ჯავახეთი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეგიონია მოსახლეობის შემადგენლობის მრავალფეროვნებით და მძიმე ისტორიით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონის ტოპონიმიკაზე. დღეს სამცხე-ჯავახეთში სახლობენ როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ძირითადად, XIX საუკუნეში გადმოსახლებული ეთნიკური სომხები და რუსები (დუხობორები),

ასევე სხვადასხვა რეგიონიდან გადმოსახლებული ქართველები, მეტწილად აჭარლები და იმერლები. გაზაფხულიდან შემოდგომამდე კი კახეთის რეგიონიდან წამოსული, უმეტესად, აზერბაიჯანულენოვანი მომთაბარე მეცხვარეების ბინებით (ბანაკის ტიპის დროებითი საცხოვრებლები, სადაც რამდენიმე ოჯახის კარავია გაშლილი) იფარება სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიან არეალებში მდებარე საძოვრები. განსაკუთრებით მწვავეა ის დაღი, რომელიც რეგიონს დაასვა მე-20 საუკუნის დასაწყისში, მკვიდრი მუსლიმური მოსახლეობის გადასახლებამ, რომელთაც თან გაიყოლეს საუკუნეების განმავლობაში ნაგროვები ტოპონიმიკა.

ახალმოსახლეები, ბუნებრივია, ცდილობენ გავლენა მოახდინონ მათი გარემოს სახელებზე. გავლენა ცვალებადია სხვადასხვა არეალებში, აქ ჩასახლებული მოსახლეობის მიხედვით, ზოგან მეტად იგრძნობა, ზოგან ნაკლებად. ზოგან არის მიზანმიმართულად სახელის ცვლილების მცდელობა, ზოგან კი ეს ცვლილება გამოწვეულია ლინგვისტური, კერძოდ ფონეტიკური ინტერფერენციით.

ტოპონიმიკაზე გავლენა ყოველთვის არ არის დაკავშირებული განსხვავებულ ეთნოსთან თუ ენასთან. არის შემთხვევები როდესაც ქართველი მოსახლეობაც უცვლის სახელს ადგილს, არქმევს მისთვის უფრო ახლობელს, მისაღებს, თუნდაც ნოსტალგიურს, რაც, თავის მხრივ, სრულიად ბუნებრივი პროცესია, თუმცა საფრთხის ქვეშ აყენებს იმ ისტორიასა და წეს-ჩვეულებებს, რასაც ძირძველი მესხების მიერ შერქმეული ტოპონიმიკა ინახავდა.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ არსებობს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელთან თანხვედრის ვალდებულებაც ექნებათ რუკაზე მომუშავე კომპანიებს. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სახელმწიფო კატალოგის შექმნა. ხოლო ამავე კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დაცვა და პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისთვის. ამ ეტაპზე, ტურისტული რუკების (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მიზნობრიობის რუკების) ტოპონიმიკა სრულად ეყრდნობა გაციფრულებულ რუსულ რუკებს, რომელთა უმეტესობაში სახელები იდენტურია, მხოლოდ რუკათა მასშტაბია განსხვავებული. რუკები ელექტრონულ რეჟიმში ხელმისაწვდომია

საჯარო რეესტრის საიტზეც, საბაზისო ქართულ რუკასთან ერთად (www.napr.gov.ge).

მეტ-ნაკლები განსხვავებებით ტურისტულ რუკებში შედის მცირედი ცვლილებები უშუალოდ მომუშავე კომპანიისა და დამკვეთის ჩარევით, თუმცა ზოგადი სურათი ერთია - მკვიდრდება ტოპონიმიკა, რომელიც ჯერ ქართულიდან რუსულადაა თარგმნილი და დამახინჯებული, შემდეგ რუსულიდან კვლავ ქართულად გადმოთარგმნილი. ზემოთ ხსენებული რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, უკვე რუსულ რუკებზევე ხდება სახეცვლილი ტოპონიმიკის დატანა, შემდეგ კი დაუდევრობითა თუ გულგრილობით, თარგმანში ტექნიკურად დამახინჯებული სახელების გადმოტანა ჯერ ქართულ, და შემდეგ ინგლისურ ტურისტულ რუკებზე. რეგიონის ონომასტიკაზე თავისი გავლენა იქონია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებამაც. ციფრულ რუკებზე ნელ-ნელა ჩნდება მომხმარებლების მიერ დატანილი ტოპონიმები, რომლებსაც, ძალიან ხშირად, არანაირი საერთო არ აქვს სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკასთან.

სამცხე-ჯავახეთის რუკებზე არსებული პრობლემები

სამცხე-ჯავახეთის სტატიკური რუკების ანალიზის შედეგად რამდენიმე ტიპის შეცდომის გამოყოფა შეიძლება.

ყველაზე გავრცელებული რუსული რუკებიდან ქართულ რუკაზე გადმოტანილი შეცდომებია. მათგან შეიძლება გამოიყოს რუსული დაწერილობიდან არასწორად ამოკითხული ტოპონიმები, მაგ: *ჩუხორიში - ჩიხორიში;* ასო-ბგერების უქონლობის გამო, რუსულად თარგმნის დროს ტრანსლიტერაციის შედეგად გადატანილი ტოპონიმების კვლავ ქართულად გადმოთარგმნის დროს დაშვებული შეცდომები, მაგ: *კამზა - ყამზა, ბოკთა - ბოქთა, თოლერტა - თოლერთა.* განსაკუთრებით ხშირია შემდეგი ასოების არასწორად გადმოტანა ც-წ; ქ-კ; ყ-კ, ტ -თ და ა.შ. - ასევე, გვხვდება ქართულ-რუსული ჰიბრიდული ტოპონიმებიც, მაგ: *მალ-ზიარეთი - პატარა ზიარეთი.*რუსულ რუკებზე მსგავსად არის დატანილი პატარა აბულიც - *Мал. Абули,*თუმცა ქართულ ვერსიებში, წესისამებრ, პატარა აბულის სახელითაა გადმოტანილი, რაც პატარა

აბულის მთის შესახებ მაღალი ცნობადობით უნდა იყოს გამოწვეული. საინტერესოა, რომ იმავე რუსულ რუკებზე დიდი აბული *Диди-Абули*-ს ფორმით არის დატანილი და არ არის ნათარგმნი, ისევე როგორც დიდი ზიარეთი - *Диди-Зиарат.*

ძალიან ხშირად გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში არასწორად ჩასმული სახელები, როდესაც ა და ე-ზე დაბოლებული სახელები არ იკვეცება, *მაგ: საკანაფეს ციხე - საკანაფის ციხე, ვალეს საბაჟო - ვალის საბაჟო, ჩიტიკიბეს ციხე - ჩიტიკიბის ციხე, საფარას მონასტერი - საფარის მონასტერი, ოთას ციხე - ოთის ციხე, ოთასწყალი - ოთისწყალი,* ან როდესაც არ იკუმშება, მაგ: *ახაშენის კოშკი - ახაშნის კოშკი, სამსარის ქედი - სამსრის ქედი* და სხვა. გამომდინარე იქიდან, რომ სამსრის ქედი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქედს, მისი არასწორად დამკვიდრებული ტოპონიმი არათუ ტურისტულ რუკებზე, გეოგრაფიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც შეტანილია შეუკუმშავი ფორმით.

ნათესაობითი ბრუნვის პრობლემა თავს იჩენს რუკების ინგლისურ ვერსიებზეც, როდესაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი არასწორადაა მოშორებული. მაგ: *Slesi Fortress,* ნაცვლად*Slesa Fortress* - ისა, *Ivliti Church,* ნაცვლად*Ivlita Church*- ისა.

არის ასევე შემთხვევები, როდესაც ერთად გვხვდება რამდენიმე ზემოთჩამოთვლილი შეცდომის ტიპი. შედეგად ვიღებთ მდინარე *ციმუბანისწყალს, წინუბნისწყლის* ნაცვლად, მდინარე *ცირიახისღელეს, წრიოხისღელის* ნაცვლად, რაც ძალიან ართულებს ტოპონიმის ამოცნობას.

სომხური ენის გავლენით შეცვლილი ტოპონიმები გვხვდება ძირითადად სოფლების დასახელებებში, მაგ: *მაჯადია,მაჩათია - მაჭატია; ტრკნა - თირკნა (დირკნალი);*

ხშირია ქართულ-თურქული ჰიბრიდული ტოპონიმები, მაგ: *ყარაღელე - შავიღელე; გუნდუმბაში - გუნდისთავი; ლევანგიოლი, ლევალგელი, ლევალღელე - ლევანის ტბა; ავჭალგიოლის ტბა - ავჭალის ტბა და სხვა.*

გარდა სტატიკური რუკებისა, დღევანდელ ციფრულ სამყაროში, ძალიან დიდი გამოყენება აქვს დინამიკურ, ციფრულ რუკებს. ციფრული რუკების მთავარი უპირატესობაა, რომ მუდმივად განახლებადია და წარმოადგენს უახლეს ვერსიებს. მეორე მხრივ, სწორედ ციფრული რუკების ეს თვისება უქმნის მთავარ საფრთხეს

ტურისტული ადგილის[2] ტოპონიმიკას. ციფრულ რუკაზე ცვლილების შეტანის პროცედურა განსხვავებულია სხვადასხვა პლატფორმის მიხედვით და მეტ-ნაკლებად რთულ პროცესს წარმოადგენს, თუმცა ეს ხელეწიფება ნებისმიერ მომხმარებელს, განსაკუთრებით ქვეყანაში გეოგრაფიულ სახელთა ოფიციალური მონაცემთა ბაზის არარსებობის პირობებში. გაცილებით მარტივია იმ ადგილების სახელდება, რომელთაც საერთოდ არ აქვს სახელი რუკაზე. შედეგად, იმ გეოგრაფიულ ერთეულებს, რომელთა სახელიც არ არის დატანილი ციფრულ რუკებზე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ტურისტები თვითნებურად არქმევენ სახელებს. ამგვარად, ჯავახეთის ციფრულ რუკებზე ჩნდება ტოპონიმები - *ნატალიას ტბა, პანდას ტბა, ლუკას ტბა, ლელას მორენა, დრომატარებინე*[3] და ა.შ.

ციფრული რუკები გამოიყენება ბაზად სხვადასხვა ტურისტული აპლიკაციებისთვის და ვებგვერდებისთვის. როგორც წესი, უკვე დატანილ ობიექტებზე ცვლილებების შეტანა დამკვეთს ინდივიდუალურად არ შეუძლია, ან ცვლილებების პროცესი დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან, ხანგრძლივ პროცედურებთან და ვადებთან, რაც ობიექტურად რომ ითქვას, საერთოდ არ მოეთხოვება ყველა ორგანიზაციასა თუ კომპანიას და ხშირ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც ითქვა, ცდება კიდეც მათ კომპეტენციას. მსგავს პლატფორმებთან, ისევე როგორც ქვეყნის შიგნით მომუშავე რუკის შემდგენელ კომპანიებთან კომუნიკაცია უნდა მოხდეს სახელმწიფო დონეზე.

დასკვნა

სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმთა მოწესრიგება უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ტურიზმის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით კი ტურიზმის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. დღეს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის როგორც სტატიკურ,

---

[2] არ არის აუცილებელი, რომ საფრთხე დაკავშირებული იყოს ტურიზმთან, ეს შეიძლება სოციალური ფაქტორებითაც იყოს გამოწვეული, თუმცა ამჯერად სტატიის მიზანი ტურიზმთან დაკავშირებული საფრთხეების ანალიზია.

[3] ტბის სახელი

ასევე დინამიკურ რუკებზე წარმოდგენილი ონომასტიკა არის უკონტროლო და დამოკიდებულია დამკვეთისა და შემსრულებელი კომპანიების კეთილ ნებაზე.

მთავარი პრობლემა გეოგრაფიულ სახელწოდებათა სახელმწიფო კატალოგის არარსებობაა. პირველ რიგში, სახელწოდებათა ნორმალიზების მიზნით, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს კატალოგის შექმნა, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით, ონომასტიკოსების, კარტოგრაფების, ლინგვისტებისა და ისტორიკოსების ჩართულობით, რათა არ დაკანონდეს მცდარი ტოპონიმები. გარდა იმისა, რომ შეცდომის გამოსწორებას ისევ გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები მნიშვნელოვნად შეაფერხებს, გაცილებით რთული იქნება ადგილის პოპულარიზაციის მიზნით გაწეული მარკეტინგული კამპანიების შედეგების გადაფარვა, რისი ძალიან კარგი მაგალითიც გვაქვს რეგიონში, ახალციხის ციხის სახელწოდებასთან დაკავშირებით, როდესაც წლებია ა(ა)იპ „ახალციხის ციხე“ ცდილობს ჩაანაცვლოს ციხის გახსნისას „რაბათის ციხის“ სახელით გაწეული მარკეტინგული კომუნიკაციის ეფექტი და დღემდე არ არის სასურველი ნიშნული მიღწეული. კატალოგში გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებასთან და კოორდინატთან ერთად უნდა დაფიქსირდეს მისი ლათინური ტრანსკრიპტი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ბოლო წლებში დაწყებული, კუმშვისა და კვეცის შიშით განპირობებული, ტოპონიმების დამახინჯების აღსაკვეთად.

კატალოგის შექმნის გარდა, სადაც უკვე იდენტიფიცირებული გეოგრაფიული სახელები შევა, აუცილებელია იმ გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ სახელი, რათა არ დამკვიდრდეს ვიზიტორების, ან სხვა ჯგუფების მიერ თვითნებურად, რეგიონის სპეციფიკისა და სახელდების ტრადიციების გათვალისწინების გარეშე შერქმეული სახელები.

მას შემდეგ, რაც შეიქმნება გეოგრაფიულ სახელთა სახელმწიფო კატალოგი, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს გეოგრაფიული ობიექტების სახელების დაცვა. ამასთან, სწორი კომუნიკაციით ინფორმაცია უნდა მიეწოდოს რუკებზე მომუშავე კომპანიებს და მათ მომხმარებლებს, თუ რა პასუხისმგებლობებია გათვალისწინე-

ბული გეოგრაფიულ ობიექტთა სახელდების შესახებ კანონის დარღვევისთვის. განსაკუთრებით საფრთხილოა რუკის ის საერთაშორისო პლატფორმები, რომელთა გამოყენებაც ხდება ციფრული ტურისტული პროდუქტების (აპლიკაცია, ვებგვერდი) შექმნისას. სახელმწიფო დონეზე კომუნიკაცია აუცილებელია, რათა მათ სისტემებში აისახოს სახელმწიფო კატალოგში შემავალი გეოგრაფიული სახელები.

მადლიერება: მსურს მადლობა გადავუხადო პროფესორ მერაბ ბერიძეს, სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკის დაზუსტების და ასოცირებულ პროფესორ ასმათ ევსაიას, ენობრივი ინტერფერენციის კუთხით გაწეული კონსულტაციებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალციხის მუნიციპალიტეტი, GeoLand LTD, 2019 (ტურისტული რუკა)

ლევანის ტბის ქსელი, GeoLand LTD, 2021 (სამუშაო ვერსია)

მოსახლეობის განაწილება ეროვნებების/ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით რეგიონულ ჭრილში, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi (ბოლოს გადამოწმდა 24.02.2023)

რუსული ტოპოგრაფიული რუკა 1:25 000, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://maps.gov.ge/map (ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022)

რუსული ტოპოგრაფიული რუკა 1:100 000, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://maps.gov.ge/map (ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022)

რუსული ტოპოგრაფიული რუკა 1:50 000, ხელმისაწვდომია ბმულზე:https://maps.gov.ge/map (ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022)

სამცხე-ჯავახეთი,GeoLand LTD, 2022 (ტურისტული რუკა)

სამცხე-ჯავახეთი ტურისტული რუკა,GeoLand LTD, 2012

საქართველოს კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ, 2020 წლის 29 სექტემბერი, ბოლო ცვლილება შესულია 2020 წლის 15 ივლისს, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/17302?publication=5

(ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022) **საქართველოს სასწავლო გეოგრაფიულიატლასი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 1992

შიდა მიგრანტების განაწილება წინა და ამჟამინდელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და სქესის მიხედვით, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi (ბოლოს გადამოწმდა 24.02.2023)

Akhaltsikhe Municipality, GeoLand LTD, 2019 (ტურისტული რუკა)

AllTrails, სალაშქრო აპლიკაცია, https://www.alltrails.com/mobile (ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022)

Gaia GPS, სალაშქრო აპლიკაცია, https://www.gaiagps.com/ (ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022)

Hikesj, სალაშქრო აპლიკაცია, ხელმისაწვდომია გმულზე: https://visitsj.ge/download-hike-app-page/ (ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022)

Samtskhe-Javakheti, GeoLand LTD, 2022 (ტურისტული რუკა)

www.georgiantravelguide.com, ტურისტული ვებგვერდი (ბოლოს გადამოწმდა 11.12.2022)

ქეთევან ჯერვალიძე
საქართველოს ბიზანტინისტთა ეროვნული კავშირის წევრი,
დამოუკიდებელი მკვლევარი, საქართველო,თბილისი
k.jervalidze@mail.ru, 598 56 87 88

ნინო პეტრიშვილი
პრიორიტეტული დისპეტჩერიზაციის კორპორაცია
ლინგვისტი/საერთაშორისო ურთიერთობების ლიეიზონი, აშშ,
ninele.petriashvili@gmail.com, +15713578852

რამდენიმე გრეციზმი, ლათინიზმი და სემიტიზმი ქართულ გვარებში

მოკლე შინაარსი

ავტორების მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში განხილულია სამი ქართული(მეგრული) გვარის სავარაუდო ეტიმოლოგია, მათ შესახებ დამატებულია ახალი მასალები:

1. გვარი სტვილია: არსებულ ინფორაცია, რომ გვარი ქართული სიტყვა სტვირიდან უნდა მომდინარეობდეს (ნ. ჯომედავა), გავრცობილია იმით, რომ დამატებულია ძველბერძნული სემანტიკური ერთეული στῦλ-ος ὁ -სტჳლ-ოს, რომელიც სემანტიკურად და ჟღერადობითაც ახლო დგას ქართულ (მეგრ.) გვართან. როგორც კვლევაში ნაჩვენებია ქართულ და ბერძნულ სიტყვასაც უნდა ჰქონდეს ერთი წარმომავლობა: Beside στῦ-λος stands in Indoiran. Av. *stū̆-na-* m., *stu-nā* f., Skt. *sthū-ṇā* f.
(on *ṇ* Mayrhofer *Mél. d'indianisme* [Paris 1968] 509 f.) `pillar'with suffixal *l-n-* variation (Benveniste *Origines* 43); the basic verb is in Greek represented b y στύω (s. v.). Here also with diff. ablaut σταυρός and στοά (s. vv.). Cf. furt her στύπος.
- The length of the vowel is rather difficult with the proposed etymology; I rather suspect that the word is of Pre-Greek originPage in Frisk: 2,813; დამოწმებულია სხვა დიდი ლექსიკოგრაფებიც ბეეკესი, ფრისკი, ბაბინიოტისი.

სტატიაში ახსნილია ინდო-ევროპული სიტყვის ქართულ სივრცეში შემოსვლისას მომხდარი ფონეტიკური პროცესებიც.

2. გვარი სალია: არსებულ ინფორმაციას, რომ გვარი უნდა მომდინარეობდეს ებრაული საულიდან (ნ. ჯომედვა) დამატებულია მისი წარმომავლობის სხვა ხუთი შესაძლებლობაც, რომელთაც არანაირი ფონეტიკური კანონები ხელს არ უშლის, იქნას გაზიარებული, ვრცლად კი განხილულია მისი შესაძლო კავშირი რომაულ ქურუმთა კოლეგიის სახელთან - **სალიები I Salii, orum m [salio II], ანუ ასეთივე კავშირი ლათინურ ზმასთან**

II salio, salui (ii), saltum, ire .- 1) прыгать, скакать . სტატიაში მოცემულია ლათინური ზმნის ეტიმოლოგიაც: PIE *sh2l-ie/o- 'to jump', *sh2l-to-. IE cognates: Olr. saltraid 'to trample', MW

sathar 'trampling' < *sat-tro-^ W. satkru, Bret, saotran 'to soil'; Skt. pr. sisarsi

[2s.act.], sisrate [3p.med,] 'to flow, run, hurry5

< PIE *seL; Gr. δλλομαι 'to jump'

3. გვარი გერია: ითვლება, რომ ეს გვარი უნდა მომდინარეობდეს ან ქართული (მეგრ.) გერიდან -მგელი, ან ქართული სიტყვიდან გერი - მოყოლილი შვილი, ცოლის ან ქმრის მიერ. (ნ. ჯომიდავა). სიტყვა გერი (gēr) დღეს ქართულში ებრაული წარმომავლობისადაა მიჩნეული (ლერნერი, ბინიაშვილი).სტატიაში ფართოდაა განხილული გვარის სწორედ ებრაული **გერიდან** მომდინარეობის საკითხი; გერ ძირი თვითონ ბიბლიაშია დადასტურებული: I ეზრ. 8, 2. **Гэрсам/Гирсам** (Гершом), ძვ. ქართ. **გერსონ**-ს, ახ. ქართ. **გერშომ.**

ავტორები სწორედ ამ ებრაულ (სემიტურ) ძირთან აკავშირებენ სხვა ქართულ გვარებსაც: გერსამია, ჯერვალიძე.

მკვლევრებს საკუთარი მოსაზრების ნათელსაყოფად მოჰყავთ უამრავი ლექსიკური და სხვადასხვა კატეგორიის ფაქტობრივი მასალა.

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, სტვილია, სალია, გერი, გერია, გერსამია, ჰეროსტრატე, ჯომიდავა.

Ketevan Jervalidze
Georgian National Committee of Byzantine Studies,
Independent Researcher, Tbilisi, Georgia,
k.jervalidze@mail.ru, 598 56 87 88

Nino Petriashvili
Priority Dispatch Corp.
Linguist/Liaison for International Affairs, *USA,*
ninele.petriashvili@gmail.com, +15713578852

SEVERAL GRECISMS, LATINISMS, AND SEMITISMS IN THE GEORGIAN FAMILY NAMES

Abstract

The purpose of this study is to analyze the etymology of three Georgian (Megrelian) family names; The authors have added new materials to the existed findings.

1. The last name Stvilia: the opinion of the family name "Stvilia" being originated from the Georgian word "stviri" (სტვრი/სტვირი) – pipe, wind instrument is developed further by bringing into discussion the Ancient Greek semantic unit "**στῦλ-ος** ὅ" "სტვლ-ოს" which semantically and phonetically stands very close to the Georgian (Megr.) family name. According to the findings of this research, Georgian and Greek words "**στῦλ-ος** ὅ"/ სტვირი" should share the same origin: "Beside στῦ-λος stands in Indoiran. Av. *stū-na-* m., *stu-nā* f., Skt. *sthū-nā* f. (on *n* Mayrhofer *Mell. d'indianisme* [Paris 1968] 509 f.) `pillar'with suffixal *l-n-* variation (Benveniste *Origines* 43); the basic verb is in Greek represented b y στύω (s. v.). Here also with diff. ablaut σταυρός and στοά (s. vv.). Cf. furt her στύπος.

The length of the vowel is rather difficult with the proposed etymolog y; I rather suspect that the word is of Pre-Greek originPage in Frisk: 2,813;" The authors reference other significant lexicographers such as Beekes, Frisk, and Babiniotis. The article explains the phonetic process this Indo-European word experienced when entering the Georgian semantic space.

2. The last name Salia: according to the current data, the family name "Salia" originates from the Hebrew word "Saul" (N. Jomedava); however, the

authors explore five other possibilities in the article. No phonetic rules can prevent these possibilities from being shared by other scientists. The authors extensively explore the possible connection to the college of Romaic priests/priestess "Salii": "I Salii, orum m [salio II]" or similar relation to the Latin verb "II salio, salui (ii), saltum, ire. 1) to jump, leap". The article explores the Latin etymology as well: "PIE *sh2l-ie/o- 'to jump', *sh2l-to-. IE cognates: Olr. saltraid 'to trample', MWsathar 'trampling' < *sat-tro-^ W. satkru, Bret, saotran 'to soil'; Skt. pr. Sisarsi [2s.act.], sisrate [3p.med,] 'to flow, run, hurry5< PIE *seL; Gr. δλλομαι 'to jump'."

3. The last name Geria: the family name "Geria" is assumed to have derived either from the Georgian (Megr.) word "geri" (გერი) - wolf or the Georgian word "geri" (გერი) - stepson/stepdaughter (N. Jomedava). The word "გერი" (gēr) in Georgian currently is considered to be of Hebrew origin (Lerner, Biniashvili), and it is closely examined in the article; The root "ger" is attested in the Bible: "1 Ezr. 8, 2. **Гηρσαμ/Gershom/Гирсам** (Гершом), Old Georgian "gerson-s" (გერსამ/**გერსონ**-ს), New Georgian "Gershom" (გერშომ)".

The authors also connect other Georgian family names გერსამია/**Gersamia, ჯერვალიძე/ Jervalidze** to this Hebrew (Semite) root "gēr".

The researchers demonstrate multiple factual materials of lexical and other categories.

Key Words: Onomastica,Stvilia Salia, Geria, Gersamia, Jomidava, Herostratus.

შესავალი. საქართველოს ისტორია მხოლოდ ისტორიული ფაქტებით როდია დაწერილი, ის იწერებოდა და იწერება ონომასტიკითაც. წარმოდგენილი სტატია წლების განმავლობაში ძველბერძნულიდან ძეგლების თარგმანისას თუ სხვა სტატიებზე მუშაობისას ნაგროვები მასალების ჩვენეული გააზრებაა მსოფლიო და გეოპოლიტიკური ომების გათვალისწინებით; იმპერიებს მოჰქონდათ საკუთარი ლექსიკონი, რაც ილექებოდა დამხვდურთა ცნობიერებასა და ლექსიკაში...

კვლევის მეთოდები. საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ონომასტიკაში აპრობირებულ მეთოდებს. ქართული ლექსიკოლოგიური მონაცემების გვერდით გამოყენებულია უცხოური ლექსიკოლოგიური ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალაც...

მიზანი. სტატიის მიზანია, წარმოდგენილი ქართული ონომასტიკური ერთეულები ამ კუთხით, გლობალური თვალსაზრისითაც იქნას ნაჩვენები, როგორც ხალხთა შორის ურთიერთობებისა და გავლენების მაგალითები, როგორც ზოგად კულტუროლოგიური პროცესი. ამ უმცირესი შესავლის მერე გადავდივართ პირდაპირ ქართული გვარების განხილვაზე.

მსჯელობა.

ქართული (მეგრ.) გვარი სტვილია

გვარი ქართველ პოეტ ლიდა სტვილიასი (1938-1016). ამ გვარის შესახებ ნიკოლოზ ჯომედავას აქვს ასეთი მონაცემები: სტვილია – სტვირ-ი ქართული ხალხური ჩასაბერი ინსტრუმენტი სტვირი (ქეგლ). მომდინარეობს სტვილ - ია მეტსახელისაგან (მარტვილი, ხუნწი) (ჯომიდავა, 1996: 137).

ჩვენც ჩავიხედეთ ქეელ-ში, რომელშიც სტუ ფორმანტი გახლავთ განხილული:

ქართ. სტუ- ნე-სტუ „არტერია; ვენა“; ნე-სტუ -ფერდი „ფილტვი“

მეგრ. შვიტ- მი- შვიტ-ია „ცხვირი“

სვან. შტ. ნე-შტ-რ-ალ „ნესტოები“

ქართული და მეგრული მასალა კლიმოვის შეპირისპირებულია და აღდგენილი ლაზურ-ქართული ერთიანობის დონეზე. ქართული და სვანური კი შეუპირისპირებია გ. დეეტერს.

ფუძე ქართული ენიდან ლაზურის გამოყოფის დრო კი ორი გამოკვლევით სხვადასხვანარად არის დათარიღებული.

გურიაში გი გვქონია სიტყვა **შტვირი,** კოდში გაკეთებული მილი, საიდანაც გასული წყალი ბორბალს ხვდება და აბრუნებს (ღლონტი, 1975, II.).

ჩუხუას აზრით, საერთო ქართველურში გვქონდა * სუ̄ტ-ინ „სტვენა“, *სუ̄ტ-ირ -„სტვირი“ არქეტიპები (ჩუხუა, 2008: 485).

ანუ სიტყვას მთელ ქართველურ სივრცეში აქვს მილის მნიშვნელობა, რითაც ხორციელდება სუნთქვა.

სვანურში თვითონ სიტყვა სტვირს აქვს სამი მნიშვნელობა 1. მილი; 2. სტვირი- საკრავი ინსტრუმენტი; 3. თოფის ლულა.

სტუ̄რ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.), სტუ̄რ (სტურა̈რ \ სტუ̄რა̈რ ბქ., -ა̈ლ ლნტ.) 1. მილი. ჯუ̄ნალდ ლიც ოყალი სტუ̄რა̈ლშუ̄ ხა̈დხ ლუკუ̄ა̈რ (ბზ.) - ძველად წყალი თიხის მილებით ჰქონდათ გადმოგდებული. ეჯდა̈რს ხა̈რენახ ლიც სტურა̈რშუ̄ ლგყე (ბქ. 199) -

- იმათ წყალი მილებით ჰქონიათ გამოყვანილი. 2. სტვირი, სალამური. სტუ̃რს ქალაქს ხუ̃იყდიდ (ბზ.) - სტვირს ქალაქში ვყიდულობთ.

3. ლულა (თოფისა). ბაბას ქოხ წმინდაუ̃ა თოფი სტუ̃რალ (ლშხ.) - პაპას თოფის ლულები გაუწმენდია. კნინ. სტუ̃რი̃ლდ ბზ., სტუ̃რი̃ლ ლშხ., სტუ̃რილ ბქ., ლნტ. ლაჲშგმე ჭყინტდ სტუ̃რილდ (ბზ. 46) - ბიჭმა სალამური დაუკრა.

• სტგლ ზს., სტგრიაჲლ ბზ., სტელ ბქ., სტგ̃ლ, სტგრია̃ლ ლშხ., სტგლ, სტგრიაჲლ ლნტ. -ჭექა.

თეფიშ სტელ ჩუ ლგგან (ბქ.) - თოფის ჭექა ისმოდა (იდგა). თოფს ლირუ̃ა̃ლთე სტგ̃ლ ათა̃და (ლშხ.) - თოფმა გათენებისას იჭექა (ჭექა გაადინა) (თოფურია, ქალდანი, 2000).

ფონეტიკურად ს. ქართ. **რ** და >სვან. **ლ** პროცესი სვანურშიც ცნობილია (ჩუხუა, 2002-2003: 22) მაგრამ სტვირი სწორედ რ-თანხმოვნითაა სვანურში და სწორედ ის თავდაპირველი შინაარსი დევს, მილის, ლულის. სიტყვაში ჩასაბერი ინსტრუმენტის ფუნქცია უფრო გვიანდელ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს.

მეგრული სიტყვას - სტვირი - ამ ფორმით არ იცნობს (ქაჯაია II, 2002), სტვირის მნიშვნელობით გამოყენებული ლექსემების შესახებ მეგრულში იხ. (შენგელია, 2013: 69).

სტჳრი მცირე ზურნა (საკრავთან ნახე дудка (შავთ. 94) (ჩუბინაშვილი, 1961).

სტჳრი სულხან-საბასთან

[სტჳნ.ნ. სტუენა].

სტჳნ. ნ. ისტჳნვიდა; შტრ. ვისტუანვი].

სტჳრი[2] (18, 22 გამოცხ.}

L. ჭუფელო B.

Turk. ზურნა ZAaBE.

Arm. ფუქს ZAaB, პუკუ Cb.

(18, 22 გამოცხ.) სასტვინავი ZA.

18, 22 გამოცხ. B. *განუმარტავია* CDE. (ორბელიანი, 1993).

სტჳრი შესულია ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც. ილია აბულაძე უთითებს ფსალმუნის Ⴑ რედაქციას, Ⴇ (გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციაში) სტვირი შეცვლილია საყვირით: ფს. 46, 6. უფალი ჴმითა **საყჳრისათა-σάλπιγγος.** სალპინგსი გვაქვს

საყვირის შესატყვისად ბერძნულში: (დან. 3.7; II ნეშტ. 7, 6) (აბულაძე, თბილისი: 1973).

სტვირის შესატყვისი ბიბლიის ბერძნულ ტექსტებში ყოფილა ბერძნული ავლოსიც- ὁ ἀυλος, რაც ივანე ჯავახიშვილს აქვს პირველად მითითებული სათანადო მასალებზე დაყრდნობით. მას მოყვანილი აქვს სტვირის განსხვავებული სახელებიც: ფშტვირი, შტვირიც (ჯავახიშვილი, 1990: 169-170). ფრაგმენტულად მოღწეულ ხანმეტურ სახარებაში არც სტჯრი ჩანს, არც საყჯრი (ხანმეტი ტექსტები, 1984), მაგრამ საყჯრი ჩანს მათეს სახარების ყველა რედაქციაში - მათ. 24, 31 (იმნაიშვილი, 1986).

ანუ ვიგებთ, რომ X საუკუნეში მაინც სიტყვა **სტჯრი** უკვე გამოიყენება და ის თარგმანში ენაცვლება ბერძნულ **ფორმინგსა და ავლოსს.**

ილია აბულაძის ლექსიკონში **სტჯნვა ნიშნავს** ზვერვასაც, დაზვერვას და მოყვანილია მაგალითი ოშკური ბიბლიიდან, ასევეა მცხეთურ ბიბლიაშიც: „რამეთუ აღვიდა **მბერავი პირისა შენისაჲ (ἐυαγγελιζομένου)** განმარინებელი ჭირისაგან. მოიმსტურე გზაჲ, მოიმტკიცე წელი, განმჯნდი ძალითა ფრიად“ O ნაუმ 2, 1; **აქვეა:** აგრეთვე **მიმოდასტუანვა** - მიმოხედვა, აქეთ-იქეთ ყურება: მიმოდაისტუანვიდა იესო (მრ. 5, 32 C). მაშინ ინფორმაცია ხომ საყვირითა და ცეცხლითაც გადაიცემოდა? ამავე დროს მზვერავს უნდა მოეტანა პირველი ინფორმაცია. ჩვენი აზრით, ასე უკავშირდება სტვენა, დაზვერვას და სიხარულისაგან ხტუნვასაც - **სტჯლობას:** განვიდნენ და სტჯლობდნენ (ხტოდნენ), ვიათარცა ხბონი, განტევებულნი საბელისაგან“; სტჯნვა ი/უ: გისტჯნევდით თქუენ და არა ჰროკვიდით (მ. 11, 17; ლ. 7, 22). (აბულაძე, 1973).

ანუ ავიდა მთაზე „მბერავი პირისა შენისაჲ“ - აღნიშნავს მზვერავს და კარგი ამბის მაცნეს. („ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს: „დარაჯა“); უძელეს ხანაში მზვერავებს სხვადასხვა მეთოდებთან ერთად ექნებოდათ საკუთარი ეპოქის შესატყვისი ხელსაწყოებიც შორ მანძილზე მხედველი - ჭოგრიტი, სათვალთვალო მილი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ დიდ მეცნიერებთან საკამათო არაფერი გვაქვს. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულ ამ გეოგრაფიულ გარემოში ვცხოვრობდით ჩვენ და არგონავტების ლაშქრობის შემდეგ მაინც ძალიან ძლიერი იქნებოდა ბერძნული გავლენა ლიხს იქით, ხოლო ირანული - ლიხს - აქეთ. ძველბერძნული და

ირანული კი ორივე ინდო-ევროპული ენაა. გასათვალისწინებელია ბერძნული და ირანული კოლონიზაციის ბუნებაც, დამპყრობლების ეთნოფსიქოლოგია, ჩვენიც ეთნოფსიქოლოგიაც.

და მართლაც, ძველბერძნულ ლექსიკონში არსებობს სემანტიკური ერთეული **στῦλος** ὁ., რომელიც დროის სხვადასხვა მონაკვეთში ქართულად შეიძლება გადმოსულიყო შემდეგი ჟღერადობით: სტული, სტვილი, სტვირი, სტილი.

ვნახოთ ამ ძველბერძნული სიტყვის სემანტიკური ველი:

στῦλος ὅ

1) столб, подпора, колонна-ბოძი, სვეტი, საყრდენი

(στέγης ს.სახურავი, საფარი (Aesch), სახლი, საფლავი)

στῦλοι πυρός NT. — огненные столпы ცეცხლოვანი სვეტები

2) перен. устой ბურჯი, საფუძველი , опора -დასაყრდენი, საბჯენი, ბურჯი;

λόμων πατρῴων- მშობლიური სახლი Eur.; σ. სვეტი, და ἑδραίωμα -სიმტკიცე NT.) I ტიმ. 3, 15. (ქ. ჯ.).

3) свая, брус- ძელი, ხიმინჯი

(σ. Στογγύλος Polyb. მრგვალი, სფეროსებრი)

(Дворецкий, 1958).

დავაკვირდეთ ბერძნულ ლექსიკონს. პირველი ძველი ავტორი, რომელთანაც **στῦλος** ὅ დამოწმებულია, ეს ესქილეა- (-VI-VII). **ამ ავტორთან სიტყვას აქვს ბოძის სვეტის, საყრდენის მნიშვნელობა, ხოლო ბერძნული წარმომავლობის რომაელ პოლიბიოსთან** (- 203 – 120) **სიტყვა გადადის მომიჯნავე სემანტიკურ ველში:**. მრგვალი, სფეროსებრი, ცილინდრული), ანუ იძენს მილის, ლულის შინაარსს.

ქალბატონ ლიანა კვირიკაშვილს თავის დოკუმენტირებულ ბერძნულ-ქართულ ლექსიკონში მოჰყავს შემდეგი მონაცემები:

στύλος, ου, ὁსვეტი _ χαίρε, πύρινεστύλε, ὁδηγώντούςἐνσκότει გიხაროდენ, სუჱტო ცეცხლისაო, წინამძღუარო ბნელისათაო (Ag. 143, ქ. 10); οἷα στύλον ἐξοὐρανοῦ ვითარცა სუჱტი ზეცით გარდამოდგომილი (მინ. ერმ. 413 D); ἐγὼἑστερέωσα τοὺς στύλους αὐτῆς. მე დავამტკიცენ სუეტნიმისნი (ფსალ. 74, 4); ἐνστύλῳ νεφέλης ἐλάλει πρὸς αὐτούς - სუეტითა ღრუბლისაჱთა ეტყოდა მათ (ფსალ. 98, 7); Ἡμέρας με νένστύ λῳνεφέλης δείξαιαὐτοῖς τὴν ὁδόν დღისი

სუეტითა ღრუბლისაჲთა უჩუენებდა მათ გზასა (გამ. 13, 21); სუეტი (ექ. დღ. 11, 21; ფლავ. 291, 2) (კვირიკაშვილი, 2007).

გამოდის, რომ ამ მასალის მიხედვით, ძველბერძნული **στύλος, ου, ὁ** მხოლოდ სიტყვა **სვეტით** გადმოიცემოდა ქართულად მეათე საუკუნემდე და მერეც.

ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგია ასეთია: მომდინარეობს ინდო-ირანულიდან. Av. *stū̆-na-* m., *stu_nā* f., Skt. *sthū-ṇā* f.

მანფრედ მაირჰოფერის (Manfred Mayrhofer (1926 – 2011) (ინდო-ირანული ენების სპეციალისტი) **აზრით, მომდინარეობს ინდო - ირანული** Av. *stū̆-na-* m., *stu_nā* f., Skt. *sthū-ṇā* f. (on *ṇ* Mayrhofer *Mél. d'indianisme* [Paris 1968] 509 f.) pillar' (ბოძი, სვეტი) l-n სუფქსით (ემილ ბენვენისტი (Benveniste *Origines* 43) 1902-1976), წყარო 43); მისი ფუძე დანახულია ბერძნულ ზმნაში στύω (s. v.). აქ ასევე დიფერნც. აბლაუტით დასაშვებია **σταυρός** Hom., Thuc., Xen.; (кол მარგილი, პალო, სარი; - ჭოკი, ლატანი; ხიმინჯი; 3 ჯვარი - დასჯის იარაღი ძველ რომში Т-ს მსგავსია, კიდევ στοά გალერეა კოლონადებით, პორტიკი 2. პურის ბეღელი 3. სამხედრო მანქანა ალყისთვის(s. vv.). Cf. ამას გარდა, στύπος – (ჭოკი, ხარიხა, ლატანი, ჯოხი). მასალა მოყვანილია ფრისკის ლექსიკონიდან - **Page in Frisk**: 2, 813 (მაირჰოფერი: https://translate.academic.ru/%28στῦλος/el/xx/)

ბერძენი ეტიმოლოგისტი ბაბინიოტისი არქ.**στύλος**_- ს ინდო-ირანული წარმომავლობისად მიიჩნევს და აკავშირებს ძველბერძნულ ზმასთან ἵστημι/ἵσταμαι (Μπαμπινιωτη, 1998: 1690) - დადგმა, დაყენება. ზმნას **ოცდარვა მნიშვნელობა აქვს** (Дворецкий, 1958)...

στῦλος-ის **ამ ბერძნულ ზმნასთან ერთობაზე მიუთითებს ბეეკესიც** (Beekes, 2010: 1417)

მაგრამ სანსკრიტი იცნობს მსგვს ზმნას स्तु stu [stu] (U. pr. stauti, stáviti/stuté, stuvīte – II; fut. stāviṣyáti, stoṣyáti/staviṣyáte, stoṣyáte; pf. tuṣṭāva/tuṣṭuvé; aor. ástavīt, ástauṣīt/ástītṣṭa; pp. stutá) 1) хвалить, восхвалять; 2) воспевать. (Кочергина, 1987:752).

ჩვენი აზრით, ქართულ სივრცეში უნდა მომხდარიყო ორი სიტყვის ბერძნული **στύλος** -სვეტის **ან** Skt. *sthū-ṇā* f. **და ასევე** Skt. स्तु stu [stu] (U. pr. stauti, stáviti/stuté, stuvīte – II; fut. stāviṣyáti, stoṣyáti/staviṣyáte, stoṣyáte; pf. tuṣṭāva/tuṣṭuvé; aor. ástavīt, ástauṣīt/ástītṣṭa; pp. stutá) 1) хвалить, восхвалять; 2) воспевать - ქების,

შესხმის, სტვენის (Кочергина, 1987:752, 755). შემდეგ მაცნის შინაარსების ერთმანეთთან დაკავშირება

მართლაც, სტვირი არის ხის მოკლე და ღრუ ღერო, რომელიც უსტვენს, მაგრამ დამზადებამდე ის არის უბრალოდ ღერო, ბოძი, თოფის ლულაც, რადგან ლულა აუცილებლად აღნიშნავს სვეტის შიგნით სიცარიელეს. ეს კარგად ჩანს სვანურში, გურულში. ირანისტ მზია ანდრონიკაშვილთან არც სტჳრი ჩანს და არც **სტჳნვა (ანდრონიკაშვილი, 1966).**

ჩვენი აზრით, **Av. *stū-na-* m., *stu-nā* f.,** მისი განვითარებითაც შეიძლებოდა მიღებულიყო სტვირი: **სტჳნვა/სტვენა > სტვინი > სტვირი. მეგრ. სტვილი რ>ლ პროცესით - ჩასაბერი მილი.**

რაც შეეხება **ნ>რ** ფონეტკურ პროცესს, გვაქვს ქართ. ჩენჩ-ო > სვან ჩერჩ (ჩუხუა, 2002-223: 2021), მაგრამ რამდენად არის ეს პროცესი - სტვირი > სტვილი - მეგრულში დადასტურებული? როგორც მერაბ ჩუხუა წერს, **რ -ს** რეფლექსებიდან აღსანიშნავია (**რ>ლ**) ალოფონები სვანურში. აქედან **რ>ლ** სპორადულად ზანურშიც იჩენს თავს: ქართ. გორა > ზან. გოლა; ქართ. ქვირითი > ზან. ქვილითი (გვარი ქვილითაია) (ჩუხუა, 2002-2003: 22). ამავე დროს ცნობილია ზოგადი ფონეტიკური კანონზომიერება, ნებისმიერი A> b გადასვლა ვარაუდობს b > A პროცესსაც. (ჩუხუა, 2002-2003: 24). სტვინვადან შეიძლებოდა სტვირის (ნ>რ) მიღება და შემდეგ მეგრულ გარემოში (რ>ლ) პროცესი. ანუ ბერძნულ ზუსტ ანალოგიას რომ თავი დავანებოთ, არც ქართ. სტჳრიდან მეგრ. სტვილ-ის მიღებას არ აბრკოლებს არანაირი ფონეტიკური კანონი.

სტჳრი, როგორც ვთქვით, შესულია „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. ილია აბულაძე უთითებს ფსალმუნის Ⴙ რედაქციას, Ⴇ (გიორგი მთაწმიდელისეულ რედაქციაში) სტვირი შეცვლილია საყვირით: ფს. 46, 6. უფალი ჴმითა **საყჳრისათა-σάλπιγγος.** სალპინგსი გვაქვს საყვირის შესატყვისად ბერძნულში: დან. 3.7; II ნეშტ. 7, 6.

რაც შეეხება **στῦλος**-ის გამარტივებულ ვარიანტს **სტილს**, ეს სიტყვა ლექსიკონების მიხედვით, ძველ ქართულში არ ჩანს, რადგან ცვილოვანი დაფების პრაქტიკა საქართველოში არ ყოფილა (დანელია, სარჯველაძე, 1997: 259) და ახალი ქართულის კუთვნილება უნდა იყოს, ალბათ, რუსულ < ფრანგულ < ლათინური გზით შეთვისებული გრეციზმი. ის შეტანილია ქართულ უცხო სიტყვათა

ლექსიკონში (ჭაბაშვილი, 1989). ლათინურში სტილს (stilus i m.) ციცერონისა (-106)—43) და ჰორაციუსის (-65-27) დროს უკვე აქვს თანამედროვე გამოთქმა და გრაფიკულადაც გადმოცემულია i-თი (Дворецкий, 1975).

„სტილოს" ბერძნულად ერქვა ბრინჯაოს ჯოხს, რომლითაც წერდნენ გასანთლულ ფიცარზე. ჯოხს ერთი ბოლო წვეტიანი ჰქონდა და იგი ფანქრის მაგივრობას ასრულებდა. მეორე ბოლო კი – ბლაგვი. როდესაც დაწერილის შესწორება უნდოდათ, ბლაგვი ბოლოთი შლიდნენ ფიცარზე დაწერილს და შემდეგ ხელახლა წერდნენ. რომაელები ხშირად ამბობდნენ „ჯოხი (სტილი) ხშირ–ხშირად შეატრიალეო", – და ეს ნიშნავდა მოწოდებას, რომ ნაწერი დროზე შეესწორებინათ (გაჩეჩილაძე, 1977: 63-68).

ანთროპონიმ სტვილიას ვარიანტები, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს, გვარები: სტურუა, სთურუა და სტურიძე; სტურუ - ქალის საკუთარ სახელად - დაფიქსირებული აქვს ალ. ღლონტს. მთითებულია ასპინძის რაიონი (ღლონტი, 1986).

ამრიგად, ბატონი ნიკოლოზ ჯომიდავას თვალსაზრისი გვარ სტვილიასთან დაკავშირებით, არათუ მისაღები, სწორი გვგონია. მხოლოდ ის დავამატეთ, რომ მეგრ. სტვილი თუ უშუალოდ ბერძნულიდანაა შემოსული, ის ბიზანტიური პერიოდის ნასესხობა უნდა იყოს, როდესაც **υ** ბგერა თვითონ ბიზანტიაში გამოითქმოდა **ვ -ვიე-დე** და ქართულშიც შესაბამისად გადმოდიოდა **ვ-ეთი**, ან საბერძნეთის იმ კუთხის დიალექტიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც მისი ლაბიალიზება ბიზანტიურ პერიოდზე ადრე დაიწყო. მოგვიანო პერიოდში, მეთორმეტე საუკუნიდან, ბერძნულის კვალად საქართველოში ეს **υ** ბგერა, ქართულად **ვ- ვიე**, გამარტივდა და იქცა **ი- დე** (მახარაძე, 1978: 9-21). მაგრამ ლათინური ენის მონაცემებით, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ υ -ს ი-დ ქცევა, უფრო ადრეული ფაქტია, ქრისტემდე I საუკუნის.

ასე რომ, ჩვენი მოსაზრებით, ქართული გვარი სტვილია შეიძლება ქართულის გზითაც იყოს, გადასული მეგრულში, სვანურიდანაც, მაგრამ უკვე ანთროპონიმად, რადგან საზოგადო სიტყვად არ ჩანს ამ ფორმით მეგრულში და ამავე დროს ფონეტიკური პროცესიც **ქართ. რ> მეგრ. ლ** დადასტურებულია. შესაძლოა, ეყრდნობოდეს ბიზანტიური პერიოდის გრეციზმსაც - **στύλος** -სტჳლ-ოს-საც. ქართულში კი მართლაც აღმოსავლური გზით უნდა იყოს,

შემოსული და ორი სიტყვის შერევასთან უნდა გვქონდეს საქმე: sthū-ṇā/ stu [stu] სტვინა/სტვენა>სტკრი/სტვირი. გვარ სტვილიას ექვივალენტია ქართული გვარი მესტვირიშვილი.

ლათინიზმი

ქართული (მეგრ.) გვარი სალია (ცნობილი კალისტრატე სალიასი (199-1986)). არსებული ინფორმაცია.

ნიკოლოზ ჯომედავას ვერსია: სალია. სალ-ი რკინის წაწვეტებული ნაჭერი, დამხმარე ხის გაჩეხვა-გაპობაში. ლესალე (წალ. რ); სარფი (ბათ. რ.); მოხსენიებულნი არიან სკურდის მთაში 1845 წელს შემკობილი ჯვრის წარწერაზე. სალი შეიძლება იყოს სავლია საკუთარი სახელისგან შდრ. ქართულ სუფიქსიანი გვარები: სალიაშვილი, შავლაძე (<-შალაძე//სავლაძე) (ჯომიდავა, 1996: 133). გვაქვს გვარი სალაძეც. გვარი სალია შეტანილი არ არის იაკობ ახუაშვილის წიგნში (ახუაშვილი, 1999).

გვარ სალიას წარმომავლობის შესახებ შეიძლება თანაბრად დაშვება იმისა, რომ

1.ის მომდინარეობს ქართული სიტყვა სალ-ი-დან, რომელიც განუმარტავია სულხანთან: სალი

მაღალი ტინი, კლდე, ZAB. მაღალი კლდე და ტინი CD. განუმარტავია:

სოფელი სალიეთი ყოფილა ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე და ის ნამდვილად ქვასთან, მარმარილოსთანაა დაკავშირებული; ყოფილა მთა სალოც რაჭის ქედის კალთაზე (სსსრ გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი, 1987: 89).

გვაქვს „ვეფხისტყაოსანშიც“: ლახვრად გულისა **სალისა**!“ ამ სახელწოდების ტოპონიმი -**სალი**- არსებულა სომხეთში ვაიოც ძორის პროვინციაშიც Салли

https://ru.wikipedia.org/wiki/Салли_(Армения)

ხორვატიაშიც ყოფილა, ტოპონიმი სალი, სენეგალში ქალაქი სალი - „დასავლეთ აფრიკის მარგალიტი“...

სალია (ესპ. და ბასკ. Zalla) — ყოფილა ქალაქი და მუნიციპალიტეტი ესპანეთში, შედის ბასკეთის ავტონომიური გაერთიანების ბისკაიის პროვინციის ლას-ენკარტასიონესის კომარკის შემადგენლობაში (National Statistics Institute Municipal Register of Spain of 2022 — 2022. T. 90, 1,235).

ყოფილა პოროვნებაც, პალაუს პრეზიდენტი ლაზარუს ეიტარო სალიუსი (ინგლ. Lazarus Eitaro Salii (1936-1988) (https://ru.wikibrief.org/wiki/Lazarus_Salii).

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, თუ რამდენად გავრცელებულია ეს ანთროპონიმი როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. და ისიც ბუნებრივი იქნება, თუ მათ ზუსტად ერთნაირი შინაარსი და ერთნაირი წარმომავლობა არ აღმოაჩნდებათ.

2. ბიბლიური სალადან (შალახი) ძველი ქართულით -სალაჲ (ლუკ. 3. 35).

Сала [евр. Шелах, возм., "копье для метания"], сын Арфаксада, предок Иисуса Христа (Быт 10:24; 11:12-15; 1Пар 1:18; Лк 3:35) (Нюстрем, 1998).

Сала (евр. «отпрыск». «произрастание», «потомок», Быт. X, 24; XI, 12—15; 1 Парал. I, 18, 24; Лук. III, 35) — благочестивый патриарх, сын Арфаксада, сына Симова, отец Евера; жил после потопа 460 лет (https://ru.wikisource.org/wiki/ЭСБЕ/Сала,_патриарх).

თუ დავაკვირდებით, ორივე ებრაული გამნარტება **ანთროპონიმ სალას სემანტიკისა** არ დგას შორს ერთმანეთისაგან: შუბი, შვერილი, გამონაზარდი, შთამომავალი და უახლოვდება ქართულ-მეგრული **სალის** მნიშვნელობას - რკინის წაწვეტებულ ნაჭერს, დამრეცს - (სოლს) (ქეელ). ჩუხუას მიერ კი დამატებულია იჩქერიული მასალაც (ჩუხუა. 2008: 468).

Шела - персонаж из Книги Бытия и Корана. Он сын Арпакшада и отец Евера. Он умер в возрасте 433 лет.

По оценкам тех, кто верит в его существование, он жил с -2281 по -1817 год.

Сала (Шелах), отец Евера (Быт. 10:24; Лук. 3:35) (Нюстрем, 1998), ბაბილონის გოდლის მშენებლობის დროს იყო.

3. სავლედან, რაც ებრაული საულიდან მომდინარეობს ოღონდაც ბერძნული გზით, რადგან სიტყვა გადმოცემულია ს-თი და არა შ-თი; **საული** (ებრ. **שָׁאוּל**, ***შაული***; ბერძნ. **Σαούλ**) **და ნიშნავს** одолженный [у Бога] ღვთის მიერ გამოთხოვილი, საჭირო.

4. შესაძლოა, მოდიოდეს სვანურიდან, სადაც ის, **შაულ,** მამალ ფუტკარს ნიშნავს: შაულუ შალუ (ა̲შ, ა̲რ); იყო კიდეც ხანმოკლე დინასტია შავლიანებისა (868-887) მაშინდელი აფხაზეთის სამეფოში.

5. შესაძლოა, შავლაძე მომდინარეობდეს შავრადანაც, რაც ირანიზმია და ნიშნავს შავს.

სალი - ანთროპონიმად (მამაკაცის) დაფიქსირებული აქვს ალ. ღლონტსაც ბორჯომის რაიონში, ხოლო ქალის სახელად სალია გვხვდება ფშავსა და სვანეთში (ღლონტი, 1986).

ჩამოთვლილი ხუთივე მოსაზრებიდან, ფონეტიკური კანონები არც ერთს არ უქმნის პრობლემებს. მაგრამ ფონეტიკური კანონების გარდა, არის სხვა გარემოებაც. ქართული გვარი სალია შეიძლება იყოს ლათინიზმი. რადგან საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს შავიზღვისპირეთში იდგენენ ბერძნულ-რომაული ლეგიონები. ხან არაგვის კარსაც იცავდნენ. ლათინური ენა კი რომის იმპერიის სახელმწიფო ენა იყო იმპერატორ იუსტინიანე დიდამდე (530-565); არსებობდა პირადი კონტაქტები. რელიგიური დღესასწაულები და გასაკვირი არ არის, ქართველებს გადმოეღოთ სახელი სალია, როგორც გადმოიღეს მაგალითად ანთროპონიმი ლიპარიტი (ჯერვალიძე, პეტრიაშვილი, 2015). ბევრი სხვა სიტყვა, მერე კი იწარმოვა მისგან გვარი. შეიძლებოდა სხვადასხვა ენობრივი სივრცის სიტყვის შემდეგ აღრევა და გამრავალშინაარსიანება.

ვინ იყვნენ რომაელი სალიები?

სალიები (მხტომიარენი, მოფერხულენი, მოცეკვავენი) იყვნენ ომის ღმერთ მარსის ძველი რომაელი ქურუმები. ისინი იყოფოდნენ ორ კასტად, თითოში 12 კაცით (Salii Palatini პალატინის სალიები და Salii Collini ანუ კვირინალის ბორცვის მიხედვით, ან Agonales კოლინის, ანუ აგონალის სალიები). პალატინური სალიების დაარსება მიეწერება საბინ ნუმა პომპილიუსს (Numa Pompilius (- 753-674), რომის მეორე მეფეს, მშვიდობისმყოფელს, რომის შვიდ - ბორცვთაგან ერთზე, დღეს ქალაქის ყველაზე ძველი ნაწილია. მასვე უკავშირდება წმინდა ფარების (ancilia) ლეგენდაც. ერთი მათგანი, ზეციდან ნუმას ჩამოუვარდა ხელში. დანარჩენი 11 კი მისი მიხედვით დაამზადეს. აი სწორედ ამ 12 ფარის დაცვა ევალებოდა 12 ქურუმს, რომლებმაც პალატიუმის ბორცვზე მყოფობის გამო მიიღეს პალატინის სალიების სახელი. მეორე კოლეგია დაუარსებია რომაელ ტულუს ჰოსტილიუსს (Tullus Hostilius*)* — რომის მესამე მეფეს. (- 710 -641) და ჰქონდათ სალოცავი კვირინალის ბორცვზე, რომის ბორცვთაგან უმაღლესზე. ორივე კოლეგია დამოუკიდებლად არსებობდა საკუთარი რიტუალური წიგნებით.

სალიები ირჩეოდნენ მხოლოდ პატრიციების გვარიდან, აუცილებლად დედითაც და მამითაც პატრიციები (per confarreationem.), რიტუალური ქორწინების შედეგად შობილნი. სალიელთა მსხურება იყო სიკვდილამდე. კოლეგიაში მსახურებას იწყებდნენ მშობლების სიცოცხლეში და ის შეუთავსებელი იყო მაგისტრატურაში მსახურებასთან და თუ რომელიმე სალია სხვა სამსახურს დაიწყებდა, გამოდიოდა ქურუმთა კოლეგიიდან. სალიები იყოფოდნენ უფროსებად და უმცროსებად. კოლეგიას სათავეში ედგა მაგისტრი. მის შემადგენლობაში იყო მოფერხულეთა უფროსი, კორიფე (praesul_). ლაშქრობის დაწყებისას მხედართმთავრები შედიოდნენ მარსის წმიდათაწმინდაში და ღვთიური ფარები მოძრაობაში მოჰყავდათ. შემოდგომით საბრძოლო სეზონის დასრულებისას ფარებს თავის ადგილზე აბრუნებდნენ. 1 მარტს, როდესაც ფარი ზეციდან ჩამოვარდა, იწყებოდა პროცესია, რომელშიც მონაწილეობდნენ სალიები, სამხედრო ფორმაში გამოწყობილნი. 24 მარტამდე იმართებოდა კიდევ რამდენიმე დღესასწაული, შემდეგ მარსის კულტი დუმდებოდა 19 ოქტომბრამდე. ბოლოს ავენტინაზე სრულდებოდა განსაკუთრებული რიტუალი და ფარებს აბრუნებდნენ თავის ადგილას. ნუმას დროს შემოღებულმა ჰიმნებმა შეინარჩუნეს არქაული ფორმა და მოგვიანებით თვითონ ქურუმებიც ძლივს იგებდნენო. იმპერატორების ეპოქაში სალიები აღსაყდრებული იმპერატორების ქურუმები და სალაროს მცველები ყოფილან. სალიების კოლეგიები არსებობდა სხვა ქალაქებშიც: ალბაში, ტუსკულანუმში, ლივინიაში, ანაგნიაში და კავშირში იყო მარსის საბრძოლო ხასიათთან. რაზე მიუთითებს უძველესი რელიგიური რიტუალური ცეკვა და ის ბერძნული პირიხას (*πυρρίχιος ან πυρρίχη* πυρρίχιος πυρρίχη -დან) საომარი ცეკვის მსგავსი კრეტელების და სპარტელებისა იარაღით (Обнорский, 1890-1907; https://ru.wikisource.org/wiki/ЭСБЕ/Салии,_жрецы).

სალიების შესახებ ცნობებს გვაწვდის დიდი ბერძენი ბიოგრაფი პლუტარქეც, რომ ამ ქურუმებს სალიები ეწოდათო იმ სამოთრაკიელი თუ მანტინიელი სალიას პატივსაცემად, რომელმაც მათ ეს სამხედრო ცეკვა ასწავლა ან ამ ცეკვის ფორმის გამო, ხტუნვას რომ ჰგავდაო (Плутарх, 1990: 140-141).

სემანტიკური ერთეული სალ-ი ლათინურ ლექსიკონში:

I Salii, orum m [salio II]

салии, «плясуны», «прыгуны», две древних жреческих коллегии, из 12 патрициев каждая, посвящённые Марсу (Mars Gradivus), хранительницы священных щитов (ancilia); жрецы старшей коллегии назывались S. Palatini, а младшей— S. Agonales или Collini; во время праздников в честь Марса (1, 15 и 19 марта) они исполняли военные пляски и древние песнопения (axamenta) Vr, L, Я, C, V etc.

II salio, salui (ii), saltum, ire

прыгать, скакать (pass6res saliunt PM); спрыгивать (de muro L; in aquas 0): sal (или mica salis) saliens Tib, H подпрыгивающая (на огне) соль (благоприятная примета); 2) биться, стучать (cor salit Pers); пульсировать (vena Salit O); подёргиваться (supercilium salit Pt); 3) бить ключом (aqua saliens PJ); 4) (о животных) покрывать (ovis salitur O) (Дворецкий, 1975).

ლათინური ზმა **salio, salui (ii), saltum, ire** ინდოევროპული წარმომავლობისადაა მიჩნეული:

Pit. *sal˜je- 'to jump', *salto- 'jumped',

PIE *sh2l-ie/o- 'to jump', *sh2l-to-. IE cognates: Olr. saltraid 'to trample', MW

sathar 'trampling' < *sat-tro-^ W. Sathru...

Michiel de Vaan, 2008: 535). **აღნიშნულია ლათინურ ზმნა II salio-ს კავშირი ბერძნ. ზმნასთან.ἅλλομαι 'to jump' -ხტუნვა**

https://books.google.ge/books?id=ecZ1DwAAQBAJ&pg=PA535&lpg=PA535&dq=Pit.+*sal˜je-+%27to+jump%27,+*salto-+%27jumped%27,&source=bl&ots=jBmZkhmBAt&sig=ACfU3U3zDhCuYn-OlPBsPcf60X1oKYSHwg&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwjgwfW-kbuCAxUl_rsIHY0JCAMQ6AF6BAgKEAM#v=onepage&q=Pit.%20*sal˜je-%20'to%20jump'%2C%20*salto-%20'jumped'%2C&f=false.

ზმნა დღევანდელ იტალიურშიც არსებობს და გვარიც არის - Salio, საკმაოდ გავრცელებელი. ესპანურსა და პორტუგალიურშიც ყოფილა მომიჯნავე სემატიკით ეს ზმნა სალირ-ეს ფორმით და ნიშნავს წასვლა-გასვლას: **Salir de la casa**- სახლიდან გასვლა. (ინ-ფორმაცია მომაწოდეს ქალბატონმა ლალი ბურდულმა და დუჩო ლიმბერტიმ Duccio Limberti. უღრმესი მადლობა მათ დახმა-რებისთვის.

ძველ ბერძნულშიც, გარდა ზმნისა ἅλλομαι 'to jump' -ხტუნვა **არსებობს** საზოგადო არსებითი სახ. ***σάλη (დორ.) σάλαή** მღელვარება (Aesch.) ჰეროდოტეს თანახმად, ქალაქიც ყოფილა - Σάλη.

ამავე ძირიდანაა დღეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი სიტყვა სალოსიც: **σάλος ὁ** - მღელვარება, მერყეობა 2. ზღვის ღელვა 3. რყევა, არეულობა 4. ღუზის ჩასაშვები, რეიდი (Дворецкий, 1958).

ჩვენი აზრით, აქ სემანტიკის გადანაცვლებაა უნდა გვქონდეს მომიჯნავე ველზე.

რაც შეეხება ქართულ მონაცემებს:

სალი (ქეგლ) - 1. პიტალო, ფრიალო, მაღალი (კლდე) 2.(გადატ.) მაგარი, ურყევი, შეუდრეკელი სალი (გული); 3. (სპეც.) მაგარი, მყარი (ნივთიერება, შენადნობი) (ქეგლ)

სალი ძველი ქართული ენის ლექსიკონში არ გვაქვს. თუმცა გვაქვს სიტყვა სალტე/სავლტე, რომელიც ლათინურიდან უნდა მოდიოდეს და ნახტომს ნიშნავს (აბულაძე, 1975).

ხევს. სალი - ფეხის ტერფი. (სიბრტყის გამო ხომ არ ჰქვია?).

ხევს. სალ-ს ფეხის ტერფს, „ქაჩაჩის ქვემო ნაწილი“ ენათმეცნიერი მ, ჩუხია აკავშირებს საერთო სინდურ *ლ'ა- არქეტიპთან - „ფეხი“, რომელიც დაღესტნურშიც გადმოცემულია სიტყვით: **შალი „ბარკალი“**. სემანტიკური კორელაცია ფეხი>ქაჩაჩი, ბარკალი მეცნიერს კანონზომიერად მიაჩნია (ჩუხუა, 2017.).

ჩვენ კი მოკრძალებულად აღვნიშნავთ, რომ სადაც ფეხია, იქვეა სიარული და ხტუნვაც.

ხევსურულ ლექსიკონში გვხვდება კიდევ:

სალი - სლიპი, ძალიან გლუვი იხ. გასალდების

გასალდების - მოილიპება გასლიპდება (ჭინჭარაული, 2005).

ანუ სალი კლდე ყოფილა ისეთი კლდე, რომელსაც არ აქვს არანაირი შვერილი, ფეხის მოსაკიდებელი; ადამიანთან დაკავშირებით, კი ისეთი ადამიანი, რომელსაც ვერანაირად ვერ მიუდგები.

სალა (ქიზიყ.) ბრტყელი, მრგვალი რიყის ქვა სალაობის სათამაშო (ს. მენთეშ.); ქვა სამღერელი (სათამაშო) საბა; თხელი და მრგუალი ქუა სასროლი ვეგთა და მისთანათა სათამაშოთა (ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.);

(რაჭ)კლასობანას სათამაშო პატარა, ბრტყელი ქვა (ლაგვანთა, ი. თავაძე)

სალაობა (ქიზიყ., მთიულ., თუშ.) სალის თამაშობა.

(ღლონტი, 1975).

ქვა (სალა) ერთი უჯრედიდან („ბოსტნიდან“) მეორეში გადასატანი; თუ ქვა ხაზზე შერჩა, მოთამაშე „ჩაჭრილია“. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებში გვაქვს თამაშობა „კინკილაობა“, „სალაობა“, „ლიპარიტი“, სვანეთში - „კირინკაჩხვ“, ან „ჭირინჭვა“) - საბავშვო თამაში, ცალ ფეხზე ხტუნვა-სირბილი. ზოგჯერ დაჭერობანას თამაშისას ერთი ბავშვი ასკინკილა დასდევს დანარჩენებს დასაჭერად; ზოგჯერ ორ გუნდს შორის იმართება შეჯიბრება ასკინკილათი სირბილში. თამაშობენ ასეც: მიწაზე დახაზავენ 8 ან 10 უჯრედს და ასკინკილა ხტომით, ფეხის წვერით გადააქვთ ბრტელი ქვა. გამარჯვებულად ის ითვლება, ვინც ბოლომდე „ჩაუჭრელად“ გავა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებულია თამაშის სხვა ვარიანტებიც. ცნობილია აგრეთვე ასკინკილას უფრო ძველი სახეობები. ასკინკილათი ხტუნვა ხშირად გამოყენებულია სხვა ქართულ თამაშებშიც - დამარცხებულის „დასჯისას“ (შიშნიაშვილი, 1958: 65; ღოღობერიძე 1975, 635).

ამრიგად, ძველბერძნულ, ლათინურ ქართულ მონაცემებს თუ შევაჯერებთ, დავინახავთ შემდეგს:

ბერძნ. ხტუნვა, მღელვარება, მოძრაობაში მოყვანა,

ლათ. ხტომა, ცეკვა, როკვა გალობის თანხლებით, როდესაც სალიები ფარებს, შუბებით ახმაურებენ;

ქართ. ბრტყელი, გლუვი, მრგვალი რიყის ქვა (ფარივით), რომელსაც სალაობის თამაშობისას იყენებენ. სალაობის თამაშში შედის ხტუნვაც სხვადასხვა ფორმით. ანუ ქართულ ენაში ერთიანდება: რაობა-ქვა; ფორმა-ბრტყელი/მრგვალი; დანიშნულება - გამოიყენება თამაშობა სალაობისას, სხვადასხვა სახეობის ხტუნვებისას. ეს შინაარსები ერთმანეთთან კავშირს არ გამორიცხავს;

ასე, რომ, ჩვენ გვარის ლათინიზმიდან მომდინარეობაზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ მაინც ამ იდეას უფრო ვემხრობით.

სემიტიზმი - გერია

გერია გერი: 1. მოყოლილი შვილი 2. გერი (კოლხ. მგელი გერული ტოპონიმი ჭოღა (ჩხრ. რ). ვფიქრობთ, გერია გვარ-სახელი ქართული გერაძის ადეკვატი უნდა იყოს - წერს ნიკოლოზ ჯომიდავა (ჯომიდავა 1996: 47).

გერა, როგორც ანთროპონიმი მოყვანილია ახუაშვილთანაც, მითიებულია გვ. 76. თუმცა მითითებულ ადილას არ გვხვდება

(ახუაშვილი, 1999: 76) **გერ** სემანტიკურ ერთეულზე პირველად ყურადღება გაამახვილეს ენათმეცნიერებმა კ. ლერნერმა და ლ. ბინიაშვილმა. მათ მოიყვანეს დიდძალი მასალა ამ სიტყვის შესახებ ჩვენი ლექსიკოგრაფების შრომებიდან და ხაზი გაუსვეს მის ორ მნიშვნელობას: 1. ქორწინებისას თანმოყოლილი შვილი, რომელიც ძველ ქართულში უკვე დადასტურებულია იპ. რომაელის ქრონიკების თარგმანში; 2 ნაგერალი დაუთესველად მოსული.

სიტყვა გერის სემანტიკური წყაროს დადგენას მიუძღვნეს მათ თავიანთი წერილი, რომელშიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქართული **გერ**-ის წყარო გახლავთ ებრაული gēr (სემიტური), რაც მოსულს, ებრაელთა შორის დასახლებულ უცხო ტომის შვილს აღნიშნავს. ამ ძირს აქვს აგრეთვე პროზელიტის, ახლად მოქცეულის მნიშვნელობა. ამ შესანიშნავ წერილში სიტყვა **გერის** მნიშვნელობა მიმოხილულია თითქმის ყველა ბიბლიური მაგალითის მიხედვით, თუმცა არაფერია ნათქვამი მის ანთროპონიმად ქცევის შესახებ. ლერნერი, ლ. ბინიაშვილი, 1991: 38, 46). გერი სიტყვა დადასტურებული არ არის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში (ღლონტი I, 1975), სამაგიეროდ უხვადაა წარმოდგენილი ნაგერა და ნაგერალი (ღლონტი II, 1975). ჩვენ ეს სიტყვა - **გერი**-სოფლიდან გვაქვს გამოყოლილი.

ილია აბულაძის ლექსიკონში, არც გერი გვაქვს, არც ნაგერალი, თუმცა, სიტყვა მწირის სინონიმთა ჩამონათვალში ვხედავთ სიტყვა გერსაც (აბულაძე 1973); ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში კი მოცემულია სიტყვა გერიც და ნაგერალიც ი. აბულაძეზე მითითებით, თუმცა, ეს ლექსიკონი დოკუმენტირებული არ არის. ძველი ქართული სიტყვა გერი და ნაგერალი არ დასტურდება ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშიც (გოგუაძე, სარჯველაძე, შანიძე, 2007); ასევე ქართლის ცხოვრებაში (ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი I-II, 1986.)

გვაქვს სულხან-საბასთან (ორბელიანი, 1991). ჩუბინაშვილთან (ჩუბინაშვილი 1961); გვქონია სოფელი **გერი**, ცხინვალის რაიონში (სსსრკ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987) და დღესასწაული **გერისთობაც**, რომელიც სოფელ გერში იმართებოდა წმინდა გიორგის სახელზე (ღლონტი, 1975) გერების - ხიზნების -**მოსულთა წმინდა გიორგი?**

ძველი აღთქმა იცნობს უკვე საკუთარ სახელად ქცეულ გერს: **Гирсам** (Гершом), «пришелец в чужой земле» უცხო ქვეყანაში მისული; შვა ქალმა ვაჟი და უწოდა მოსემ სახელად **გირსამ / გერშომი,** რადგან თქვა: **„მდგმურად ვიყავი უცხო ქვეყანაში“, ანუ უცხო ქვეყნის მფარველობაში ვიყავი, უცხო ქვეყნის მონა ვიყავიო** (გამოსლვ. 2:22). Первый сын Моисея от Сепфоры (Исх. 2:22; 18:3; 1 Пар. 23:15) (Нюстрем, 1998); გამოსლვათა წიგნის ყველა ქართულ რედაქციასა და ხელნაწერში (OB, AK, C, S) შესაბამის ადგილას დადასტურებულია ანთროპონიმი **გერსამ,** როგორც სეპტუაგინტაში **Гηρσαμ: მწირ ვარი მე ქვეყანასა უცხოისა (წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი Ih., 1989, 306-307; მცხეთური ხელნაწერი, 1981, 367) -** სხვა ქვეყანაში მისული ვარ. ეს ინფორმაცია მოყვანილი აქვთ ლერნერსა და ბინიაშვილსაც, მაგრამ უფრო მის სემანტიკას ექცევა ყურადღება, ვიდრე ანთროპონიმობას.

ასევე, ბიბლია, I ეზრ. 8, 2. ბაბილონიდან იერუსალიმში დაბრუნებულ, გადმოსახლებულ სახლთა შორის ასახელებს ფინეზიანებიდან ვიღაცას, ძვ. ქართ. **გერსონ**-ს (მცხეთური ხელნაწერი 1981: 420) ახ. ქართ. **გერშომ -ს** (ბიბლია, 1989). სეპტუაგინტა **Гηρσαμ -ს, მაგრამ ამ ორივე სახელის შინაარსი ბიბლიის ენციკლოპედისტებთან გაიგივებულია** (Нюстрем, 1998; Ринекер, Майер, 1991). ებრაელებს სხვა სიტყვაც ჰქონდათ მისულის აღსანიშნავად. ეს იყო სიტყვა ებერი და ებრაელი, რომელიც გულისხმობდა მდინარე ევფრატის მიღმა მცხოვრებს, ანუ შუამდინარელს, იქედან მოსულს (Нюстрем, 1998; Ринекер, Майер, 1991):

სეპტუაგინტას შესაქმის, Γεν. 14:13-ში აბრაამი იწოდება არა ებრაელად, არამედ Αβραμ τῷ περάτῃ - აბრაამი, დასავლეთიდან მოსული; ἡ περάτη γῆ - უკიდურესი დასავლეთი; ძველქართულ ბიბლიაში: მიერ კერძო O; აბრაამს წიაღსა CB, AS -აბრამს, დასავლეთიდან მოსულს. τῷ περάτῃ-ში იგულისხმება სიტყვა γῆ-ც, მიწა. ერთად კი გამოვა: უთხრეს აბრაამს, დასავლეთის მხრიდან [ევფრატის გაღმა მიწიდან მოსულს]; უთხრა აბრაამს წიაღ, სადა იგი მკვდრ იყო (მცხეთური ხელნაწერი, 1981: 68)

წიაღ - გაღმა, იმ მხარეს, გამოღმა, ამ ხარეს (აბულაძე, 1973).

ἡ περάτη- περάω ზმნიდან, რომელიც გადასვლას, გადმოსვლას ნიშნავს.

აქედან უნდა იყოს რუსული пират - მეკობრე.

ცხადია, ძველ ქართულ ბიბლიაში ებრაელიც არის დადასტურებული (აბულაძე, 1973).

გამოდის, რომ შუამდინარეთიდან მისულს პალესტინაში ერქვა ებრაელი, რომელიც დროთა ვითარებაში იქცა ეთნონიმად. მოსულ/მისულის გადმოსაცემად კი შემდეგ გამოყენებულ იქნა უკვე: **Гирсам** (Гершом), ქართულად **გერსამ-იც.**

სწორედ ეს ახალი მასალა, გაკვრით ნახსენები ლერნერისა და ბინიაშვილის სტატიაში, გვსურს ჩვენ გამოვკვეთოთ.

გერ ფუძე მხოლოდ ებრაული არ არის. ის დასტურდება ფინიკიურშიც როგორც საზოგადო სიტყვად, ასევე საკუთარი სახელების შემადგენლობაში. ფინიკიური ანთროპონიმები თითქმის ყველა იყო კომპოზიტი, რომლის პირველი ან მეორე ნაწილი აუცილებლად გამოხატავდა ღმერთის სახელს მაგალითად: ბაალის, ასტარტეს (აშტორეტ-ის), მელკერტის; ამათგან პირველობა ბაალს ეკუთვნოდა:

ადონ-ბაალი - ბაალი უფალია
სამარ-ბაალი - ბაალი გვიცავს
ჰანი-ბალი ბაალი მოწყალეა
ბაალ- აზარე- ბაალი გვეხმარება
ურუ-მელქი - მელექი ნათელია
ნაამ-მილკატი- მილკატი მოწყალეა...

მონური დამოკიდებულება ღმერთისადმი გამოიხატებოდა ისეთი სიტყვების დართვით, როგორებიც იყო, აბდ-მსახური-აბდი-ბაალი- მონა ბაალისა; ამატ მოსამსახურე (ქალი); გავიხსენოთ „აბდულ მესია“ - მონა მესიისა; ღვთისადმი უფრო მეტად დამამცირებელი მდგომარეობის გამოსახატავად გამოყენებული იყო სიტყვა ძაღლიც (კელბ); უფრო ნაკლებად გვხვდება კომპოზიტი საზოგადო სახელ **გერ-ის** მონაწილეობით: მსახური, მფარველობაში მყოფი, მონა (Иллюстрированная исторія религій“, 1899: 248-250).

ძველი საბერძნეთის ისტორია იცნობს პროვნებას - ჰეროსტრატე, ფინიკ.: გერ აშტორეტ - ასტარტეს მსახური, ასტარტეს მფარველობაში აყვანილი, მონა ასტარტესი,. ashtart-Ger, კომპოზიტის მეორე ნაწილში მოქცეული **გერით.** გვინდა, არ გვინდა, უნდა გავიხსენოთ ცნობილი **ჰეროსტრატე ეფესელი,** რომელმაც გადაწვა არტემიდეს სახელგანთქმული ტაძარი ეფესოში ალექსანდრე მაკედონელის დაბადების ღამეს, -356 წელს; მართალია,

ეფესო ბერძენთა ქალაქი იყო, მაგრამ იქ სხვა ერის შვილებიც ცხოვრობდნენ, ხოლო ქალაქგარეთ სულ ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც დიდი კეთილგანწყობა არ ჰქონდათ ბერძნებისადმი... ბუნებრივია, ქალაქ ეფესოში ფინიკიელებსაც ექნებოდათ საკუთარი ტაძრები. სავარაუდოდ, ცნობილი ჰეროსტრატე ეფესელი, სახელის მიხედვით, ბერძენი კი არა, წმინდა ფინიკიელი უნდა ყოფილიყო, ან შერეული ქორწინების ნაყოფი, ასტარტეს/ აშტორეტის მოშურნე მსახური და მას, ბერძენთა სახელგანთქმული ტაძრისადმი შურით აღვსილს, ისიც მაშინ, როდესაც -387 წლის კორინთოს ომის შემდეგ ქალაქი ეფესო სხვა მცირეაზიულ ბერძნულ ქალაქებთან ერთად სპარსეთისთვის იქნა გადაცემული, ხელსაყრელი სიტუაციიდან გამომდინარე, პროტესტის ნიშნად, უნდა გადაეწვა ეფესოს ქალღმერთ არტემიდესადმი მიძღვნილი ტაძარი და **არა, ნებისმიერი გზით ისტორიაში მოსახვედრად. ეს ჩვენი მოსაზრებაა,** გამაგრებული ბერძენი კოლონიზატორების მიმართ მსგავსი დამოკიდებულებით ანტიოქიასა და ალექსანდრიის შემოგარენშიც (Тарн, 1948: 190).

გერ-აშტორეტის/ჰეროსტრატეს სახელი შემოინახა ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა თეოპომპოსმა - Θεόπομπος (-IV). ერთმანეთისთვის ტაძრების დანგრევისა და გადაწვის არაერთ პრაქტიკას იცნობს რელიგიის ისტორია, მაგალითად, სუზის მოშურნე ქრისტიანმა ეპისკოპოსმა აბ(ვ)დიამ გადაწვა ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი, რომლებსაც ბერძნები პირეოსებს ეძახდნენ (Феодорит Кирский, 1993: 212-214), აბულ -კასიმმა კი გადაწვა 914 წელს ჩვენი სვეტიცხოველი...

ჰეროსტრატეს სახელი მერე გამოიყენა ვაჟამაც ილიას მკვლელების აღსანიშნავად; რუსეთშიც იყო ამ დროს პოპულარული, მერე ლენინსაც კი გამოუყენებია (Ашукин, Ашукина, 1955: 121). იმ დონეზე ყოფილა ხმარებაში, რომ ულამაზო ქცევისათვის გვარიც კი უწარმოებიათ ამ ანთროპონიმისგან - ჰეროსტრატოვი, ავესალომოვის გვერდით (ახუაშვილი 2, 1999: 99). ფინიკურში გერ ფუძე **გერ აშტორეტის** გარდა, აწარმოებდა შემდეგ ანთროპონიმებს:

გერ-ბაალ - ბაალის ქვეშევრდომი, ბაალის მფარველობაში მყოფი, მონა ბაალისა;

გერ-მელკერტ-მელკერტის მფარველობაში მყოფი, მელკერტის ქვეშევრდომი, მონა მელკერტისა.

გერბაალი განსაკუთრებით ხშირი უნდა ყოფილიყო ბაალის ქურუმთა და მსახურთა შორის. სიტყვა გერბაალი "Gerbaal," დადასტურებულია კირბეთ -კეიაფას ოსტრაკონზეც (Olive Pits and Alef-Bets: Notes on the Qeiyafa Ostracon:

http://ralphriver.blogspot.com/2010/03/olive-pits-and-alef-bets-notes-on.html).

რუს ავტორს, იგორ ბეზრუკის (Безрук Игорь Анатольевич - Болеслав Игрин) **აქვს რომანი „ჰამილკარ ბარკა“, რომლშიც ქურუმი სწორედ გერბაალის სახელს ატარებს** (http://samlib.ru/b/bezruk_i_a/hb5.shtml).

ამრიგად, ფინიკიური გერ ფუძე, ბიბლიაში მომიჯნავე სემანტიკურ სივრცეშია გადასული. წინ წამოწეულია უფრო მისვლის, მიყოლის მნიშვნელობა, ვიდრე მფარველობაში აყვანილის, ან მონის. ქართულად კი უფრო კარგად ჩანს შინაარსი: ვიღაც სხვა, უცხო, რომელიც მფარველობაში ან ქვეშევრდომობაში აჰყავთ. უცხო, სხვა ქვეყანაში ყოფნა, მაშინაც გარკვეული საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდებოდა, როგორც დღეს.

გერ ძირი შემდეგ ქართულ გვარებში გვაქვს: გერია, გერაძე (ნ. ჯომიდავა), ჩვენი აზრით კი, ის უნდა დასტურდებოდეს შემდეგ გვარებშიც: გერსამია, გერვალიშვილი, ნახსენებია გაზეთ კომუნისტში („კომუნისტი“ №90 1933 (3646), ჯერვალიძე.

ამათგან ახლა ჩვენ გვაინტერესებს **ქართული გვარი გერსამია,** რომელიც გერასიმედან მომდინარედ არის მიჩნეული ჩინებული ონომასტიკოსის პატა ცხადიას მიერ და ის გაზიარებულია; ჩვენც ასევე ვღებულობდით მას, სანამ სულ სხვა სამეცნიერო სტატიაზე მუშაობისას არ გადავაწყდით ასეთ ინფორმაციას:

Фамилия Герсамия началась из Опеченский посад (Новгородская область). В бумагах города Червень - помещик Соломон Герсамия (1626). Написание - Giersamiia или прозвание Герсам, а национальность Араб в 49% случаях--**გვარი გერსამია სათავეს იღებს ნოვგოროდის მხარის ოპეჩენის გარეუბნიდან (სავაჭრო უბნიდან) ქალაქ ჩერვენის ქალალდებში ნახსენებია - მემამულე სოლომონ გერსამია (1626). დაწერილობით** Giersamiia ან შესაძლოა, იყოს მეტსახელი Герсам, ნაციონალობით კი 49% შემთხვევაში - არაბი (**https://nominic.ru/Фамилия/Герсамия**).

თუ ბერძნული გერასიმესგან მივიღეთ ქართულ სივრცეში გერსამია და ასეთი გვარი თუკი რუსეთშიც ფიქსირდება, რატომ გვაქვს რუსეთშივე გვარი გერასიმოვი გერასიმედან?

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნოვგოროდი სავაჭრო და დამოუკიდებელი ქალაქი იყო და ის ივანე მრისხანემ ისე დაიპყრო, როგორც უცხო ქალაქი და გავითვალისწინებთ ქალაქების განვითარების სპეციფიკასაც ყველგან, გასაკვირი აღარაფერი იქნება.

მეორე ცნობა ასეთია:

Фамилия Герсамия относится к виду не распространенной на территории России и стран ближнего зарубежья. В дошедших до наших дней заслуживающих внимание старых грамотах люди с этой фамилией были очень важными персонами из славянского московского боярства в 18-19 в., имевших определенную царскую привелегию. Первые корни фамилии можно обнаружить в списке переписи Древней Руси во времена царствования Ивана Грозного. У государя существовал специальный список уважаемых и благозвучных фамилий, которые вручались придворным только в случае особых заслуг или награды. Тем самым данная фамилия донесла личное оригинальное обозначение и является исключительной.

Написание фамилии латиницей: GERSAMIYA - რუსეთისა და ახლო საზღვარგარეთის ტერიტორიაზე გვარი გერსამია გავრცელებული არ არის. ჩვენამდე მოღწეული ძველი დოკუმენტების მიხედვით, ყურადღებას რომ იმსახურებენ, ამ გვარის ადამიანები იყვნენ ძალიან მნიშვნელოვანი პერსონები სლავურ-მოსკოვური თავადობიდან (ბოიარებიდან) XVIII-XIX სს-ში და ჰქონდათ განსაზღვრული სამეფო პრივილეგია. ამ გვარის პირველი ძირები შეიძლება ვნახოთ ძველი რუსეთის მიმოწერის სიებში ივანე მრისხანეს დროიდან. ხელმწიფეს ჰქონდა სპეციალური სია პატივსაცემი და კეთილხმოვანი გვარებისა, რომლებიც ენიჭებოდათ მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურების გამო. ასე და ამგვარად, გვარმა მოაღწია პირადი ორიგინალური მნიშვნელობით და არის გამონაკლისი. ლათინურად გვარი ასე იწერება: GERSAMIYA (http://onomastikon.ru/proishogdenie-familii-gersamiya.htm).

თუ გვარი გერსამია მართლაც ებრაული წარმომავლობისაა და ჩვენ ასე ვხედავთ, ისინი, როგორც ვაჭრები, ისე უნდა მოხვედრილიყვნენ რუსეთშიც, საქართველოშიც.

საქართველოს ყველა მხარეში დიდი მოთხოვნილება რომ იყო ვაჭრებზე, ამას მოწმობს თუნდაც მოგვიანო პერიოდის ერთი ფურცელი დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან: 1. ჯერ ვახუშტი ბაგრატიონი ახსენებს მცირე ქალაქ ჩიხორს, სადაც: "მოსახლენი არიან, იმერნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი (ბატონიშვილი ვახუშტი: 1973: 756 24-25); მეორე, დადიანს ალექსანდრე III-ის, იმერთა მეფისთვის (1639-1660), ტყვედ ჩავარდნილი მამის, გიორგი III-ის (1625-1639) გამოსასყიდად მოუთხოვია ჩიხორის ვაჭარნი და ჩხარის სომეხნი და ჰურიანი. ალექსანდრეს მეტი გზა არ ჰქონია და გადაუცია ისინი დადიანისთვის. მეფე გიორგი კი ამ ამბავს გადაჰყოლია დარდისგან. (ბატონიშვილი ვახუშტი: 1973: 829 4-9).

მსხემი და მწირი ძველი აღთქმის თარგმანებში ორიგინალის ტერმინებს - ებრაულში – გერ- ძირიან სახელებს, ენაცვლება, ხოლო ბერძნულში – პაროიკია-ს **παροικία** და მისგან ნაწარმოებ ტერმინებს შეესატყვისება (ხახიაშვილი, 2013: 81).

გვაქვს ზმნა მო-გერი-ებ-ა-ც, რომელიც ქეგლ-ში განმარტებულია, როგორც თავდაცვა (ვისამე ან რისამე თავდასხმისაგან), ანუ **გერების, მოსულების, მოძალებულების** გაყრა (ლერნერი, ბინიაშვილი).

გერ ფუძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა გვქონდეს ქართულ გვარებში: გერვალიძე, გერვალიშვილი და ჯერვალიძე.

კარგა ხნის წინ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის გვარი ჯერვალიძე (ფშაური), რომლის საგვარეულო სალოცავი იახსარია შუაფხოში, ხოლო ფუძე გვარად ქისტაური ითვლება, სწორედ ფინიკიურ გერბალთან (ბაალის მფარველობაში მყოფი, ბაალის მსახური, მონა ბაალისა) უნდა ყოფილიყო კავშირში. სალოცავი იახსარი შუაფხოში როგორც ხევსურეთიდან, ასევე ჩრდილო კავკასიიდან და იქნებ სხვა ადგილებიდანაც მოსულთა სალოცავადაც ითვლება. აქსიომაა, რომ უცხოენოვან სახელებზე დაფუძნება გვარისა და ცალკე სახელადაც არსებობა სულაც არ ნიშნავს თუნდაც ღრმა წარსულში მათ უცხოურ წარმომავლობას.

მ. ჩუხუას მიხედვით, იჩქერიულში არსებობს ფუძე **ჟღერ-უო//ჯღერ-უო** „ქვრივი ქალი", ინგუშურად **ჟერ-უო//, ჯერ-უო,** ბაცბურად ჟერ-ო „ქვრივი ქალი"; **ს. ნახ. *ჟერ <*ჟუერ<*ჟორ, ს. ნახ, *ჟუერ-ო „ქვრივი ქალი".** მეცნიერი ი. ყიფშიძეზე დაყრდნობით

[ყიფშ. 1914: 238] ხედავს მათთან **ზან. ზურ-ა** „დედალი“, მხდალი“ და **სვან. ზურ -აი** „დედალი“ კავშირს, რასაც ხსნის ს. ქართვ. **უ** და ს. ნახ. **ე** ხმოვნების მიმართებისას ლაბიალიზაციის მოშლის შესაძლებლობით ნახურში (ჩუხუა, 2008: 338).

რამდენად შეიძლება გვარი **ჯერვალიძე** მომდინარეობდეს იჩქერიული **ჟაერ** -უო//**ჯაერ**-უო - დან, ვერაფერს ვიტყვით. ფაქტია, დღეს ჩეჩნებში **ჟაერო კანტ** აღნიშნავს სწორედ ქვრივის შვილს; გერი სწორედ ქვრივ ქალთან ან მამა კაცთანაა დაკავშირებული, რომ საქართველოშიც არსებობს გვარი **ქვრივიშვილი**. „ქვრივი ქალი“ ძალიან ზოგადი შინაარსის სინტაქსური წყვილია, გარდა იმისა, რომ **„ძე ქვრივისა“** ბევრ ხალხთა ფოლკლორსა და ეპოსში, ეზოთერულ სიბრძნეში დიდი მითოლოგემაა და მასში შეიძლება მოვიაზროთ მიმართებითი ნაცვალსახელიც - „ვიღაც“.

სვანურშიც გვაქვს მსგავსი სემანტიკური ერთეული: ჲერუ̄ლე (-ლეშიშ, -ლა̄ლ ბზ., -ლეშ, -ლე̄ლ ლშხ.), ჲერუ̄ალე, ლერუ̄ალე (-ლემ, -ა̄რ, -ლემ, 1429 -ლოლ) ბქ., {ჲ}ერუ̄ალე (-ჲშ, -ა̄ლ) ლნტ., განუსაზღვ. ნაცვალსახ. **-ვიღაცა, ვინმე** (თოფურია, 2000: 638).

რამდენად შეიძლება ნაცვალსახელი გვარის ფუძედ? ასეთად ნ. ჯომიდავა ასახელებს გვარებს: ჩემია, არაჩემია, არჩემაშვილი (ჯომიდავა, 1996: 24). ჩვენ ვერაფერს დავძენთ.

ახლა გადავხედოთ არაქართულ სივრცეს. წინარე ბულგარელ მმართველთა შორის დასახელებულია ხანი **გერვალიანი,** დაახლოებით 582-584 წწ-ში, ერმის ტომიდან **(Носовский Глеб Владимирович** 4. https://history.wikireading.ru/99717).

ხანი გერვალიანი ბულგარელების, ხაზარებისა და კაზაკების საერთო ისტორიის ნაწილია (Олег Данкир: https://proza.ru/2018/04/20/1712), როგორც ჩანს, ხაზარეთის იმპერიის საბოლოო დაცემის შემდეგ, 964-966 წწ.

გამოდის, რომ **გერვალი** როგორც ანთროპონიმი VI ს-ის ბოლოს უკვე დადასტურებულია ჩრდილო კავკასიაში.

როგორ უნდა მოხვედრილიყო, გავრცელებულიყო ანთროპონიმი გერვალი ჩრდილო კავკასიაში?

ძალიან სიღრმეებში რომ არ წავიდეთ, უფრო ცხად ისტორიულ ფაქტებს მივმართოთ: რუსი მეცნიერის, ლევ გუმილიოვის აზრით, სექტანტი მაზადაკიტები (სექტანტი ებრაელები ირანში შაჰ კავადის (488–496 და 499–531) დროს), რომელთაც ირანის იმპერია

საშინელ დღეში ჩააგდეს, 529 წ-ს, დამარცხების შემდეგ, რეპრესიებს გადარჩენილნი, აღმოსავლეთ ჩრდილო კავკასიაში გადმოსულან და მოუყოლებიათ ირანული ენაც. ისინი ინტეგრირებულან ხაზარეთის იმპერიაში. ორთოდოქსი ებრაელების ნაწილი კი სპარსეთიდან ბიზანტიაში გადასახლებულა. შემდეგ 723 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ლევ III-მ (717-741), როდესაც მოსთხოვა ებრაელებს ქრისტიანობის მიღება, ორთოდოქსი ებრაელების ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გამოჰქცევია იმპერატორის ბრძანებას (Гумилев, 1989: 117, 211-212). ამ თემასთან დაკავშირებით, ზღვა მასალა არსებობს. შორს რომ არ წავიდეთ, იოვანე საბანისძის დროს, ნერსე ერისმთავარი რომ გაექცა არაბებს ხაზარეთში, ეს იმპერია უკვე ოფიციალურად იუდაიზმის აღმსარებელი იყო [I 58: 9-11), თუმცა, ამავე ძეგლის მიხედვით, ქრისტიანებსაც უცხოვრიათ მშვიდად. ხაზარები ხომ ბიზანტიის მეგობრები იყვნენ? ხაზარეთში მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ კი (732 – 733 წწ.) მცირე ნაწილს მუსლიმანობაც მიუღია.

ასე რომ, ჩრდილო კავკასიაში წარმართულ რელიგიებს ემატებოდა ქალდეური სწავლება, ქრისტიანობა და მერე მუსლიმანობაც, რომელთაც მოჰქონდათ ძველი და ახალი აღთქმა თავისი ონომასტიკით - ანთროპონიმიკითა და ტოპონიმიკით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიბლიის სიმფონია-ლექსიკონი არ იცნობს ანთროპონიმს - გერბალი (Симфония к синодальному изданию Библии, 1995).

რუსეთის ფედერაციაში უამრავი ადამიანი ყოფილა გვარად: გერვალი, გერვალოვი. გვარის დასაბამად ითვლება XVIII ს-ის შუა წლები. ამ ეპოქის სასულიერო პირთა მასალების მიხედვით, გვარის მატარებელნი ყოფილან ღვთისმსახურნი; ეროვნებით კი დღეს არიან: რუსები, ბულგარელები, (ბულგარელებს ვნახეთ, რომ ხანიც ჰყოლიათ), აზერბაიჯანელები, ებრაელები. ევროპის სხვა ქვეყნებშიც ყოფილან ამ ფუძის მატარებელნი და არაბულ ენოვან ქვეყნებშიც. არაბეთის იმპერია ხომ სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული? თუ ჩვენი კვლევა სწორია, ამ ჩამონათვალს დაემატებიან ქართველებიც. საქართველოში დღეს სოფელიცაა ჯერვალიძეები (თიანეთის მუნიციპ.).

სახელი **გერბალი**, შესაძლოა, საქართველოში არაბული დაპყრობის გზითაც შემოსულიყო ჯერბალის ფორმით. არაბები G-ს ჯ-

დ წარმოთქვამდნენ, თვით ბერძნულ სიტყვებშიც: **Γεράσιμος**/ ჯერასიმე, Γεώργος/ჯეორჯიოს (მახარაძე, 1978, 41-55) და მერე ქართულ ნიადაგზე მომხდარიყო ბ-ს ვ თანხმოვანში გადასვლა. ჯ ბგერის წარმოშობის ერთ წყაროდ ქართულში სწორედ გ ბგერის აფრიკატიზებაა დასახელებული, თუმცა აკაკი შანიძე ქართულში გ-ს ჯ-დ ქცევას გამორიცხავს და მას არაბული გზით შემოსულ სახელებში მიიჩნევს ნორმად. მეცნიერი ცალკე გამოყოფს ჯ-ს საკითხს კოლხურში. (შანიძე, 1981: 490-491). ქართულში ბ-ს ვ-დ ქცევა ჩვეულებრივია ბიზანტიური პერიოდისთვის, რასაც ადასტურებს ათონური და პეტრიწონული სკოლიდან გამოსული თარგმანები. ხაზარული გზა გერვალის საქართველოში მოხვედრისა (როგორც სიმბიოზური ქვეყნისა ენობრივი და რელიგიური თვალსაზრისით), გვარ ხახანაშვილის, მარშაკ/მარსაგიშვილისა და ანთროპონიმ ჯუღურას джуура /**juhur (მთის ებრაელი)** შემდეგ - (**juhur**/ ჯუღურა ვაჟას „ბახტრიონში“ სანათას შვილის სახელია) - მაინც უფრო დამაჯერებელი ჩანს. ხაზარები ხომ სწორედ **თარგამოსიანებად** მიიჩნევდნენ თავს? (Плетнева, 1986: 7). თვითონ **გერბალი/გერვალ და ბაალი/ ვაალ** სლავური ენების სივრცეში სწორედ ვ-თია გადასული. ხაზარეთის იმპერია ალბათ უფრო უკეთ შესწავლას მოითხოვს ქართველი მეცნიერებისგან.

დასკვნა:

ამრიგად: როგორც თავიდანვე განვაცხადეთ, ჩვენი სამეცნიერო სტატიის შთამაგონებელია ნ. ჯომიდავას შრომები. უღრმესი მადლობა მას. თუმცა, ჩვენ მიერ შემოტანილია ბევრი ახალი თვალსაზრისი და შესაბამისად, ბევრი ახალი მასალაც:

1. ქართულ (მეგრ.) გვარ სტვილიას კავშირი ქართულ საზოგადო სიტყვა სტვირთან - სტჯრი (ნ. ჯომიდავა) მართებულადაა მიჩნეული, მოყვანილია დიდძალი მასალა ამ სიტყვის - სტვირი - წარმომავლობის შესახებ, როგორც ქართული, ისე არაქართული. შემოთავაზებულია გვარის ბერძნულიდან მომდინარეობის შესაძლებლობაც სიტყვიდან **στῦλος** ὁ /**სტჯლ** - ბოძი, სვეტი, ხიმინჯი. მილი; წარმოდგენილია ამ ბერძნული სემანტიკური ერთეულის შესახებ ინდოევროპული წარმომავლობის მასალაც: Av. *stū-na-* m., *stu_nā* f., Skt. *sthū-nā* f.; ასევე წარმოდგენილია მეორე სანკრიტული სიტყვა stu [stu] ქების, გალობის, ხმაურის შინაარსის

აღმნიშვნელი. მართლაც, ქართული საკრავი ინსტრუმენტი სტვირი გახლავთ მოკლე ხის ღრუ ღეროსგან დამზადებული და საკრავის მნიშვნელობა საქართველოში უნდა ჰქონდეს შეძენილი, ანუ ქართული სტჳრი ორივე სანსკრიტული სიტყვის სიმბიოზს უნდა წარმოადგენდეს. გვარ სტვილი-აში კი თანაბრად დევს მისი წარმომავლობის ორივე შესაძლებლობა - ბერძნულიც და ქართულიც.

2. სტატიაში განხილულია ასევე ქართ. (მეგრ. გვარი) სალია; ნ. ჯომიდავას მიერ შემოთავაზებული გვარის წარმომავლობის ორ ვარიანტს დამატებული აქვს კიდევ ოთხი შესაძლებლობა, რომელთაც არანაირი ფონეტიკური კანონი ხელს არ უშლის, მაგრამ უპირატესობა მინიჭებული აქვს გვარ სალიას ლათინურიდან I **Salii, orum m [salio - ქურუმთა კასტა, II salio, salui (ii), saltum, ire** - ხტუნვა - მომდინარეობის იდეას. მოსაზრების დასასაბუთებლად მოყვანილია დიდძალი სხვადასხვა კატეგორიის ქართული და უცხოური მასალა.

3. ნაშრომში წარმოდგენილი მესამე გვარი გახლათ ქართული (მეგრ.) **გერია**, რომელიც ნ. ჯომიდავას აზრით, ან მეგრ. გერი/**მგლიდან** უნდა მოდიოდეს, ან ქართ. **გერიდან**; სტატიაში გავრცობილია გვარ გერიას ქართული გერიდან მომდინარეობის შესაძლებლობა, რომელიც თვითონ ებრაული/სემიტური (gēr) წარმომავლობისა ჩანს ქართულში (ლერნერი, ბინიაშვილი, ხანიაშვილი). სტატიაში გერ ფუძიან სახელებს შორის გამოყოფილია ებრ. ანთროპონიმი **გერსამიც,** რომელიც ლერნერისა და ბინიაშვილის სტატიაშიცაა მოყვანილი და ის ახლა ბევრი საინტერსო მასალითაა გავრცობილი;

გერ ფუძიანი გვარის კონტექსტშია განხილული ქართული (ფშ.) გვარი ჯერვალიძეც. მოყვანილია მისი წარმომავლობის რამდენიმე შესაძლებლობა: 1. სვანური, 2. ჩეჩნური და 3. სავარაუდოდ, მომდინარე ფინიკიური **გერბალიდან** და შემდეგ მოხვედრილი ჩრდილო კავკასიაში, ხაზარეთის ხაკანატში. გერვალი დღეს ფართოდ გავრცელებული გვარია ბულგარეთში, ალბანეთში, აზერბაიჯანში, რსფსრ-ში, Гервал/Гервалов/Gervalova ფორმით... საქართველოში ამ ანთროპონიმის შემოსვლის გზებად, კვლევის ამ ეტაპზე, მიჩნეულია, ჩრდილოეთიდან ხაზარული, შესაძლოა ჩეჩნურიც, რადგან ფუძე გვარი მაინც **ქისტაურია** და სამხრეთიდან

არაბული გზა, თუმცა, შეიძლება, არც ბერძნული გზა იყოს გამოსარიცხი.

ვფიქრობთ, ჩვენი სტატია აჩვენებს იმ ენობრივ გარემოს, დამთხვევებსა და ცვლილებებს, რასაც საუკუნეთა განმავლობაში ადგილი ჰქონდა გეოპოლიტიკური ომების გამო ჩვენს ქვეყანაში, მიგრაციული ტალღების გამო. ჩვენ მასალა ლოკალური ჩარჩოებიდან გლობალურ სივრცეში გადავიტანეთ, რადგან იძლეოდა ამის საშუალებას და გავაფართოვეთ ქართველი კაცის წარმოდგენა გლობალური პროცესებისა და მისი ზეგავლენის შესახებ.

დამოწმებული ლიტერატურის სია

აბულაძე, 1973 - აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

აკუშინი, 1955 - Ашукин Н. С., Ашукина М,.Г., Крылатые слова, М., 1955.

ანდრონიკაშვილი 1966 - ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბ., 1966.

ახუაშვილი, 1999 - ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები 2, თბ., 1999.

ბაბინიოტისი, 1998 - Μπαμπινιωτη Γ. Δ., Λεξικοτης νεας Ελλητνικης γλωσσας, Αθηνα 1998.

ბატონიშვილი ვახუშტი, 1973 - ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV აღწერა სამეფოსა საქართველოსა , 1973.

ბეეკესი, 2010 - Robert Beekes Etymological Dictionary of Greek BRILL LEIDEN • BOSTON, 2010.

ბიბლია, 1987 - ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო თბ., 1989.

გაჩეჩილაძე, 1997 - გაჩეჩილაძე ს., სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია: IX-X კლ. სახელმძღვ.. - მე-2 გა დამუშ. დაშევს. გამოც. თბ., 1977.

გუმილიოვი, 1989 - Гумилев Л. Н., Древная Русь и Великая степь, М., 1989.

დანელია, 1997- დანელია კ., სარჯველაზე, ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

დანკირი, Данкир Олег Хан Гостун.*** (Чин)Казачиние. Энциклопедия казачьих чинов. X-X https://proza.ru/2018/04/20/1712.

დვორეცკი, 1958 - Дворецкий И. Х.. Древнегреческо-русский словарь, (в 2-х тт) , т. I, М., 1958.

დვორეცკი, 1958 - Дворецкий И. Х.. Древнегреческо-русский словарь, (в 2-х тт) , т. II, М., 1958.

დვორეცკი, 1975 -Дворецкий И. Х.. Латинско-русский словарь, М., 1975.

თეოდორიტე კირელი, 1993 - Феодорит Кирский. Церковная история. Книга 5. Глава 39. О гонении в Персии и о тамошних мучениках,М., 1993.

თოფურია, 2000 - თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

იმნაიშვილი, 1986 - იმნაიშვილი ივ., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

Иллюстрированная исторія религій“ М., 1899.

კვირიკაშვილი, 2007 - კვირიკაშვილი ლ., ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 2007.

კომუნისტი, 1933 - გერვალიშვილი ნესტორ, გაზეთი „კომუნისტი“ #90 1933 (3646): https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/334025/1/Komunisti_1933_N90.pdf

კოჩერგინა, 1987- Кочергина, В. А., Санскритско-русский словарь, Под ред. В. И. Кальянова; М., 1987.

ლერნერი, 1991 - ლერნერი კ., ბინიაშვილი ლ., გერ ძირის ეტიმოლოგიისათვის ქართულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991.

მაირჰოფერი: https://translate.academic.ru/%28στῦ λοϛ/el/xx/).

მახარაძე, 1878 - მახარაძე ნ., ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978.

მიხეილ დე ვაანი, 2008 - Michiel de VaanEtymological Dictionary of Latin and the other Italic Languages Brill Leiden-Boston 2008,https://drive.google.com/drive/folders/1_2pbM94CQ9Wu4N95lGmcKDzL9ckH4qob

მცხეთური ხელნაწერი, 1981 - მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

ნოსოვსკი, Носовский Глеб Владимирович *4.* Полный список болгарских ханов, великих князей и царей: https://history.wikireading.ru/99717.

ნუსტრემი, 1998 - Нюстрем Э., Библейский энциклопедический словарь, Санкт-Петербург 1998.

ობნორსკი 1890-1907 - Обнорский Н. П. Салии, жрецы, Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона : в 86 т. (82 т. и 4 доп.). СПб., 1890—1907;

https://ru.wikisource.org/wiki/ЭСБЕ/Салии,_жрецы

ორბელიანი 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ., 1991.

ორბელიანი 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული II, თბ., 1993.

პლუტარქე, 1990 - Плутарх, Нума Помпилий 13. Избранные жизнеописания, М., 1990.

ოლივე პიცი, Olive Pits and Alef-Bets: Notes on the Qeiyafa Ostracon:http://ralphriver.blogspot.com/2010/03/olive-pits-and-alef-bets-notes-on.html.

რინეკერი, 1999 - Ринекер, Библейская энциклопедия Брокгауза: Ринекер Ф., Майер Г. - М., 1999.
https://azbyka.ru/otechnik/Spravochniki/biblejskaja-entsiklopedija-brokgauza/

პლეტნევა, 1986 –Плетнева С. А., Хазары, М., 1986.

სალიები Salii. *National Statistics Institute* Municipal Register of Spain of 2022 — 2022. T. 90, 1,235.

Лазарус Салий - Lazarus Salii:
https://ru.wikibrief.org/wiki/Lazarus_Salii

Салли, https://ru.wikipedia.org/wiki/Салли_(Армения)

საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.

სიმფონია, 1986 - ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, ტ.I, თბ., 1986; ტ.II, 1986.

სიმფონია, 1995 - Симфония к синодальному изданию Библии, Стоггольм, 1995.

ტარნი, 1949 -. Тарн В., Эллинистичечкая цивилизация, пер. с англ. М., 1949.

(ქეელ) ჰაინც ფენრიხი, 1990- ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ქაჯაია, 2002 - ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 2. (ზ-ს), თბ., 2002.

ღლონტი, 1975 - ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

ღლონტი, 1975 - ღლონტი ალ., 1975, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ.I, II, თბ., 1975.

ღოღობერიძე, 1975 - ღოღობერიძე ნ., ასკინკილა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 1975.

შანიძე, 198 - შანიძე აკ., ჯ. ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, თხულებანი, ტ. II, თბ.,1981.

შენგელია, 2013 - შენგელია ე., საყვირის შესატყვისისათვის მეგრულში, ეტიმოლოგიური ძიებანი X, თბილისი 2013.

შიშნიაშვილი, 1958 - შიშნიაშვილი ნ. „ქართული ხალხური მოძრავი თამაშობები, თბ., 1958.

ჩუხუა, 2002-2003 - ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2002-2003.

ჩუხუა, 2017 - ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2017.

ჩუხუა, 2008 - იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2008.

ძეგლების სიმფონია, 2005 - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია - ლექსიკონი, ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით, I (ა-ლ), თბ., 2005; ტ. II (მ-რ), 2007.

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, თბ., 2008.

წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, 1989 - წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, შესაქმისაჲ, გამოლვათაჲ, ყველა არსებლი ხელნაწერი მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, თბ., 1989.

ჭაბაშვილი, 1989 - ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა და წინასიტყვ. დაურთო მ. ჭაბაშვილმა. მე-3 შესწ. და შევს. გამოც. თბ.,1989.

ჭინჭარაული, 2005 - ჭინჭარაული ˜ა˜, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.

ხანმეტი ტექსტები, 1984 - ხანმეტი ტექსტები, ნაკვ.I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბ., 1984.

ხახიაშვილი, 2013., ხახიაშვილი ნ., სიტყვა მსხემის ეტიმოლოგიისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი X, თბ., 2013,81.

ჯავახიშვილი, 1990 - ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., (1938), 1990,

ჯერვალიძე, 2015 - ჯერვალიძე ქ., პეტრიაშვილი ნ. ონომასტიკური ძიებანი: ბაღვაში, ლიპარიტი, კრებული „ახალციხე, ონომასტიკა 2015 “.

ჯომიდავა, 1996 - ჯომიდავა ნ., კოლხური გვარ-სახელები, თბ., 1996.

დალი ბეთხოშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ახალციხე,
dali.betkhoshvili@yahoo.com, 555 48-81 29

ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგია[1]

მოკლე შინაარსი

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში დრამატურგიის ჟანრიც დასტურია იმისა, რომ შემოქმედის მხატვრული სიტყვა ღრმა ფსიქოლოგიზმით, ემოციითაა დატვირთული, რადგან რელიგიური სამოსით მოსილი ამქვეყნიური ტკივილები ადამიანშია განთავსებული და წუთისოფლიურ პრობლემებად განიცდება, რადგან თვით ადამიანის არსებობაა დაკავშირებული ცოდვით მოსილ მიწიერ გარემოსთან.

ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი დრამატურგიული ნაწარმოებებით ღრმად წარმოაჩინა ადამიანთან დაკავშირებული პრობლემები, ეპოქის სულისკვეთება, სამყაროს მხატვრული გააზრების გარკვეული თავისებურებები, რაც ნათელს ჰფენს ერთ მთავარ ჭეშმარიტებას – დრამატურგიაში კიდევ მეტი სიღრმით განცდილია ეპოქის სატკივარი, ზედაპირზეა ამოტანილი და მკითხველის თვალწინ გათვალსაჩინოებული საკუთარი სულიერი ტკივილი, რომელიც პირადულიდან ღმერთის, სამშობლოს, ერისაკენაა მიმართული და საერთო ზოგად ტანჯვად და ცრემლად არის გარდაქმნილ-გარდასახული.

ალექსანდრე ყაზბეგის მსოფლმხედველობაში არეკლილია ახალ ეპოქასთან შერწყმული მტკივნეული თემების ჩვენება და ამაღლებულ მხატვრულ სახეთა წარმოჩენა, რითაც აჩვენა ეპოქის სული, ადამიანის სულიერ სამყაროში მიმდინარე ფსიქოლოგიური წიაღსვლები, რომელიც განუმორებლად ახლდა ავტორს და ამ

[1] ნაშრომი ზოგადი მიმოხილვისაა, თითოეული ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური კუთხით კვლევა შემდეგში იქნება წარმოდგენილი.

მიდგომებით პასუხი გასცა ეპოქის მკაცრ მოთხოვნებს, რითაც ამოავსო ადამიანის სიცარიელე და მომავლის იმედიანი გზა დასახა.

ნაშრომში ზოგადად გაანალიზებულია ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიის – „დავითის სახლობა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „არსენა“ – მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, პერსონაჟის ფსიქო-ემოციური თავისებურებანი, ეროვნული ღირებულებანი, რომელიც არეკლავს ეპოქის და თვით შემოქმედის მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ყაზბეგი, დრამატურგია, „დავითის სახლობა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „არსენა“.

Dali Betkhoshvili
Doctor of Philology, Associate Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Georgia, Akhaltsikhe,
dali.betkhoshvili@yahoo.com, 555 48-81 29

DRAMATURGY OF ALEXANDRE KAZBEGI

Abstract

The drama genre in the works of Alexandre Kazbegi proves that an artistic word of the artist is full of deep emotions, as the human pains covered in religious cover is felt like the universal problems, as existence of the human being is linked with the sinful earthy environment.

Alexandre Kazbegi demonstrated human problems, the spirit of the epoch, peculiarities of understanding the universe making key truth clearer. The dramaturgy feels the pain of the epoch deeper, own pain is also shown to the reader on the surface, having linkage the personal pain to the God, homeland, nation and is transformed into general torture and tears.

The philosophy of Kazbegi shows combination of a new epoch with the painful issues, psychological researches which regularly characterized to the author and it met the severe requirements of the epoch this way and filled the gap and planned hopeful future.

The work analysis the artistic and esthetic value of the dramaturgy of Alexandre Kazbegi, including “Davit’s family”, “Torture of the Queen

Ketevan" and "Arsena", psycho-emotional peculiarities of the character, national values reflecting the epoch and philosophy of the artist.

Key Words: Alexandre Kazbegi, Dramaturgy, "David's family", "The Torture of Queen Ketevan", "Arsena".

შესავალი: ნაშრომში ზოგად ჭრილში განხილულია ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიული ნაწარმოებები: „დავითის სახლობა", „წამება ქეთევან დედოფლისა", „არსენა", რომელთა სათქმელი არეკლავს შემოქმედის და ეპოქის სუნთქვას, იმ არსებით თავისებურებებს, რაც მახასიათებელი იყო მე-19 საუკუნის სულიერად მწირი არსებობისათვის და მათში ასახული პრობლემა ნათელს ჰფენს ეპოქის მოთხოვნებს; აღნიშნულ ნაწარმოებებზე სამეცნიერო კვლევები მწირია: დ. ბეთხოშვილი[2], გ. ასათიანი, ლ. მინაშვილი, ამიტომ წინამდებარე შრომა გარკვეულწილად ღირებულების მომცველი იქნება, თუმცა ეს არ არის საკმარისი და კვლევა გაგრძელდება.

მიზანი: ნაშრომის მიზანია კიდევ ერთხელ წარმოჩნდეს ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული აზროვნების თავისებურებანი, ნაჩვენები იქნას ის პრობლემები, რაც ფართოდ აისახა მწერლის შემოქმედებაში, გამოიკვეთოს ის საფიქრალი, რომელიც ასაზრდოებდა ალექსანდრე ყაზბეგის მთელ მხატვრულ აზროვნებას, მის მსოფლმხედველობას; ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგია ღრმად გვახედებს მე-19 საუკუნის ეპოქის ცხოვრებაში, რომელსაც სხვაგვარი მიდგომა და შესწავლა სჭირდება.

მეთოდი: რადგან საკვლევი საკითხი ღრმაა და მრავალასპექტიანი, ცალმხრივი კვლევა ვერ შეძლებს პრობლემის ნათლად წარმოდგენას, მწერლის და ეპოქის ტკივილის წარმოჩენას, ამიტომ გამოყენებულია შედარებით-ისტორიული, ანალიზის და ჰერმენევტიკის მეთოდები; აღნიშნული მეთოდები უკეთ წარმოაჩენს მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, ნათლად გამოკვეთს ავტორის სათქმელს, მის მსოფლმხედველობას. ყოველივე ამის გარეშე ვერ მიიღწევა საკითხის მეცნიერული გამოკვლევა.

---

[2] ალექსანდრე ყაზბეგის „წამება ქეთევან დედოფლისას" სახისმეტყველება, კრებ. „გულანი", სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №16, ახალციხე. 2015 წ., გვ. 36-48.

შედეგი: ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიის ამგვარი კვლევა წარმოაჩენს ეროვნული მწერლობის ღირებულებას და მნიშვნელობას ქართული კულტურის განვითარებაში, მის განუკვეთელ ერთიანობას წინარე ეპოქათა მხატვრულ აზროვნებასთან, აგრეთვე, აჩვენებს მის მნიშვნელობას მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის განვითარებაში და სახავს სამომავლო განვითარების პერსპექტივასაც; ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიული შემოქმედების ასეთ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს პრობლემის არსს, ეპოქის ღრმა სულისკვეთებას, მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, აგრეთვე, იკვეთება ისიც, რომ ქართულ მწერლობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის აზროვნების სივრცეში.

მსჯელობა: ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით გარკვეული ადგილი უჭირავს დრამატურგიულ ნაწარმოებებს, რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის ჩანაფიქრი, მხატვრული თავისებურება და მწერლის ინდივიდუალური მიდგომა ასასახი საგნისა თუ მოვლენისადმი, ეს იქნება თანამედროვე თემაზე აგებული, თუ ისტორიულ თემატიკაზე დაფუძნებული. ასევე ერთნაირად ეხერხება თანამედროვე და გარდასული ეპოქიდან მოხმობილი პერსონაჟების სულიერ სამყაროში ჩახედვა და მათი მთელი სიღრმისეულობით წარმოჩენა: „ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი ნაწარმოებებით ღრმად წარმოაჩინა ეპოქის სულისკვეთება, სამყაროს მხატვრული გააზრების გარკვეული თავისებურებები, რომელთაც სიღრმისეული ამოცნობას ჭირდება“ (ბეთხოშვილი, 2015: 36-48).

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება ერთი პიროვნების მთლიანობას, მისი პიროვნული სახასიათო თვისებების ერთიანობას წარმოადგენს. მის ნაწერებში აისახება ავტორი-პიროვნების, ამავე დროს, მთავარი პერსონაჟის ცნობიერი და მის მიღმა არსებული პროცესები, რომლებიც არეკლავს ალექსანდრე ყაზბეგის ფსიქიკურ თავისებურებებს.

პიროვნების, მით უფრო, შემოქმედის ფსიქო-ემოციური თავისებურებანი უნდა განხილულ იქნასეპოქის, მისი მოთხოვნების კონტექსტში, რათა უკეთ გამოჩნდეს მწერლის ჩანაფიქრი; თითოეულ ნაწარმოებში მწერლის ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი,

გარკვეული სახასიათო ნიშან-თვისებები იკითხება. განსაკუთრებით დრამატურგიაში თავს იჩენს ის მტკივნეული, ტრაგიკული განცდა სინამდვილისა, რომლის გარემოცვაშიც განვლო თავისი პირადი, შემოქმედებითი ცხოვრება, იმ წინააღმდეგობა თაფონზე, რასაც ხშირად აწყდებოდა ალექსანდრე ყაზბეგი, რომელმაც მთელი ცხოვრების მანძილზე ზიდა ეს ტვირთი, რომელიც კარგად გამოჩნდა მის მხატვრულ ნააზრევში.

ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების მიმართულების განსაზღვრაში დიდი როლი ითამაშა მწყემსობის პერიოდში გატარებულმა წლებმა, როდესაც მან სხვაგვარი ცხოვრება იგრძნო და მის მსოფლმხედველობას განსხვავებული მიმართულება მიეცა, რაც გამოჩნდა ალ. ყაზბეგის შემოქმედების ყველა ჟანრში. თქმულს ადასტურებს მწერლის სიტყვები, მიმართული მწყემსობის მეგობარ სვიმონა ჩოფიკაშვილისადმი მიწერილ წერილში: „... მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა. ბევრნი მძრახავდნენ ამისათვის და მიგონებდნენ ათას ცილისწამებას... მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, მაშინაც გესმოდა ჩემი გულის მიმართულება და ახლაც კიდევ მოიგონებ. თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ ჰპოულობს იმათში რამე გულისგასართობს, თუ არა სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობაში, რომელმაც ერთი და იგივე გვაგრძნობინა, ერთი და იგივე კვნესით დააკვნესეს ჩვენი გული, ერთი და იგივე მიზანი დაგვანახვა“ (მინაშვილი, 2015: 416-417).

„მწყემსობიდან ისევ სხვა ცხოვრებას დაუბრუნდა (1878 წ.), იგი ჩადის თბილისში. ალექსანდრე ყაზბეგმა მუშაობა დაიწყო გაზეთ „დროებაში“ და მალე ახლადაღდგენილ ქართულ თეატრში, როგორც ამ თეატრის დრამატურგმა და მსახიობმა... 1874 წელს თბილისში ყოფნისას ალ. ყაზბეგმა გაიგო, რომ მუდმივი ქართული თეატრის არარსებობის ერთი მიზეზი რეპერტუარის უქონლობაც იყო“ (მინაშვილი, 2015: 419). მწერლის აღნიშვნით, „მე წავედი შინა და მიუდექ პიესების წერას, თარგმნას და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისკენ გამოვწიე დარწმუნებულმა, რომ ქართულ თეატრზე მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებდა ჩემს შრომას, წარმოიდგინეთ ჩემი

გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირწინ ფრუტუნი დამიწყეს დამასხრად ამიგდეს“ (ყაზბეგი, 1962).

მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, ალ. ყაზბეგს მუშაობა არ შეუწყვეტია, პირიქით, აქტიურად ერთვება თეატრის ცხოვრებაში, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება მისი მნიშვნელოვანი დრამატურგიული ნაწარმოებების შექმნით, რომელნიც თავის დროზე აქტიურად იდგმებოდა სცენაზე და დღესაც არ კარგავენ თავიანთ ღირებულებას.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღნიშნულია: „მისი მწერლური დიდება ძირითადად მის პროზაულ თხზულებებთანაა დაკავშირებული“ (ქართული... 1974: 425), თუმცა, ჩემი აზრით, მწერლის ფართო აზროვნება ჩანს არა მარტო ეპიკური ჟანრის მოთხრობებით და რომანებით, არამედ დრამატული ჟანრის ნაწარმოებებითაც, რომლებშიც მისი მხატვრული სიტყვის ძალა და აზროვნების სიღრმე ძევს, თითქოს ავტორს მეტი გასაქანი ეძლევა ამ ჟანრში მოაქციოს ყველა ის საფიქრალი, ტკივილით, ტრაგიკული ელფერით აღსავსე, რაც აწუხებდა და უნდოდა სამომავლოდ მაინც დაესახა.

ალექსანდრე ყაზბეგი დრამატულ ნაწარმოებებში სხვა შემოქმედთაგან განსხვავებული თვალსაზრისით გაიაზრებს და წარმოაჩენს ისტორიულ, ეროვნულ პრობლემებს, ახალ სიმაღლეზე ამყოფებს თავის მხატვრულ სიტყვას, დიდი დრამატიზმით მოცულს როგორც თავისი ცხოვრება, რომელსაც თანამედროვეობის ჩარჩოში აქცევს, რითაც სინამდვილის ელფერი ენიჭება და ამგვარი ინდივიდუალური ხედვით აწვდის მკითხველს. როგორცგ. ქიქოძე აღნიშნავს: „ალ. ყაზბეგი ქართულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ტრაგიკული პიროვნება, რომელმაც ცხოვრების ხანმოკლე მანძილზე (დაიბ. 1845 წ. იანვარში, გარდაიც. 1893 წ.) პირად ტრაგედიებს არ იყო მოკლებული... „მას თანამედროვენი (მისი ერთ-ერთი ლიტერატურული მეგობარი იყო სერგეი მესხი) გვიხატავენ ნაადრევად დაბერებულ, დაღვრემილ, უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანად... ის თვითონ ეთიშება იმ საზოგადოებას, რომელიც მას გაურბის“ (ქიქოძე, 1959: 199). ეს პრობლემები, ტრაგედიის სიმაღლემდე განცდილი, წარმოადგინა შემდეგ დრამატულ თხზულებებში: „დავითის სახლობა“, რომელშიც ძირითადად თანადროული ეპოქის მწვავე პრობლემები აქვს

დასმული, ხოლო ორში – „წამება ქეთევან დედოფლისა“, „არსენა“, წარსულის ისტორიული თემებისა და პერსონაჟების გაცოცხლებით და ახლებურად გადააზრებით ერის ისტორია, ეროვნული ღირებულებები ერთ მთლიანობაშია აღქმული და პასუხგაცემული.

აღნიშნულ პრობლემებს ახალ სულს უდგამს და ისტორიულ პერსონაჟთა სახეებს მთელი სიღრმისეულობით წარმოაჩენს სულიერ-მატერიალური მოთხოვნებისა და ღირებულებების ჭიდილის ფონზე, როგორც იყო საკუთარი ცხოვრება, მაგრამ, უპირველესყოვლისა, მათ სულიერი განცდის, შინაგანი მდგომარეობის, ღვთისადმი მოწიწებითმ ვედრებელის („წამება“) სახით ხატავს; დრამატული ნაწარმოებების პერსონაჟთა ცხოვრება დინამიკურია, ემოციური, ტრაგიზმით სავსე, მისი ცხოვრების გზას რომ აღბეჭდავს, ხასიათები გამოკვეთილი... ადამიანის, როგორც პირველხატსმიმსგავსებული, მთავარი მისია პირველ სახესთან მიახლოებაა, რაც ჩანს თავიანთ მიზანსწრაფვებში – სულიერი ცხოვრების აღმავლობა, ადამიანური ზნეობრივი ღირებულებების დაცვა, სიმართლით, სიკეთით ცხოვრება... მათი საღვთო, კეთილი საქმეების აღსრულება თვითშემეცნებით, ცოდვათა გათავისებით, სათნოებათა აღსრულებით (წმიდა დედოფლის ლოცვა, სინანული...) იწყება, ეს ყოველივე კი სრულყოფს ადამიანის პიროვნულ თვისებებს და აღამაღლებს ყოფით პრობლემებზე. ამით წარმოჩნდება ადამიანის ინდივიდუალური არსებობის გზა, მატერიალურის – წარმავალის ღვთაებრივთან მაკავშირებელი. შესაბამისად, ისაზღვრება ის მნიშვნელოვანი დინამიკური პროცესი, რომელიც ასახავს ადამიანის განვითარების გზას სრულქმნისაკენ მიმართულს და აჩვენებს მზაობას თავისი ეპოქის შესაბამისი იდეალური თვისებებით აღჭურვას, შეიძინება მარადიული გზისაკენ მიმავალი დაბრკოლებათა გზების გადალახვის რწმენა და შესაძლებლობები და ბრძოლის გზით აღწევენ დასახული მიზნის განხორციელებას.

გრიგოლ კიკნაძის აღნიშვნით, „... ეს შინაგანი სირთულე, რაც ხალხის სულიერი ცხოვრების სიმდიდრეს მოწმობს, გვიჩვენა ყაზბეგმა და ამიტომაა, რომ მკითხველს ოდნავი მობეზრების განცდაც კი არ უჩნდება, როცა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს კითხულობს“ (კიკნაძე, 1978: 327).

ალექსანდრე ყაზბეგი თავის პიესებში მიზნად ისახავს წარმოაჩინოს თანადროული ეპოქის, მე-19 საუკუნის რეალური ცხოვრების მანკიერი მხარეები, რომელთა გამოკვეთისათვის მიმართავს საქართველოს წარსულის გამორჩეულ თემებსა და პერსონაჟთა ცხოვრებას, რომელიც ნათლად აისახა მის დრამატურგიაშიც.

„პიესებში ალექსანდრე ყაზბეგი თავისი დროის მახინჯ საზოგადოებრივ სინამდვილეს იგი უპირისპირებს საქართველოს შორეული თუ ახლო წარსულის გმირულ სურათებს“ (ასათიანი, 1988: 541).

„პიესის („დავითის სახლობა“ _ დ. ბ.) პირველ წარმოდგენასთან დაკავშირებით გაზეთ „დროების“ რეცენზენტი წერდა: „... ავტორმა ამ შემოქმედებაში თავი იჩინა, როგორც კაცმა, რომელსაც ჰქონია თვალიც დასანახავად, ყურიც სასმენად და კალამიც გამოსახატავად. ეგ მოქმედება სავსეა ყველა ჩვენის ოჯახის საერთო ავკარგიანობითა...“ (ქართული..., 1974: 351).

რეცენზენტის ამ შეფასებაში, ფაქტობრივად, აღნიშნულია ის დიდი შესაძლებლობები ალ. ყაზბეგისა, რომლის მსოფლმხედველობაში ნათლად გამოჩნდა მისი მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება და გასაქანი, აგრეთვე ის მწვავე კრიტიკულად გადააზრებული ეპოქის მტკივნეული რეალისტური ტენდენციები, პერსონაჟთა სახეებით ხორცშესხმული, რომლებმაც მკაფიო და ღრმა ასახვა ჰპოვეს მწერლის დრამატულ ნაწარმოებებშიც.

პიესაში „დავითის სახლობა“ მრავალმტკივნეულ პრობლემათა შორის იკვეთება ქალის უფლებრივი მდგომარეობის ჩვენება, მისი შეზღუდულობა, იგი ეპოქის მოთხოვნების მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული, ნაკლებადუუფლებო, დგას გრძნობისა და მოვალეობის წინაშე, არ შესწევს ძალა მარტო გაუმკლავდეს ამ ბარიერებს და გაბედულად იბრძოლოს პიროვნების თვის მიუღებელი ნაბიჯების გადასალახავად...

მაგრამ სულ სხვა ვითარებაა დრამაში „წამება ქეთევან დედოფლისა“, სადაც ავტორი ისტორიული თემატიკისა და თავდადებული დედოფლის მხატვრული სახის წარმოჩენით ერთგვარად ავსებს იმ სიცარიელეს, რაც ავტორმა „დავითის სახლობაში“ ვერ შეძლო. პიესა „წამება ქეთევან დედოფლისა“, ბევრ სხვა გადასაჭრელ პრობლემასთან ერთად, ეროვნული საკითხი თუ სხვა, ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარებასაც მოიცავს ისტორიული

პიროვნების გაცოცხლებით, მისი როლის წარმოჩენით ახალი ეპოქის ქრონოტოპული გააზრებით, ახალმა ეპოქამ, რომელმაც ადამიანის უფლება უკანა პლანზე გადასწია და ეს საკითხი კვლავ ახლებური გააზრებით უნდა მოგვარებულიყო.

„ალექსანდრე ყაზბეგის დრამატული ნაწარმოები „წამება ქეთევან დედოფლისა“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ (1883 წ. №4). მიუხედავად დადებითი შეფასებისა, პიესა არ დადგმულა 1989 წლამდე, რის მიზეზად ასახელებენ სასულიერო ცენზურას, რომელიც ნებას არ აძლევდა ავტორს ქეთევანის, როგორც წმინდანის, სცენაზე გამოყვანას. ამ მოსაზრებით შეამოკლა ალ. ყაზბეგმა ეს პიესა და „კონსტანტინე ბატონიშვილის“ სახელწოდებით წარმოადგინა 1889 წელს... მთლიანად ეს ნაწარმოები დიდი შინაგანი განცდით არის დაწერილი და, მიუხედავად ისტორიული შინაარსისა, მძაფრი აქტუალობით გამოირჩევა... „წამება ქეთევან დედოფლისა“ ღრმად პატრიოტული ნაწარმოებია. თავისი მხატვრული ღირსებით იგი, ისევე როგორც „არსენა“, გაცილებით მაღლა დგას ალექსანდრე ყაზბეგის ადრინდელ პიესებზე, კერძოდ, უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ქართული ენა და ერთიანი ამაღლებული სტილი, რომლითაც ეს დრამა გამოირჩევა, რაც ყაზბეგის დრამატურგიული ოსტატობის ზრდაზე მიუთითებს“ (ქართული..., 1974: 388).

გ. ასათიანის შეფასებით, „წამება ქეთევან დედოფლისა“ რომანტიკული ისტორიული დრამის თავისებურ ნიმუშს წარმოადგენს ქართულ მწერლობაში“ (ასათიანი, 1988: 542).

ჯერ კიდევ თავის დროზე კრიტიკოსთაგან ასე შეფასდა აღნიშნული ნაწარმოების სათქმელის მნიშვნელობა და ავტორის დიდი ნიჭი: „ამ ნაწარმოებსაც ეტყობა საზოგადო ლიტერატურული ხასიათი ბატ. მოჩხუბარიძისა (ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი ფსევდონიმი _ დ. ბ.) _ მიმზიდველი, სიმპატიური ნიჭი მომქმედ პირების დახატვისა, მათი სულისა და გულის მოძრაობის გადმოცემისა. ბატ. მოჩხუბარიძე მძლავრი ხელოსანია...“ (ყაზბეგი, 1949: 638).

რაც შეეხება მესამე პიესას „არსენა“ ეს დრამატული ნაწარმოებიც თავის ეპოქაშიც და შემდეგშიც კრიტიკოსთა მხრიდან დადებითად და მეტად საჭირო ნაწარმოებად არის მიჩნეული,

რადგან იგი ასახავს ხალხის, მეტადრე უბრალო ადამიანთა ცხოვრების ყოფით მხარეებს. ალექსანდრე ყაზბეგი ამ დრამაში ხატავს ხალხის წიაღიდან გამოსულ, სამართლიანობისათვის მებრძოლ არსენას მხატვრულ სახეს, რომელიც იცავს სახარების ერთ-ერთ მცნებას „არა კაც ჰკლა“, ის ერთგვარად გმირ პერსონაჟად გვევლინება და თავისი თავდადებული საქმიანობით მკითხველის წინაშე წარსდგება, როგორც სულით ამაღლებულ პიროვნებად, რომლის ცხოვრების და ბრძოლის მიზანი მხოლოდ ისაა, რომ წუთისოფელმა რაც მისცა ნებისმიერ ადამიანს, ის უნდა შეინარჩუნოს თუ დაიბრუნოს ყველა ჩაგრულისათვის სასიკეთოთ.

„ალექსანდრე ყაზბეგი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც არსენას სახე შემოიტანა ჩვენს მწერლობაში. ნიშანდობლივია, რომ მან იგი დაგვიხატა, როგორც სახალხო გმირი, სიმართლის მაძიებელი და სოციალურ უსამართლობასთან შეურიგებელი მებრძოლი“ (ქართული..., 1974: 387).

ალექსანდრე ყაზბეგის დრამა „არსენა“ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეა შეფასებული: „მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, „არსენა“ შესამჩნევად მაღლა დგას ალექსანდრე ყაზბეგის ადრინდელ პიესებზე. ეს არის რეალისტური დრამა ცოცხალი, მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათებით, ძალზე სადა, ცხოვრებისეული სიუჟეტით რეალისტური სიზუსტით ამოწერილი ყოფა-ცხოვრების დეტალებით“ (ქართული..., 1974: 388).

დრამატურგიაში ალექსანდრე ყაზბეგის ხელოვნებას დიდი სრულყოფის ელფერი ეძლევა, რაც მეტყველებს ავტორის ფსიქოლოგიურ „მეზე“, რადგან მის შემოქმედებას მეტი გასაქანი ეძლევა ტრაგიკული სცენები გადმოსცეს. თუმცა, უდაოა, ალექსანდრე ყაზბეგის ყველა ჟანრის ნაწარმოების სათქმელს ტკივილი, დიდი ემოცია, ღრმა ტრაგიკული ხაზი გასდევს...

დასკვნა: ალექსანდრე ყაზბეგმა თავის დრამატურგიაში წარმოაჩინა არამარტო თავისი ეპოქის, არამედ ყველა ეპოქისთვის მტკივნეული საკითხები, რომელთა გააზრებით გააერთიანა წარსული, აწმყო და მომავალი, რომელთა ერთიან ჭრილში განხილვა მის მსოფლმხედველობრივ ფართო მასშტაბს სახავს და ეს დასტურდება კიდეც მისი უკვდავი დრამატურგიული შემოქმედებითაც. ახალ ეპოქასთან შერწყმული მძაფრი თემების წამოჭრითა და ამაღლებული მხატვრული სახეების შექმნით აჩვენა ეპოქის

სული, ადამიანის სულიერ სამყაროში მიმდინარე ფსიქოლოგიური წიაღსვლები, რომელიც განუშორებლად ახლდა ავტორს და ამ მიდგომებით პასუხი გასცა ეპოქის მკაცრ მოთხოვნებს, რითაც ამოავსო ადამიანის სიცარიელე და მომავლის იმედიანი გზა დასახა.

დამოწმებულილიტერატურა:

ასათიანი, 1988: ასათიანი გ., ალექსანდრე ყაზბეგი, წიგნში: „ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა“, თბ., 1988.

ბეთხოშვილი, 2015: ბეთხოშვილი დ., ალექსანდრე ყაზბეგის „წამება ქეთევან დედოფლისას“ სახისმეტყველება, კრებ. „გულანი“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №16, ახალციხე, 2015. გვ. 36-48.

ევგენიძე... 2015: ევგენიძე ი., ლ. მინაშვილი, ქართული ლიტერატურა, II (XIX საუკუნე), გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2015.

კიკნაძე, 1978: კიკნაძე გრ., ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 1978.

ქართული..., 1974: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 1974.

ქიქოძე, 1959: ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 1959.

ყაზბეგი, 1949: ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ლექსები და პოემები, ტომი მესამე, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1949.

ყაზბეგი, 1949: ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტომი პირველი, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1962.

დიანა მიქელაძე
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ახალციხე,
Dk.mikeladze@gmail.com, 599 38 03 09

მერი უოლსტონკრაფტი - პირველი ინგლისელი ფემინისტი მწერალი

მოკლე შინაარსი

ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს მეთვრამეტე საუკუნის ინგლისური ქალური პროზის პირველი ინგლისელი ფემინისტი მწერალი, ესეისტი და მოაზროვნე მერი უოლსტონკრაფტი, როგორც ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე ქალი, რომელმაც თავისი შემოქმედებით, საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოაქცია ქალთა უფლებებისა და სქესთა თანასწორობის პრინციპები.

მიუხედავად უოლსტონკრაფტის შემოქმედების თემატური მრავალფეროვნებისა, ნაშრომში ძირითადი ყურადღება გადატანილია ქალთა აღზრდისა და განათლების უოლსტონკრაფტისეულ ხედვაზე, მის დასკვნებზე ქალთა განათლების უარყოფითი მხარეების შესახებ, ასევე წარმოჩენილია მისივე ხედვა ქალთა განათლების სწორი მიმართულებით განვითარების თეორიებზე.

მერი უოლსტონკრაფტის ცხოვრება და შემოქმედება საინტერესოა არა მარტო ისტორიული ან ლიტერატურული კუთხით, არამედ საინტერესოა, როგორც გასაღები მწერლის გახსნილი დამოკიდებულების წარმოსაჩენად მისი პერიოდის საზოგადოებაში ტაბუდადებული თემების მიმართ, რაც მეთვრამეტე საუკუნის ინგლისური კონსერვატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო და რამაც გამოიწვია მწერლის სრული უარყოფა, მისი ნაწერებისადმი ინტერესის სრული დაკარგვა მეცხრამეტე საუკუნეში.

საკვანძო სიტყვები: ფემინისტი, ტაბუდადებული, ინტელექტუალური, ეგალიტარიზმი, ღვტაებრივი, მორჩილი, ემანსპირებული

Diana Mikeladze
Doctor of Philology, Associate Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Georgia, Akhaltsikhe,
Dk.mikeladze@gmail.com, 599 38 03 09

MARY WOLLSTONECRAFT - THE FIRST ENGLISH FEMINIST WRITER

Abstract

The aim of the paper is to present Mary Wollstonecraft, the first English feminist writer, essayist and thinker inthe eighteenth-century English women's prose, as one of the first women thinkers to bring the principles of women's rights and gender equality to the forefront of her public agenda.

Despite the thematic diversity of Wollstonecraft's work, the paper focuses on Wollstonecraft's view of women's upbringing and education, his findings on the downsides of women's education, and his views on theories of women's education development in the right direction.

The life and work of Mary Wollstonecraft is interesting not only from a historical or literary point of view, but also as a key to the writer's open attitude towards taboo topics in the society of his time, which was unacceptable to eighteenth-century English conservative society.

key Words: Feminist, taboo, intellectual, egalitarianism, divine, obedient, emancipated

მიზანი. ნაშრომის მიზანია განვიხილოთ მეთვრამეტე საუკუნის ინგლისური მწერლობის ერთ ერთი პირველი ფემინისტი ავტორის, მერი უოლსტონკრაფტის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა. ქალი მწერლის გაბედული და დაუღალავი ბრძოლა სტეროტიპების, მკაცრი მორალის, ცხოვრების მანკიერი მხარეების, სოციალური და საგანმანათლებლო სისტემის რადიკალური გარდაქმნისათვის.

კვლევის მეთოდი. ნაშრომის ძირითადი მიზნის განხორციელებისათვის გამოყენებულია ბიოგრაფიული კვლევის მეთოდი, დაკვირვების, დედუქციის, ტექსტუალური ანალიზის, თვისობრივი კვლევის მეთოდი.

შესავალი. მწერალ ქალთა უმრავლესობის მთავარი მიზანი ქალთა ჩაგვრის, მათ მიმართ უსამართლო დამოკიდებულების,

ქალთა უთანასწორობის წინააღმდეგ ხმის ამოღება იყო. ქალი მწერლები შორეული საუკუნეებიდანვე ცდილობდნენ დაეძლიათ ეპოქის მკაცრი მორალი, მოძველებული ცრურწმენები, დაემსხვრიათ სტერეოტიპები, თუმცა მათ არც თუ ისე ადვილი გზის გადალახვა უწევდათ მჩაგვრელი პატრიარქალური წყობის გამო.

პატრიარქალური საზოგადოება გონიერ ქალებს მკაცრი განსჯის საგნად აქცევდა, ისინი ხშირ შემთხვევაში შეიძლება სასჯელის მსხვერპლიც გამხდარიყვნენ, მათი ნააზრევი მკაცრ ცენზურას გადიოდა, რის გამოც სათქმელი გარკვეული დოგმების ქვეშ უნდა გადმოეცათ, შეესწავლათ ის განმასხავვებელი უპირატესობები, რაც ასე უკან ხევდათ მათ და ცხოვრების სარბიელზე მამაკაცის თვინიერებასა და მორჩილებას, მათ მიმართ მოწიწებით დამოკიდებულებას აიძულებდა. ისინი, უთანასწორო პირობებში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქალის გონება არაფრით ჩამოუვარდება მამაკაცის გონებას. მათ სწამდათ, თუ ზოგადად ქალი არ აღიქმებოდა კაცივით ნიჭიერ და გამჭრიახ არსებად, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქალთა აღზრდის ტრადიციული მეთოდების, მათი განათლებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების, მანკიერი სისტემისა და მამაკაცთა გაბატონებული მდგომარეობის ბრალი იყო. ცხოვრების მანკიერი სისტემა, ცხოვრების არასწორად აღქმული მორალი, უშლიდა ხელს ე.წ. „მეორე სქესის“ წარმომადგენლებს თავი დაემკვიდრებინათ მეცნიერებაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. იმისათვის, რომ ინტელექტუალურად ამაღლებულიყვნენ და კაცებს გათანაბრებოდნენ, ისინი საჭიროდ თვლიდნენ, მანკიერი სტრუქტურის ძირფესვიანად გარდაქმნას.

მსჯელობა. ერთ-ერთი პირველი მწერალი ქალი, რომელმაც ყურადღების ცენტრში დააყენა ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის საკითხი, გახლდათ ინგლისელი მწერალი და ფილოსოფოსი, მოაზროვნე ქალი - მერი უოლსტონკრაფტი - ქალთა საგანმანათლებლო და სოციალური თანასწორობის დამცველი, რომელიც მოითხოვდა ქალთა სტატუსის გაუმჯობესებას ისეთი პოლიტიკური ცვლილებებით, როგორიცაა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის რადიკალური რეფორმა.

მე-20 საუკუნის ბოლომდე, უოლსტონკრაფტის ცხოვრებას უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე მის ნაწერებს. უოლსტონკრაფტის ადრეულ ნამუშევრებში ყურადღება მთლიანად

ქალთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მათი სწორი მიმართულებით განათლების საკითხებზეა გადატანილი. მერი უოლსტონკრაფტი, რომელიც ქორწინების შემდეგ ცნობილია, როგორც მერი უოლსტონკრაფტი-გოდვინი (1759-1797) საშუალო შესაძლებლობის ოჯახიდან გახლდათ, სადაც 7 ბავშვი იზრდებოდა. ის სახსრები, რაც გააჩნდათ, ოჯახმა მხოლოდ ვაჟის განათლებაზე დახარჯა. მერის და თავის დებს თვითგანათლებაზე მოუხდათ ზრუნვა. ოჯახიდანვე საკუთარ თავზე იწვნია ქალის უსამართლო ბედი. მამა უაზრო ახირებების კაცი იყო და ხშირად აყენებდა ოჯახს, განსაკუთრებით კი, დედას, უხერხულ მდგომარეობაში, როცა ის ნასვამ, უფრო სწორად მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჯერ კიდევ ბავშვი, მერი უოლსტონკრაფტი იძულებული იყო მშობლების საძინებლის წინ დაწოლილიყო, რათა საჭიროების შემთხვევაში, რაც მამის ახირებული ხასიათით გამოიხატებოდა, დაეცვა დედა, რომელშიც ის უსუსურ, მორჩილ და დაუცველ ქალს ხედავდა. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მერიმ საკმაო როლი ითამაშა, რათა მისი ორი და მოძალადე და რთული ხასიათების მქონე მეუღლეების მსხვერპლი არ გამხდარიყო, მოუწოდა მათ დაეტოვებინათ თავიანთი ქმრები, რომლებიც პრობლემებს უფრო ქმნიდნენ ცხოვრებისეული უღლის გაწევის დროს. მერიმ კარგად იცოდა, რომ მისი დები დაგმობილნი და განწირულნი იქნებოდნენ საზოგადოებისაგან, ვეღარ შეძლებდნენ მეორედ ქორწინებას დოგმატური შეხედულებების გამო, მაგრამ ის მზად იყო დედობრივი ზრუნვა გამოეჩინა როგორც მორალური, ასევე ეკონომიკური კუთხითაც კი. ჩვენი აზრით, სწორედ აქ იწვნია ქალის უსამართლო ბედი ქალთა უფლებებისა და განათლებისათვის მებრძოლმა ინგლისელმა მწერალმა ქალმა, რაც შემდეგ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა გუვერნანტად და სკოლაში მუშაობის პერიოდში. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მერის ფიქრები ქალთა განათლების აუცილებლობაზე, რადგან განათლებას მიიჩნევდა იგი ქალთა არც თუ ისე სავალალო მდგომარეობიდან თვითგამორკვევისა და საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის ერთადერთ იარაღად არსებულ დოგმატურ საზოგადოებაში.

მოვიშველიებთ ფოლკნერის სიტყვებს და ჩვენც გავიმეორებთ, რომ მერი უოლსტონკრაფტის შემოქმედება უნდა განვიხილოთ იმ ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში, რომელშიც

მწერალ ქალს სისხლის ფასად უჯდებოდა თითოეული გაბედული სიტყვის თქმა და ქმედება, რომ არა ის და ქალთა მწერლების მთელი პლეადა, რომელთა შემოქმედება დღევანდელი მდგომარეობიდან შეიძლება ღირებულად არც კი ჩაითვალოს, ჩვენი საზოგადოება არ იქნებოდა თავისი განვითარებით იქ, სადაც დღეს ვართ (მანუსი, 1993; 38-39).

მერი უოლსტონკრაფტს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს ქალს აქვს განათლების, შრომის, არჩევნებში ხმის მიცემის, მამაკაცთა გვერდით თანასწორ პირობებში ყოფნის და შრომის უფლება. შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ მერის ნაწარმოებებს აქვს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა, როგორც ქალთა დღევანდელი, ასევე ჩვენი სამომავლო მდგომარეობისათვის.

პირად წერილში მერი თავის მეგობარს წერდა, რომ „მე ქალთა სახეობაში პირველი წევრი ვიქნები, პირველი ქალი, ვინც ინტელექტუალური მუშაობით, სახელდობრ წერით ირჩენს თავს“ (თოდი, 2004; 139). ამ საქმეში უოლსტონკრაფტს ძალიან დაეხმარა ჯოზეპ ჯონსონი, ძალიან ცნობილი ინგლისელი გამომცემელი და მეცენატი. და რომ არა მისი მხარდაჭერა, ალბათ, მერის ნაშრომები ამ რაოდენობით არ გამოქვეყნდებოდა. თავიდან უოლსტონკრაფტი თავს ირჩენდა მხატვრული ლიტერატურის რეცენზიების დაწერით და თარგმნიდა გერმანულიდან ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ნარკვევებს. საკუთარი ტექსტი, რომელიც გამოაქვეყნა, იყო „ფიქრები ქალიშვილების აღზრდის შესახებ“, რომელიც დიდაქტიკური ტრაქტატია და შეიცავს გარკვეულ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ არის უკეთესი საშუალო კლასის ქალიშვილების აღზრდა. ამავე პერიოდში გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი „მერი - გამოგონილი ამბავი“ და ასევე დიდაქტიკური საბავშვო წიგნი „ნამდვილი ამბები რეალური ცხოვრებიდან“. მისი შემოქმედება ძირითადად ეძღვნება ქალებს, მათ პრობლემებს, ურთიერთობებს. იგი არასოდეს ერიდებოდა თავის ნაწერებში ღიად განეხილა ტაბუდადებული თემები. ამიტომ მისი ყოველი ნაწერის გამოსვლას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია. იგი გაცნობისას არავის ტოვებდა გულგრილს. ის უყვარდათ ან სძულდათ (https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/meri-uolstonkraphti-V-I.pdf)

მერი ცნობილია, როგორც ავტორი 1792 წელს გამოქვეყნებული კლასიკური ნაშრომისა - „ქალის უფლებების დაცვა“ („Vindication of The Rights of Woman“), რომელშიც მყარ ეთნიკურ სისტემაზე დაყრდნობით მოყვანილი იყო არგუმენტირებული მსჯელობა ქალთა ემანსიპაციის საკითხზე. მერი უოლსტონკრაფტი ნაშრომში უპირისპირდება გაბატონებულ იდეოლოგიას ქალთა ინტელექტუალური არასრულფასოვნების შესახებ. იგი იყო პირველი ინგლისელი მწერალი ქალი, რომელმაც იქადაგა ეგალიტარიზმი, როგორც იდეოლოგია და ეჭვქვეშ დააყენა გაბატონებულ მეფეთა და ქალთა თანდაყოლილი ღვთაებრივი უფლებები. "I build my belief on the perfection of God"(ჰაგელმანი, 1967 ; 94), - თამამად აცხადებს იგი ნაშრომში.

ნაწარმოებში „მამაკაცის უფლებების დაცვა და ქალთა უფლებების დაცვა“ („Vindication of the Rights of Man and Vindication of the Rights of Woman“) ის ილაშქრებს „მემკვიდრეობით მიღებული არისტროკატიის“ წინააღმდეგ და უპირატესობას გონებასა და განათლებას ანიჭებს. (ჰაგელმანი,1967; 63).

იგი აცხადებს, რომ ემანსპირებულ ქალს იგივე ასპარეზი რომ მიეცეს და შესაძლებლობები, რაც კაცს დაბადებიდან ენიჭება, ისიც ისევე გამოიყენებდა თავის შესაძლებლობებს და დაჩაგრავდა მამაკაცს, რათა მისთვის ის ტკივილი მიეყენებინა, რასაც ემანსპირებული ქალი განიცდის.

"Consider whether, when men contend for their freedom, and to be allowed to judge for themselves respecting their own happiness, it be not inconsi-tent and unjust to subjugate women, even though you firmly believe that you are acting in the manner best calculated to promote their happiness? Who made man the exclusive judge, if woman partake with him the gift of reason?" (ჰაგელმანი, 1967;87)

მაშინ, როცა მამაკაცები იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისათვის და თავად განსაზღვრავენ ბედნიერებას, განა არ არის უსამართლობა ქალის მათი მორჩილების ქვეშ ყოფნა, თუნდაც თითოეული ქმედება, თქვენი აზრით იყოს საუკეთესოდ გათვლილი ქალის ბედნიერებისათვის. ვინ აქცია კაცი ექსკლუზიურ მოსამართლედ, თუ ქალი მასთან ერთად გონიერების საჩუქარია? მერი თვლიდა, რომ „ბუნებას, უფრო ზუსტად - ღმერთს, უდიდესი კეთილშობილური ბუნებით ჰქონდა და ჰყავდა შექმნილი ყველა და ყველაფერი. თუმცა კაცმა აურია ყველაფერი თავისი ძალისა და

უპირატესობის დასამტკიცებლად“. მწერალ ქალს ღმერთის მიერ შექმნილი კანონზომიერების აღდგენა შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ და მხოლოდ გონებისა და განათლების გამოყენებით.

"Nature, or to speak with strict propriety, God, has made all things right; but man has sought him out many inventions to mar the work" (ჰაგელმანი,1967;34).

თანასწორობის კონცეფია იყო, მონობისა და მორჩილების კრიტიკოსის, მთავარი წერის თემატიკა.

„ჭეშმარიტება, თუ მე ამ სიტყვის მნიშვნელობა მესმის, კაცისთვის და ქალისთვის ერთი და იგივე უნდა იყოს; ფანტასტიკური ქალური ხასიათი კი, ასე ლამაზად რომ გვიხატავენ პოეტები და მწერლები, მსხვერპლად მოითხოვს ჭეშმარიტებას და გულწრფელობას. სათნოება ფარდობითი ცნება ხდება, რომელსაც, სარგებლიანობის გარდა, არავითარი სხვა საფუძველი არ გააჩნია; ხოლო მამაკაცებს აქვთ პრეტენზია, თვითნებურად იმსჯელონ და საკუთარ მოხერხებულობას მოარგონ ეს სარგებლიანობა“ (გოდვინი 1972, 47). ის მკაცრად დაუპირისპირდა გაბატონებულ იდეოლოგიას ქალების არასრულფასოვნებაზე. მას სწამდა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისის ქალთა სკოლებში მიღებული განათლება მათივე დამონებას ემსახურებოდა, ქალს ასწვლიდნენ ქცევის წესებს, ხელობას, მუსიკას, ცეკვას, ანუ მხოლოდ იმას, რაც სასიამოვნო გარემოს შექმნას ემსახურებოდა მეუღლისათვის თანაცხოვრების პერიოდში, რადგან ისტორია, ფილოსოფია და ლიტერატურა ითვლებოდა საგნებად, რომლის აღქმა ქალის გონებისათვის მიუწვდომელი იყო. მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა დაიმორჩილეს ქალები, უარყვეს მათი განვითარების შესაძლებლობა, მსჯელობის უნარი. ამიტომ, მერი უოლსტონკრაფტს განათლების სისტემაში რადიკალური ცვლილებები მიაჩნდა ქალის უფლებების აღდგენის მთავარ და აუცილებელ ფაქტორად. მეგობრებთან ურთიერთობა, სხვადასხვა ასოციაციებთან თანამშრომლობა და საკუთარი პიროვნული გამოცდილება გზას უხსნიდა და უფართოებდა ცოდნის არეალს, რათა მას ჩამოეყალიბებინა სამუშაო გეგმა ქალთა სწორი მიმართულებით განვითარებისაკენ. ის ითხოვდა ქალთა და ვაჟთა სასწავლებლის გაერთიანებას, რათა ორივე სქესის წარმომადგენელს გვერდიგვერდ, თანაბარ პირობებში,

ერთი და იგივე საგნები თუ საკითხები ესწავლათ და ერთნაირად შეეცნოთ სამყარო.

მერი უოლსტონკრაფტმა შეხედულებები და პრინციპები განათლების შესახებ ჩამოაყალიბა შემდეგ ნაწერებში:

- „ფიქრები ქალიშვილთა განათლების შესახებ“ (1787), (Thoughts on the Education of daughters;
- „ქალის უფლებების დაცვა“ (1792),(Vindication of the Rights of Woman);
- „მერი (მხატვრული ნაწარმოები)“ (1788)(Mary,a fiction);
- „მარია ან ქალის შეცდომები“ (1798).(Maria or The Wrongs of a Woman).

თითქმის ყველა მათგანში ის ავითარებს შემდეგ აზრს, რომ აუცილებელია რევოლუციის მოხდენა ქალური მანერების აღქმასთან დაკავშირებით, რათა მათ დაუბრუნდეთ დაკარგული ღირსება და გადაიქცნენ ადამიანთა სახეობის სრულფასოვან ნაწილად, მათი გარდაქმნისა და განათლებისათვის მუშაობა და ძალისხმევა აუცილებელია მსოფლიოში განსახორციელებელი რეფორმების ჩასატარებლად:

"It is time to effect a revolution in female manners time to restore to them their lost dignity - and make them, as a part of the human species, labour by reforming themselves to reform the world."(ჰაგელმანი, 1967;132).

მას სწამდა, რომ თუ ქალები ვერ მოიპოვებდნენ თავისუფლებას, ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებელ აზროვნებას და მათი სურვილები აგებული იქნებოდა სხვათა სურვილებზე, დამოუკიდებელი ქმედებების არქონა ცუდ შედეგს გამოიღებდა დაქვრივებისა და განქორწინების შემთხვევაში. მხატვრული ნაწარმოებები „მარია“ და „მარია ან ქალის შეცდომები“ მას დაწერილი აქვს საშუალო ფენიდან გამოსული ქალებისათვის, რომლებსაც იგი არასრულფასოვან არსებებად („the half-beings“) მოიხსენიებს. მას სურს ქალებს დაანახოს ის მძიმე ეფექტი, რაც შეიძლება ცუდ, არასწორ აღზრდას მოჰყვეს. იგი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებებს და აღწერს სოციალურ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უსამართლობას, რომელსაც ქალები განიცდიდნენ. საუბრობს იმ სავალალო და საბედისწერო შედეგებზე, რაც არაადეკვატურ განათლებას მოაქვს. ორივე ნაწარმოებში წარმოდგენილია უბედური

ქალების სახეები, რომლებიც ძალიან გვიან, ნელა, მაგრამ მაინც აანალიზებენ თავიანთი უბედურების მთავარ მიზეზს.

რომანი "მარია ან ქალის შეცდომები"(Maria or The Wrongs of a Woman) მერის მეუღლემ, უილიამ გოდვინმა გამოაქვეყნა მისი სიკვდილის შემდეგ 1798 წელს. ნაწარმოები ხშირად განიხილება, როგორც მისი ყველაზე რადიკალური ფემინისტური ნაშრომი (ქინსლი,1980; 18).

უოლსტონკრაფტის ფილოსოფიური და გოთური რომანი ტრიალებს ქმრის მიერ საგიჟეთში დატყვევებული ქალის ისტორიის გარშემო. ნაწარმოებში მერი უოლსტონკრაფტი აკრიტიკებს მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანეთის ქორწინების ინსტიტუტსა და იურიდიულ სისტემას, რომელიც იცავდა მას. ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია და ძალიან ბევრი დეტალი მერი უოლსტონკრაფტს საკუთარი ცხოვრებიდან აქვს აღებული, თუმცა ეს კვლევის ცალკე საკითხია. ნაწარმოებში მერი ქალებისადმი მამაკაცების მონური დამოკიდებულების წინააღმდეგ მრისხანე და ხმალამოღებულ მებრძოლ ქალად გვევლინება. რომანი გამოქვეყნებისთანავე არ მიიღო საზოგადოებამ და იგი არაპოპულარული გახდა, თუმცა ნაწარმოებისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინეს მეოცე საუკუნის ფემინისტმა კრიტიკოსებმა და იგი ხშირად განიხილება როგორც ქალების უფლებების, მათი უკეთესი, თავისუფალი ცხოვრებისათვის გამოსაფხიზლებლად დაწერილი ნაწარმოები.

ქალთა განათლების საკითხებს ეხება ნაწარმოები „ფიქრები ქალიშვილის განათლებაზე" („Thoughts On the Education of Daughters"), რომელშიც იგრძნობა ფემინისტი ქალის დიდი სურვილი, იზრუნოს თავისი სქესის წარმომადგენელთა განათლებაზე, ის იძლევა რჩევა-რეკომენდაციას ქალიშვილთა აღზრდისა და განათლების შესახებ, რომელსაც ქალთა სკოლაში მიღებულ, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იყენებს. ის ხაზს უსვამს რადიკალურ მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია აღზრდის დროს.

მერი უოლსტონკრაფტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ძუძუთი კვებას „Mother ought to suckle her child", ის ასევე საუბრობს დედის როლზე შვილის გონების განვითარებაში და ურჩევს დედებს, შეეცადონ, თავიანთ შვილებს ასწავლონ მათი იდეების კომბინირება, რადგან მათთვის უფრო სასარგებლო იქნება შეადარონ და გაანალიზონ მსგავსებისა და განსხვავებების არსი, რადგან ფიქრი

აუცილებელია თითოეული ინდივიდისათვის, როგორც გონების მეტად სერიოზული ვარჯიში:

"Above all, try to teach them to combine their ideas. It is of more use than can be

conceived, for a child to learn to compare things that are similar in

some respects, and different in others. I wish them to be taught to think-thinking , indeed, is a severe exercise" (უოლსტონკრაფტი, 1787; 22-25)

ქალიშვილების აღზრდისას, მერი უოლსტონკრაფტის აზრით, მთავარია მოპყრობა და მათ მიმართ დამოკიდებულება. პირველ რიგში, ისინი უნდა ჩათვლილიყვნენ პიროვნებებად და არა ნივთებად. მწერალი ქალი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქალების ინტელექტუალური გამოფხიზლების აუცილებლობას.

მერი უოლსტონკრაფტის პერიოდში თითოეული მისი ნათქვამი ან მოწოდებული რჩევა აღიქმებოდა ექსტრემისტულად, თუმცა დღეს, 200 წლის შემდეგ, ისინი ეხმიანებიან ჩვენი განათლების მეთოდებს. მრავალრიცხოვანი ჩამონათვალიდან მოვიყვანთ რამდენიმე მეთოდს, რომელზეც საუბარია ნაწარმოებში „ქალთა განათლების შესახებ“

- წაახალისეთ ბავშვები, რათა მათ თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დასვან კითხვები მათთვის საჭირო საკითხებზე.
- სხვადასხვა ისტორიების მოყოლოთ ასწავლეთ ბავშვს, სწორად ჩამოაყალიბოს თავისი აზრი.
- აღზრდის დროს განუვითარეთ მათ წერისა და ხატვის, ხელოვნების ინტერესი და ა შ.

მერი უოლსტონკრაფტი აკრიტიკებდა მე-18 საუკუნის სკოლის საგანმანათლებლო სისტემას. იგი მასწავლებლებს „პედანტ ტირანებად“ მოიხსენიებდა, მათი აპათიური, უგულო დამოკიდებულების გამო აღსაზრდელებისადმი, რომლებიც ამბობდნენ, რომ ისინი თავის მოვალეობას ასრულებდნენ, მაგრამ ვერ ხედავდნენ როგორ ანადგურებდნენ მორალურად უმრავლესობას. მეთვრამეტე საუკუნის სკოლები, მისი აზრით, იყო ის ადგილები, სადაც მხოლოდ ცუდ მანერებს ითვისებდნენ მოსწავლეები, სადაც მათი ფიზიკური და ინტელექტუალური ზრდა ფერხდებოდა.

მისი შემოქმედების ერთ-ერთ დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ის არა მარტო აკრიტიკებდა, არამედ გამოსავალსაც სთავაზობდა თავის თანამედროვე საზოგადოებას. მან

შექმნა სკოლის მოდელი, რომელიც საკმაოდ წინგადადგმულ ნაბიჯს და სიახლეს წარმოადგენდა, რომლის მიზანიც იყო კარგი მოქალაქეების ფიზიკური და გონებრივი აღზრდა, რომელიც დამყარებული იქნებოდა ქალთა და ვაჟთა თანასწორობის პრინციპზე. სკოლა, სადაც ერთად, გვერდიგვერდ ჰარმონიულ, დისციპლინირებულ გარემოში ისწავლიდნენ ქალები და ვაჟები, სკოლა, რომელსაც ერთი და იგივე მოთხოვნები ექნებოდა თითოეულ მოსწავლეზე, სკოლა, რომელსაც ექნებოდა სათამაშო მოედანი ბავშვთა ფიზიკური გაჯანსაღებისათვის და წამახალისებელი ღონისძიებები. ფიზიკურ კულტურას ადგილი უნდა დაეკავებინა წამყვანი დისციპლინების გვერდით და ა. შ.

მოვიყვანთ მაგალითს მისივე ნაწარმოებიდან „ქალთა განათლების შესახებ“ (Thoughts On the Education of Daughters“):

„წარმოვიდგინოთ მისაღები აზროვნების ქალი, რომლის სხეულიც გაძლიერებულია ვარჯიშით; ამავე დროს, მისი გონება თანდათან ვითარდება იმისათვის, რომ გააცნობიეროს ცხოვრების მორალური მოვალეობები და გაიგოს, რაში მდგომარეობს ადამიანის სათნოება და ღირსება. ასეთი ქალი თავისი ვალდებულებების აღსრულებაში ჩამოყალიბულია და იგი სიყვარულით დაქორწინდება, თუმცა კეთილგონიერებას არ დაკარგავს და ოჯახური ბედნიერების მიღმაც იხედება. მას ქმარი პატივს სცემს ისე, რომ არ სჭირდება ეშმაკურ ხერხებს მიმართოს... მაგრამ ბედისწერა ამ კავშირს არღვევს, ქალი ქვრივდება და შეიძლება მატერიალური უზრუნველყოფის გარეშეც რჩება, მაგრამ ის არ არის უსუსური, ბედის სიმუხთლე მტკივნეულია; მაგრამ მას შემდეგ, რაც დროის დინება მწუხარებას მელანქოლიურ სევდად გარდაქმნის, მისი გული გაორმაგებული სიყვარულით მიუბრუნდება შვილებს და მათი უზრუნველყოფისათვის ზრუნვა და სიყვარული საკრალურ-ჰეროიკულ იერს აძლევს მის დედობრივ მოვალეობებს... (გოდვინი, 1972; 32-33)

ფეხმძიმე ქალის, ჩვილის მოვლა პატრონობის, აბორტის და სხვა მრავალი საჭირბოროტო თემატიკაც არ გამოპარვია მერი უოლსტონკრაფტს მხედველობიდან. თითოეული საკითხის კვლევა დამოუკიდებელ ცალკე ნაშრომად შეიძლება განვიხილოთ სამომავლოდ, რადგან ერთი კვლევის ფარგლებში ძნელია შევეხოთ ყველა საკითხს, რომელსაც მერი ავითარებს თავის არც თუ ისე

რაოდენობრივად მცირე ნაშრომებსა თუ ნაწარმოებებში. მისი თითოეული ნაწარმოები სხვადასხვა კუთხით შეგვიძლია განვიხილოთ, თუმცა ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ზოგადი წარმოდგენის შექმნა მერი უოლსტონკრაფტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მისი შემოქმედების ძირითადი და მნიშვნელოვანი თემატიკის, ქალთა უფლებებისა და ქალთა განათლების საკითხების წინ წამოწევა და მწერლის ხედვის გაანალიზება. მინდა აღვნიშნო, რომ მას შექმნილი აქვს მცირე ზომის ესეები, მიძღვნილი სხვადასხვა საკითხისადმი, რომლის წინაშეც, მწერლის აზრით, შეიძლებოდა დამდგარიყო მეთვრამეტე საუკუნის ქალი, როგორიცაა მაგ. ესეებში: „ძუძუთი კვება“, „მორალური დისციპლინა“, „საგარეო მიღწევები, რომელიც ნამდვილ განათლებასა და დამოუკიდებლობას უსვამდა ხაზს“, „ხელოვნური მანერები“, „ჩაცმულობა“, „ხელოვნება და ხატვა“, „კითხვა“, „პანსიონატი", „ხასიათი“, „ქალთა სავალალო მდგომარეობა“, „მოდური განათლება და ბედის გარეშე დარჩენა“ „სიყვარული“, „ქორწინება“, „სასოწარკვეთილი ფიქრები (ავადმყოფობასა და სიკვდილზე)“, „იმედგაცრუება“, „მოსამსახურეების მოპყრობა“. მერი უოლსტონკრაფტი აძლევდა რჩევა-დარიგებას და რეკომენდაციას ქალებს, მოუწოდებდა განათლებისაკენ და მათ სამომავლო თავისუფალი ცხოვრებისათვის ამზადებდა. მისი აზრით, განათლებული ადამიანი უკვე არის ღირსეული პიროვნება, რომელიც აანალიზებს თავის უფლებებს და არ ეშინია დაუპირისპირდეს მოძველებული აზროვნების საზოგადოებას, რომელსაც შეუძლია ნივთივით მოექცეს ქალს. განათლებული ქალის უპირატესობას წარმოადგენს იქორწინოს თავისი სიყვარულით და არა მშობლებისა ან გამდიდრების სურვილით. განათლებული ქალი პატივისცემას მეტად მოიპოვებს თავისი მეუღლისაგან, ის იქნება შვილების დამცველი ძლიერი დედა, ის უფრო კარგად, გონივრულად გაუძღვება ოჯახს და არც დაქვრივების შემდეგ ექნება ცხოვრების შიში. ის იქნება დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ წარმართავს მის საქმეებს და სანაცვლოდ ის მოიპოვებს სიყვარულს, პატივისცემას. ძლიერი ქალი გაზრდის ძლიერ შვილებს და იგი სამაგალითო და მისაბაძი იქნება თავისი შვილებისა და ახლობელი ადამიანებისათვის.

დასკვნები და შედეგები. ამგვარად, უოლსტოუნკრაფტის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მიზანს ქალის ადგილის პოვნა წარმოადგენდა საზოგადოებაში, მას ქალთა უუფლებო მდგომარეობის ძირითად საფუძვლად მამაკაცი მიაჩნია. ის თავისი დაწვრილებითი აღწერილობით, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ პლანში აღწერილ შემოქმედებით ნაშრომებში ცდილობს გამოაფხიზლოს ქალები, სახავს მათ განათლებას როგორც ბრძოლის მთავარ იარაღს და მათ მოუწოდებს თავიანთი უფლებების დასაცავად და „მორჩილი“ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საკუთარი ქმედებებით, ცოდნით, გონებით და ფიზიკური სიძლიერით.

გამოყენებული ლიტერატურა:

თოდი...2004: Janet Todd, The Collected Letters of Mary Wollstonecraft, Columbia University Press.

მანუს..., 1993: Alice L. Manus, Visions of Mary Wollstonecraft: Implications for Education,Texas A&M University.

ჰაგელმანი...1967: Charles W. Hagelman,Wollstonecraft Mary, A VINDICATION OF THE RIGHTS OF WOMAN; With strictures on political and moral subjects. NY: Norton, (edited with introduction, chronology and bibliography, by Charles W. Hagelman Jr. [Norton Library] Fifth printing.

უოლსტონკრაფტი... 1787: Mary Wollstonecraft Godwin, Thoughts on the Education of Daughters, (Reprinted 1972, Clifton, NJ: Augustus M. Kelley Publishers. First Edition 1787, Printed for J. Johnson, no.72, St. Paul's Churchyard).

ქინსლი... 1980: Edited by James Kinsley and Gary Kelly,Wollstonecraft Mary, MARY and THE WRONGS OF WOMAN; Oxford: Oxford University.

https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/meri-uolstonkraphti-V-I.pdf

ირინა ჯიშკარიანი
ფილოლოგიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ახალციხე,
irinajishkariani@mail.ru, 557 59 27 97

ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედება საქართველოში (ეძღვნება მწერლის დაბადებიდან 200 წლისთავს)

მოკლე შინაარსი

სტატია ეძღვნება დიდი რუსი მწერლის ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედებას, რომლის 200 წლის იუბილე 2021 წლის 11 ნოემბერს აღინიშნა. სტატიაში აქცენტი კეთდება დოსტოევსკის შემოქმედებისადმი ინტერესზე საქართველოში, მისი ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნაზე და ქართულ სცენაზე მათ გადატანაზე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ დოსტოევსკის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაიწყო, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედებას მის სამშობლოში სიცოცხლეშივე არ მიუღია დიდი აღიარება. მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ იგი მიიჩნიეს რუსული რეალიზმის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად. ალბათ, ამიტომაც საქართველოში დოსტოევსკის მოღვაწეობის შესწავლა და მისი ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა მეოცე საუკუნის შუა ხანებით თარიღდება.

სტატიაში მოცემულია დოსტოევსკის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, წარმოდგენილი არიან ის მთარგმნელები, რომლებმაც თავისი საქმიანობა დოსტოევსკის შემოქმედებას მიუძღვნეს.

საკვანძო სიტყვები: დოსტოევსკი, თარგმანები, „დანაშაული და სასჯელი“, „ძმები კარამაზოვები“, „იდიოტი“, „ეშმაკნი“, „მოთამაშე“, „ჩანაწერები მიწისქვეშეთიდან“.

Irina Jishkariani
Doctor of philology, Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
irinajishkariani@mail.ru, 557 59 27 97

THE WORK OF FYODOR DOSTOYEVSKY IN GEORGIA
(dedicated to the 200th anniversary of the writer's birth)

Abstract

The article is dedicated to the work of the great Russian writer Fyodor Dostoevsky, whose 200th anniversary is celebrated on November 11 this year. The article focuses on Dostoevsky's interest in Georgia, his translation of his works into Georgian and their transfer to the Georgian stage.

The article notes that the translation of Dostoevsky's works into Georgian began only during the Soviet period, which is due to the fact that Fyodor Dostoevsky's work did not receive much recognition during his lifetime in his homeland. Only after the author's death was he considered one of the best representatives of Russian realism. Probably that is why the study of Dostoevsky's work in Georgia and the translation of his works into Georgian dates back to the middle of the twentieth century.

The article provides a brief overview of the history of translation of Dostoevsky's works into Georgian, presents the translators who have dedicated their work to Dostoevsky's work.

Key Words: Dostoevsky, translations, "Crime and Punishment", "The Brothers Karamazov", "The Idiot", "Demons", "The Gambler", "Notes From Underground".

მეთოდი: სტატიაში გამოყენებულია აღწერითი მეთოდი: შეგროვებული, დამუშავებული და გაანალიზებულია ინფორმაცია დოსტოევსკის შემოქმედების შესწავლის, მისი ნაწარმოებების თხზულებათა ქართულად თარგმნის შესახებ.

შესავალი: 11 ნოემბერს მსოფლიოში ერთ-ერთი თვალსაჩინო რუსი მწერლის დაბადების დღე აღინიშნა. ეს მწერალი ფიოდორ დოსტოევსკია, აღიარებული, როგორც რუსული ლიტერატურის

კლასიკოსი და მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი საუკეთესო რომანისტი, ფსიქოლოგიური რომანის დიდოსტატი, ავტორი რომანებისა „დანაშაული და სასჯელი“, „ძმები კარამაზოვები“, „იდიოტი“, „ეშმაკნი“, „მოთამაშე“, „ჩანაწერები მიწისქვეშეთიდან“ და სხვ., იგი კარგად არის ცნობილი ყველა განათლებული ადამიანისთვის. მისმა შემოქმედებამ გავლენა იქონია მსოფლიო ლიტერატურაზე, ფრიდრიხ ნიცშესა და ჟან-პოლ სარტრის, ალბერ კამიუს, თომას მანის და სხვათა შემოქმედებაზე. იგი არის თვალსაჩინო მწერალი, რომელმაც მიიღო დიდი მსოფლიო აღიარება... საზღვარგარეთ, ადამიანები საგანგებოდ სწავლობენ რუსულ ენას, რათა წაიკითხონ მისი ნაწარმოებები ორიგინალში.

დოსტოევსკის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები იყო პეტრაშეველების საიდუმლო რევოლუციურ წრეში ყოფნის გამო დაპატიმრება, სასიკვდილო ბოძთან თვალებახვეული დგომა დახვრეტის მოლოდინში, რაც უმძიმეს დაღად დააჩნდა მის ჯანმრთელობას და ფსიქიკას და შედეგად ეპილეფსიით დასნეულდა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტანჯავდა მას.

მსჯელობა: როგორც პროფესორი გიორგი ტალიაშვილი აღნიშნავს წიგნში „რუსული ლიტერატურის ისტორია“, „დოსტოევსკის თხზულებათა ქართულად თარგმნა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაიწყო“ (გ. ტალიაშვილი, ვ. შადური. 1976: 419). შეიძლება ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედებამ მის სამშობლოში სიცოცხლეშივე არ ჰპოვა სათანადო აღიარება. მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ იგი მიიჩნიეს რუსული რეალიზმის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად. ალბათ, ამიტომაც საქართველოში დოსტოევსკის მოღვაწეობის შესწავლა და მისი ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

ქართულ ენაზე დოსტოევსკის ნაწარმოებების თარგმნა მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით XX საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო, კერძოდ, 1956 წელს გამოვიდა რომანი **„საწყალი ადამიანები“** (მთარგმნ: მ. ბაკურაძე, თბ., გამომცემლობა „სახელგამში“). 1958 წელს კი რომანი **„დანაშაული და სასჯელი“** (მთარგმ. ივანე და ანა ახალშენიშვილებისა, ნ. ანანიაშვილის და ა. გაწერელიას რედაქტორობით, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

XX საუკუნის 60-იან წლებში ითარგმნა და გამოიცა დოსტოევსკის შემდეგი ნაწარმოებები:

„დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ (მთარგმ. ნინო ქუჩუკაშვილი. თბ.: „ნაკადული“, 1960),

„ეშმაკნი“ (მთარგმ. რ. ქებულაძე ; თ. ევნესის ბოლოსიტყვაობა, თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967),

„იდიოტი“ (მთარგმ: რ. ქებულაძე. თბ.: „საბჭოთა საქართველო, 1965),

„მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (მთარგმ. ა. ნაგებაშვილი, თ. ჩხაიძე. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965),

„ყმაწვილი“ (მთარგმ. ც. ჩხეიძე. თბ., „ნაკადული“, 1962),

„ყმაწვილი“ (მთარგმ. ც. ჩხეიძე. თბ., „მერანი“, 1967),

„დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ (მთარგმ. ნინო ქუჩუკაშვილი. თბ., „ნაკადული“, 1960),

„ნამუსიანი ქურდი: უცნობის ჩანაწერებიდან“ (მთარგმ. თ. კოპლატაძე, კ. ქილარჯიანი; კ. ლორთქიფანიძის რედ., თბ., „ნაკადული“, 1966).

ფ. დოსტოევსკის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა 70-90-იან წლებშიც გაგრძელდა, კერძოდ, *70-იან წლებში* გამოიცა:

„თეთრი ღამეები“ (მთარგმ. აკ. ბრეგაძე. თბ., „ნაკადული“, 1971),

„თეთრი ღამეები“; „მემორინე“ (რომანები); **„მარადი ქმარი“** (მოთხრობა) (მთარგმ. ა. ნაგებაშვილი და თ. ჩხაიძე. თბ., „მერანი“, 1973);

„მოთხრობები“ (მთარგმ. და რედ. თ. ბუაჩიძე, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973),

„ორეული“ (მთარგმ. გ. ციცქიშვილი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974).

„დანაშაული და სასჯელი“ (მთარგმ. ივანე და ანა ახალშენიშვილები; წინასიტყვ., შენიშვ. და კომენტ. თ. ბუაჩიძისა. თბ., საბჭოთა საქართველო, 1977).

80-იან წლებში:

„მოთამაშე“. მოთხრობები (მთარგმ. რ. ქებულაძე, პ. წერეთელი).თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984).

„ორეული“. „მარადი ქმარი“. (მთარგმ. ზ. კიკნაძე. თბ., „განათლება“, 1985).

„იდიოტი“ (მთარგმ. რ. ქებულაძე. თბ., „მერანი“, 1987).

„მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (მთარგმ. ა. ნაგებაშვილი. ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, 1987).

„მოთხრობები“ - ალექსანდრე პუშკინი. „თეთრი ღამეები“ - თედორე დოსტოევსკი. „ლიკა“ - ივანე ბუნინი ; (მთარგმნ.: აკაკი ბრეგაძე. თბ., „ნაკადული“, 1987).

„ეშმაკნი“ (მთარგმ. რ. ქებულაძე.თბ. „საბჭოთა საქართველო), 1990).

როგორც მოცემული მასალებიდან ჩანს, ამ წლებში დოსტოევსკის ნაწარმოებების თარგმნაზე ძირითადად მუშაობდნენ ივ. და ა. ახალშენიშვილები, რ. ქებულაძე, აკ. ბრეგაძე, გ. ციცქიშვილი, ა. ნაგებაშვილი, ზ. ბრეგაძე, თ. ბუაჩიძე, ც. ჩხეიძე, მ. ბაკურაძე და სხვ.

დოსტოევსკის ნაწარმოებების თარგმნაზე მუშაობა XXI საუკუნეშიც გაგრძელდა. ქართულ ენაზე იბეჭდებოდა, როგორც უკვე დასახელებულ მთარგმნელთა თარგმანები, ასევე მთარგმნელთა ახალი პლეადის წარმომადგენლებისა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ პაატა ჩხეიძე, გივი კიკილაშვილი, ხათუნა ნონიაშვილი, თინათინ დიდებულიძე, თენგიზ ჩხაიძე, ვაჟა ახალაძე, მზია გელაშვილი და ანა აბულაშვილი და სხვ. კერძოდ, XXI საუკუნეში ხელმეორედ გამოქვეყნდა XX საუკუნეში მოღვაწე მთარგმნელთა მიერ თარგმნილი დოსტოევსკის შემდეგი ნაწარმოებები:

2010 წელს:

„იდიოტი“ (მთარგმ.რ. ქებულაძე. თბ., „საქართველოს მაცნე“).

2011 წელს:

„დანაშაული და სასჯელი“ (მთარგმ. ივანე და ანა ახალშენიშვილები. თბ., „საქართველოს მაცნე“).

„მოთხრობები“ („თვინიერი“. „ფანტასტიკური მოთხრობა“. „უგვანო ანეკდოტი“. „ბატონი პროხარჩინი“, „პოლზუნკოვი“, „საშობაო მოთხრობა“). (მთარგმ. რ. ქებულაძე, პ. წერეთელი. „ლიტერასი“).

2013 წელს:

„იდიოტი“ (მთარგმ. რ ქებულაძე; მხატვ. სპარტაკ ცინცაძე.თბ. „საქართველოს მაცნე“.

„ეშმაკნი“, ტომი 1 (მთარგმ. რ. ქებულაძე; წინასიტყვ. ირაკლი ლომოური. თბ., „პალიტრა L“.

„ეშმაკნი“, ტომი 2 (მთარგმ. რ. ქებულაძე; წინასიტყვ. ირაკლი ლომოური. თბ., „პალიტრა L“.

2914 წელს:

„მოთამაშე“ (მთარგმ. რ. ქებულაძე . თბ., „პალიტრა L“)

2016 წელს:

„ნეტოჩკა ნეზვანოვა“. (მთარგმ. მარიამ ბაკურაძე, თბ., „ოჩო-პინტრე“)

„დანაშაული და სასჯელი“. წგ. 1 (მთარგმ. ივანე და ანა ახალშენიშვილები. რედ. ეკატერინე ჭკადუა. თბ., „პალიტრა L“).

„მოთამაშე“ (ყვაწვილკაცის ჩანაწერები) (მთარგმ. რ. ქებულაძე . რედ. ელენე სალარიძე. თბ., „პალიტრა L“)

„დანაშაული და სასჯელი“. წგ. 2 (მთარგმ. ივანე და ანა ახალშენიშვილები. რედ. ეკატერინე ჭკადუა. თბ., „პალიტრა L“).

„იდიოტი“. 2 წიგნად. ტ. 1 (მთარგმ. რ ქებულაძე ; რედ. ნუცა დუმბაძე. თბ. „პალიტრა L“)

„იდიოტი“. 2 წიგნად. ტ. 2 (მთარგმ. რ ქებულაძე ; რედ. ნუცა დუმბაძე. თბ. „პალიტრა L“)

„**დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“** (მთარგმ. ნინო ქუჩუკაშვილი. რედაქტორი ციალა ძიმისტარიშვილი. თბ., „საქართველოს მაცნე“, 2016),

2017 წელს:

„დანაშაული და სასჯელი“ (მთარგმ. ივ. და ა. ახალშენიშვილები; მთ. რედაქტორი მ. ალუდაური .თბ., „პალიტრა L“)

2018 წელს:

„მოთამაშე“ (მთარგმ. რ. ქებულაძე . თბ., „პალიტრა L“)

2019 წელს:

„იდიოტი“ (მთარგმ. რ. ქებულაძე. თბ., „პალიტრა L“)

„მარადი ქმარი“ (მთარგმ. ზ. კიკნაძე. თბ., „პალიტრა L“)

2000-იანი წლებში მუშაობა დოსტოევსკის ნაწარმოებების ახალ თარგმანებზე და მათ პუბლიკაციებზე გრძელდება. ამ წლებში იბეჭდება პაატა ჩხეიძის, ხათუნა ნონიაშვილის, თინათინ დიდებულიძის, თენგიზ ჩხაიძის, გივი კიკალიშვილის, ვაჟა ახალაძის, ზაალ ჯიბუტის, მზია გელაშვილის, ანა აბულაშვილის, ირაკლი ბრაჭულის და სხვ. მიერ თარგმნილი დოსტოევსკის ნაწარმოებები. კერძოდ:

„ძმები კარამაზოვები“ (მთარგმ. გივი კიკილაშვილი, რედ. ლამარა კიკილაშვილი.თბ., „მხატვრული ლიტერატურა“, 2010).

„მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (მთარგმ. ხათუნა ნონიაშვილმა, თინათინ დიდებულიძე, თბ., „ელფი“, 2011).

„მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (მთარგმ. თ. ჩხაიძე, თბ., „საქართველოს მაცნე“, 2011).

„ძმები კარამაზოვები“. რომანი 2 ტომად. ტ. 2 (მთარგმ. ვაჟა ახალაძე. მთ. რედ. ნ. ნაცვლიშვილი, რედ. გ. ლობჟანიძე. თბ., «ლაბირინთი“, 2011) ;

„ძმები კარამაზოვები“. რომანი ოთხ ნაწილად ეპილოგით. ტ. 1 (მთარგმ. მზია გელაშვილი, ანა აბულაშვილი. თბ., „პალიტრა L“, 2011)

„ძმები კარამაზოვები“. რომანი ოთხ ნაწილად ეპილოგით. ტ. 2 (მთარგმ. მზია გელაშვილი, ანა აბულაშვილი. თბ., „პალიტრა L“, 2012)

„ბიბიას სიზმარი“ (მთარგმ. ვაჟა ახალაძე. თბ., „ლაბირინთი“, 2012).

„ჩანაწერები ცოლის გარდაცვალების დღეს“ (თარგმნა, შენიშვნ. და კომენტ. ირაკლი ბრაჭულის; სამეცნ. რედ. დავით გოცირიძე. თბ., „მერიდიანი“, 2013).

„თეთრი ღამეები“ (მთარგმ. მაია ჩოლოყაშვილი. თბ., „თბილისი“, 2013).

„იატაკქვეშეთის ჩანაწერები“ (მთარგმ. გივი კიკილაშვილი, „ოჩოპინტრე“, თბ., 2013)

2 რომანი : „თეთრი ღამეები“. „მარადი ქმარი“ (მთარგმ. თ. ჩხაიძე ; რედ. ირმა ჩინჩალაძე. თბ., „არტანუჯი“, 2014)

რუსული კლასიკა: რუსული კლასიკური ლიტერატურის კრებული. წ. 1, დოსტოევსკი. კუპრინი. ტოლსტოი. ჩეხოვი. ბუნინი (შინაარსი: - **„ნაძვის ხე და ქორწილი“** - ფ. დოსტოევსკი. **„ჯალათი“** - ალ. კუპრინი. **„დამდგარი დრო“** - ლევ ტოლსტოი. „შობის დღესასწაულზე“. **„ხევში“** - ანტონ ჩეხოვი). (მთარგმ. ზაალ ჯიბუტი, გურამ გოგიაშვილი; რედ. გვანცა ლიპარტელიანი. თბ., „აზრი, 2014).

„ძმები კარამაზოვები“. რომანი 4 ნაწილად ეპილოგით (მთარგმ. მზია გელაშვილი, ანა აბულაშვილი. რედ. ელენე სალარიძე; თბ., „პალიტრა L“, 2015.

ორეული: პეტერბურგული პოემა (მთარგმ. ზურაბ კიკნაძე; რედ. სანდრო დგვარელი. თბ., „ოჩოპინტრე“, 2015).

„სუსტი გული“ (მთარგმ. პაატა ჩხეიძე. თბ., „პალიტრა L“, 2016).

„მკვდარი სახლის ჩანაწერები“ (მთარგმ. თენგიზ ჩხაიძე, რედ. ნათელა მეტრეველი. თბ., „საქართველოს მაცნე“, 2016)

„სხვისი ცოლი და ქმარი საწოლქვეშ“ (მთარგმ. პაატა ჩხეიძე. „პალიტრა L“. თბ., 2017)

„თვინიერი“ (მთარგმნელი პაატა ჩხეიძე. „პალიტრა L“. თბ., 2017).

„მარადი ქმარი“ (მთარგმ. თენგიზ ჩხაიძე. „ლითერასი“, თბ., 2017)

„ძმები კარამაზოვები“ (მთარგმ. გივი კიკილაშვილი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ., 2018)

„დანაშაული და სასჯელი“ (მთარგმ. გივი კიკილაშვილი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბ., 2021).

ლევ ტოლსტოისთან ერთად, დოსტოევსკის ხშირად მოიხსენიებენ როგორც რუსული ლიტერატურის ოქროს ხანის ერთ-ერთ უდიდეს და ყველაზე გავლენიან რომანისტად. ალბერტ აინშტაინი მას „დიად რელიგიურ მწერალს“ უწოდებდა, რომელიც სულიერი ცხოვრების საიდუმლოს იკვლევდა. ფრიდრიხ ნიცშე კი დოსტოევსკიზე ამბობდა: „სხვათა შორის, ერთადერთი ფსიქოლოგი, რომლისგანაც მე რაღაც ვისწავლე; ის ჩემს ცხოვრებაში ფორტუნას ყველაზე მშვენიერ გაღიმებებს შორის დგას“. ჰერმან ჰესე კი აღნიშნავდა, რომ მისი წაკითხვა „იმედის ნაპერწკალია სრულ უიმედობაში“.

საქართველოში დოსტოევსკის შემოქმედებას დიდი ინტერესით ეცნობოდნენ. ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია დოსტოევსკის მარად ადამიანურ და დემონურ ელემენტებს შორის მარადიულ მებძოლ გენიად მიიჩნევს, ხოლო მის გმირებს — დემონურსა და ადამიანურს შორის მდგარ ადამიანებად. „მისი სევდით დავსილი თვალები ელავენ დემონით შეპყრობილ ადამიანთა ტანჯვით. მისი მაღალი შუბლი - ფრთანი არწივისებური აზრების საბუდარია. რამდენი რამ ჰქონდა მას სათქმელი და რა ცოტა რამ სთქვა შედარებით. ქვეყანაც იმიტომ იტანჯება ასე უღმერთოდ, რადგან ნაგრძნობი მუდამ სჭარბობს ნათქვამს?“ დოსტოევსკის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა ქართველი პოეტი

ტერენტი გრანელი; იგი აღნიშნავდა, რომ *თუ ზოგიერთ ზედმეტობას ჩამოვაცილებთ, დოსტოევსკის ხელოვნება და აზრები გენიალურია.*

დიდი ადგილი დოსტოევსკის პიროვნებას ეთმობა გრ. რობაქიძის პუბლიცისტიკაში, ხოლო მოგვიანებით მთელ მის შემოქმედებაში. გაზეთ „კავკაზში“ 1915 წელს დასტამბულ მის წერილებში ნათლად ჩანს, რომ ვისაც არ უნდა ეხებოდეს მისი სტატია, იქნება ეს ანა ახმატოვა, ვიაჩესლავ ივანოვი, სლავიანოფილები თუ სხვ., ყოველთვის გვხვდება დოსტოევსკის სახელი, ხშირად მოიხსენიებს იგი გენიალურ რუს მწერალს თავის საჯარო ლექციებშიც ექსპრესიონიზმზე და სხვა მწერლებზე საუბრისას. ყოველკვირეულ ლიტერატურულ გაზეთ „ფიგაროში“ (რუსულ ენაზე), ნიკოლოზ მიწიშვილის რედაქციით (1022 წ., #4), განთავსებული იყო განცხადება გაზეთ „ბარიკადის“ ნომრის შინაარსის შესახებ, რომელშიც უნდა დაბეჭდილიყო ტიციან ტაბიძის სტატია „დოსტოევსკი“, ნიკოლოზ მიწიშვილის „პიოტრ ვერხოვენსკი“, გრიგოლ რობაქიძის „დოსტოევსკი“. ტიციან ტაბიძეს ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დოსტოევსკის „ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე“ უთარგმნია ქართულ ენაზე. ამის შესახებ გ. ვ. ცურიკოვა წერს წიგნში „ტიციან ტაბიძე“.

დოსტოევსკის წიგნები მრავალ ენაზეა ნათარგმნი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დოსტოევსკის ნაწარმოებებზე გადაღებულია არაერთი ფილმი, დადგმულია წარმოდგენები, მათ შორის საქართველოშიც. კერძოდ, ა. გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრში 2015 წელს დაიდგა სპექტაკლი „დოსტოევსკი.ru“ (რეჟისორი ანდრო ენუქიძე), რომელიც დაფუძნებულია დოსტოევსკის „მკვდარი სახლის წერილების“ ერთ-ერთ მოთხრობაზე „აკულკას ქმარი“. 2017 წელს თეატრ „გლობუსში“ დაიდგა დოსტოევსკის „თვინიერი“ (რეჟისორი დათო ბელთაძე). ამავე წელს თავისუფალ თეატრში დაიდგა „ორეული“ (რეჟისორი მერაბ დოლბაია). 2021 წლის გაზაფხულზე მარჯანიშვილის თეატრმა სეზონი გახსნა სპექაკლით „დანაშაული და სასჯელი“ დოსტოევსკის ამავე სახელწოდების მიხედვით (რეჟისორი ლევან წულაძე).

2010 წლის გამოკითვის მონაცემებით, დოსტოევსკი აღმოჩნდა ყველაზე პოპულარული რუსი მწერალი საქართველოში. 50 წიგნთა სიაში, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა წაიკითხოს,

„ძმები კარამაზოვების“ გარდა დოსტოევსკის რომანი „დანაშაული და სასჯელიც“ შევიდა.

დოსტოევსკის ნაწარმოებების მთავარი მახასიათებელია პერსონაჟებისა და სიტუაციების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი. დოსტოევსკი, „რენტგენის“ მსგავსად, აღწევს მისი გმირების სულებში და საოცარი სიფაქიზით თვალს ადევნებს მათ განცდებს. კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ახასიათებს დოსტოევსკის ნაწარმოებებს, არის თავშესაქცევი და მიმზიდველი სიუჟეტები, მოვლენების მოულოდნელი შემობრუნება და ხშირად არაპროგნოზირებადი, ამაღელვებელი კვანძის გახსნა. დოსტოევსკი ცდილობდა, რომ მისი ნაწარმოებები თავშესაქცევი და წარმტაცი ყოფილიყო, დასასრული კი ეფექტური. ძირითადად, მის ნაწარმოებებს საფუძვლად უდევს დეტექტიური, კრიმინალური სიუჟეტები. ყველა არა, მაგრამ ბევრი მისი ნაწარმოები, მოგვითხრობს რაიმე სახის დანაშაულზე. დოსტოევსკის ყველაზე ცნობილი რომანები „დანაშაული და სასჯელი“, „იდიოტი“, „ძმები კარამაზოვები“ არსებითად მიეკუთვნებიან დეტექტიური რომანის ჟანრს.

მწერალმა აღიარება მის სიცოცხლეშივე ჰპოვა, თუმცა, მისმა ნაწარმოებებმა უდიდესი წარმატება მისი გარდაცვალების შემდეგ მოიპოვა.

შედეგები: დოსტოევსკის შემოქმედების მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში დიდია. დოსტოევსკი რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად მწერლად, მილიონობით ადამიანი ცდილობს დოსტოევსკის წიგნებში იპოვოს პასუხი კითხვებზე, რომლებიც მათ აღელვებთ. მწერლის ნაწარმოებები ათობით ენაზეა თარგმნილი, შექმნილია დოსტოევსკის მემკვიდრეობის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება. რაშია ასზე მეტი წლის წინ დაწერილი დოსტოევსკის წიგნების უკვდავების საიდუმლო? თავად დოსტოევსკი მისი შემოქმედების მთავარ მახასიათებლად მიიჩნევდა სწრაფვას „პიროვნება ეპოვნა ადამიანში“. ეს იმას ნიშნავდა, რომ დოსტოევსკის აზრით, ადამიანი არ არის ხრახნი, საზოგადოების სტრუქტურული ერთეული, რომელსაც აკონტროლებენ სხვისი ხელის ერთი მოსმით ან გარე ძალების მეშვეობით. გარემოს არანაირი გავლენა ვერ გაამართლებს ბოროტებას და დანაშაულს. პირიქით, ნებისმიერი დანაშაული აუცილებლად მოიცავს მორალურ სასჯელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ტალიაშვილი, შადური, 1976: გ. ტალიაშვილი გ., შადური ვ. რუსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1976.

„ფიგარო“: ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი (რუსულ ენაზე) ნიკოლოზ მიწიშვილის რედაქციით http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/130709/1/Figaro_1922_N4.pdf

ცურიკოვა, 2015: Цурикова Г.В. «Тициан Табидзе: жизнь и поэзия». https://nemaloknig.net/read-327289/?page=1#booktxt

https://ka.wikipedia.org/wiki/ფიოდორ_დოსტოევსკი

https://temurkikava.wordpress.com/2014/10/24/დოსტოევსკის-შესახებ-2/

http://laterna.ge/?cat=38&show=2942#.YSqBJCnmAWY

https://www.lit.ge/books/2-9780-fiodor-dostoevski/

https://biblusi.ge/products/search/?q=%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%98

http://laterna.ge/?start=0&action=search&books_lan=1&books_pri=1&search_text=%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%98

https://www.ekhokavkaza.com/a/2214341.html

რომან გოგოლაური
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ახალციხე,
romangogolauri@gmail.com, 599 54 12 37

შინაფეოდალური ბრძოლა სამცხე-საათაბაგოში XVI ს-ის 70-იან წლებში და პოლიტიკური ორიენტაცია

მოკლე შინაარსი

წინა საუკუნეებისაგან მკვეთრად განსხვავდებული XVI საუკუნის ისტორიული მოვლენები ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხანაა საქართველოს ისტორიაში, რადგან ამ მოვლენებმა განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია და ადგილი იმდროინდელი მსოფლიოს კონტექსტში. XVI საუკუნე არის, ერთი მხრივ, ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის პერიოდი, მეორე მხრივ, შიდა „საქართველოების“ ურთიერთდაპირისპირების ეპოქა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზოგადოდ ქართული პოლიტიკის როგორც საშინაო, ასევე საგარეო კურსის განსაზღვრაში. ამავე საუკუნეში ადგილი ჰქონდა შიდაპოლიტიკურ ბრძოლას სამცხე-საათაბაგოში, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა საქართველოს ამ ერთ-ერთი უდიდესი მხარის როგორც პოლიტიკური ერთეულის მომავალი.

სტატიაში განხილულია XVI საუკუნის 70-იან წლებში სამცხეში მომხდარი შიდაფეოდალური დაპირისპირებისა და მისი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები ირანისა და ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე.

საკვანძო სიტყვები: სამცხე-საათაბაგო; საგარეო ვექტორი; გეოსტრატეგია; დედისიმედი; პოლიტიკური ორიენტაცია; შიდაფეოდალური ბრძოლა.

Roman Gogolauri
Doctor of History, Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Georgia,
romangogolauri@gmail.com, 599 54 12 37

FAMILY-FEUDAL BATTLE IN SAMTSKHE-SAATABAGO IN THE 70S OF THE 16TH CENTURY AND POLITICAL ORIENTATION

Abstract

The historical events of the 16th century, sharply different from the previous centuries, are one of the most important periods in the history of Georgia, because these events determined the political orientation and place of Georgia in the context of the world at that time. The 16th century is, on the one hand, a period of unrelenting struggle against Iran and Ottomans, on the other hand, an era of internal "Georgian" confrontation, which played an important role in determining both the domestic and foreign course of Georgian politics in general. In the same century, an internal political struggle took place in Samtskhe-Saatabago, which, in fact, determined the future of this one of the largest parts of Georgia as a political entity.

The article discusses the internal feudal conflict in Samtskhe in the 70s of the 16th century and its orientation against the background of the conquering policies of Iran and the Ottoman Empire.

Key Words: Samtskhe-Saatabago; external vector; გეოსტრატეგია; Dedisimedi; political orientation; intra-feudal struggle.

მიზანი. ნაშრომი მიზნად ისახავს XVI საუკუნის 70-იან წლებში სამცხეში მომხდარი შიდაფეოდალური დაპირისპირებისა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხების განხილვას საისტორიო წყაროების საფუძველზე.

კვლევის მეთოდი. სტატიაში გამოყენებულია კვლევის მულტიდისციპლინური მეთოდები, ძირითადად, ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური, წყაროთმცოდნეობითი მეთოდები XVI საუკუნის 70-იან წლებში სამცხეში მომხდარი შიდაფეოდალური

დაპირისპირებისა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხების განსახილველად საისტორიო წყაროების საფუძველზე.

შესავალი. XVI საუკუნე, თავისი მდიდარი ისტორიული მოვლენებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხანაა საქართველოს ისტორიაში. იგი მკვეთრად განსხვავდება წინა საუკუნეებისაგან. XVI საუკუნე არის, ერთი მხრივ, ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის პერიოდი, მეორე მხრივ კი, შიდა „საქართველოების“ ურთიერთდაპირისპირების ეპოქა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზოგადოდ ქართული პოლიტიკის როგორც საშინაო, ასევე საგარეო კურსის განსაზღვრაში.

გარდა ქართული პოლიტიკური ერთეულების ურთიერთდაპირისპირებისა, ამავე საუკუნეში ადგილი ჰქონდა შიდაპოლიტიკურ ბრძოლას სამცხე-საათაბაგოში, რომელიც ოცი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ XVI საუკუნის 70-იან წლებში სამცხეში მომხდარ შიდაფეოდალურ დაპირისპირებას და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ორიენტაციას ეხება.

მსჯელობა. ვიდრე უშუალოდ კონკრეტულ საკითხზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ XVI საუკუნის შუა ხანებში სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურმა მესვეურებმა საგარეო ვექტორი ორჯერ შეცვალეს. პირველად 1545 წელს სოხოისტის ბრძოლის დროს, როდესაც ჯერ კიდევ „უგვირგვინო“ ქაიხოსრო ოსმალთა მხარეზე მოქმედებდა, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს. ამის შედეგად ქაიხოსრომ, რომელსაც მხარში ედგა დიდი მესხი ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი, ათაბაგის გვირგვინი მოირგო თავზე. ამასთანავე ოსმალეთისთვის, რომლის იმპერიაც ამ დროს უკვე სამ კონტინენტზე იყო დაფუძნებულ-გაშლილი, უცნობი არ უნდა ყოფილიყო ზოგადად საქართველოს, კერძოდ კი სამცხე-საათაბაგოს გეოსტრატეგიული მდებარეობა, რომელიც აღმოსავლეთში მისი მთავარი მეტოქის - ირანისკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა. მკვლევარ გ. ტივაძის შენიშვნით: „...ირანთან მომავალი ბრძოლა ოსმალეთისთვის წარმატებით ჩატარდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასია და განსაკუთრებით კი მასში შემავალი კარი - სამცხე-საათაბაგო, ოსმალეთის სრულ მორჩილებაში იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალთა კომუნიკაციები ზურგიდან განადგურდებოდა და, ამდენად, სამცხე-

საათაბაგოში დამოუკიდებელი ქართული მართვა-გამგეობის არსებობა ოსმალთათვის დიდ საშიშროებას ჰქმნიდა“ (ტივაძე, 1947: 136). ამავე დროს, 1548 წელს ოსმალეთმა დიდი ლაშქრობა მოაწყო აღმოსავლეთში და თავრიზი დაიკავა. სულთნის ჯარი ირანის სიღრმეში შეიჭრა და დროებით დაიკავა ისპაჰანი. ასეთ ვითარებაში ოსმალებმა ნელ-ნელა დაიწყეს საათაბაგოს ცალკეული მხარეების უშუალო დაქვემდებარება. 1550 წელს ოსმალებმა ტაო დაიკავეს, 1553 წელს არტანუჯი დაიპყრეს და არსიანამდის დაიკავეს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიები. ამასთანავე, ჯავახეთის გავლენიანმა თავადებმა ვახუშტი დიასამიძის და ამაონის მეთაურობით დაიწყეს ბრძოლა ათაბაგის წინააღმდეგ და კავშირი დაამყარეს ქართლის მეფე ლუარსაბთან. მათ დაიკავეს ვარძია, ვანის ქვაბები, ასევე მათი მომხრეების ხელში აღმოჩნდა თმოგვის, ასპინძის და ვარნეთის ციხეები. შექმნილ ვითარებაში ქაიხოსრო ათაბაგმა კურსი ირანისაკენ აიღო და შაჰ-თამაზს დახმარება სთხოვა. შაჰმაც არ დააყოვნა და ორჯერ 1551 და 1554 წელს სამცხესა და ქართლში ილაშქრა. ათაბაგისა და შაჰ-თამაზის ურთიერთობა განმტკიცდა მათი დამოყვრებითაც. შაჰმა ათაბაგს ცოლად სთხოვა მისი ქალიშვილი. რადგან მას თავისი არ ჰყავდა „...და ენათესავებოდა ოთარი შალიკაშვილი ათაბაგსა, ამისთჳს ნებაყოფლობით გამოართვა ქალი და ნათესავად თჳსად გაუგზავნა ყაენს და ყაენმა შეირთო ცოლად“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 364).

ქაიხოსრო ათაბაგის პროირანულმა ორიენტაციამ ოსმალეთი კიდევ უფრო გააღიზიანა და მათ ტაოს შემდეგ შავშეთი და კლარჯეთიც დაიპყრეს. ჯერი სამცხეზე მიდგა. ოსმალთა მთავრობისაგან შეწუხებულმა ათაბაგმა დახმარებისათვის კვლავ ირანის შაჰს მიმართა და ყაზვინს გაემგზავრა. შაჰისაგან დახმარების მიღებამდე ქაიხოსრო იქვე ყაზვინში 1573 წელს გარდაიცვალა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დედისიმედი მონაზვნად შედგა დებორას სახელით (შარაშიძე, 1961: 44). ათაბაგის ტახტი დაიკავა დედისიმედის უფროსმა შვილმა ყვარყვარემ, მაგრამ ვინაიდან იგი გამოუცდელი იყო, დედისიმედი კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ ცხოვრებას. თავდაპირველად ის სამთავროს განაგებდა ვარაზა შალიკაშვილთან ერთად. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „დაჯდა ყუარყუარე ათაბაგად ძე ქაიხოსროსი და ათაბაგობდა. არამედ დედისიმედი, დედა მისი, იყო პირველ და

აწცა და ვარაზა ოთარ შალიკაშვილის ძე მოქმედნი ყოვლისავე“ (ვახუშტი, 1979: 718). ვარაზას მამა ოთარ შალიკაშვილი სამცხის დიდი ფეოდალი, ათაბაგების სახლის ნათესავი და დედისიმედის მეუღლის ათაბაგ ქაიხოსრო II-ის უახლოესი თანამებრძოლი იყო. დედისიმედი წარმოშობით მუხრანბატონის, ბაგრატის, ქალიშვილი იყო. დედისიმედს ოთხი ძმა ჰყავდა - ერეკლე, არჩილი, აშოთანი და ვახტანგი. მათგან ერეკლე დედისიმედის თანამებრძოლი იყო შინაფეოდალური ომის დროს. ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი დედისიმედს უარყოფითად ახასიათებენ. ბერი ეგნატაშვილის შეფასებით, დედისიმედი „იყო უჭკუო და უმეცარი, გლისპი და ღმრთის უშიშარი ქალი“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 370). ვახუშტის ცნობით „რამეთუ ესე დედისიმედი იყო ამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი“ (ვახუშტი, 1973: 719). მკვლევარი გ. ტივაძე არ ეთანხმება ზემოხსენებული ავტორების ასეთ შეფასებას და მას ტენდენციურს უწოდებს. „დედისიმედის საქმიანობის განხილვა გვიჩვენებს, დედისიმედი ენერგიული, მოხერხებული და სწორი პოლიტიკური ალღოს მქონე პიროვნება ყოფილა. დედისიმედის ზემოთხსენებული დახასიათება, როგორც „ქართლის ცხოვრებისა“, ისე სხვებისა იმდენად იდენტურია, რომ ცხადი ხდება ყველა მათგანის ერთი წყაროდან მომდინარეობა და ტენდენციური ხასიათი“ (ტივაძე, 1947: 142). მისივე აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნაწილის პირველწყარო, ეგრეთ წოდებული „მესხური დავითნის“ ქრონიკა სრულებითაც არ იძლევა დედისიმედის ამგვარ დახასიათებას. ჩანს ამ ნაწილის გადმომტანმა „ქართლის ცხოვრებაში“ მე-16 საუკუნის ისტორიულ ქრონიკას თავისი შეხედულებები დაურთო, ხოლო ვახუშტიმ იგი უნებლიეთ გაიმეორა (ტივაძე, 1947: 142-143). შემდეგ მკვლევარი ეხება რა „მესხური დავითნის“ ქრონიკას, წერს, რომ „ლოგიკურადაც დაუშვებელი იქნებოდა გვეფიქრა, რომ დედისიმედის ასეთი უარყოფითი დახასიათება მოცემული ყოფილიყო ქრონიკის ავტორის მიერ, ვინაიდან, როგორც ეს საფუძლიანად დაგვიმტკიცა ე. თაყაიშვილმა „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორი უნდა ყოფილიყო ათაბაგ ქაიხოსროს ოჯახის ერთ-ერთი წევრთაგანი და, მაშასადამე, ოფიციალური პირიც, რომელსაც ათაბაგობის ფაქტიური ძალაუფ-

ლების მატარებლის დედისიმედის ასეთი უარყოფითი დახასიათების მიცემა არ შეეძლო იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ეს „მწარე სინამდვილიდან“ გამომდინარე ყოფილიყო (ტივაძე, 1947: 143).

გ. ტივაძის ეს მოსაზრება გასაზიარებელია, ვინაიდან დღეს ჩვენს ხელთ არსებული „მესხური დავითნის“ ქრონიკაში, რომელიც 12 ხელნაწერ გვერდს მოიცავს და 26 წლის ამბებია მოთხრობილი, დედისიმედის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ შეინიშნება. მაგრამ, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, კერძოდ ის ფაქტი, რომ როდესაც ვახუშტი ბატონიშვილი მოსკოვში ქმნიდა თავის ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, მას ხელთ ჰქონია სამცხე-საათაბაგოს ისტორიის ხუთი ტომი, რომლითაც სარგებლობდა. დასაშვებად მიგვაჩნია ის, რომ მომდევნო თავებში ყოფილიყო დედისიმედის მიმართ უარყოფითი დახასიათება და აქედან მომდინარეობდეს ყოველივე ის, რაც ბერი ეგნატაშვილს და ვახუშტი ბატონიშვილს აქვთ დაფიქსირებული დედისიმედის მიმართ. ყოველივე ეს კი მჟღავნდება დედისიმედის მიერ ოთარ შალიკაშვილის ვაჟის - ვარაზის მკვლელობასთან დაკავშირებით. ეს ამბავი უფრო დეტალურად აღწერილი აქვს ბერი ეგნატაშვილს. 1574 წელს გარდაიცვალა კახეთის მეფე ლევანი. ტახტი დაიკავა ალექსანდრემ, რომელსაც სულ ცოტა ხანში ვაჟი ერეკლე შემოსწყრა და სტამბოლში გაექცა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ეს მომხდარა იმავე 1574 წელს. სპარსეთის შაჰმა ერეკლეს ასეთი მოქმედება საზოგადოდ კახეთის სამეფოს განდგომად შეაფასა, მის დასასჯელად გამოემართა და ყარაბაღში დადგა. კახეთის სამეფოს სახლთუხუცესმა ოთარ ჩოლოყაშვილმა მეფეს აღუთქვა, რომ კახეთს შაჰის რისხვას ააცილებდა, რადგან მან იცოდა, რომ გარდაცვლილ ქაიხოსროს მცირეწლოვანი შვილები დარჩნენ, სამთავროს კი მისი ქვრივი განაგებდა. ვინაიდან დედისიმედი იყო „უღთო, გლისპი ქალი“, ჩოლოყაშვილმა სცადა მასზე ზემოქმედება მოეხდინა და დედისიმედთან კაცი გაგზავნა წერილით, სადაც ეწერა: „ვარაზას შაჰთამაზ ყაენი მანდ მოჰყავსო, ნებავს ამოწყვეტა სამცხისო და ძისა შენისა მანუჩარის სიკვდილიო და მრავალგზით მოგაყივნა ქვეყანა ხედათ და თვითონ უნდა ეგ ქვეყანა დაიჭიროსო და მანდ გაბატონდესო. და დაიჭირე ვარაზა, მოჰკალ და მერმე შაჰთამაზ ყაენი ვეღარ მოვა და გაბრუნდება და წავა და მორჩება

ქვეყანაო“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 370). როგორც ტექსტიდან ჩანს დედისიმედსა და ვარაზას შორის არცთუ კეთილგანწყობა სუფევდა და ამის შესახებ კახეთის სამეფოშიც სცოდნიათ. დედისიმედმა დაიჯერა ყოველივე ეს და ვარაზა მოაკვლევინა. როგორც კი შეიტყო შაჰ-თამაზმა ვარაზას სიკვდილი, დატოვა კახეთი „...და შევიდა სამცხეს და მოაოჯრა და ამოსწყვიტა სამცხე და მრავალი ბოროტი შეამთხჳა და შემდგომად ამისსა შემოიქცა და წარმოვიდა“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 371).

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით დედისიმედის მოღვაწეობის შეფასებას, ვინაიდან იგი სცილდება ჩვენი კვლევის სფეროს, მაგრამ დავსძენთ, რომ დედისიმედის ხასიათმა და ქმედებებმა ხელი შეუწყო სამოქალაქო დაპირსპირებას სამცხეში. რაც შეეხება დედისიმედის მოღვაწეობას სამცხეში, მასზე საინტერესო სტატია გამოქვეყნებული აქვს მკვლევარ ელდარ მამისთვალიშვილს „პატრონობდა დედისიმედი სამცხეს“ (მამისთვალიშვილი, 2009).

როგორც ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავენ, ამ ამბების შემდეგ გარკვეული კონსენსუსი მომხდარა ირანსა და ოსმალეთს შორის. კერძოდ, აქ საუბარია ტერიტორიულ გადანაწილებაზე. „მაშინ გაუგზავნა კაცი სულტანსა ოსმალისასა და მიუწერა ესრეთ: „ვყოთ მშვიდობა ურთიერთას, რამეთუ სჯულითა ვართ მოსავნი მაჰმადისანი“, რამეთუ მაშინ ბრძოლა იყო მათ შორის. უსმინა სულტანმან და შერიგდნენ. მაშინ განაგეს ქვეყანანი და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა,.. ხოლო შაჰ-თამაზს დაუგდო ქართლი, კახეთი, ერევანი... და მშვიდობა ჰყვეს ურთიერთას...“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 371). დამოწმებული ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ მთელი სამცხე-საათაბაგო (ზემო ქართლი) „საზღვრამდე ქართლისა“ ოსმალეთს დარჩა, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ამასიის (1555 წ.) ზავის პირობებს. ამ ზავის მიხედვით, სამცხე-საათაბაგო ირან-ოსმალეთმა თანაბრად გაიყვეს. ჩვენთვის საინტერესო მხარე სამცხე ამ შემთხვევაში ირანის გავლენის სფეროში მოექცა. ბოლო მოლაპარაკების დროს კი ეს მხარეც ოსმალეთს ერგო. ფაქტობრივად, ეს მოასწავებდა ამისიის ზავის ანულირებას, რაც საეჭვოდ გვეჩვენება. მაგრამ, თუ მოვლენებს გავუსწრებთ და სამცხეში მიმდინარე შინაფეოდალურ დაპირისპირებას გავაანალიზებთ, ამ დროისათვის სამცხეში არსად არ გვხვდება ირანული

გარნიზონი, რაც მხარს უნდა უჭერდეს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას.

შაჰ-თამაზის სამცხეში ლაშქრობის დროს დედისიმედმა და მისმა შვილებმა თავი აჭარას შეაფარეს, ხოლო შაჰ-თამაზის უკან გაბრუნების შემდეგ „დედისიმედი და ძენი მისნი მოვიდნენ და დაიპყრეს კუალად სამცხე“ (ვახუშტი, 1973: 719). არც ბერი ეგნატაშვილს და არც ვახუშტი ბატონიშვილს იმის შესახებ არავითარი ცნობა არ მოეპოვება, თუ როგორ მოახერხა დედისიმედმა ყვარყვარეს აღდგენა ათაბაგად. ვფიქრობთ, ეს უნდა მომხდარიყო ოსმალებთან მორიგების შედეგად. პროირანული ფეოდალის და შაჰ-თამაზის ცოლისძმის მოკვლა დედისიმედის მიერ ნოყიერ ნიადაგს ჰქმნიდა ოსმალეთ-სამცხის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ეს ფაქტი იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ სამცხემ საგარეო ორიენტაცია კვლავ ერთხელ შეცვალა შექმნილ ისტორიულ-პოლიტიკურ სიტუაციაში.

1576 წლის 15 მაისს გარდაიცვალა შაჰ-თამაზი. 22 მაისს შაჰ-თამაზის დატყვევებული ვაჟი ისმაილი ალამუთის ტახტიდან გამოიყვანეს და ყაზვინის გზას გაუყენეს. მართალია, მისი სამეფო ტახტზე ხელდასხმა მოგვიანებით, 17 აგვისტოს, შედგა, მაგრამ ეს იყო საშინლად სისხლიანი გამეფება. მან პირველ რიგში უმცროსი ძმები დახოცა, შემდეგ ყველა ხანი და სულტანი, ვინც მის კონკურენტ ჰეიდარ-მირზას უჭერდა მხარს, არცერთი ცოცხალი არ დატოვა (მამისთვალიშვილი, 1977: 114).

სამცხეში შიდაფეოდალური დაპირისპირების მიზეზს არც ბერი ეგნატაშვილი და არც „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორი არ ასახელებენ. საომარი ოპერაციების დაწყებას კი ორივე წყარო ერთნაირად იწყებს.

ცოტა განსხვავებულია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აქ აღნიშნულია, რომ ირანელთა ფავორიტმა ვარაზა შალიკაშვილის შვილმა კოკოლამ ოსმალეთის სულთანთან დაიწყო ურთიერთობის დალაგება. „არამედ ვარაზას ძემან კოკოლამ და ვიეთთამე მესხთა უწყეს ზრახუა ხონთქარსა“ (ვახუშტი, 1973: 719).

„ამ ამბის შეტყობის შემდეგ მანუჩარი, ყვარყვარე და მათი ბიძაშვილი მუხრანბატონი ერეკლე წამოვიდნენ, მივიდნენ მგელციხეს და იქიდან ირანში, ყაენთან დესპანის გასაგზავნად, თავისი

უცოდველობის დასამტკიცებლად და პატიების სათხოვნელად (ვახუშტი, 1973: 719). როგორც ჩანს, მათ უკვე იცოდნენ ირანში ხელისუფლების ცვლილება და სცადეს ახალ შაჰთან ურთიერთობის მოგვარება. ჩანს, რომ სამცხის პოლიტიკურ მესვეურებისათვის პროთურქული ორიენტაცია მაინცდამაინც არ იყო მისაღები და სცადეს მისი გადახედვა. დედისიმედის ვაჟებს თან ახლდა სამოცამდე შეიარაღებული პირი. ოლადის ქვაბებიდან იასონ ბედიანისშვილმა ამის შესახებ აცნობა კოკოლა შალიკაშვილს, მის ძმას ლაშქარას და მის ბიძას გუგარქს. მათ გარს შემოიკრიბეს ელია დიასამიძის შვილი ავთანდილი, მისი ძმა შერმაზანი, ამატაკ და აბდუყაფარ ამატაკისშვილები, მათი ძმისშვილი როსტომ და ამატაკის ვაჟი სეხნია. მათ ხუთასამდე კაცი შემოიკრიბეს და ბატონიშვილების წინააღმდეგ დაიძრნენ. ამ ამბის მოწმე ჯარასონ ფანასკერტელმა უგუბოს მყოფ ყანდულარ დოლენჯისშვილს აცნობა, რომელმაც, თავის მხრივ, ყვარყვარე და მანუჩარი გააფრთხილა. ისინიც სამწუბის ღელიდან აიყარნენ და ოხერას ციხეს შეაფარეს თავი. მეამბოხეები, როდესაც სამწუბის ღელეს მივიდნენ, მათ იქ თუხარელების კარვის გარდა არავინ დახვდა. ათაბაგის სახლმა ჯარის შეკრება დაიწყო. ამის შემდეგ ისინი თმოგვს მიუხდნენ და ციხე-ქალაქი აიღეს. იქიდან ზედა თმოგვს ავიდნენ, სადაც მათი დედა დედისიმედყოფილი დებორა მოვიდა. როგორც ჩანს, ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების შემდეგ შემონაზვნებული ქვრივი დედისიმედი-დებორა კვლავ დაუბრუნდა საერო ცხოვრებას და აქტიურად ჩაერთო ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ ბატონიშვილებმა აიღეს ვანის ქვაბები, ოლადის ქვაბები, კარწახს მივიდნენ და დადგნენ. 19 ივლისს ფოსოს მიუხდნენ და გადაწვეს. ბოლოს თეთრ-ციხის გარშემო ალბუტი და კამაროანი მოაოხრეს და შაჰთან ელჩი გაგზავნეს (შარაშიძე, 1961: 44). 28 ივლისს შაბათ დღეს შალიკაშვილებმა მათი ნაქონები ოთის ციხე კვლავ დაიბრუნეს. ამასობაში ოსმალებიც შემოიჭრნენ სამცხის ტერიტორიაზე. ბატონიშვილებმა მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს მგელციხეს, შერმანიანთ წყაროზე დადგნენ და ამის შემდეგ აწყურს ჩავიდნენ (შარაშიძე, 1961: 45). 31 აგვისტოს ამბოხებულებმა ღალატით ვარნეთის ციხე დაიკავეს. 4 სექტემბერს დიასამიძემ დემოთის ციხის ასაღებად აზნაურიშვილები გაგზავნა, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა ეს ოპერაცია. პირიქით, ციხისთავმა შალვაშვილმა 17

მომხვდური ტყვედ აიყვანა. 24 ოქტომბერს არჩილ მუხრანბატონი შირაზიდან ყაზვინს მივიდა ცოლშვილიანად. ამავე დროს ათაბაგის მომხრეებმა ფოსო ააოხრეს, შაჰთან ელჩი გაგზავნეს. როგორც ვხედავთ, ათაბაგის სახლის წევრებმა ივლისის შემდეგ უკვე ოქტომბერში მეორე ელჩობა გაგზავნეს შაჰის კარზე. ვფიქრობთ, მათ ირანში შაჰის კარზე ლობისტებიც უნდა ჰყოლოდათ. ასეთებად ჩვენ მიგვაჩნია ჯერ კიდევ 1573 წელს ყაზვინში წასული ათაბაგის სახლის წევრი თვალმშვენიერი და მათივე ბიძა არჩილ მუხრანბატონი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, რომ შაჰ-თამაზის მიერ შერისხული პირები, ახლა უკვე შაჰ-ისმაილ II-ის კარზე ამნისტირებულნი უნდა ყოფილიყვნენ.

შიდაფეოდალური დაპირისპირება სამცხეში მომდევნო 1577 წელსაც გაგრძელდა. ამ წლის მარტში კოკოლა შალიკაშვილმა აჩხიის ქვაბები დაიკავა, მაგრამ მანუჩარმა, რომელსაც ერეკლე მუხრანბატონი თან ახლდა, სწრაფად დაიბრუნა ეს ქვაბები. ამ ამბების შემდეგ კოკოლას განუდგა ბიძამისი გუგარქი და მანუჩართან მივიდა, თან ქაჯისციხეც გადასცა. შემდეგ გუგარქმა ფიცი გატეხა და კვლავ განუდგა მანუჩარს. ბატონიშვილმა ეს განდგომა ფოსოს დარბევით აღნიშნა. ელჩი გაისტუმრა და უკან მობრუნდა (შარაშიძე, 1961: 45). როგორც ჩანს, ირანში იმ წინა ორი ელჩობის შემდეგ სამცხეში მოსულა საპასუხო ელჩიც. მაგრამ რაზე იყო საუბარი, ამაზე არცერთი ქართული წყარო არ გვაძლევს ცნობებს. იმავე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ათაბაგის მომხრეებმა ქაჯის ციხეზე გაილაშქრეს. 2 ოქტომბერს გუგარქი კვლავ შეურიგდა ჯაყელებს და ველი გადასცა. ამის შემდეგ ჯაყელები გამობრუნდნენ და კოკოლას ხელთ მყოფი ურთის ციხე დაარბიეს, ფოსო აიალაფეს, ყაენთა ელჩი გააგზავნეს და მგელციხეს მივიდნენ (შარაშიძე, 1961: 46). აქვე მოვიდნენ მანუჩარი და ყვარყვარე, ხოლო დედისიმედი ახალციხეს წავიდა.

17 დეკემბერს სამცხეს შაჰ-ისმაილ II-ის გარდაცვალების ამბავი მოვიდა. ჯაყელებმა ეს არ დაიჯერეს და ელჩი გაუგზავნეს თვალმშვენიერს. 28 დეკემბერს ირანიდან თვალმშვენიერის ელჩი მოვიდა, რომელმაც დაადასტურა შაჰ-ისმაილის სიკვდილი, იგი 1577 წლის 23 ნოემბერს გარდაცვლილა. 31 დეკემბერს ყვარყვარე და მანუჩარი თმოგვს შემოადგნენ, ხოლო 1578 წლის 5 იანვარს დედისიმედმა და ბექამ ყველის ციხეს ალყა შემოარტყეს. 8 იანვარს ორივე

ციხე დაეცა და ჯაყელებმა დაიკავეს. ამ ამბების შემდეგ საომარ ოპერაციაში კოკოლამ სპარსელებიც ჩართო და სარდალი ყარახანი მოიწვია. ისინი ერთად წავიდნენ თმოგვზე, მაგრამ თმოგვი უკვე აღებული დახვდა ჯაყელთაგან. ამის შემდეგ მანუჩარმა კიდევ ერთხელ მოარბია ფოსო და ჯავახეთი და მოკავშირე გუგარქს ქაჯისციხეში ძღვენი გაუგზავნა (შარაშიძე, 1961: 47), დედისიმედმა თმოგვის ციხეში სურსათ-სანოვაგე შეატანინა და იქ დადგა. აქედან თვალმშვენიერთან ყაზვინში ელჩი გაგზავნა, ციხეების დაჭერა და ურუმთა აშლა აცნობა (შარაშიძე, 1961: 47), რაც თავისთავად ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებას ნიშნავდა. ქართული წყაროს გარდა, აღნიშნული ცნობა დაცული აქვს იტალიელ მოგზაურს ანონიმ ვენეციელს.

1577 წლის ბოლოს სულთანმა მურად III გადაწყვიტა დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ. 1578 წლის 2 იანვარს მან ჯარის სარდლობა მიანდო ლალა მუსტაფა ფაშას და არზრუმის გზით გალაშქრება უბრძანა. ანონიმი ვენეციელის თქმით, სარდალს დაევალა „შირვანის სამეფო და სპარსელების მეგობარი ქართველების პროვინციები დაეპყრო“ (მამისთვალიშვილი, 1987: 18).

თუ გადავხედავთ ამასიის ზავის შემდგომ პერიოდს, აშკარად დავინახავთ, თუ როგორი წინააღმდეგობები დარჩა ირანსა და ოსმალეთს შორის დაზავების შემდეგაც საქართველოს საკითხთან დაკავშირებით. მართალია, ამ ეტაპზე ორივე დამპყრობელი, ირანიც და ოსმალეთიც, ერთნაირად მიუღებელი იყო, თუმცა ცხადია, რომ თუ ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებამდე ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები ოსმალეთისკენ უფრო იხრებოდნენ, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მეურვეები ისევ ირანისკენ იხრებოდნენ.

ოსმალთა ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა. „მესხური მატიანის“ ქრონიკის მიხედვით, პირველი ციხე, რომელიც ოსმალებს საათაბაგოს ტერიტორიაზე შეხვდა, იყო მგელციხე. ციხის მცველებმა როინ და ბერი გოგორიშვილების ხელმძღვანელობით დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურთ, მაგრამ ბოლოს მაინც აიღეს. 8 აგვისტოს დაიპყრეს კოკოლა შალიკაშვილის მამულები. ოსმალების ინტერესი შალიკაშვილის მამულებისადმი, როგორც ამას მკვლევარი ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს „განპირობებული უნდა ყოფილიყო შაჰის კართან მათი სიახლოვით“

(მამისთვალიშვილი, 2009: 190). ამის შემდეგ ოსმალებმა დაიკავეს ვალე, ახჩის ქვაბები, თმოგვი, ხერთვისი, ჩილდირი, ახალქალაქი, ენი-კალი (ახალციხე - რ.გ.).

ყველა ქართული წყარო: „მესხური მატიანე“, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდიან ცნობებს, თითქოს 10 აგვისტოს „პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა, ვერც ლაშქარის ომსა და ვერც ციხეების აღებას ვერ მოესწრა“ (შარაშიძე, 1961: 48), (ვახუშტიმ, 1973: 722). სინამდვილეში, კი ამ დროს 10 აგვისტოს ჩილდირის ბრძოლის შემდეგ მანუჩარი უკვე ლალა-მუსტაფა ფაშას ბანაკშია (ნარკვევები, 1973: 128). მანუჩარმა პირველმა გადადგა ნაბიჯი ოსმალებთან მორიგებისაკენ. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ ამილახორიშვილები, ამატაკიშვილები, დიასამიძეები და სხვანი. ე.ი. სამცხე-საათაბაგოს საგარეო ვექტორი კვლავ ოსმალეთის სასარგებლოდ შეიცვალა.

დასკვნები და შედეგები. ამრიგად, ვარაზა შალიკაშვილის მკვლელობისა და სამცხეში შაჰ-თამაზის ლაშქრობის შედეგად აჭარას თავშეფარებულმა ათაბაგის სახლის წევრებმა ოსმალების თანხმობით მაინც მოახერხეს ათაბაგის ტახტის დაკავება. მიუხედავად ამისა, შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ სამცხის პოლიტიკური მესვეურებისთვის პროირანული პოლიტიკური ორიენტაცია დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რაც ნათლად გამოჩნდა სამცხეში შიდაფეოდალური დაპირისპირების დროს, როდესაც ათაბაგის სახლმა რამდენიმე ელჩობა განახორციელა შაჰის კარზე. ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებისა და ოსმალეთის მძლავრობის შედეგად ათაბაგის სახლი იძულებული გახდა პროთურქული ორიენტაცია აეღო, რასაც მოვლენათა განვითარების შედეგად მოჰყვა პროირანულით ჩანაცვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვახუშტი, 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი.

მამისთვალიშვილი, 2009: მამისთვალიშვილი, ე. XVI ს-ის სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბილისი.

მამისთვალიშვილი, 2009: მამისთვალიშვილი, ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVI სს.), თბილისი.

მამისთვალიშვილი, 1977: მამისთვალიშვილი, ე. სეფიანთა სახელმწიფოშ მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები, „მაცნე“, ისტორიის სერია N 4, თბილისი.

ნარკვევები, 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი.

ტივაძე, 1947: ტივაძე, გ. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნეში, ჟურნალი „მნათობი“, N10, თბილისი.

ქართლის ცხოვრება, 1959: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

შარაშიძე, 1961: შარაშიძე, ქრ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) თბილისი.

შინაარსი

ონომასტიკური ძიებანი

რევაზ შეროზია, კესო გეჯუა

ანთროპონიმები სამეგრელოში საეკლესიო საბუთებისა და ჯვრის მონასტრისაღაპების მიხედვით 5

ქეთევან გოდერძიშვილი

ისევ ახალი მეთოდოლოგიისთვის ტოპონიმთა ლექსიკონის შედგენისას 11

ეკა დადიანი, ლუიზა ხაჭაპურიძე

ადამიანის სახელთა სტრუქტურა-სემანტიკისათვის მეგრულში (აკაკი ჭანტურიას „მეგრული სახელებისა“ და თანამედროვე მონაცემების მიხედვით) 24

ალინა გალიშვილი, ნანა კაჭარავა

მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში (ნაწილი II) 41

იგორ კვეკლია

იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიის შესახებ და თანამედროვე ისტორიოგრაფია 86

ნესტან სულავა

რომის წმინდა ადგილების იდენტიფიკაციისათვის სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“ 119

დავით შავიანიძე

ქართველთა ყოფით-კულტურული მახასიათებლები (სვანური და აჭარული ანთროპონიმიის და ეთნოგრაფიული ლექსიკის მიხედვით) 140

ნინო ხაზალაშვილი

სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ რუკებთან დაკავშირებული ონომასტიკური პრობლემები 151

ქეთევან ჯერვალიძე, ნინო პეტრიშვილი

რამდენიმე გრეციზმი, ლათინიზმი და სემიტიზმი ქართულ გვარებში 161

ლიტერატურათმცოდნეობა
დალი ბეთხოშვილი
ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგია 195
დიანა მიქელაძე
მერი უოლსტონკრაფტი- პირველი ინგლისელი ფემინისტი მწერალი 206
ირინა ჯიშკარიანი
ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედება საქართველოში (ეძღვნება მწერლის დაბადებიდან 200 წლისთავს) 219

ისტორიოგრაფია
რომან გოგოლაური
შინაფეოდალური ბრძოლა სამცხე-საათაბაგოში XVI ს-ის 70-იან წლებში და პოლიტიკური ორიენტაცია .. 230

Content

Onomastic Searching
Revaz Sherozia, Keso Gejua
ANTHROPONYMS IN SAMEGRELO ACCORDING TO THE CHURCH DOCUMENTS AND AGAPES OF THE MONASTERY OF THE CROSS ... 6
Ketevan Goderdzishvili
AGAIN FOR NEW METHODOLOGY WHILE COMPILATION OF THE TOPONYM DICTIONARY 12
Eka Dadiani, Luiza Khachapuridze
FOR THE STRUCTURE-SEMANTICS OF HUMAN NAMES IN MEGRELIAN (According to modern data and „Megrelian names“ by Akaki Chanturia) 25
Alina Baghishvili, Nanuli Katcharava,
DENOTING VOCABULARY OF PLANTS IN SAMEGRELO TOPONYMY(Part II) 42
Igor Kekelia
ENCYCLOPEDIC REFERENSES BY JOHANN ZEDLER ON THE HISTORICAL GEOGRAPHY AND TOPONYMY AND MODERN HISTORIOGRAPHY OF ABKHAZIA 88

Nestan Sulava
FOR THE IDENTIFICATION OF THE HOLY PLACES OF ROME IN THE WORK OF SULKHAN-SABA ORBELIANI „JOURNEY TO EUROPE" 121
Davit Shavianidze
THE HOUSEHOLD AND CULTURAL CHARACTERISTICS OF GEORGIANS (according to Svan and Adjariananthroponymy and ethnographic vocabulary) 142
Nino Khazalashvili
ONOMASTIC PROBLEMS OF TOURIST MAPS OF SAMTSKHE-JAVAKHETI 151
Ketevan Jervalidze, Nino Petriashvili
SEVERAL GRECISMS, LATINISMS, AND SEMITISMS IN THE GEORGIAN FAMILY NAMES 163

Literature Studies
Dali Betkhoshvili
DRAMATURGY OF ALEXANDRE KAZBEGI 196
Diana Mikeladze
MARY WOLLSTONECRAFT - THE FIRST ENGLISH FEMINIST WRITER 207
Irina Jishkariani
THE WORK OF FYODOR DOSTOYEVSKY IN GEORGIA (dedicated to the 200th anniversary of the writer's birth) 220

Historiography
Roman Gogolauri
FAMILY-FEUDAL BATTLE IN SAMTSKHE-SAATABAGO IN THE 70S OF THE 16TH CENTURY AND POLITICAL ORIENTATION..... 231

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,
ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78
ელ. ფოსტა: contact@sjuni.edu.ge